

ISSN 2587 - 4861

ერუდიტი
ERUDITI

№1

თბილისი
2018



უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“
HIGHER EDUCATION INSTITUTION "ACADEMY OF EDUCATION"

ერუდიტი
ERUDITI

№ 1

თბილისი - Tbilisi
2018

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
“ერუდიტი” - გამოდის უმაღლესი სასწავლებლის “განათლების აკადემია” აკადე-
მიური საბჭოს გადაწყვეტილებით

**International Reviewed and Referential Scientific Journal «ERUDITI» -
published by the decision of Higher Education Institution «Ganatilebis Academia» ‘s
academic council**

ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან წელიწადში ორჯერ
ჟურნალის დამფუძნებელი – მარიამ მესხიშვილი – ეფადე, სამართლის
დოქტორი, პროფესორი, უმაღლესი სასწავლებლის “განათლების აკადემია”
მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე

**The journal is published twice a year since 2018
Founder of the journal - Mariam Meskhishvili-Efadze, Doctor of Law Sciences, Professor,
Chairman of the Management Board of Higher Education Institution «Ganatilebis Acadeia»**

მისამართი: ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
ვებ-გვერდი: www.acad.edu.ge
ელ-ფოსტა: contact@acad.edu.ge
ტელ: +(995 32) 2553333
მაგთიფიქსი: 7 90 333353
Address: Tbilisi, Ksani st. №35
WEB-page: www.acad.edu.ge
E-mail: contact@acad.edu.ge
Tel: +(995 32) 2553333
MagtiFixi: 7 90 333353

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო

მარიამ მესხიშვილი-ეფაძე - სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი სასწავლებლის "განათლების აკადემია" დამფუძნებელი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ზურაბ ლობჯანიძე - რედაქტორი, უმაღლესი სასწავლებლის "განათლების აკადემია" სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

გოჩა ოჩიგავა - პასუხისმგებელი მდივანი, პრადის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული უცხო ენებისა და პროფესიული სწავლების ინსტიტუტის (ჩეხეთი), ასევე განათლებისა და სამეცნიერო ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის (გერმანია) ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, სამართლის დოქტორი, პროფესორი

დიმიტრი ლაგაზიძე - მედიცინის დოქტორი, პროფესორი

მანანა ორჯონიკიძე - მედიცინის დოქტორი, პროფესორი

ნოდარ ჭიჭინაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლია ჭელიძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბექა დვალი - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, სარედაქციო კოლეგიის საპატიო წევრი

დოდო ჯულუხაძე - სამართლის დოქტორი, პროფესორი

მარი ლონდარიძე - სამართლის დოქტორი, პროფესორი

მანანა შელია - განათლების დოქტორი, პროფესორი

მანანა სტურუა - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გულთაზ ლაბარტყავა - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მარინე შაქარაშიელი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ავთანდილ ასათიანი - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი

ლია მენთეშაშიელი - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მაია თევზაძე - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზურაბ ჩიჩუა - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზოია ადამია - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვახტანგ სვანაძე - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნინო სანაია - ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ტომაშ კუკი - ლინგვისტიკის უმაღლესი სკოლის ვიცე-რექტორი, სერტიფიცირებული საერთაშორისო ტრენერი (პოლონეთი)

სტანისლავა შიბნეროვა - სამართლის დოქტორი, პრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დოცენტი (ჩეხეთი)

ნატალია მიხაილოვა - დიუსელდორფის განათლებისა და სამეცნიერო ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგიის დოქტორი (გერმანია)

ოლივერ პლაცკი, FOM - ის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი, ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრი, საპატიო პროფესორი (გერმანია)

რეუენ ენოხი - არიელის უნივერსიტეტის პროფესორი, ებრაული მემკვიდრეობის განყოფილება. კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაული თემების საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი (ისრაელი)

ნადეჟდა გრაჟევსკაია - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი (უკრაინა)

ხათუნა ჩაჩხიანი - კომპიუტერული უზრუნველყოფა

Scientific-Editorial Board

Mariam Meskhishvili-Efadze – **Chairwoman of Scientific-Editorial Board**, founder of Higher Education Institution «Ganatlebis Academia», Doctor of Law Sciences, Associate Professor

Zurab Lobzhanidze - Deputy Chairman, Head of Study Process Management Department of Higher Education Institution «Ganatlebis Academia», Doctor of Technical Sciences, Professor

Gocha Ochigava - Executive Secretary, Professor of Foreign Languages and Professional Studies (Czech Republic) at Prague State University, as well as an official representative of International Center of Education and Scientific Information (Germany) in Georgia, Doctor of Law, Professor

Dimitri Lagazidze – Doctor of Medicine, Professor

Manana Orjonikidze - Doctor of Medicine, Professor

Nodar Chichinadze – Doctor of Medical Sciences, Professor

Lia Chelidze - Doctor of Medical Sciences, Professor

Beka Dvali - Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Georgia to the Republic of South Africa, Honorary Member of Scientific-Editorial Board

Dodo Julukhadze - Doctor of Law, Professor

Mari Londaridze - Doctor of Law, Professor

Manana Shelia - Doctor of Education, Professor

Manana Sturua - Doctor of Chemistry Sciences, Professor

Gultaz Labartkava - Doctor of Economics Sciences, Professor

Marine Shaqarashvili - Doctor of Medical Sciences, Associate Professor

Avtandil Asatiani - Doctor of Pedagogical Sciences, Professor, co - President of Georgian Academy of Education Sciences

Lia Menteshashvili - Doctor of Pedagogical Sciences, Professor, Academician of Georgian Academy of Education Sciences

Maia Tevzadze - Doctor of Philological Sciences, Professor

Zurab Chichua - Doctor of Medical Sciences, Professor

Zoia Adamia - Doctor of Philological Sciences, Professor

Vakhtang Svanadze - Doctor of Economics Sciences, Professor

Nino Sanaia - Academic Doctor of Philology, Associate Professor

Tomasz Kuk - Vice-Rector of Linguistics High School, Certified International Trainer (Poland)

Stanislava Hibnerova - Doctor of Law, Professor of Prague State University, Docent (Czech Republic)

Natalia Mikhailova - Head of Düsseldorf International Center of Education and Science Information, Diederdorf, Doctor of Psychology (Germany)

Oliver Platsek - FOM - Head of Financial Department, Master of Business Administration, Honorary Professor (Germany)

Reuven Enoch - Professor of Ariel University, Jewish Heritage Department, Director of Research Institute of the Jewish Communities of the Caucasus and Central Asia (Israel)

Nadezhda Grazhevskaya - Doctor of Economic Sciences, Professor of Taras Shevchenko State University, Head of the Theoretical Economy Chair (Ukraine)

Khatuna Chachkhiani – Computer Service

უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“

უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემია“ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა სასწავლებელს საქართველოში, რომელიც პირუთვნელად ატარებს ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკას თავისი კომპენტენციის ფარგლებში. უმაღლესი სასწავლებლის „განათლების აკადემია“ მიზანია ევროპული დონის უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბება. სასწავლებელში ხორციელდება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მოქალაქეებისათვის. სასწავლებელს აქვს სასწავლო და სამეცნიერო კავშირები ევროპისა და აზიის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებთან, გააჩნია მდიდარი მატერიალური-ტექნიკური ბაზა.

Higher Education Institution «Education Academy»

Higher Education Institution “Education Academy” is one of the youngest higher schools in Georgia, which pursues our country's educational policy within its competence. The goal of Higher Education Institution “Education Academy” is to establish a European level higher education institution. In the Academy bachelor’s degree educational programs are implemented for both local and foreign citizens. The Academy has close partnership relations with the leading European and Asian higher education institutions. It has a rich material-technical base.

სარჩევი

ჰუმანიტარული და ბანათლების მეცნიერებანი

მარიამ მესხიშვილი-ეფაძე - საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სრულყოფა თანამედროვე პირობებში (I ნაწილი)	10
მარიამ მესხიშვილი-ეფაძე - განათლების ხარისხის მონიტორინგი საგამოცდო პროცესების მიხედვით ინოვაციურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მოწინავე ქვეყნების გამოცდილება) (I ნაწილი)	21
ლია მენტემაშვილი - ოჯახი და ზნეობრივი აღზრდა	31
მაია თევზაძე - ბარიერები ინტერკულტურულ კომუნიკაციაში.....	40
ოლგა ლომაკინა – ფრაზეოლოგია კონტექსტში: რუსული კვლევების ძირითადი პრობლემეტიკა	43
ზოია ადამია, ლალი რატიანი – უცხო ენის სწავლებისადმი კულტურათა-შორისი მიდგომა	48
მანანა შელია - ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა უცხოური ენის სწავლებისას	51
დავით სანდოძე - მეორე მსოფლიო ომი და საქართველო	57
მარინა ალექსიძე – კონცეპტი “დათმობითობა” შეპირისპირებით ასპექტში (რუსული და ქართული ენების მასალაზე დაყრდნობით)	62
მარინა ალექსიძე, ლაურა გურული - საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი რუსული ენის სახელმძღვანელოს სტრუქტურა და შინაარსი	67
ნინო სანაია - აზროვნების კონსტანტას ნომინაციასთან დაკავშირებული პრობლემები თანამედროვე ფრანგულსა და ესპანურ ენებში	72
ქეთო გალობერი - ევროპული მთარგმნელობითი თეორიის ტრადიციები მეორე (საშუალო) პერიოდში	80
ირინე არჯევანიძე - წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველი საისტორიო წყაროების დახასიათება	86
ნაირა ბერია - ჭეშმარიტების საკითხი ფილოსოფიაში	92
მარინა ხანჯალიაშვილი - სულხან-საბა ორბელიანის გაკათოლიკება.....	97
ნინო ჭოხონელიძე - მასწავლებლის როლისა და მნიშვნელობის საკითხისათვის მარია მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში.....	103
ნინო ყანჩელი - ჯონ დიუის პროგრესული პედაგოგიკის არსი და მნიშვნელობა.....	108

იურიდიული მეცნიერებანი

გონა ორიგავა - საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (I ნაწილი)	112
ნათელა მაისურაძე, თეა კვაბზირიძე - დამნაშავის ეთიკურ-სამართლებრივი არსი	125
მანანა კოპალიანი - საოჯახო-საქორწინო სამართალი რომის, ძველი ქართული სამართლისა და ჩვეულებითი სამართლის მიხედვით	131
პეტრე დაუთაშვილი - სიცოცხლის უფლება და მისი აბორტით ხელყოფის გზით თანამონაწილეობად კვალიფიკაციისა და სუბსუმციის ზოგიერთი პრობლემა	135

ეკონომიკის მეცნიერებანი

ზურაბ ლობჯანიძე, თამარ კვარაცხელია - ნიადაგის ზღვრული წყალტევადობის მაჩვენებლების რაოდენობრივი განსაზღვრა	148
გულთაზ ლაბარტყავა - საქართველოს საბანკო სისტემის პრობლემები და პერსპექტივა	151
ლია ჭყონია - საქართველოს ადგილი და როლი მსოფლიო ეკონომიკურ გლობალიზაციაში	159
გივი დუნიძე - ხორცისა და ხორცის პროდუქტების მარკეტინგი და საქონელმომძრავობის მენეჯმენტი	164
თამარ ზირაქაშვილი - დამატებული ღირებულების გადასახადი და საბანკო სფეროში მისი დაბეგერის პრობლემები	168
გიორგი კვაბზირიძე - კორუფცია, როგორც თანამედროვეობის პრობლემა	176

მედიცინა

მარინე შაქარაშვილი, გონა ორიგავა - სიკვდილის უფლება და პალიატიური მზრუნველობა	180
მაია ბიწკინაშვილი - ათეროსკლეროზი: რისკ-ფაქტორები და ახალი მიდგომები ათეროსკლეროზის მკურნალობაში	186

Contents

Humanitarian and Education Sciences

Mariam Meskhishvili-Efadze - Improvement of Educational Institution Management in Modern Conditions (Part I)	10
Mariam Meskhishvili-Efadze - Monitoring of Quality of Education in Accordance with Examining Processes in Innovative Educational Institutions (Experience of Advanced Countries) (Part I)	21
Lia Menteshashvili - Family and Moral Upbringing	31
Maya Tevzadze - Difficulties in the Process of Intercultural Communication	40
Olga Lomakina - Phraseology in a Context: Main Perspective of the Russian Researches	43
Zoia Adamia, Lali Ratiani - The Role of Intercultural Approach to Teaching Foreign Languages	48
Manana Shelia - Linguo-Cultural Approach in Foreign Language Teaching	51
David Sandodze - World War II and Georgia	57
Marina Aleqsidze - Concept of Concessionality in a Comparable Aspect (on Material of the Russian and Georgian Languages)	62
Marina Aleqsidze, Laura Guruli - Structure and Content of the New Handbook of the Russian Language for the Students of Georgian Universities	67
Nino Sanaia - Problems Related to Nomination of Constant of “Thinking” in Modern French and Spanish	72
Qeto Galoberi - Traditions of European Translation Theory in the Second (middle) Period	80
Irine Arjevanidze - General Description of Historical Sources About Saint Nino's Life	86
Naira Beria - The Issue of Truth in Philosophy	92
Marina Khanjaliashvili - Sulkhan-Saba Orbeliani’s Conversion to Catholicism	97
Nino Chokhanelidze - Teacher's Role and Significance in Maria Monterey's Pedagogical System	103
Nino Kancheli - The Essence and Importance of John Dewey’s Progressive Pedagogy	108

Legal Sciences

Gocha Ochigava - Georgia Against Russia at the European Court of Human Rights (Part 1)	112
Natela Maisuradze, Thea Kvabziridze - Ethical and Legal Essence of the Offender	125
Manana Kopaliani - "Family-Marriage Law According to the Old Georgian Law and Customary Law"	131
Petre Dautashvili - Right to Life and its Termination Through Abortion and Some Problems of Qualification and Subsumption of Complicity	135

Economics Sciences

Zurab Lobzhanidze, Tamar Kvaratskhelia - The Quantitative Determination of Water Capacity Indices	148
Gultaz Labartkava - Problems and Perspectives of Georgian Banking Sector	151
Lia Chkonia - Georgia's Place and Role in the World Economic Globalization	159
Givi Duchidze - Meat and Meat Products Marketing and Commodity Management	164
Tamar Zirakashvili - Value-added Tax and Taxation Problems in the Banking Sector	168
Giorgi Kvabziridze - Corruption as a Problem of Contemporary Life	176

Medicine

Marine Shaqarashvili, Gocha Ochigava - The Right to Death and Palliative Treatment	180
Maia Bitskinashvili - Atherosclerosis - Risk Factors and New Approaches in the Treatment of Atherosclerosis	186

ჰუმანიტარული და განათლების მეცნიერებანი
Humanitarian and Education Sciences

მარიამ მესხიშვილი-ევაძე

სამართლის დოქტორი,

პროფესორი

საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სრულყოფა თანამედროვე პირობებში
I ნაწილი

ჩვენს ეპოქაში სულ უფრო ნათელი ხდება მართვის პრობლემების პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რადგანაც თვალსაჩინოდ ვლინდება, რომ სტიქიურად განვითარებადი და არაკონტროლირებადი სოციალური პროცესები შეიცავენ დიდ საფრთხეს საზოგადოების სტაბილურობისათვის. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ განათლების რეფორმირების საერთო კონტექსტში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მართვის უფრო ეფექტური ფორმებისა და მეთოდების მოძიება, რაზეც არცთუ უმნიშვნელოდ არის დამოკიდებული საგანმანათლებლო რეფორმების რეალური შედეგები.

უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებულ ქვეყნებში მომხდარ „მენეჯმენტის რევოლუციას“ მიზნად აქვს დასახული მართვის თეორიისა და პრაქტიკის განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროში. პირველხარისხოვანი ყურადღება ამ მხრივ ეთმობა ეკონომიკას, თუმცა მართვისა და მისი სრულყოფის ზოგიერთი საერთო პრინციპები, რა თქმა უნდა, შეეხება განათლებასაც, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

როგორც ცნობილია, განათლება ადამიანის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და განიხილება, როგორც სამეცნიერო შემეცნებითი აზროვნების დამოუკიდებელი სფერო. განათლების პროცესი წარმოადგენს პედაგოგიკის შესწავლის საგანს. თუმცადა, ამ პროცესის რეალიზება ხდება ძირითადად საგანმანათლებლო სისტემის ჩარჩოებში, რომელიც, როგორც ნებისმიერი სხვა საორგანიზაციო სისტემა, ითხოვს მართვას. საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელთა მმართველობითი საქმიანობის პრობლემები წარმოადგენს აღმზრდელობით პროცესებზე არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს და ამიტომაც სრულიად სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პედაგოგ-მკვლევართა და თეორეტიკოსთა ყურადღებას იპყრობს.

განათლების მმართველობითი საქმიანობის რეგულირებასა და განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა იუნესკო, ევროპის საბჭო, ევროპის კავშირი და მისთ. ეს ორგანიზაციები ატარებენ საერთაშორისო კონფერენციებს განათლების პრობლემებზე, აფორმებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს დიპლომების ურთიერთცნობაზე, შეიმუშავენ სპეციალურ პროგრამებს, რომლებიც ეხმარებიან აღმოსავლეთ ევროპის განვითარებადი ქვეყნების მოსწავლეებს უკვე ჩამოყალიბებულ განათლების სისტემებში ჩასართველად (1).

განათლების მართვის პრობლემების რეგულირება დაფუძნებულია სტრატეგიულ ორიენტირებზე, რომლებიც ტექსტურად გაფორმებულია სორბონის, ლისაბონისა და ბოლონიის კონვენციებში და განათლების სისტემა უკვე აღიქმება არა მარტო როგორც

ამა თუ იმ ქვეყნის ტექნოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, არამედ როგორც ცივილიზაციის გადარჩენის სტრატეგიულ ფაქტორადაც (2).

განათლების ეროვნული სისტემებისათვის კონვენციის დებულებებზე დაყრდნობა იმდენადვე მნიშვნელოვანია, რამდენადაც მრეწველობისა და ეკონომიკისათვის არის აუცილებელი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპების დაცვა. უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სისტემის განვითარება ხელმძღვანელობს ბოლონიის კონვენციის დებულებებით, რომლებიც შემდეგ საკვანძო პოზიციებს ემყარება: 1. ორციკლიანი სწავლების შემოღება. 2. საკრედიტო სისტემის შემოღება. 3. განათლების ხარისხის კონტროლი. 4. მობილურობის გაფართოება. 5. კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობის უზრუნველყოფა. 6. განათლების ევროპული სისტემის მომხიბვლელობის უზრუნველყოფა (3).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, განათლების მართვის სფეროში გადასაწყვეტია შემდეგი ძირითადი პრობლემები: განათლების მართვის სხვადასხვა დონეებზე ფუნქციების, უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობების კოორდინაცია; განათლების მართვის საზოგადოებრივი შემადგენლის განვითარების უზრუნველყოფა - განათლების მართვის სისტემაში უწყებრიობის გადალახვა; განათლების მართვის ორგანოებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე საზოგადოებისა და ცალკეული მოქალაქეებისათვის სრულფასოვანი საინფორმაციო-სტატისტიკური უზრუნველყოფის შექმნა.

ამდენად, განათლების მართვის სისტემის რეფორმირების ძირითად მიმართულებას წარმოადგენენ: განათლების დაწესებულებების ავტონომიების შემდგომ გაფართოებას, ერთდროულად მათი საქმიანობის საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებლობის გაზრდით; განათლების მართვის ყველა დონის ორგანოთა კომპეტენციის, უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობის დაზუსტებას, მათი ეფექტური ურთიერთქმედების უზრუნველყოფას; გადასვლას განათლების სისტემის გამანაწილებელი და დირექტიულიდან - რეგულირებად მართვაზე; განათლების მართვის საზოგადოებრივი ფორმების განვითარებას (4, 5).

პრობლემების გადაჭრის საშუალებები ევროპის ახლად განვითარებად ქვეყნებისათვის მდგომარეობს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების სისტემურ რეფორმირებაში ევროპისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით: განათლების საზრისის შეცნობით, პედაგოგიური ამოცანების გათავისუფლებით, განათლების მართვის სისტემის სრულყოფით, განათლების ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფით (6).

განათლების მართვის რეფორმა უნდა ხდებოდეს კომპეტენტურობის საფუძველზე. განათლების სტანდარტები განსაზღვრავენ საბაზისო კომპეტენტურობას, რაც აუცილებელია პიროვნებისა და მისი ცხოვრებისათვის, დროის მოთხოვნებთან შესაბამისობით და იმ აუცილებელი საგზურისათვის, რაც პიროვნებამ უნდა მიიღოს სასწავლებლის კედლებში.

საგანმანათლებლო სფეროში მსოფლიო ბანკის პოლიტიკის საფუძველში არსებული წარმოდგენებით, ავტონომიურობა და ანგარიშვალდებულება ზრდის საგანმანათლებლო ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობას. მათი ურთიერთობის მექანიზმი გულისხმობს შეთანხმების მიღწევას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მმართველობით საქმიანობას, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შეფასებას და დაინტერესებულ მხარეთა წინაშე ანგარიშვალდებულების მიღწევათა მონაცემების გამოყენებათა შორის..

ამ თვალსაზრისით, სკოლის მმართველობითი სისტემის გასაუმჯობესებლად, დამოუკიდებელი და თვითკმარი სკოლის კონცეფციის ჩამოყალიბებისას, საუკეთესო

საშუალებად ავტონომიას მიიჩნევს ცნობილი მკვლევარი კ. ფინიგანი, რომელიც მას თვლის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის მომატების გარანტად (7).

ასეთივე დასკვნას აკეთებს პ. ვოლსტეტერი, რომელიც დამოუკიდებლობას მიიჩნევს, როგორც „ბარიერების არარსებობას და დამოუკიდებელ მართვას“ (8).

ასევე, ე. კინგი და მისი თანამოაზრეები სწორედ ავტონომიურობაში ხედავენ სასკოლო ადმინისტრაციისა და მასწავლებლების გავლენის მატებას, გადაწყვეტილების მიღებისას სასწავლო დაწესებულების საქმიანობის ყველა სფეროში: საგანმანათლებლო პროცესში უშუალოდ ჩართულ თანამშრომლებს უკეთ აქვთ წარმოდგენილი პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები (9).

ამდენად, განათლების სისტემის განვითარების თვალსაზრისით განხილულ უნდა იქნეს ორი მნიშვნელოვანი გარემოება:

1. საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო უფლებები და ავტონომიურობა საშუალებას აძლევს მათ დამოუკიდებლად კადრების შერჩევასა და განლაგებაში, სასწავლო, სამეცნიერო საფინანსო-სამეურნეო და სხვა საქმიანობის წარმოებისათვის, კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად.

2. სასწავლო დაწესებულებათა და მართვის ორგანოების პასუხისმგებლობის სფეროთა დანაწილებით სასწავლო დაწესებულება იღებს საკუთარი საქმიანობისათვის პასუხისმგებლობას (რაც რეგლამენტირებულია დამტკიცებული წესდებით) პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიმართ.

ამგვარი ხასიათის საგანმანათლებლო დაწესებულებების სარგებლიანობა და პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ მსგავსი თავისუფლებით ხდება ამ დაწესებულებების მოქმედების იმ ვარიანტების რეალიზება, რომლის განხორციელებაც მათ არ შეეძლებოდათ ადრე, ან რაშიც შეზღუდულნი იყვნენ. სკოლებისაგან, რომელთაც მიიღეს დამოუკიდებლობა, ელიან სწავლების ხარისხის ამაღლებას, და, როგორც შედეგს, მოსწავლეთა შედეგებისა და მიღწევების გაუმჯობესებას.

ასე, მაგალითად, აშშ-ს მთავრობის ინიციატივა «No Child Left Behind Act 2001» გულისხმობდა უფრო მკაცრი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებას მოსწავლეთა მოსწრებაზე, აუცილებელი ეროვნული ტესტირებების მეშვეობით (10).

საგანმანათლებლო რეფორმებმა ინგლისში 1990-იანი წლების ბოლოს გაზარდა სკოლების ავტონომიურობა, მიანიჭა მათ დამოუკიდებლობა დაფინანსების, მოსწავლეთა მიღებისა და ერთდროულად საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების საკითხებში.

მსოფლიო ბანკი თავის ანგარიშებში სკოლების ავტონომიურობას აფასებს შემდეგი ხუთი კრიტერიუმით:

1. ბიუჯეტის დაგეგმარება და დამტკიცება;
2. კადრების მართვა;
3. სასკოლო საბჭოს მონაწილეობა სკოლის მართვაში;
4. სკოლის საქმიანობისა და მოსწავლეთა წარმატებების შეფასება;
5. დაინტერესებული მხარეების მიმართ ანგარიშვალდებულება (11).

ე. ჰანუშეკი (თანაავტორებთან ერთად) გამოჰყოფს საქმიანობის ექვს სფეროს, სადაც ვლინდება სკოლის ავტონომიურობა: 1. სასწავლო საგნების სიის შედგენა; 2. საგნების შინაარსის განსაზღვრა; 3. სახელმძღვანელოების შერჩევა; 4. პედაგოგთა დაქირავება; 5. მასწავლებელთა ჯამაგირის დადგენა; 6. საბიუჯეტო სახსრების განაწილება (12).

ევროკომისიის ანგარიშში: «School Autonomy in Europe: Policies and Measures» გაანალიზებულია 30 ევროპული ქვეყნის ავტონომიურობის ხარისხი საქმიანობის სამ სფეროში: ფინანსები, კადრები და გადაწყვეტილების მიღება. ავტონომია დაყოფილია ოთხ დონედ: ა) სრული ავტონომია - სკოლები დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს მოცემული ნორმების ჩარჩოებში, გარედან ჩარევის გარეშე; ბ) შეზღუდული ავტონომია - სკოლას ეძლევა არჩევის საშუალება გადაწყვეტილების წინასწარ განსაზღვრული

ვარიანტთა კრებულიდან და/ან გადაწყვეტილების შეთანხმება ზემდგომ ორგანოებთან; გ) ავტონომიის არარსებობა; დ) ადგილობრივი ხელისუფლება წყვეტს, მისცეს თუ არა სკოლებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლება ამა თუ იმ სფეროში.

ამრიგად, პრაქტიკულად, სკოლის საქმიანობის ყოველი მიმართულება შეიძლება შეფასდეს საგანმანათლებლო დაწესებულების დამოუკიდებლობის ხარისხით. ევროპის განვითარებადი ქვეყნების სივრცეში პროფესიულ სასწავლებლებს, როგორც ავტონომიურ ორგანიზაციებს, უფლებამოსილება აქვთ დამოუკიდებლად შეიმუშაონ და ამოიჩიონ საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლების ფორმები და მეთოდები, აწარმოონ სამეცნიერო-საკვლევო საქმიანობა იმ მიმართულებით, რომელსაც თავად განისაზღვრავენ (13).

ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბების მიმართულებით მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები უკვე იქცნენ ფაქტორებად, რომლებიც განსაზღვრავენ სასკოლო განათლების განვითარების ხასიათს ევროპულ კონტინენტზე. დაწესებული მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დროიდან, სასკოლო განათლების რეფორმები ევროპულ ქვეყნებში ხასიათდება პერმანენტულობითა და მრავალგანზომილებიანობით.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში იკვეთება საგანმანათლებლო სისტემების მართვის დემოკრატიზაციის ტენდენცია. მრავალ ქვეყანაში იზრდება საშუალო სასწავლებლების თვითმმართველობის, სასწავლო დაწესებულებების მართვაში ჩართვისადმი მშობელთა, მოსწავლეთა და საზოგადოების მისწრაფება. ამით საფუძველი ეყრება სამოქალაქო საზოგადოების მომავალი აქტიური წევრების ფორმირებას, ხოლო სწორედ ასეთ საზოგადოებას შესწევს თავისი მოქალაქეების, მათ შორის მოზარდი თაობის უფლებების, საუკეთესოდ დაცვის უნარი.

განათლების სისტემის მოდერნიზაციაში, განათლების მართვის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ინგლისურენოვან ქვეყნებს - დიდ ბრიტანეთს, აშშ-ს, თანამეგობრობის ქვეყნებს (ავსტრალია, კანადა). დიდი ბრიტანეთი გარკვეულ ზემოქმედებასაც კი ახდენს ევროპული კავშირის თავის პარტნიორებზე, განსაკუთრებით თანამედროვე საგანმანათლებლო მენეჯმენტის იდეების განვითარებაში.

როგორია ახალ ვითარებაში საგანმანათლებლო მართვის სისტემებში ძირითადი თავისებურებანი? ერთი მხრივ, ეს არის განათლების მართვის სახელმწიფო ორგანოების მისწრაფება მკაცრი იერარქიული ვერტიკალის მშენებლობისაკენ; მართვის ფუნქციების რაც შეიძლება მკვეთრი დანაწილება; მკაცრად დადებული ფსონი ლიდერზე - საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელზე. მართვის მეორე ტიპი გულისხმობს მრავალი დონის, პოლიცენტრისტულ მართვას, რომელიც არ გულისხმობს იერარქიის მკაცრად დაცვას („მარმარილოს ნამცხვრის“ მოდელი).

ამ მოდელში მხედველობაში მიიღება ის, რომ ადგილობრივი, ლოკალური პრობლემები შეიძლება გადაიქცნენ ეროვნებათშორისად - თანამედროვე მსოფლიოს გლობალურ გამოწვევათა პასუხად. სახეზეა სხვადასხვა სტრუქტურების ურთიერთშელწევადობა, სისტემური კოოპერაციის წარმოშობა, ან პირიქით - სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში სისტემათშორისი კონფლიქტების წარმოქმნა. ასეთ შემთხვევებში სხვადასხვა დონეების აღრევა ხდება და წარმოიქმნება დროებითი კოალიციები. მართვის ეს ტიპი კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების დიდ საშუალებას იძლევა. ამ დროს მართვის სუბიექტები ხდებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პროფკავშირთა ასოციაციები, კოოპერატივები და მისთ. ამ გზით ხორციელდება თვითმმართველობის გავრცელება სხვადასხვა ნებაყოფლობით გაერთიანებებზე. ეს მოდელი ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად პოპულარული და უფრო დამახასიათებელია აშშ-სათვის, ვიდრე ევროპისათვის (ოსტრომი და თანაავტორები) (14).

უკანასკნელ ათწლეულში საზღვარგარეთის ქვეყნებში განვითარება ჰპოვა შედარებითი პედაგოგიკის ისეთმა სფერომ, როგორცაა შედარებითი ადმინისტრირება (comparative educational administration). ეს სფერო სწრაფად ვითარდება. თუ ჯერ კიდევ 1988 წელს პრაქტიკულად არ არსებობდა შედარებითი პედაგოგიკის სფერო, რომელიც მართვის სისტემებს განეკუთვნებოდა, უკვე 1992 წელს მრავალი ავტორი აღიარებდა, რომ საზღვარგარეთული სისტემების შესწავლა და შემეცნება საშუალებას აძლევდათ ახლებურად შეეხედათ საკუთარი მმართველობითი პრობლემებისათვის (კელდველი და თანაავტორები) (15).

სადღეისოდ საკითხების გადაწყვეტა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ დაპირისპირებულობების დაძლევით, რომლებიც სხვადასხვა მიდგომებსა და უწყებრივ ინტერესებში მდგომარეობს: განათლების მართვისადმი ტრადიციულ ბიუროკრატიულ მიდგომასა და ამ სფეროში თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში აღიარებულ საზოგადოების პარიტეტულ როლს შორის; თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებში დეკლარირებულ მართვის სფეროში ინსტიტუტების ავტონომიურ უფლებებსა და დემოკრატიული მართვის შეუმუშავებელ მექანიზმებს შორის; დემოკრატიულ ფასეულობათა მიმდევარ ხელმძღვანელთა კადრებზე მოთხოვნასა და კადრების მომზადების ტრადიციულ სისტემას შორის; საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სწავლა-განათლების შედეგებზე, რაც შეიძლება სრული ინფორმაციის მიღების თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების მოთხოვნასა და მსგავსი ინფორმაციის ტექნოლოგიის არასრულფასოვან განვითარებას შორის; განვითარებული სახელმწიფოსათვის უაღრესად საჭირო, საწარმოო და საბაზრო სფეროებში მიმდინარე ცვალებად ტენდენციებზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მომზადების სისტემასა და ამ მიმართებით სახელმწიფოსა და საზოგადოების არასაკმარის პარტნიორობას შორის.

ერთობლიობაში ეს წინააღმდეგობები ქმნიან მართვის სისტემის სხვადასხვა დონეებზე განათლების მართვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს შორის ურთიერთშეუთანხმებლობის პრობლემებს, ისინი აფერხებენ აგრეთვე განათლების მართვის სისტემაში დემოკრატიული პრინციპების რეალიზაციას.

განათლების სისტემის ეროვნული მოდელების მთელი სხვადასხვაგვარობის მიუხედავად, საბოლოო ჯამში ისინი შეიძლება დაყვანილ იქნეს ორ ისტორიულად ჩამოყალიბებულ - ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ სისტემებამდე.

განათლების მართვის ცენტრალიზებული სისტემები დამახასიათებელია ევროპის, აზიისა და აფრიკის რიგი სახელმწიფოებისათვის. თუ ვიხელმძღვანელებთ იაპონიის მაგალითით, იქ განათლების სამინისტრო განსაზღვრავს ეროვნული მასშტაბით განათლების განვითარების ძირითად მიმართულებებს, ყველა სახის სკოლებისათვის ამტკიცებს სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს. პრეფექტურებისა და მუნიციპალიტეტების განათლების კომიტეტები თავიანთ ტერიტორიაზე პასუხს აგებენ სკოლების ორგანიზებაზე, ფინანსირებასა და საქმიანობაზე. პრეფექტურების კომიტეტების წევრები ინიშნებიან გუბერნატორის მიერ, ხოლო მუნიციპალური კომიტეტების წევრები - ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ. თავიანთ საქმიანობაში ისინი მოვალენი არიან მკაცრად იხელმძღვანელონ ცენტრალური ხელისუფლების დადგენილებით.

ცენტრალიზებული სისტემებისაგან განსხვავებით, მრავალ ქვეყანაში დამკვიდრდა დეცენტრალიზებული სისტემების მყარი ტრადიციები. აშშ-ს შტატებს, გერმანიის მიწებს, შვეიცარიის კანტონებს, კანადის პროვინციებს - გააჩნიათ მნიშვნელოვანი ავტონომიები განათლების სფეროში, თვით განსაკუთრებული კანონმდებლობის არსებობის ჩათვლით.

ცენტრალიზაციის ტენდენციები მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამეგობრობის ქვეყნების ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან: ეს არის ფედერაციული ტიპის ქვეყნები,

რომლებიც შედგება ცალკეული პროვინციებისაგან და ტერიტორიებისაგან, რომლებიც განირჩევიან ეროვნული (როგორც დიდ ბრიტანეთში) ან ენობრივ-კულტურალური (როგორც კანადაში) ნიშნებით. ამის გარდა, განათლების სფეროში ცენტრალიზაცია გულისხმობს ისეთი ზომების შემოღებას, როგორცაა ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმები და პროგრამები, ტესტირების ერთიანი სისტემები ზოგადი საშუალო და პროფესიული განათლების ყველა ეტაპზე. ეს ზომები მიღებული იყო განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით.

დემოკრატიული გარდაქმნების საერთო მიმართულება ამ ქვეყნებში ვლინდება დემოკრატიზაციის ტენდენციებში, რომლებიც პროცესის წინააღმდეგობრიობის მიუხედავად თავს იჩენენ მმართველობითი სტრუქტურების ყველა დონეზე: იქნება ეს ცენტრალური (ანუ ეროვნული), რეგიონალური, მუნიციპალური თუ საგანმანათლებლო დაწესებულების დონეები.

ამ ქვეყნებში ვლინდება განათლების მართვის დემოკრატიზაციის ისეთი პრინციპების ერთობლიობა, როგორცაა: რეპრეზენტაციულობა, დეცენტრალიზაცია, არჩევანის საშუალება, ტრანსპარენტულობა, პარტიციპაცია, პარტნიორობა, საზოგადოების მონაწილეობა.

ამ ქვეყნებზე დაკვირვება ცხადყოფს, განათლების მართვის დემოკრატიზაციის პროცესების კავშირს საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაში გამჭვირვალობის მოთხოვნასთან, ანუ სახელმწიფოსა და საზოგადოების ყურადღების გამახვილებას კონტროლის, შეფასებისა და ანგარიშგების მიმართ.

ნათლად ვლინდება განათლების მართვის დემოკრატიზაციის პროცესების კავშირი მმართველობის კადრების მომზადებისადმი ყურადღების გაძლიერებასთან.

სახეზეა საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის დემოკრატიულობის შეფასების ეფექტურობის ერთი უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმთაგანი - სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შედეგების ამაღლება და, როგორც ღირსეული მონაგარი - სასწავლო დაწესებულების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება მთლიანობაში. დადგენილია, რომ თავისი სტრუქტურითა და ფორმირებების თავისებურებით ნებისმიერი დონის საზოგადოებრივი მმართველობითი ორგანოები ძირითადად მიჰყვებიან მაჟორიტარული დემოკრატიის მოდელებს წარმომადგენლობითი (საკონსენსუსო) დემოკრატიის ელემენტებით, რაც აისახება თანამეგობრობის ქვეყნების კამნონმდებლობაში.

დეცენტრალიზაციის პრინციპი - წარმოადგენს ერთ ცენტრალურთაგანს დემოკრატიულ სახელმწიფოში, განსაკუთრებულად სრულად ვლინდება ის დაწესებულების ავტონომიისა და საგანმანათლებლო დაწესებულების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების დამოუკიდებლად გადაჭრაში.

პარტიციპაციის პრინციპი - განსაკუთრებულ როლს თამაშობს პროფესიული განათლების დაწესებულების მართვაში, რანდენადაც საშუალებას იძლევა აამოქმედოს მრეწველობისა და ბიზნესის წარმომადგენლები და არა მარტო მშობლები, მოსწავლეები და პედაგოგები.

არჩევანის საშუალება - უპირველეს ყოვლისა, ეს არის მშობლებისა და თვით მოსწავლეების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევის საშუალება, რაც თავისუფლების ნათელი გამოვლინებაა განათლების სფეროში.

რეპრეზენტაციულობა - მართვის დემოკრატიული სტილის განუყრელი მახასიათებელია. იგი ვლინდება სასკოლო მმართველობითი საბჭოების ფორმირებაში, აგრეთვე მათი წარმომადგენლობითი ორგანოებით საგანმანათლებლო სისტემის მართვის ყველა დონეზე.

ტრანსპარენტულობა - საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაში თვით გამოცდების შედეგების გასაჯაროება ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას,

ადვილებს მშობლებისათვის სკოლის არჩევას და ყველაფერი ერთად ადებული ქმნის დემოკრატიზაციის მყარ საფუძვლებს საგანმანათლებლო სისტემაში.

განათლების მართვის სფეროში ფუძემდებლური დემოკრატიული ფასეულობების რეალიზებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა ზემოჩამოთვლილი მმართველობითი პრინციპის დაცვას, აგრეთვე მათი რეალიზაციის ტექნოლოგიას განათლების სისტემაში. არც ცენტრალიზებულისა და არც დეცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემების შეფასება არ შეიძლება ხელაღებით მოხდეს დადებითად ან უარყოფითად. პოლემიკა ამ თემაზე მიმდინარეობს დიდი ხანია, როგორც ცალკეულ სახელმწიფოებში, ისე - საერთაშორისო მასშტაბით (16).

ცენტრალიზებული სისტემა ხელს უწყობს ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტების შექმნას, მთელი ქვეყნის მოსახლეობის კულტურული ერთიანობის გრძნობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. ამავე დროს ის ხელს უწყობს განათლების მართვაში ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერებას, ზღუდავს სკოლისა და ადგილობრივი ადმინისტრაციების მუშაკთა ინიციატივებს, აფერხებს ახალი გზების ძიებას, პედაგოგიურ საქმიანობას თავს ახვევს ფორმებისა და მეთოდების ზედმეტ ერთფეროვნებას, ბოლომდე ვერ აფასებს რეგიონალური სპეციფიკის მნიშვნელობას, ან სულაც მის იგნორირებას ახდენს.

დეცენტრალიზებული სისტემა დიდ გასაქანს აძლევს ადგილობრივი ინიციატივის განვითარებას, აიოლებს სხვადასხვა პედაგოგიური ექსპერიმენტების ჩატარებას, სრულად ითვალისწინებს ადგილობრივი ყოფის თავისებურებებს, რასაც შეიძლება დიდი გავლენა ჰქონდეს მოსწავლეთა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე. დეცენტრალიზაციის პროცესი თეორიულად არ უნდა აკნინებდეს სახელმწიფოსა და საერთო სახელმწიფოებრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა როლს განათლების განვითარებაში. თუმცა, რეალობაში დეცენტრალიზაციას არცთუ იშვიათად მოსდევს: სასკოლო განათლების საკითხებში მნიშვნელოვანი სახესხვაობანი ქვეყნის რეგიონთა შორის, საერთო სახელმწიფოებრივი საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების შეფერხება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით ამა თუ იმ მკვეთრი განსხვავებულობის მქონე რეგიონების უთანასწოროდ დაფინანსების პერსპექტივები.

ამავე დროს, არ არსებობს იმის მტკიცების არავითარი საფუძველი, რომ სწორედ დეცენტრალიზაციას მოჰქონდეს დემოკრატიზაცია განათლებაში, ხოლო ცენტრალიზებული ფორმა განუხრელად შობდეს ავტორიტარიზმს. დემოკრატიზაცია არ უნდა გულისხმობდეს მაინცდამაინც მმართველობის ადგილობრივ მოხელეთა ჭკუაზე სიარულს, რომლებიც ყოველი ღონით ცდილობენ ცენტრალიზებული მართვის ორგანოების მეურვეობიდან თავის დახსნას.

საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა გვაუწყებს, რომ არ არსებობს იმის მტკიცების საფუძველი, განათლების სფეროში ადგილობრივი ბიუროკრატია უფრო ჰუმანური ან დემოკრატიული იყოს, ვიდრე ცენტრალური აპარატის მოხელეები. შესაძლოა, პირიქითაც გახლდეთ - ძლიერი სამართლებრივი ქვეყანა, რომელიც აღიარებს ყველას თანაბრობას კანონის წინაშე, იქნება სწორედ დემოკრატიული უფლებების დაცვის გარანტი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით, და მათ შორის - განათლების სფეროშიც! აქ ისიც აღსანიშნავია, რომ დეცენტრალიზებულმა სისტემამ ბევრ ქვეყანაში შექმნა ცენტრიდანული ტენდენციების განვითარების პრეცედენტი და ეჭვქვეშ დააყენა ქვეყნების კულტურული და პოლიტიკური ერთიანობის საკითხი.

დღეისათვის არსებული ვითარებით, ერთ ქვეყნებში ცენტრალიზებული საგანმანათლებლო მართვის სისტემებია და დეცენტრალიზებულნი - სხვა ქვეყნებში. ეროვნული ტრადიციების სპეციფიკა მყარ პოზიციებს ინარჩუნებს. ამისდა მიუხედავად, ახალი სოციალურ-ეკონომიკური იმპერატივებისა და ინტეგრაციული პროცესების ზეგავლენით ეს ორი სისტემა თანდათანობით მიდრეკილი ხდება კონვერგენციისაკენ.

ის ქვეყნები, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო უკიდურესი დეცენტრალიზაცია, ახლა ესწრაფვიან ცენტრალიზებული ხელისუფლების როლის გაძლიერებას და პირიქით, გიპერტროფირებული ცენტრალიზაციის პირობებში მყოფი განათლების სისტემებში სულ უფრო მეტად ფართოვდება რეგიონალური და ადგილობრივი მართვის ორგანოების ფუნქციები. თანადროულად, თითქმის ყველგან ფართოვდება საზოგადოების ჩართულობა იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების საქმეში, რაც ეხება განათლების მართვისა და განვითარების ბედ-იღბალს. ამრიგად, მიმდინარეობს მართვის ოპტიმალური მოდელების ძიება, რომლებიც ყველაზე უფრო ადეკვატურად უპასუხებდნენ განათლების განვითარების აქტუალურ საკითხებს.

დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ რეალობად იქცა ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ წარმოდგენელი მოვლენები. თუნდაც ის ფაქტი, რომ ვერავინ გაითვალისწინებდა იმხანად უზარმაზარ პოლიტიკურ კატაკლიზმებს - სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს ევროპაში, რამაც გამოიწვია განათლების სფეროში ახლებური მიზანდასახულებანი და ახალი ამოცანების პროგრამირება.

ამისდა მიუხედავად, პედაგოგიური პროგნოსტიკის სფეროში საერთაშორისო გამოთვლები მომავლის წლებისა და ათწლეულებისათვის განაპირობებენ განათლების განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამებისა და გეგმების შედგენას.

დაგეგმვა - განათლების მართვის ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ცენტრალიზებული მართვის ქვეყნებში დაგეგმვა ხორციელდება სამინისტროებითა და სხვა ცენტრალური უწყებებით, ხოლო თვით გეგმები დგება თავიდანვე ეროვნული მასშტაბის დონეზე, ხოლო შემდეგ მათი ადაპტირება ხდება რეგიონებისათვის. ფედერალურ ქვეყნებში, ამის საპირისპიროდ, დაგეგმვა არის რეგიონების პრეროგატივა (შტატები აშშ-ში, მიწები - გერ-ში, პროვინციები - კანადაში). ახლა კი სახეზეა ტენდენცია ცენტრალიზებული დაგეგმვის გაფართოებისაკენ.

განათლების დაგეგმვის პრობლემები არ არის შემოზღუდული ეროვნული საზღვრებით; ისინი გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ობიექტები ხდებიან, სახელდობრ, იუნესკოს ეგიდით ფუნქციონირებს განათლების დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი პარიზში. ის მართავს საერთაშორისო კონფერენციებს და სპეციალისტების სამუშაო შეხვედრებს, სადაც განიხილება განათლების პროგნოზირებისა და დაგეგმვის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები; რეგულარულად გამოსცემს ბროშურათა სერიებს საერთო სათაურით: „განათლების დაგეგმვის პრინციპები“. ავტორები თეორიულ გამოკვლევებს უთანადებენ დაგეგმვის უშუალო პრაქტიკას (17).

სოციალურ-ეკონომიკური იმპერატივების, აგრეთვე დასამუშავებელი პროგრამების დემოგრაფიული ევოლუციის გათვალისწინებით, ხდება გამოთვლა: სხვადასხვა სახის სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა რაოდენობების; სათანადო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგების რაოდენობის, სასწავლო ინფრასტრუქტურის კაპიტალური მშენებლობისა და მოდერნიზების პროგრამების, განათლების საჭიროებისათვის სახელმწიფო ასიგნების რაოდენობის. დაგეგმვის შესასრულებლად, განათლების უწყების მოღვაწეთა გარდა, საქმეებთან ეკონომისტები, სოციოლოგები, დემოგრაფები.

რიგ ქვეყნებში დღემდე დაგეგმვას აქვს უპირატესად ინდიკატური ხასიათი, დიდწილად აქვს საპროგნოზო დოკუმენტის სახე, რომელიც მოიცავს განათლების განვითარების სასურველ მიმართულებას, მაგრამ ძლიერდება ტენდენცია დირექტიულ დაგეგმვაზე გადასვლისაკენ. ერთი უმთავრესი ამოცანაა - კვალიფიციური შრომითი კადრების მომზადება. ამავე დროს, არცთუ შორეულ წარსულში, მხედველობაში იყო საწარმოო მოთხოვნები უახლოესი მომავლის - ათი-თხუთმეტი წლისათვის. ცდილობდნენ არ მომხდარიყო მოსახლეობის „გადამეტსწავლება“. ამჟამად კი დაგეგმვის პრობლემებზე მომუშავენი სულ უფრო მეტად შრომობენ „საკვალიფიკაციო მარაგის“ პრინციპით, ანუ

კვალიფიციური მუშაკების იმ რაოდენობის მომზადებით, რაც დღეს შესაძლოა გადამეტებულად გვეჩვენოს, მაგრამ პერსპექტივაში იძლევა მაღალტექნოლოგიური წარმოების განვითარების შესაძლებლობას.

ზემოსხენებული პრინციპები თავის კვალს აჩნევენ ჩვენი ქვეყნის განათლების მართვის სათანადო სამსახურებსაც, რომელთა მისწრაფებაა, რომ „საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულება იყოს მყარი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. ცივილიზებული სამყაროს ფეხდაფეხ ის ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე და წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში“ (18).

მაგრამ, ის ფაქტი, რომ ჩვენში დასახულია სასიკეთო ძვრები, უფლებას გვაძლევს სამაგალითოდ მოვიხმოთ საგანმანათლებლო სისტემაში საზოგადოების ქმედითი მონაწილეობის კონკრეტული ასპექტები იმ ქვეყნებისა, რომლებშიც დემოკრატიზაციის პროცესები მოითვლიან არაერთ ასეულ წელიწადს და, შესაბამისად, გამოვთქვათ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრებები ჩვენი ქვეყნის მართვის სისტემების განვითარებისათვის საგანმანათლებლო სისტემაში:

ა) ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, არსებობს არასახელმწიფოებრივი, საშუაშაველო ორგანიზაციების, სააგენტოების შექმნის მდიდარი გამოცდილება, რომლებიც საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობენ განათლების მართვაში.

ბ) ამდენად, ჩვენშიც საგანმანათლებლო სისტემის მართვაში, ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი (ადმინისტრაციული) ორგანოების გვერდით საზოგადოების მონაწილეობის ფორმებისა და სახეობების მაქსიმალურად გაფართოება მართვის ყველა დონეზე.

გ) ასეთი მონაწილეობის კონკრეტული ფორმები მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლების ამა თუ იმ სფეროს ამოცანებთან. ასე, მაგალითად, ავსტრალიაში უკანასკნელ წლებში გაიზარდა მშობელთა ორგანიზაციების აქტიურობა რეგიონალურ დონეზე, რაც დაკავშირებული იყო მათი შვილების მიერ პროფესიული განათლების მიღებასა და შემდგომ შრომით დასაქმებასთან. იგივე მიზნობრივი დაინტერესებები შეიძლება წარმოიშვას გამოსაშვები კლასების პროფესიული ორიენტაციის გარკვევის პროცესშიც.

დ) არამარტო საზოგადოებისა და მშობლების, არამედ თვით მოსწავლეთა მონაწილეობას სკოლის მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მიღებაში აქვს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ცხადია, როდესაც უფროსები - პედაგოგები და მშობლები, მუშაობენ მათთან პარტნიორობის რეჟიმში.

ე) უდიდესია საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის როლი, რომელიც თანამშრომლობს საზოგადოების იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც სასკოლო საბჭოს წევრებად ირიცხებიან. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია სკოლის მენეჯერთა მომზადება, რომლებსაც გავლილი ექნებათ დემოკრატიული მართვის საფუძვლების კურსი!

ვ) რთული და მრავალასპექტიანია დემოკრატიული შეფასების პრობლემა. უპირველესად უნდა აღინიშნოს საზოგადოების ინფორმირებულობა, საგანმანათლებლო ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების შესახებ. საქართველოში ასეთი მცდელობის მაგალითია ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება.

საგანმანათლებლო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა ურთიერთქმედების სფეროს, მათი ინსტიტუტებისა და მოქალაქეთა სახით. საგანმანათლებლო სამართალურთიერთობათა ყოველ სუბიექტს უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე ზეგავლენის საშუალება, მაგრამ, ამასთანავე, საკუთარი წილი პასუხისმგებლობაც - განათლების

სისტემის მიერ საკუთარი სოციალური და საგანმანათლებლო ფუნქციების შესასრულებლად სათანადო პირობების შესაქმნელად.

ლიტერატურა:

1. Denisa Manea Adriana - Innovation in the Management of Educational Institutions - <http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S187704281505586X>.
2. Bologna Follow-Up Group (2007). "[Applications for Accession to the Bologna Process](#)".
3. Черноморова Т.В. Глобализация образования: роль международных организаций Глобализация и образование Сб. обзоров Отв. ред. Зарецкая С.Л. –М.: ИНИОН.
4. "[Sorbonne Joint Declaration: Joint declaration on harmonisation of the architecture of the European higher education system](#)" (PDF). DAAD. 25 May 1998. Archived from [the original](#) (PDF) on 14 April 2009. Retrieved 28 April 2010.
5. "[The framework of qualifications for the European Higher Education Area](#)"(PDF). EHEA. May 2005. Retrieved 18 March 2016.
6. Калинина Е.Ю. Современное состояние образования в Европе: вызовы и проблемы - <https://cyberleninka.ru/article/n/sovremennoe-sostoyanie-obrazovaniya-v-evrope-vyzovy-i-problemy>.
7. Finnigan K.S. (2007) Charter School Autonomy: The Mismatch Between Theory and Practice. Educational Policy, vol. 21, no 3, pp. 503–526.
8. Wohlstetter P., Wenning R., Briggs K. L. (1995) Charter Schools in the United States: The Question of Autonomy. Educational Policy, vol. 9, no 4, pp. 331– 358.
9. King E. M., Ozler B. (2005) What's Decentralization Got To Do With Learning? School Autonomy and Student Performance. Working Paper No 54. Kyoto: Kyoto University.
10. Омарбекова А.К. - Автономия в системе среднего образования: самостоятельность и подотчетность общеобразовательных школ в Казахстане - <https://vo.hse.ru/data/2015/06/30/1082446094/Omarbekova.pdf>.
11. Всемирный банк. Вопросы образования: Автономия и подотчетность школ.- http://wbfiles.worldbank.org/documents/hdn/ed/saber/supporting_doc/CountryReports/SAA/SABER_SAA_Kazakhstan_CR_Final_2013_ru.pdf.
12. Hanushek E. A., Link S., Wobmann L. (2011) Does School Autonomy Make Sense Everywhere? Panel Estimates from PISA. NBER Working Paper No. 17591. Cambridge: National Bureau of Economic Resea.
13. Eurydice and European Commission (2007) School Autonomy in Europe: Policies and Measures. Available at:http://eacea.ec.europa.eu/education/Eurydice/documents/thematic_reports/090EN.pdf (accessed 10 April 2015).
14. Ostrom E., Burger J. Ch. B. Field, R. B. Norgaard, D. Policansky - New Series, Vol. 284, No. 5412 (Apr. 9, 19 99), pp. 278-282 - American Association for the Advancement of Science.
15. Caldwell Brian J., Don Hayward The Future Of Schools: Lessons From The Reform Of Public Education,1993.
16. Вульфсон Б.Л. Актуальные проблемы управления образованием за рубежом: централизация и децентрализация http://pmedu.ru/res/2012_2_8.pdf.
17. [Education: Mission](#) (англ.) Сайт ЮНЕСКО. 23 мая 2010.
18. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა 2013-2017 –მ http://eqe.gov.ge/res/docs/20150203165554Strategiuli_2013-2017_V4.pdf.

მარიამ მესხიშვილი-ეფაძე
საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სრულყოფა თანამედროვე პირობებში
(I ნაწილი)
რეზიუმე

დიდია განათლების სისტემის მართვაში დასაველი მეცნიერების ღვაწლი. ევროპულ ქვეყნებში საგანმანათლებლო სისტემები წარმოადგენს მეცნიერული ცოდნის ინტენსიურად განვითარებულ დარგს, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სისტემების მართვის პრაქტიკული გამოცდილების, აგრეთვე განათლების სფეროსთან ადაპტირებული მართვის ზოგადი თეორიის პრინციპებისა და მიდგომების აკუმულირებას. წინამდებარე ნაშრომი ემსახურება სწორედ დასაველეთში აპრობირებული იმ მეცნიერული ცოდნის გაზიარებას, რაც თანამედროვეობის მოთხოვნებთან და გამოწვევებთან შესაბამისობაში მოდის.

Mariam Meskhishvili-Efadze
Improvement of Educational Institution Management in Modern Conditions
(Part I)
Summary

The merit of western scientists in the management of education system is great. In the European countries educational systems are an intensely developed field of scientific knowledge that enables the practical experience of management systems, as well as the principles and approaches of the general theory of management adapted to the field of education. The present paper serves to share the scientific knowledge that is practiced in the West being in harmony with modern requirements and challenges.

სტატიის გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარიამ მესხიშვილი-ევაძე

სამართლის დოქტორი,

პროფესორი

**განათლების ხარისხის მონიტორინგი საგანმანათლებლო პროცესების მიხედვით
ინოვაციურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში
(მოწინავე ქვეყნების გამოცდილება)**

I ნაწილი

საერთაშორისო საზოგადოების მიერ ხარისხიანი განათლება დღეისათვის განიხილება ქვეყნის წარმატებულობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად. იუნესკო, სწორედ ხარისხიანი განათლების საკითხებს უკავშირებს ახალგაზრდებისათვის ცხოვრებისეული კომპეტენციების შექმნას, თანამედროვე საზოგადოებაში მათ წარმატებით ჩართვას და სოციალური თანხმობის მიღწევას.

განათლების საკითხების მიმართ თანამედროვე ევროპული მიდგომა ითვალისწინებს სახელმწიფოთაშორის დონეზე შეთანხმებას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: სასწავლო პროცესების მიზანდასახულობა, შინაარსობრივი სრულყოფა და გეგმაზომიერი ორგანიზება. ეს პროცედურები წარმოადგენენ ძირითად ინსტრუმენტებს ევროპულ სახელმწიფოთა განათლების პარადიგმებზე ზემოქმედებისათვის, სახელდობრ: განათლების ხარისხის ამადლების მიმართულებით, მოსწავლე ახალგაზრდობის ყურადღების ცენტრში დაყენებით, მმართველობის დეცენტრალიზაციით, ახალგაზრდობის განათლების ცენტრის ამადლებით, პოლიკულტურალური ტოლერანტობითა და სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემების ინტეგრაციით. განათლების ხარისხის უზრუნველყოფისაკენ მიმართული, ევროპული ასოციაციის რეკომენდაციები, როგორც წესი, ემყარება სტანდარტებსა და ნორმებს, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ჩამოყალიბებულია განათლების ევროპულ სივრცეში.

განათლების დაწესებულებებში მონიტორინგის ცნება სხვადასხვა ქვეყნების დამკვირვებელთა მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება და დღეისათვის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში, მთელი პროცესი განიხილება, როგორც „საგანმანათლებლო პროცესების მსვლელობაზე, შედეგებსა და ეფექტურობაზე განუწყვეტელი დაკვირვება კომპიუტერული ტექნოლოგიის დახმარებით მიღებული ინფორმაციის შეკრებითა და დამუშავებით“ (1).

ამასთანავე, მონიტორინგი განათლების სფეროში გულისხმობს განათლების სისტემის შესახებ ინფორმაციის შენახვასა და გავრცელებას. მონიტორინგი ორიენტირებულია მართვის ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე, რაც ობიექტის შესახებ განსჯის საშუალებას იძლევა დროის ნებისმიერ მონაკვეთში და აყალიბებს მისი განვითარების პროგნოზს.

მსოფლიო პრაქტიკა და ევროპული სტანდარტები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს განათლების დაწესებულებების საქმიანობის ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც ასახავენ მათ სარგებლიანობას, საიმედოობას, კომპლექსურობას, ხარისხის გაუმჯობესებისადმი განუხრელ ზრუნვას, მონიტორინგის პროცესებისადმი გამჭვირვალობას და კანონებისა და ეთიკური ნორმებისადმი შესატყვისობას.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასწავლო დაწესებულებების საქმიანობის ხარისხის მაჩვენებლების მეცნიერულად დასაბუთებული რეიტინგებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტური მონიტორინგის კრიტერიუმების შემუშავება.

ბევრ ქვეყანაში განათლების ინდიკატორები და სტატისტიკა განათლების სისტემის მდგომარეობისა და ფუნქციონირების შესახებ, უმეტესწილად ერთმანეთის დუბლირებას ახდენენ, მაგრამ ყველა სტატისტიკური მონაცემი შეესაბამება სათანადო ინდიკატორებს (2).

იმისათვის, რათა სტატისტიკური მონაცემების, როგორც ინდიკატორთა, განხილვა შეიძლებოდეს, ისინი უნდა ემყარებოდნენ ოფიციალურად მიღებულსა და დამტკიცებულ მარეგლამენტირებელ დოკუმენტებს, რომელთა სახით, როგორც წესი, გვევლინებიან სოციალურად შეთანხმებული სახელმწიფო სტანდარტები: კომპლექსში უნდა იყოს განხილული ინფორმაცია, რომელიც მოაქვს ყოველ ცალკეულ ინდიკატორს. საჭიროა მოქმედებდეს მონიტორინგული მაჩვენებლების ლოგიკურად აგებული სისტემა, იმ შეფასებისდა მიუხედავად, რომელიც ცნობილ საზღვარგარეთელ მეცნიერებს არაერთგზის აღუნიშნავთ: ინდიკატორთა არც ერთ კონცეპტუალურ მოდელს არ ძალუძს მოიცვას სრულად საგანმანათლებლო საქმიანობის დიაგნოსტიკის ყველა ასპექტი (3). განათლების ინდიკატორების ყველაზე უფრო ცნობილსა და ავტორიტეტულ მოდელებს მიაკუთვნებენ იუნესკოს, ევროპის კავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელებს.

იუნესკოს მიდგომა განათლების მომსახურების მონიტორინგის სფეროში დაფუძნებულია აქსიომაზე, რომ მაღალხარისხიან საბაზო განათლებაზე წვდომა - ყოველი ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა, რაც გაცხადებული იყო ფორუმებზე „განათლება ყველასათვის“ და დაფიქსირებული - ჯონთენისა (1990) და დაკარის (2000) დეკლარაციებში. ანალიტიკური მონაცემები, სხვადასხვა ქვეყნებში ხარისხიან განათლებაზე წვდომის შესახებ ქვეყნება ყოველწლიურ „მსოფლიო ანგარიშებში განათლების შესახებ“, რომლებსაც იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი ამზადებს. საგანმანათლებლო სისტემების ფუნქციონირებისა და განვითარების ტენდენციების ძირითადი მაჩვენებლები სტრუქტურირდება დონეების მიხედვით - სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება (4).

ევროკავშირის სპეციალისტები ასევე მუშაობენ ხარისხიანი განათლების მონიტორინგის ჩასატარებელი ინდიკატორების ოპტიმალური კონცეფციის შექმნაზე, სადაც წამყვანი იქნება შემდეგი შემადგენლები: კონტექსტუალური ინფორმაცია, განათლების პროცესი, განათლების მიღწევები, რესურსის წვლილი განათლებაში. ევროკავშირის სტატისტიკური კრებულები შეიცავენ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროცესების მრავალრიცხოვან კომპონენტებზე და იმ პირობებზე, რომელშიც ის მიმდინარეობს. რას გვეუბნება განათლების ხარისხის შეფასების მრავალწლიანი საზღვარგარეთული პროექტები?

საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების პრაქტიკაში განათლების ხარისხის შეფასების სისტემათა ძირითადი ტენდენციების მახასიათებლებია:

1. დამოუკიდებელი და ნაწილობრივ დამოუკიდებელი სტრუქტურების დიდი რიცხვი, რომლებიც სპეციალიზებულნი არიან განათლების ხარისხის შეფასებაში და იმსახურებენ ნდობას განათლების მართვის სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოების მხრიდან;

2. მაღალი ვალიდურობის, საიმედოობისა და შეფასებათა სწორი შესატყვისობის უზრუნველსაყოფად გამოკვლევის ინსტრუმენტთა ხარისხის აუცილებელი კონტროლი, სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეებზე განათლების ხარისხის მაჩვენებლების არსებობა, რომლებიც აღიარებულია პედაგოგიური საზოგადოების, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი სტრუქტურების მიერ; შეფასების მექანიზმების გამჭვირვალობა; პროფესიული პედაგოგიური გაერთიანებებისა და საზოგადოების საყოველთაო ინფორმირებულობა საგანმანათლებლო პროცესების შედეგების ხარისხის თაობაზე; თვითშეფასებისა და გარეშე შეფასებათა მონაცემების შეჯერება;

3. განათლების ხარისხის ცვლილებათა ტენდენციებში გრძელვადიანი პროგნოზისა და ანალიზის მეთოდების პრიორიტეტი: მონიტორინგის სისტემის ინტენსიური განვითარება, პროგნოზირებისათვის სპეციალური მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენება მონაცემთა დასამუშავებლად, დამუშავების შედეგების მრავალფენიანი ინტერპრეტაცია განათლების პროცესის კორექციის პერსპექტიული მიმართულებების ასარჩევად;

4. მასშტაბური სისტემატური გამოკვლევების ჩატარება პედაგოგიური თვითშეფასებებისა და განათლების ხარისხის მართვის სფეროში, სამეცნიერო სკოლების შექმნა, განათლების ხარისხის შეფასების სფეროში პროფესიონალთა გაერთიანებების ფორმირება;

5. პროფესიულ გაერთიანებათა წარმომადგენლების ფართოდ ჩაბმა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მომზადების სათანადო დონეზე შესაფასებლად;

6. პედაგოგიური კადრების მასშტაბური მომზადება განათლების ხარისხის შეფასების სამეცნიერო-პრაქტიკული მიდგომის სფეროში (5).

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებმა მოიტანა განათლების ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის საერთაშორისო პროგრამის შექმნის აუცილებლობა. ყველაზე უფრო ცნობილ განათლების პროგრამათა შორის არის PISA, TIMSS, PIRLS.

მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასების პროგრამა PISA (Programme for International Student Assessment) შეიქმნა და დაფუძნდა OECD — Organization for Economic Cooperation and Development — ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით (6). პროგრამა ხორციელდება კონსორციუმით, რომელიც შედგება წამყვანი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებისგან, ეროვნული ცენტრებისა და OECD ორგანიზაციის მონაწილეობით.

კონსორციუმის მუშაობას ხელმძღვანელობს პედაგოგიურ კვლევათა ავსტრალიური კავშირი (The Australian Council for Educational Research — ACER). კონსორციუმში ასევე შედიან შემდეგი ორგანიზაციები: პედაგოგიურ გამოთვლათა ნიდერლანდების ეროვნული ინსტიტუტი (Netherlands National Institute for Educational Measurement — CITO); აშშ-ის პედაგოგიურ ტესტირებათა სამსახური (en:Educational Testing Service, ETS); განათლების სფეროში წარმოებულ გამოკვლევათა იაპონიის ეროვნული ინსტიტუტი (National Institute for Educational Research, NIER), WESTAT - აშშ-დან.

ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლის განათლების ხარისხის მონიტორინგის ძირითადი მიმართულებანი, დაკვირვების მეთოდებისადმი კონცეპტუალური მიდგომები, შედეგების დამუშავება და წარმოდგენის საშუალებები იხილება სამეცნიერო ფორუმებზე, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები და მიღებული დებულებები მტკიცდება პროექტის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა (როგორც წესი, განათლების სამინისტროს წარმომადგენლების) მიერ, ამ ქვეყნების პრაქტიკული საჭიროებებიდან გამომდინარე.

PISA-ს პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს მიღებული ცოდნის გამოყენების უნარის განსაზღვრა 15 წლის მოსწავლეებში, მათი არასტანდარტულ სიტუაციებში გამოცდის პირობებში. PISA -ს გამოკვლევები ტარდება სამ წელიწადში ერთხელ მათემატიკაში, ჰუმანიტარულსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (7). ამას გარდა, ტარდება თანამდევნი ინფორმაციის შეკრება თვით მოსწავლეებზე, მათ ოჯახებზე, ინსტიტუციონალურ ფაქტორებზე, განათლების სისტემის მახასიათებლებზე მთლიანობაში. დღეისათვის PISA წარმოადგენს ავტორიტეტულ კვლევებს განათლების ხარისხის შეფასების თვალსაზრისით საერთაშორისო მასშტაბით, რომელიც განათლების განვითარების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფაქტორებისა და ტენდენციების გამოკვლენის საშუალებას იძლევა.

TIMSS (Trends in International Mathematics and Science Study — ტენდენციები მათემატიკურსა და საბუნებისმეტყველო განათლებაში) (8) სპეციალიზდება მე-4 - მე-8 კლასების მოსწავლეთა სწავლაში მიღწეულ წარმატებათა განვითარების ტენდენციების კვლევაში და თავის ყურადღებას ამახვილებს სასწავლო პროგრამების ცვლილებებზე, ხოლო შედეგად გამოჰყოფს ყველაზე მეტად დამაიმედებელ საგანმანათლებლო პრაქტიკებს მთელ მსოფლიოში. ეს გამოკვლევები ორგანიზებულია საგანმანათლებლო მიღწევათა შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (IEA — International Association for the Evaluation of Educational Achievement) მიერ. TIMSS არის ერთი ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში. მასში მონაწილეობას იღებენ ასობით ათასი მოსწავლეები მსოფლიოს თითქმის 100 ქვეყნიდან (9).

სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარია მიდგომა კონტროლისა და შეფასების წარმოდგენის ფორმასთან, სხვადასხვაა მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები და ახალი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევის გასარკვევი მონიტორინგის მექანიზმი.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რა პროცედურები გამოიყენება შეფასების პროცესში, რა კრიტერიუმებით ხდება განათლების ხარისხის შემოწმება, რომელი მეთოდებით წარმოებს გამოკვლევა, რამდენად საიმედოა და სარწმუნოა მიღებული ცნობები.

როდესაც ევროპული ქვეყნების განათლების ხარისხის მონიტორინგის საკითხებს ვეხებით, მართებულია თვით ინგლისურენოვანი ტერმინების დეფინიციით სწორი ოპერირება:

“Quality control” - ნიშნავს ხარისხის (ცოდნის, უნარისა და ჩვევების) კონტროლს. ტერმინი გამოიყენება ძირითადად ხარისხის შეფასების გარე პროცედურებში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ხარისხის გარკვეული მოსალოდნელი დონის მიღწევაზე.

“Quality monitoring” – ეს არის ხარისხის მონიტორინგი, ანუ ხარისხის „თვალთვალი“, რაც გულისხმობს ობიექტზე გამუდმებულ დაკვირვებას და შემოწმებას. მონიტორინგი დაკავშირებულია აგრეთვე მატერიალური დაბანდების ეფექტურობასთან.

“Quality assessment” - ხარისხის შეფასება აღნიშნავს შეფასების სისტემას ფართო გაგებით - როგორც გარე, ისე - შიდა შეფასებას და მოიცავს ეტაპებს: დაგეგმვის, საკუთრივ შეფასების, ანუ მონიტორინგის, ანალიზის და სხვ. შემოწმების უფრო ვიწრო პროცედურები აღინიშნება ტერმინებით: „quality evaluation“, „quality audit“, „quality judgement“ და სხვ.

“Quality assurance” – შეიძლება ვიგულისხმოთ, როგორც განათლების პროცესისათვის ხარისხის გარანტიის უზრუნველყოფა.

“Quality of Education” – განათლების ხარისხია. ეს არის განათლების დაბალანსებული შესატყვისობა მოთხოვნებთან, მიზნებთან, სტანდარტებთან. იგი მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: სწავლების ხარისხი, პედაგოგიური კადრები, საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოსწავლეთა და აბიტურიენტთა ხარისხი, განათლების მართვის ხარისხი, სამეცნიერო კვლევების ხარისხი და სხვ. (10).

საზღვარგარეთის ქვეყნების განათლების ხარისხის მონიტორინგის შესწავლის საფუძველზე, მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაცნობის შედეგად იქმნება საშუალება შეფასებათა სისტემების შედარებითი ანალიზის ჩასატარებლად (11). მსოფლიო განათლების პრაქტიკიდან სამაგალითოდ არის წარმოდგენილი განათლების ხარისხის მონიტორინგის გამსწავლებლად დამახასიათებელი მაჩვენებლები აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და იაპონიის საგანმანათლებლო სისტემებიდან.

სამეცნიერო ინტერესს იწვევს ამ ქვეყნებში განათლების ხარისხის პედაგოგიური შეფასება და სასწავლო დისციპლინების ათვისების იმ დონის განსაზღვრა, რომელიც სწავლების მაღალ საფეხურზე გადანაცვლების საშუალებას იძლევა და გასცემს სათანადო განათლების შესატყვის დოკუმენტებს.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება ტესტური მეთოდები, ხოლო რეიტინგის დადგენა და კონკურსის შედეგად წარმატებულთა შერჩევა მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად.

განათლების ხარისხის საერთაშორისო მასშტაბის შედარებით გამოკვლევებში მონაწილეობა იქცა განათლების ხარისხის ასამაღლებელ მძლავრ ინსტრუმენტად ევროკავშირის ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკის იდეების გავრცელების პირობებში. თუკი ადრე განათლების ხარისხი განისაზღვრებოდა, უპირველეს ყოვლისა, განათლებაში ჩადებული რესურსების შემადგენლით, ამჟამად აქცენტი გადატანილია შედეგების შემადგენელზე, უპირველესად, მოსწავლეთა ცოდნაზე საბაზო სასწავლო დისციპლინებში, მათი კრიტიკული აზროვნების უნარზე და პრობლემათა გადაჭრის კრეატიულ გზებსა და საშუალებებზე.

როდესაც განიხილავთ განვითარებული ქვეყნებისათვის საერთო ტენდენციას - სოციუმის მხრიდან ყურადღების ზრდას განათლების ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებით, საზღვარგარეთელი ავტორები იყენებენ ორ ტერმინს: მშობლების მონაწილეობას შეფასებაში (parental involvement) და საზოგადოებრივ შეფასებას (public (external) examination).

პირველი მიმართულება, სკოლების საქმიანობის საჯაროობისა და განათლების ხელმძღვანელთა ანგარიშების საკითხებს (ევროპისა და აშშ-ს საგანმანათლებლო ორგანიზაციების მთავარ მახასიათებლებს) განიხილავს, როგორც საშუალო განათლების, საზოგადოებრივი კონტროლისათვის გავრცელებულ და მისაწვდომ ფორმებს, დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებისათვის. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითნაწილობისა და თვითშეფასების პროცედურებს, რაც ხორციელდება სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივების მიერ, მაგრამ მშობლების აზრის გათვალისწინებით.

საზოგადოებრივი ექსპერტიზა, როგორც განათლების ხარისხის შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმი, საზღვარგარეთულ გამოკვლევებში ცალკე მიმართულებად არ არის წარმოდგენილი, თუმცა რიგ წყაროებში ვლინდება საზოგადოებრივი მონაწილეობის სხვადასხვა ასპექტები საშუალო სპეციალური განათლების შეფასებაში, რაც საზოგადოების ყურადღების მიპყრობის საშუალებას იძლევა არა მარტო განათლების მიმართ, არამედ მოსწავლეთა საერთო მომზადების სოციალურად მნიშვნელოვან პრობლემებზე (12). ევროპულ ქვეყნებში სასკოლო განათლების ხარისხის კონტროლის სოციალური ინსტიტუტი პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული მექანიზმების სრულყოფასთან, რაც მოქალაქეებს აძლევს მედიცინაზე, სამართალდამცავ ორგანოებზე, სოციალურ სამსახურებზე ზემოქმედების საშუალებას (13).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მონიტორინგის სისტემას საფუძვლად უდევს ისეთი ქვესისტემები, როგორცაა: მიზნები, საშუალებანი და შედეგები. ამიტომ, საგანმანათლებლო პროცესში გამსწავლებულ როლს თამაშობს უმნიშვნელოვანესი საკითხები: ვინ არის შემფასებელი, რას აფასებენ, რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას შეფასების კრიტერიუმის გამოიმუშავების პროცესში, რა მიზნები იქნება დასახული, რამდენად ობიექტური და საიმედო შეიძლება იქნეს შედეგები, რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს მიღებული შედეგებით.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს განათლების ხარისხის შეფასების საერთაშორისო ტენდენციათა ანალიზი, განათლების ხარისხის მონიტორინგის სისტემის

კვლევა - პირველ ყოვლისა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების, სწორედ იმ საზღვარზე, რასაც ეწოდება „სკოლა - უმაღლესი განათლების დაწესებულება“: უკანასკნელ ათწლეულებში საზღვარგარეთ დაგროვილია დიდი გამოცდილება კონტროლის ორგანიზებაში, თანამედროვე საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებით. და აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს გამოცდები.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში, საშუალო განათლებიდან პროფესიული განათლებისაკენ გარდამავალი გამოცდები ავლენენ შემდეგ ტენდენციებს:

ყველაზე გავრცელებულ მოდელს წარმოადგენს ერთიანი გამოცდები, რომელთა შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სკოლაშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც. ასეთი გამოცდების ჩატარების ცენტრალიზაციის ხარისხი, შედეგების დამუშავება და ანალიზი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. უფრო ხშირად ისინი ტარდება დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ ცენტრალიზებულად შემუშავებული საგამოცდო მასალების მიხედვით. მრავალ ქვეყანაში გამოცდების მოწყობას ანდობენ თვით სკოლებს, გარეშე დამკვირვებლების მონაწილეობით.

საშუალო განათლების კურსის გავლის შემაჯამებელ ატესტაციას მეტ წილ ქვეყნებში ახორციელებენ კონტროლის ორი ფორმით: გარეშე ცენტრალიზებულითა და შიდა სასკოლოთი. ატესტაციის სასკოლო ეტაპი გამოირჩევა გამოყენებული ფორმების დიდი მრავალსახეობით, რომლებიც აფასებენ სხვადასხვა ინტელექტუალურ, ზოგადსაწავლო ან პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს (ხეპირი გამოცდები, საჯარო ლექციების მომზადება და ჩატარება, წერილობითი სამუშაოების დაცვა, პრაქტიკუმები და ექსპერიმენტული სამუშაოები). ზოგიერთ ქვეყანაში უბრალოდ აღირიცხება სწავლების უკანასკნელი წლის მიმდინარე მოსწრების დონე და გამოჰყავთ საშუალო ქულა მაღალ კლასებში ყველა შემოწმებული სამუშაოს შედეგად.

მეტ წილ ქვეყნებში, სასკოლო გამოცდების დისციპლინების შერჩევის დროს, აღინიშნება აუცილებელი და არჩევითი საგნების შეთავსება. აუცილებელ საგნებად, ყველაზე ხშირად, გამოდის მათემატიკა და მშობლიური ენა. რიგ შემთხვევებში მათ ემატება უცხო ენა და ბუნებისმეტყველება.

ბევრი ეროვნული სისტემისათვის ყურადღება ექცევა საშუალოსა და უმაღლეს პროფესიულ განათლებას შორის მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფას, ატესტაციის მოდელის შექმნის დროს. ამისათვის ირჩევენ გამოცდებს, რომლებიც დააკმაყოფილებს როგორც სკოლას, ასევე უმაღლეს სასწავლებელს.

მრავალი ევროპული გამოცდების განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ორიენტაცია არა ცოდნის დემონსტრირების შემოწმებაზე, არამედ მის გამოყენებაზე მოსწავლისათვის ახალ სიტუაციაში; თეორიული და პრაქტიკული მასალის ურთიერთშეთავსება, ლაბორატორიული სამუშაოებისა და ექსპერიმენტების დაგეგმვა და ჩატარება(14).

ყველა ქვეყანაში ხდება საგამოცდო სისტემების რეფორმირება ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობით. სახელმწიფო გამოცდები უნდა გამოირჩეოდნენ შემდეგი მახასიათებლებით: მიზანთან შესაბამისობა, სამართლიანობა, პატიოსნება, საზოგადოების ნდობა შედეგების მიმართ, ქმედითუნარიანობა და ეკონომიკური ეფექტურობა, საკონტროლო-შეფასებითი პროცედურების გამჭვირვალობა, კონტროლის შედეგების დადებითი გავლენა საგანმანათლებლო პრაქტიკაზე.

უკანასკნელი ათწლეული ხასიათდება სხვადასხვა ქვეყნის მიერ ძალისხმევით გაერთიანებით სწავლის შედეგების შეფასებისათვის ერთიანი მდგომის შესამუშავებლად და საერთაშორისო შედარებითი გამოკვლევების ჩასატარებლად. ისინი იძლევიან: ფასეულ ინფორმაციას განათლების მდგომარეობის შესახებ, მოსწავლეთა მომზადების შედეგების პარამეტრებს საერთაშორისო სტანდარტებთან, მსოფლიოში განათლების ხარისხის მონიტორინგის განხორციელების საშუალებას.

ასეთ გამოკვლევებში მონაწილეობას იღებენ დახლოებით 50 ქვეყნის წარმომადგენლები, სადაც ხდება მოზარდი თაობის განათლების დონის შეფასება.

მსგავსი გამოკვლევების ჩატარებაში ლიდერის როლი აკისრია რამდენიმე საყოველთაოდ აღიარებულ ორგანიზაციას, რომელთა შორისაც მოიაზრებიან: საგანმანათლებლო მიღწევათა შეფასების საერთაშორისო ასოციაცია IEA (International Association of Evaluation of Educational Achievements), ETS (Educational Testing Service), TIMSS (Third International Mathematics and Science Study), OECD (Organization for Economic Cooperation and Development), PISA (Programme for International Student Assessment) (15).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციის საკვლევო ქმედება მოიცავს ორ ფაზას: 1. მსოფლიოში განათლების განვითარების ტენდენციების გამოვლენას - მონაწილე ქვეყნებში ამ მდგომარეობის გამოკვლევის, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების, სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის საფუძველზე; 2. მონაწილე ქვეყნების მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონის შედარებითი შეფასებით და სწავლების შედეგებზე მოქმედი ფაქტორების დადგენით.

ამჟამად უფრო მეტად გავრცელებულია სიტუაცია, როდესაც ხარისხის შეფასებას ახდენენ გარეშე დამოუკიდებელი საექსპერტო ორგანიზაციები, რომლებიც შეიმუშავენ საკონტროლო-გაზომვით მასალებს, ამზადებენ ექსპერტებს და აწყობენ შეფასების პროცედურებს. ამასთან, შეფასების შეკვეთას ისინი იღებენ განათლების მართვის ორგანოების მხრიდან. ასეთი „ორსაფეხურიანი“ სისტემა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მართვასაც და, ამავე დროს, მის დამოუკიდებლობას, პროფესიონალიზმს და ობიექტურობას.

განათლების ხარისხის შეფასების სისტემის აუცილებელი ნიშანია მისი ღია და გამჭვირვალე ხასიათი: საინფორმაციო რესურსებში წარმოდგენილია გარე საშუალებებით განათლების ხარისხის შეფასების კრიტერიალური ბაზა, სხვადასხვა დონის სერტიფიცირების მიმართ მოთხოვნები, დავალებების მაგალითები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეიტინგები სხვადასხვა შეფასებით პროცედურებში (უპირველეს ყოვლისა, ტესტურში), მოსწავლეთა შედეგებთან შესაბამისობით. ამგვარად, განათლების ხარისხის შეფასების სისტემებს შეუძლიათ შეასრულონ უკუკავშირის დაბრუნებისა და განათლების ხარისხის მართვის საკუთარი მისია (16).

შეფასების სისტემა განათლების სისტემაში სხვადასხვა ქვეყნებს შორის მრავალი ნიუანსით განსხვავდება: მიმდინარეობს არსებული სისტემების გამუდმებული რეფორმირება განათლებისადმი ახალი მოთხოვნების მიხედვით; ამავე დროს, ცალკეული ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემები არა მარტო სახის შეცვლას ცდილობენ, არამედ არსებული ტრადიციების შენარჩუნებასაც. ყოველივე ეს მეტად ართულებს შეფასების სისტემათა შეჯერებას. ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანია იმ ტენდენციათა გამოყოფა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების ხარისხის შეფასების სისტემაში არის დასახული და რომლებიც განსაზღვრავენ მათ ხვალინდელ იერსახეს.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყურადღების მიქცევა ისეთ პარამეტრებზე, როგორებიც არის: ატესტაციის ეროვნული სისტემები; ტესტური მეთოდების გამოყენება საგანმანათლებლო შედეგების შეფასებაში; დისტანციური ატესტაცია; ორგანიზაციები, რომლებიც ატარებენ გარე საატესტაციო პროცედურებს.

სწავლის გაგრძელების მოსურნე ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელდა-მთავრებული პირებისათვის მოთხოვნები ძალიან მაღალია. განათლების ეროვნული სისტემების განსხვავებულობის მიუხედავად, არსებობს „მსოფლიო საგანმანათლებლო სტანდარტების“ გამომუშავებისა და მათი შესაბამისი შეფასების სისტემების ტენდენცია. ამის შედეგად ჯერ კიდევ XX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა სერტიფიკაციისა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემები. ასეთ სისტემებს მიეკუთვნება; 1. GSE O Level - ზოგადი განათლების 0 დონის სერტიფიკაციის სისტემა, 2.

GSE A Level - ზოგადი განათლების A დონის სერტიფიკაციის სისტემა, 3. IGCSE - ზოგადი საშუალო განათლების საერთაშორისო სერტიფიკატი, 4. HIGCSE - ზოგადი განათლების საერთაშორისო სერტიფიკატი, 5. AICE - მაღალი დონის განათლების საერთაშორისო სერტიფიკატი. 6. IB, The International Baccalaureate - საერთაშორისო ბაკალავრიატის სისტემა (11).

საშუალო განათლების სერტიფიკატის მისაღებად აუცილებელია დასკვნითი გამოცდების ჩაბარება, ყოველ ქვეყანაში განსაზღვრულია საგნების მინიმალური ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც ხდება ატესტაცია. ნაწილი საგნებისა აუცილებელია სერტიფიკატის მისაღებად, ნაწილი - არჩევანზეა დამოკიდებული. თანაც, უბრალოდ გამოცდა კი არ აირჩევა, არამედ სრულად მთელი დისციპლინა, რომელიც შეისწავლება რამდენიმე სემესტრის მანძილზე: ასე ხდება ინდივიდუალური საგანმანათლებლო ტრაექტორიის ფორმირება. ეს ნიშნავს, რომ არჩეული დისციპლინის შესასწავლად მოსწავლეები ხარჯავენ საკმარის დროს იმისათვის, რომ თამასა საბოლოო ატესტაციისათვის აწეული იყოს საკმარის მაღლა.

სხვადასხვა ქვეყნების შეფასებითი სისტემები განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ შემაჯამებელი სერტიფიკაციის დროს რამდენად მიიღება მხედველობაში მოსწავლეების მიმდინარე მიღწევები: მათი საქმიანობა წლის განმავლობაში.

ნიშანდობლივია, რომ შეიცვალა დამოკიდებულება ტესტურ სამუშაოებთან და მათი ვალიდობა ეჭვის ქვეშ დადგა მომეტებულად მას შემდეგ, რაც ასევე შეიცვალა წარმოდგენები სწავლების შედეგებზე. რამდენადაც ახალი თაობის სტანდარტებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ შეფასებებს, რომლებიც კომპეტენტურობასთან არის დაკავშირებული, დგება საკითხი, რა სახით შეფასდეს მათი განვითარების დონე ისე, რომ არ დაიკარგოს შეფასების საიმედოობა.

სრულიად განსაკუთრებულად დგას დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების სოციალური აქტივობის საკითხი. უმრავლეს ქვეყნებში ის ფასდება საგანმანათლებლო შედეგებთან ერთად (მონაწილეობა პროექტებში, სოციალურად ორიენტირებულ გამოკვლევებში და სხვ.).

მოსწავლის სოციალური აქტივობა (ვოლონტიორის სახით ნებაყოფლობითი მუშაობა ბიბლიოთეკაში, ჰოსპიტალში, მოხუცებულთა თავშესაფარში და სხვ.) ფიქსირდება იმ ორგანიზაციის მიერ, რომელსაც ის ეხმარებოდა.

რაც შეეხება საგანმანათლებლო შედეგების შეფასების არატესტური ფორმატის გამოყენებას (მზაობა კვლევითი საქმიანობისათვის, თანატოლებთან და მოზრდილებთან კომუნიკაციისათვის, ჯგუფში ურთიერთქმედებისათვის; საინფორმაციო სივრცეში მუშაობა), ეს საკითხი წყდება სხვადასხვაგვარად. მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ ჯგუფური პროექტის ფარგლებში, მაგრამ სამუშაოს დასრულების შემდეგ, შეფასებისათვის უნდა წარადგინონ ინდივიდუალური შედეგები. თუ მოსწავლე დაწერს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს და იქ აღნიშნავს საკუთარ წვლილს, შექმნილსა და დემონსტრირებულ უნარ-ჩვევებს, შემფასებლის წინაშე დგება ამოცანა - მაქსიმალურად აერიდოს შეფასების სუბიექტურობას, რადგან ამ შედეგების გათვალისწინება ხდება სასწავლებლის დასრულებისას, სერტიფიკატის გაცემის დროს. შეფასების ობიექტურობის ზრდა მიიღწევა სამუშაოებისადმი მოთხოვნის უნიფიკაციით.

ტექსტები, რომლებსაც ადგენენ მოსწავლეები თავიანთი შემოქმედებითი საკვლევი სამუშაოს შედეგად, წარმოადგენს სწორედ კონტროლირებადი ექსპერტიზის საგანს. უფრო ხშირად მას ატარებენ პედაგოგები, დადგენილი კრიტერიუმებით; განსაკუთრებულ შემთხვევებში - უშუალოდ გამომცდელი ორგანოები. საკონტროლო შეფასების მიხედვით, ყველა საგანი, რომლის მიხედვითაც ტარდება ატესტაცია და დიპლომშიც სათანადოდ აღინიშნება, იყოფა სამ კატეგორიად: 1. საგნები, რომლებშიც არ გამოიყვანება მაკონტროლებელი შეფასება და ტარდება გამოცდა (ეკონომიკა, მათემატიკა, რელიგიური

მეცნიერებები); 2. საგნები, სადაც მაკონტროლებელ შეფასებას უკავია 25% (ბიზნესი, გეოგრაფია, ისტორია) და 3. საგნები 60% კონტროლირებადი შეფასებით (სამოქალაქო აღზრდა, დიზაინი და ტექნოლოგია, თანამედროვე უცხო ენები).

ახალი მეთოდოლოგიით, ახლებურ ფორმატში ხდება ტესტური მასალის გამოყენებაც. სულ უფრო მეტად იყენებენ ტესტებს, რომლებიც ორიენტირებული არიან კომპეტენტურობის დიაგნოსტიკაზე. მსგავსი ტესტები შეიცავენ არა მარტო კითხვებს მრავლობითი არჩევანით, არამედ საკითხებსაც - ღიად გაცხადებული პასუხებით, რომლებიც გულისხმობენ ცოდნის გამოყენებას მოსწავლეთათვის უჩვეულო საკითხების გადასაჭრელად. ამ ტესტის ჩაბარებისას არ ეძლევა მნიშვნელობა მიღებულ ქულას, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, გაიარა ტესტი მოსწავლემ თუ არა. ტესტის ამოცანაა გაირკვეს, დაუფულა თუ არა მოსწავლე ტექსტთან მუშაობას და შეუძლია თუ არა ინფორმაციის აღქმა, ათვისება და გადმოცემა სხვადასხვა ფორმით.

განსაკუთრებული მისია აკისრიათ ორგანიზაციებს, რომლებიც წარმართავენ საატესტაციო პროცედურებს. საბოლოო შემაჯამებელ ატესტაციაზე პასუხს აგებენ გარე ორგანიზაციები და კომიტეტები, რომლებიც შეკვეთას იღებენ განათლების სამინისტროდან. ეს ორგანიზაციები შეიმუშავენ საგანმანათლებლო შედეგების შეფასების საკუთარ მოდელებს და ამრიგად აღწევენ ორ მიზანს: ჯერ-ერთი, იქმნება სერტიფიკატების შეფასების ინსტრუმენტებისა და ტიპების ფართო სპექტრი და მეორეც - შეფასება ხდება დამოუკიდებელი: ტესტების შემქმნელები არ არიან პასუხისმგებელი განათლების შედეგებისათვის, მათი შეფასებები დიდი ალბათობით იქნება ობიექტური, ვიდრე „დაინტერესებულ“ ორგანოთა - სამინისტროებისა და სხვა საგანმანათლებლო უწყებების შეფასებები.

სერტიფიკატების სისტემის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ის ქმნის განათლების გაგრძელების ვარიანტების ფართო სპექტრს - როგორც აკადემიურ ჭრილში, ისე - პრაქტიკაზე ორიენტირებულში. ერთი დონის სერტიფიკატები შეიძლება ერთნაირად წონადი იყოს დამსაქმებლის თვალში, მაგრამ სხვადასხვა საშუალებას იძლეოდეს უმაღლეს სკოლაში სწავლის გაგრძელებისათვის.

სასწავლო დაწესებულებათა შეფასების ორგანიზების ძირითად პრინციპებს წარმოადგენს შეფასების წინასწარ ცნობილი კრიტერიუმები და შეფასების პროცესისა და მიღებული შედეგების თაობაზე შესაფასებელი სუბიექტების (პედაგოგიური პერსონალისა და მოსწავლეების) თვალსაზრისის მხედველობაში მიღება. გარე შეფასებათა შედეგები გამოიყენება მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, აგრეთვე პედაგოგთა დასახმარებლად - პროფესიული მიზნების დასახვისათვის. მათი შედეგების მიხედვით, ანალიტიკური სამუშაოს ნაწილი ხდება ამ შედეგების შეჯერება საერთაშორისო მონიტორინგის შედეგებთან.

მოწინავე საზღვარგარეთულ ქვეყნებში სკოლების გარე შეფასება სრულიად დაუფარავად არის წარმოდგენილი ინტერნეტის შესაბამის საიტებზე და ქმედით დახმარებას უწევენ მშობლებს, შეიღებისათვის სკოლის ასარჩევად.

განათლების ხარისხის შეფასების სისტემის ანალიზი ამ ქვეყნებში საშუალებას იძლევა, მოიძებნოს მახასიათებლები, რომლებიც თანამედროვე ტენდენციებს ასახავენ საკვლევ სფეროში - განათლების თანამედროვე სტანდარტები იყოფა ორ ნაწილად: შინაარსის სტანდარტები და მიღწევათა სტანდარტები. მიღწევათა სტანდარტები ფორმულირდება როგორც საგანმანათლებლო შედეგები, რომლებიც ექვემდებარებიან შეფასებას. და, ამრიგად, განათლების დეკლარირებულსა და რეალურ ორიენტირებს შორის არ იქმნება წინააღმდეგობა (4).

რამდენადაც დღეისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა საგანმანათლებლო საქმიანობის გარდაქმნა ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისად, ამ

პროცესებს ასახავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა, სადაც აღნიშნულია:

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა სისტემის ისე განვითარება, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდეს მთელი სიცოცხლის მანძილზე ხარისხიანი განათლების მიღებისა და თვითრეალიზების თანაბარი შესაძლებლობა; განათლების ეროვნული სისტემის შედეგები გაუმჯობესდეს და დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს.

ამ ხედვის რეალიზებისათვის სამინისტროს მისიაა, ერთი მხრივ, თანამედროვე, მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების სისტემის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ყველასათვის თანაბარი ხარისხის განათლების მიწოდებას, საკვანძო კომპეტენციების ეფექტურ გადაცემას და ახალი ცოდნის გენერირებას. მეორე მხრივ, ქვეყნის მომავლისათვის აუცილებელი სამეცნიერო დარგების თანამედროვე სტანდარტების დონეზე განვითარება. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება უნდა დაეფუძნოს ხარისხზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს სამ ძირითად პრინციპს: ავტონომიურობას, ანგარიშვალდებულებას, თანმიმდევრულ და კოორდინირებულ პოლიტიკას განათლების ყველა საფეხურზე და მეცნიერებაში“ (16).

ლიტერატურა:

1. Scherman V., Roel J. Bosker, Sarah J. Howie - Monitoring the Quality of Education in Schools <https://www.sensepublishers.com/media/2995-monitoring-the-quality-of-education-in-schools.pdf>
2. Quality Parameters in Higher Education http://www.nehu.ac.in/igac/quality_parameters.html
3. National Assessment of Educational Progress (NAEP) - <http://nces.ed.gov/nationsreportcard/about/>
4. Подкопаева Э. В. - ОБРАЗОВАНИЕ ЗА РУБЕЖОМ - <http://archive.edscience.ru/ru/article/e-v-podkopaeva>
5. Звонников В.И., Чельшкова М.Б. ЗАРУБЕЖНЫЙ ОПЫТ СОЗДАНИЯ СИСТЕМ ОЦЕНКИ КАЧЕСТВА ОБРАЗОВАНИЯ : материалы межреш.сов. М. 2007, с.101 – 115.
6. Мониторинг оценки качества образования в школе PISA - <https://studfiles.net/preview/5702376/page:14/>
7. Результаты PISA - http://www.clmo.nnov.ru/monitoring/NewSection_350/
8. TIMSS — <http://timssandpirls.bc.edu/>
9. TIMSS — <http://www.centeroko.ru/timss11/timss11.htm>
10. Варламова А.И. СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ ПОДХОДОВ К ОЦЕНКЕ КАЧЕСТВА ВЫСШЕГО ОБРАЗОВАНИЯ В РОССИИ И ЗА РУБЕЖОМ - <http://www.vestnik-mgou.ru/Articles/Doc/1926>
11. Третьякова Т. В - „Анализ подходов к оценке качества образования за рубежом.“ — <http://cyberleninka.ru/article/n/analiz-podhodov-k-otsenke-kachestva-obrazovaniya-za-rubezhom>
12. Stensaker B., Harvey L. Old wine in new bottles? A comparison of public and private accreditation schemes in higher education. Higher Education Policy. 2006. Vol.
13. Kellaghan T. Public examinations, national and international assessment, and educational policy. [Educational Research Centre St Patrick’s College]. Dublin. 2004.
14. Сравнительный анализ системы обеспечения единого экзамена в зарубежных странах //Отчет Центра сравнительной образовательной политики МО РФ. М., 2001.
15. The PISA 2003 Technical Report / Ed.R.Adamis and V.Wu. OECD, 2004.
16. Шиян О. А. Анализ международного опыта проведения процедур оценки качества образования <http://fip.kpmo.ru/fip/info/13483.html>
17. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (განსახილველი ვერსია), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2014 <http://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf>

მარიამ მესხიშვილი-ეფაძე
განათლების ხარისხის მონიტორინგი საგამოცდო პროცესების მიხედვით ინოვაციურ
საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მოწინავე ქვეყნების გამოცდილება)
(ნაწილი I)
რეზიუმე

საგანმანათლებლო პროცესის მართვის განხილვისას, მონიტორინგის სხვადასხვა მახასიათებელთან (აბიტურიენტების ხარისხი, განსწავლის პროცესის ხარისხი, განათლების ფინანსირების დონე და ხარისხი და სხვ.) წინამდებარე ნაშრომში გამოცდების ხარისხს საგანგებოდ შევხებით. აღნიშნული კრიტერიუმში, როგორც მონიტორინგისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, სასწავლო დაწესებულებების დონის განმსაზღვრელია. ამიტომ, ამ მიმართულებით, ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება სამაგალითოდ დავსახეთ ჩვენი ქვეყნისათვის.

Mariam Meskhishvili-Efadze
Monitoring of Quality of Education in Accordance with Examining Processes in Innovative Educational
Institutions (Experience of Advanced Countries)
(Part I)
Summary

On reviewing the educational management process, different features of monitoring (quality of applicants, quality of teaching process, level of education financing and quality etc.) have been specially considered in the present paper. The noted criterion, as the most important factor for monitoring is the determination of the level of educational institutions. Therefore, in this direction, the experience of the advanced countries of Europe has been exemplary aimed for our country.

სტატიის გაგრძელება შემდეგ ნომერში

ლია მენტეშაშვილი

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
 თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

ოჯახი და ზნეობრივი აღზრდა

ისტორიულად, ოჯახს პირველ რიგში რეპროდუქციული ფუნქცია აკისრია. ამ ფუნქციას საფუძვლად უდევს გვარის გაგრძელების ბიოლოგიური ინსტინქტი. ხშირად ამ ფუნქციას ოჯახის უმთავრეს ფუნქციას უწოდებენ. მართლაც, ოჯახი ადამიანის გვარის გამგრძელებლის ერთადერთი შეუცვლელი “მწარმოებელია”, მაგრამ ოჯახის როლი არ არის დაყვანილი “ბიოლოგიური ფაბრიკის” დანიშნულებაზე. რეპროდუქციული ფუნქციის შესრულების გარდა, ოჯახი ვალდებულია უზრუნველყოს მომავალი თაობის არსებობა, მისი ფსიქიკური და ინტელექტუალური განვითარება, შექმნას ამისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო.

ოჯახს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბავშვთა აღზრდაში, მათი პიროვნების ჩამოყალიბებაში. ბავშვთა აღზრდა – ეს არის დიდი პირადი, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვალეობა მშობლებისათვის.

საოჯახო გარემოს, მშობლებს შეუცვლელი ადგილი აქვს ბავშვთა აღზრდაში და სკოლისა თუ სკოლისგარეშე დაწესებულებების ზრუნვა მომავალ თაობაზე მშობლებს ვერ გაათავისუფლებს მათზე დაკისრებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან. აღზრდა ოჯახიდან იწყება, ოჯახი აღზრდის უპირველესი კერაა.

მშობლები დიდი პასუხისმგებლობით, პირნათლად უნდა ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და შეიღებინათ “თან უნდა გადააწყვეს იგი ვისაც წმინდა მოვალეობა დედამამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთისოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალე იარე და ნუ ჩასდგები – კი ჯერ შეიღისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, - აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამაშვილობას ეძახიან” (8, 365).

მოზარდის მაღალზნეობრივი თვისებებით აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის პიროვნულ თვისებებს, მის ქცევასა და მოქმედებას.

მომავალი თაობის ზნეობრივ აღზრდაში მშობლის მაგალითს – ეს იქნება დადებითი თუ უარყოფითი, დიდი ზემოქმედების ძალა აქვს. მშობელი, უპირველეს ყოვლისა თვითონ უნდა იყოს მაღალზნეობრივი პიროვნება, თუ იგი თავად არ არის შეიღისათვის მისაბადი, სანიმუშო პიროვნება, მას არავითარი ავტორიტეტი არ ექნება. თუ ბავშვი ხედავს, რომ მისი მშობლები ნაკლებ თავაზიანები არიან სხვებისადმი, ავლენენ უხეშ მოქმედებას, ხშირად ცრუობენ, არაკეთილსინდისიერები არიან, მათი სიტყვა და საქმე არ არის ერთიანი და ხშირად ამჟღავნებენ სხვა ნეგატიურ თვისებებს, ასეთი მშობლები უთუოდ უარყოფით ზეგავლენას მოახდენენ მოზარდზე და შედეგად არ შეიძლება დადებითი იყოს. მშობელი ვალდებულია მისი შვილი მხოლოდ დადებით მაგალითზე აღზარდოს.

ავტორიტეტის მოპოვება სიმკაცრითა თუ ზედმეტი ალერსით, საჩუქრების ყიდვით შეუძლებელია. ყოველთვის უნდა ახსოვდეთ მშობლებს, რომ ავტორიტეტი ხელოვნურად არ იქმნება. შვილებთან უშუალო, მეგობრული ურთიერთობით შეუძლიათ მათ კარგი, გავლენიანი, სერიოზული აღმზრდელის ავტორიტეტის მოპოვება. ბავშვი ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელოსაც კი ადვილად ამჩნევს, აკვირდება იმას, თუ რას აკეთებენ მისი მშობლები, რით სუნთქავენ, რა იტაცებს მათ.

მშობლებთან ერთად მოზარდზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ოჯახის სხვა წევრებიც. აუცილებლად მხედველობაშია მისაღები ეს გარემოება. როგორც უშუალოდ მშობლებისაგან, ისე ოჯახის სხვა წევრებისაგან შეიძლება შეითვისოს მოზარდმა მაღალზნეობრივი თუ ნეგატიური თვისებები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოზარდის ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ოჯახში შექმნილი არაჯანსაღი ატმოსფერო. საოცრად მტკივნეულია ბავშვებისათვის მშობლებს შორის უთანხმოება, ხშირი კონფლიქტები, ან ოჯახის სხვა წევრების უხეში მოქმედება და სხვ. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს მოზარდებზე. ისინი გულჩათხრობილნი ხდებიან, ეცვლებათ ხასიათი, თვისებები, გუნება-განწყობილება. ოჯახში ბავშვის აღზრდისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა წყნარი სააღმზრდელო გარემო. მშვიდი საოჯახო პირობების შექმნა უნდა უზრუნველყონ მშობლებმა.

ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნების აღზრდაში დიდ როლს ასრულებს სწორად ორგანიზებული ოჯახური რეჟიმი. იმ ოჯახებში, სადაც მშობლები მკაცრად იცავენ რეჟიმს და შვილებისგანაც მოითხოვენ საოჯახო წესების, მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებას, ბავშვები ეჩვევიან ორგანიზებულობას, შრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობას. ოჯახში, სადაც მომთხოვნელობა, რეჟიმის დაცვა უგულვებელყოფილია, მოზარდებში ვითარდება უარყოფითი თვისებები – უსაქმურობა, ფუქსავატობა, უწესრიგობა. ბავშვი თავიდანვე უნდა მიეჩვიოს რეჟიმის დაცვას, რომ მასში არ განვითარდეს მოუწესრიგებელი ცხოვრებისადმი მიდრეკილება და სხვა მანკიერი თვისებები.

მშობლებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული აღზრდის მიზანი და ამოცანები, ოჯახის როლი და დანიშნულება. ოჯახში ეყრება საფუძველი გონებრივ, მორალურ,

ესთეტიკურ, შრომით, ფიზიკურ აღზრდას. ამიტომ, ოჯახში ბავშვთა აღზრდისათვის საჭიროა მშობელი დაუფლებული იყოს აღზრდის ხერხებს, მეთოდებსა და მუდმივად ეძიებდეს აღზრდის საუკეთესო გზებს, საშუალებებს.

როდესაც საოჯახო აღზრდის პრობლემებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ბავშვთა აღზრდის თავისებურებები განსხვავებული სტრუქტურის ოჯახებში.

საოჯახო პედაგოგიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ერთშილიანი და მრავალშილიანი ოჯახებში ბავშვთა აღზრდის თავისებურებანი. დღესდღეობით მრავლად არიან ისეთი მშობლები, რომლებიც ერთი ბავშვის გაჩენითა და აღზრდით იფარგლებიან. მიზეზი მრავალია. მშობელთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ოჯახში მეორე ბავშვის გაჩენა არსებითად იმოქმედებს ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე და მომავალში არა მარტო მათ, არამედ თვით ბავშვსაც შეჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენებს. მეორენი იმ პასუხისმგებლობას გაურბიან, რომელსაც ბავშვის გაჩენა აკისრებთ; მესამენი თვლიან, რომ ახალი ბავშვის გაჩენა შეუზღუდავთ შესაძლებლობებს, დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნები. მათ საზოგადოებრივი მოვალეობა უკვე შესრულებულად მიაჩნიათ, როცა ჰყავთ ერთი ვაჟიშვილი ან ქალიშვილი და თვლიან, რომ ეს სავსებით საკმარისია.

ფსიქოლოგებისა და პედაგოგების უმრავლესობა აღიარებს, რომ ოჯახში დედისერთა ბავშვის აღზრდას თან ახლავს ზიანის მომტანი მხარეები და ამიტომ, უპირატესობას მრავალშილიანი ოჯახებს ანიჭებენ. დედისერთა ბავშვის მშობლები, ჩვეულებრივ ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ ბავშვს, უქმნიან ე.წ. “სასათბურე” პირობებს: ბავშვს ანებივრებენ, ერთთავად ეფერებიან, ასრულებენ მის ყველა თხოვნას.

ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ დედისერთა შვილი ძალიან ადრე იკავებს განსაკუთრებულ ადგილს ოჯახში, მხოლოდ ერთ ბავშვზე მობილიზებული მშობლების ზრუნვა ჩვეულებრივ ამეტებს სასარგებლო ნორმას. ამ შემთხვევაში, მშობლიური სიყვარული გამოირჩევა ცნობილი ნერვოზულობით. ძალიან ხშირად დედისერთა ბავშვი ეჩვევა თავის განსაკუთრებულ მდგომარეობას და ოჯახისათვის ნამდვილი დესპოტი ხდება. ამ ეტაპზე კი მშობლებისათვის უკვე ძალიან ძნელია თავი შეიკავონ სიყვარულისა და ზრუნვის გამოვლინებისაგან და უნებურად ზრდიან ეგოისტს.

აღსანიშნავია, რომ მრავალშილიანი ოჯახს აღმზრდელობით პოტენციალს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ხოლო ბავშვების სოციალიზაციის პროცესს – თავისი სიძნელეები და პრობლემები. ერთი მხრივ, მრავალშილიანი ოჯახებში, როგორც წესი, ინერგება გონივრული მოთხოვნები და ვითარდება სხვისი გაჭირვების გათავისების უნარი; არც ერთ ბავშვს არ გააჩნია პრივილეგიებული მდგომარეობა, მაშასადამე, არ არსებობს ეგოიზმისა და ასოციალური თვისების ფორმირების ნიადაგი, მეტია უმცროსებზე ზრუნვისა და ურთიერთობის საშუალებები, წარმატებით ფორმირდება ისეთი ზნეობრივი თვისებები, როგორიცაა გულისხმიერება, პასუხისმგებლობა, ადამიანის პატივისცემა და აგრეთვე სოციალური ხასიათის თვისებები – ურთიერთობის უნარი, ადაპტაცია.

საოჯახო პედაგოგიკის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ბავშვის აღზრდა არასრულ ოჯახში.

ბავშვი ყოველთვის ღრმად განიცდის ოჯახის დაშლას. ოჯახების გაყრა, მაშინაც კი, როდესაც ყველაფერი ზრდილობისა და ურთიერთპატივისცემის ფარგლებში ხდება, ბავშვს ფსიქოლოგიურად თრგუნავს და ძლიერ განცდებს იწვევს მასში. რასაკვირველია, გაყოფილ ოჯახებშიც შეიძლება ბავშვის დახმარება, რათა მან დაძლიოს ის სიძნელეები, რომლებიც ოჯახის დაშლითაა გამოწვეული, მაგრამ ეს მოითხოვს ძალიან დიდ ძალისხმევას იმ მშობლის მხრიდან, რომელთანაც რჩება ბავშვი. როცა ოჯახის დაშლისას ბავშვის ასაკი 3-დან 12 წლამდეა, შედეგი განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობა მაშინ.

ოჯახის დაშლას და მშობლების დაცილებას ხშირად წინ უსწრებს მრავალთვიანი ოჯახური უთანხმოება და ჩხუბი, რომელთა დაფარვა ბავშვისაგან საკმაოდ ძნელია და მას ძალიან აღელვებს. გარდა ამისა, თავისი პრობლემებით დაკავებული მშობლები ზოგჯერ ბავშვსაც ცუდად ექცევიან, თუმცა ცდილობენ და გულწრფელად უნდათ, დაინდონ და თავს არ მოახვიონ მას საკუთარი პრობლემები.

ჩრდება კითხვა: რის გაკეთება შეიძლება დანგრეულ ოჯახში ბავშვის დასახმარებლად? მას უნდა განუმარტონ თუ რა მოხდა, საჭიროა ახსნა ვინმეს დადანაშაულების გარეშე, უნდა აუხსნან, რომ ასე ხდება ბევრ ოჯახში და სჯობია ყველაფერი დარჩეს ისე, როგორც არის.

ბავშვთა ოჯახში აღზრდის ამოცანები სკოლასთან, მასწავლებლებთან თანამშრომლობასა და მჭიდრო ურთიერთობაში უნდა წყდებოდეს. საოჯახო აღზრდა საერთოდ წარმოუდგენელია სკოლისა და საზოგადოებისაგან იზოლირებულად მიმდინარეობდეს. ოჯახმა რომ დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით გაართვას თავი, საჭიროა სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი მუდმივ ყურადღებას იჩენდეს მშობლებისადმი, დღენი-ადაგ ზრუნავდეს ბავშვთა საოჯახო აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

ბავშვთა საოჯახო აღზრდაში, მოსწავლეთა მშობლებთან მუშაობაში წამყვანი როლი აქვს კლასის ხელმძღვანელს. მას მოსწავლეთა მშობლებისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. მან უნდა იზრუნოს მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებაზე, უჩვენოს მშობლებს კონკრეტული გზა, ხერხი შვილების ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდისა. იგი მუდმივ ძიებაში უნდა იყოს იმ ეფექტური საშუალებებისა, რითაც დახმარებას აღმოუჩინს მშობლებს, ნათელს გახდის მათთვის, თუ როგორ წარმართონ თავიანთი შვილების მაღალზნობრივი თვისებებით აღზრდა.

კლასის ხელმძღვანელის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მოსწავლეთა ახალი კოლექტივის ჩაბარებისთანავე ყურადღებით შეისწავლოს თითოეული მისი წევრის სწავლისა და ცხოვრების პირობები. კლასის ხელმძღვანელმა პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს ოჯახში მოსწავლის დღის რეჟიმზე, გაეცნოს მოზარდისათვის განკუთვნილ სამუშაო კუთხეს, მოსწავლის ბიბლიოთეკას, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, მშობლებს ჰკითხოს რას აკეთებს ბავშვი თავისუფალ დროს, ვისი მეთვალყურეობის ქვეშაა მოზარდი სახლში როდესაც მშობლები სამსახურში არიან, დაუკვირდეს მშობელსა და შვილს შორის არსებულ ურთიერთობას, გაარკვიოს როგორ ეხმარებიან (ან თუ ეხმარებიან საერთოდ) მშობლები ბავშვებს მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევაში, რა პირობებია შექმნილი ოჯახში ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისათვის, რა შრომით საქმიანობას ეწევა მოზარდი, ეხმარება თუ არა იგი უფროსებს საოჯახო საქმეებში და ა.შ. კლასის ხელმძღვანელმა უნდა გაითვალისწინოს ოჯახის საყოფაცხოვრებო პირობები, მატერიალური და ეკონომიკური შესაძლებლობები, რადგან ყოველივე ამან შეიძლება დააბრკოლოს მოზარდისათვის ნორმალური საადმზრდელ პირობების შექმნა. კლასის ხელმძღვანელისათვის მშობლებთან საუბრისა და მოსწავლეთა ოჯახური პირობების გაცნობის შემდეგ, ნათელი უნდა გახდეს, როგორი მორალური ატმოსფეროა ოჯახში.

კლასის ხელმძღვანელმა აუცილებლად უნდა ჩაიწეროს მოსწავლის ზუსტი მისამართი, ოჯახის საერთო სტრუქტურა, მშობლების ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი. მოსწავლის ოჯახური პირობების დეტალურად შესწავლა ხელს შეუწყობს კლასის ხელმძღვანელს მშობლებთან მუშაობის სწორად წარმართვაში. კლასის ხელმძღვანელი არ უნდა აჩქარდეს, ჯერ კარგად უნდა შეისწავლოს თავისი კლასის მოსწავლეთა საოჯახო აღზრდის პირობები, კარგად გაეცნოს მშობლებს, გაიგოს მათი სურვილები, შეხედულებები, ხოლო შემდეგ გააკეთოს სათანადო დასკვნები.

მოსწავლეთა ოჯახების გაცნობას კლასის ხელმძღვანელი ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე უნდა შეუდგეს. გაესაუბროს მოსწავლეთა მშობლებს, გაიგოს როგორი

საადამიანურდელ პირობებშია შექმნილი ბავშვისათვის, მიიღოს მისთვის საჭირო აუცილებელი სხვა ცნობები. ეს პირველი, აუცილებელი საფეხურია, მაგრამ საკმარისი არ არის, ოჯახებთან კონტაქტები შემდგომში უფრო მჭიდრო უნდა იყოს.

კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეთა ოჯახების გაცნობას ძირითადად სახლში მისვლით, მშობლებთან საუბრით უნდა ახდენდეს, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება თვით მოსწავლეებსაც ჰკითხოთ რაიმე მშობლებთან დაკავშირებით ან საჭირო სხვა საკითხებზე. კლასის ხელმძღვანელს თუ მიაჩნია, რომ ზოგიერთი მოსწავლის ოჯახის შესახებ შედარებით ძუნწი ცნობები აქვს და თვით მოსწავლესთან ან მშობლებთან საუბრითაც ბევრი რამ ზუსტად ვერ გაიგო, მაშინ მას შეუძლია ე.წ. არაპირდაპირ გზას, ხერხს მიმართოს მოსწავლის საოჯახო პირობების, მშობლების უკეთ გასაცნობად. კლასის ხელმძღვანელს შეუძლია წინასწარ მოფიქრებულ, მისთვის გამიზნულ საკითხებზე ჩაატაროს წერა. ასეთი მიზანმიმართული წერით მან შეიძლება ბავშვებისაგან ზუსტად გაიგოს ისეთი ცნობები, რის ცოდნაც შემდეგში დიდ დახმარებას გაუწევს, მშობლებთან მუშაობაში. წერის შედეგების შესაბამისად განსაზღვრავს თუ რომელი მოსწავლის ოჯახთან როგორ იმუშაოს კლასის ხელმძღვანელმა, წერის ჩასატარებლად შეიძლება დაიხმაროს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ ასეთი თემები: “ჩემი დედა”, “როგორ ვატარებ დროს დასვენების დღეებში”, “ჩემი დაბადების დღე”, “მე და მამა”, “სამსახურის შემდეგ ჩვენს სახლში”, “ახალი წელი ჩვენს ოჯახში”, “როგორ ვატარებ ზაფხულის არდადეგებს ჩემს მშობლებთან ერთად” და სხვ.

საოჯახო თემატიკაზე თხზულების დაწერა მიზანშეწონილად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, იგი ხელს შეუწყობს კლასის ხელმძღვანელს მშობლებთან მუშაობის სწორად წარმართვაში.

მოსწავლეთა საოჯახო პირობების შესწავლის გარდა, კლასის ხელმძღვანელის მნიშვნელოვანი ფუნქციაა მშობლებთან პედაგოგიურ განათლებაზე ზრუნვა, მათი პედაგოგიური კულტურის ამაღლება. საოჯახო აღზრდის პრაქტიკაში არსებული მრავალი ხარვეზის მიზეზია სწორედ მშობლებთან დაბალი პედაგოგიური მომზადების დონე. აუცილებელია ყველა მშობელი ფლობდეს პედაგოგიის ელემენტარულ ცოდნას.

მშობლებთან ერთ ნაწილს ჰგონია, რომ მათ აღზრდის განუმეორებელი მეთოდები აქვთ შემუშავებული, არავითარი ცოდნის მიღება აღარ სჭირდებათ შვილის აღზრდისათვის. ზოგიერთ მათგანს მტკიცედ სჯერა, რომ იგი შესანიშნავად არის მომზადებული მშობლის მაღალი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

მშობლები დიდი სიფრთხილით უნდა ეკიდებოდნენ ბავშვის აღზრდას. თავად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ აღზრდის საკითხებზე და მხოლოდ საკუთარი შეხედულებებით და მოსაზრებებით არ წარმართონ ბავშვის აღზრდა.

მშობლებთან ერთი ნაწილი რომ დაბალი პედაგოგიური განათლების მქონეა, ეს მუდამაინდგება მასწავლებლებთან დამოკიდებულებაში, ზოგჯერ თვით ბავშვების მიმართ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ა.შ. ზოგიერთი მშობელი ხშირად გამოთქვამს გულისტკივილს მისი შვილის დაბალი აკადემიური მოსწრების გამო. ცხადია, ამაში არც ერთი საგნის მასწავლებელი არ არის დამნაშავე. მშობელი დარწმუნებული აცხადებს, რომ მისმა შვილმა ნამდვილად ისწავლა გაკვეთილები, ცხრილის მიხედვით ყველა საგანში მან თვითონ შეამოწმა ბავშვის ცოდნის დონე, უმეთვალყურეოდ არ ჰყავს მიტოვებული.... ასეთი აზრების გამოთქმა მშობლების მიერ ძალზე ხშირია. არც ისეა უცხო მასწავლებლებისათვის, როცა მშობლები უკმაყოფილებას გამოხატავენ სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს რომელიმე საგანში გამოცხადებულ ნიშანზე და ასახელებენ იმავე კლასის სხვა მოსწავლეს, რომელსაც უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვს, ვიდრე მათ შვილს და მოურიდებლად აცხადებენ, რომ ეს მასწავლებლების ტენდენციურობის შედეგია. ხშირია მშობლების არასწორი შეხედულების გამოვლენა მოზარდის ჩაცმაზეც.

ზოგიერთ მათგანს ჰგონია, რომ შეილის ამხანაგს, კლასელს, არ უნდა ეცვას მის ბავშვზე უკეთესად და ვალიც რომ აიღოს, აუცილებლად უყიდის ძვირფას ტანსაცმელს და ჩააცმევს. არიან ისეთი მშობლები, რომლებიც ბავშვის თანდასწრებით სავსებით დაუმსახურებლად აკრიტიკებენ მასწავლებლებს, აუგად იხსენიებენ.

აღნიშნული მოქმედების გამოვლინების შემთხვევებში მშობელთა გამართლება შეუძლებელია. მშობლები საკუთარი შეილების შესაძლებლობებს ნაკლებად ითვალისწინებენ, დაუმსახურებლად ითხოვენ შეილებისათვის მაღალ ნიშნებს. მშობლები მაშინაც არასწორად იქცევიან, როდესაც შეილებს ჩაცმაში აჯობებენ თანაკლასელ მოსწავლეებს ან მეგობრებს, მაგრამ იმას არ ფიქრობენ, როგორ იციან მათმა შეილებმა შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ტაბიძისა და სხვათა შემოქმედება, როგორ ერკვევიან ისინი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში, საერთოდ როგორია მათი შეილების ზოგადი განვითარების დონე.

ჩვენ აქ საოჯახო აღზრდის პრაქტიკაში არსებულ ნაკლოვანებათა მხოლოდ ზოგიერთი ფაქტი დავასახელებთ, თუმცა გულახდილობა გვმართებს აღვნიშნოთ, რომ აღზრდის სხვადასხვა სფეროებში ბევრი ხარვეზია გამოსასწორებელი. მშობლები აუცილებლად უნდა ერკვეოდნენ აღზრდის მეთოდებსა და პრინციპებში, მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნაში, აღზრდის, განათლებისა და სწავლების კანონზომიერებებში, მათ ობიექტურ კანონებში. ცხადია, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული საოჯახო აღზრდის ფაქტები მშობელთა დაბალ პედაგოგიურ კულტურაზე მეტყველებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი მშობლები, რომლებიც არასწორად აფასებენ პედაგოგიური განათლების როლს ბავშვთა აღზრდაში.

მშობელთა დასახმარებლად, მათი პედაგოგიური კულტურის ასამაღლებლად უნდა დაირაზმოს მთელი საზოგადოება.

წარსულში მშობელთა პედაგოგიური განათლების ამაღლებას ემსახურებოდა პედაგოგიური ცოდნის უნივერსიტეტები, სადაც საოჯახო აღზრდის საკითხებზე ლექციებს კითხულობდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, გარდა ამისა, საჯარო ლექციები ტარდებოდა სკოლებში მოსწავეთა მშობლებთან (რომელთა ხშირი ჩატარებაც აუცილებელია), ეწყობოდა რადიო და ტელეგადაცემები მშობელთათვის, მშობლებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აღზრდის განყოფილებასთან არსებული მშობელთა პედაგოგიზაციის კაბინეტი და ა.შ. ვფიქრობთ, ყოველივე აღნიშნულის გაუქმებამ, უარყოფამ საოჯახო აღზრდაში სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა, რასაც ჩვენი თითქმის ყოველდღიური ცხოვრება ადასტურებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მშობელთა პედაგოგიური განათლების ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი როლი აკისრია კლასის ხელმძღვანელს. ის უნდა იყოს მშობელთა შორის პედაგოგიური საქმის საუკეთესო პროპაგანდისტი. მან თითოეული მშობლისათვის ნათელი უნდა გახადოს, რომ ბავშვთა აღზრდა აუცილებლად წარმართონ პედაგოგიკის მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების დაუფლებით, მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით.

კლასის ხელმძღვანელის ფუნქციებში შედის აგრეთვე პედაგოგებისა და მშობლების ერთიანი მოთხოვნების გამომუშავება მოსწავლისადმი. როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, მოზარდის ზნეობრივი აღზრდა მაშინ ფერხდება, როცა სკოლა აღზრდაში ერთ ხაზს ატარებს, ხოლო ოჯახი – მეორეს; როცა აღმზრდელთა „ჰო“ და „არა“, „შეიძლება“ და „არ შეიძლება“ აბათილებენ ერთმანეთს და მოზარდი ცდილობს „მეტოქე“ აღმზრდელისაგან მიიღოს ის, რაზეც სხვა უარს ეუბნება, როცა ერთი სჯის იმისათვის, რისთვისაც მეორე აჯილდოებს. ამიტომ უფროსები, სანამ მოზარდის მიმართ რაიმე აღმზრდელობით ღონისძიებას გამოიყენებენ, წინასწარ უნდა შეთანხმდნენ, რამდენად მიზანშეწონილია და ეფექტიანია ეს ღონისძიებანი და ასე ერთიანად, შეთანხმებულად წარდგინენ მო-

ზარდის წინაშე. სამწუხაროდ, ხშირად ასე არ ხდება. სკოლა და ოჯახი უპირისპირდებიან ერთმანეთს. ოჯახი სკოლას კეთილშობილ მოკავშირედ კი არა, ღამის მოწინააღმდეგედაც თვლის. ხშირად ანალოგიური შეხედულება აქვს სკოლას ოჯახის მიმართაც. სკოლისა და ოჯახის, პედაგოგებისა და მშობლების ერთიანი მოთხოვნების საფუძველი უნდა იყოს მოსწავლეთა „ქცევის წესები“, რომლითაც განსაზღვრულია მოზარდის ქცევა და საქმიანობა სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებაში.

კლასის ხელმძღვანელმა მოსწავლეთა ქცევის წესების არსზე, მოსწავლისათვის მის მნიშვნელობაზე აუცილებლად უნდა ჩაატაროს საუბრები მშობლებთან. თითოეული მშობელი კარგად უნდა ერკვეოდეს რა ევალება, რა მოეთხოვება მის შვილს როგორც სკოლაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. პედაგოგებისა და მშობლების ერთიანი მოთხოვნების შემუშავებისათვის, სკოლისა და ოჯახის ურთიერთდახმარებისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მშობელი უნდა გზავნიდეს შვილს სკოლაში და დებულობდეს მას სკოლიდან „მოსწავლეთა ქცევის წესების“ მოთხოვნათა სრული დაცვით და ეს მოთხოვნა მან უნდა გადააქციოს ხელშეუხებელ კანონად. ეს არის მშობელთა მთელი აღმზრდელობითი მუშაობის ჯაჭვის ერთ-ერთი მთავარი რგოლი. მშობელი, რომელმაც თავიდანვე ხელიდან გაუშვა ეს რგოლი, აღარ არის ავტორიტეტი შვილისათვის და იგი სკოლის მოთხოვნაზე უმწეოდ პასუხობს „შვილი არ მიჯერებს“.

კლასის ხელმძღვანელს გარკვეული მუშაობის ჩატარება ევალება, რათა ბავშვის მომავალი არ შეეწიროს მშობელთა მიერ აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს. პედაგოგებსა და მშობლებს შორის ურთიერთდახმარებისათვის, ერთიანი მოთხოვნის სისტემის შემუშავებისათვის საჭიროა:

1. მოსწავლის მშობლები სისტემატურად ესწრებოდნენ მშობელთა კრებებს, ყურადღებით ისმენდნენ საოჯახო აღზრდის საკითხებზე წაკითხულ ლექციასაუბრებს, ზრუნავდნენ საკუთარი პედაგოგიური ცოდნის გაფართოებაზე, იღებდნენ საჭირო რჩევა-დარიგებას კლასის ხელმძღვანელისაგან ბავშვთა აღზრდის საკითხებზე.
2. მკაცრი კონტროლი დააწესონ შვილების მიერ დღის რეჟიმის, „მოსწავლეთა ქცევის წესების“ შესრულებაზე: დაკვირვება აწარმოოს როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათი შვილები კლასის ხელმძღვანელის, სკოლის პედაგოგიური კოლექტივის დავალებებს.
3. მშობლებმა ხშირად მიაკითხონ შვილებს სკოლაში, გაიგონ რა უჭირთ, რა დახმარება სჭირდება მათ, ან რა წარმატება აქვთ; სისტემატურად შეამოწმონ გაკვეთილების ცხრილის მიხედვით რომელი წიგნები და სასწავლო ნივთები უნდა წაიღონ ბავშვებმა სკოლაში, ყურადღება მიაქციონ ყოველდღიურად საშინაო დავალების შესრულებას. სიფრთხილე გამოიჩინონ მშობლებმა შვილისადმი მოთხოვნების წაყენებაში, გაითვალისწინონ მოზარდის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, ანგარიში გაუწიონ სკოლის მოთხოვნებს.
4. კლასის ხელმძღვანელი სისტემატურად ხვდებოდეს მოსწავლეთა მშობლებს, ატარებდეს მათთან საოჯახო აღზრდის საკითხებზე საუბრებს, აძლევდეს რჩევას მოზარდების აღზრდის გაუმჯობესების მიზნით.
5. სკოლის დირექცია, კლასის ხელმძღვანელი, საგნის მასწავლებლები სისტემატურ მეთვალყურეობას უწევდნენ რა აღმზრდელობითი მუშაობა ტარდება მშობელთა მიერ ბავშვთა მაღალზნეობრივი თვისებებით აღზრდისათვის.
6. კლასის ხელმძღვანელი ანგარიშს უწევდეს, ითვალისწინებდეს თავის მუშაობაში მშობელთა მოსაზრებას ბავშვთა აღზრდის საკითხებზე.
7. კლასის ხელმძღვანელმა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, მშობელთა ინდივიდუალური თავისებურებები, მათი განსხვავებული ხასიათები და ისე წარმართოს მათთან მუშაობა.

კლასის ხელმძღვანელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც ზუსტად იქნება ფიქსირებული როდის ჩატარდა მშობელთა კრება და რა საკითხზე, რამდენი მშობელი ესწრებოდა კრებას (დედა თუ მამა), ვისი მშობელი გამოვიდა სიტყვით და რის შესახებ ისაუბრა, რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული კრებაზე, რომელი მოსწავლის მშობელს ჩაუტარდა ინდივიდუალურად პედაგოგიური საუბრები და კონსულტაციები, რა ღონისძიებები ჩატარდა მშობელთათვის და ა.შ. მშობლებთან ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამით ნათელი ხდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე რა გააკეთა კლასის ხელმძღვანელის მიერ.

კლასის ხელმძღვანელმა საოჯახო აღზრდის გაუმჯობესების მიზნით, მშობელთა დასახმარებლად აუცილებელია ფართოდ გამოიყენოს პედაგოგიკის მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული მშობლებთან მუშაობის მასობრივი და ინდივიდუალური ფორმები.

მშობლებთან მუშაობის მასობრივ ფორმებს მიეკუთვნება: ლექცია-საუბრები, მშობელთა კონფერენციები საოჯახო აღზრდის გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების მიზნით, მშობელთა კრებები, მშობელთა ლექტორიუმები.

ენის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანია მოცემული სოციოკულტურული გარემოს რეალიების დაუფლება, რომელიც მოიცავს ერის კულტურის ყველა ასპექტს და იყოფა კატეგორიების მიხედვით: 1. ზოგადსაკაცობრიო ცოდნა (ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური ფაქტორი, მაგ. წელიწადის დროები, კვირის დღეები - მათი ეტიმოლოგია და შედარება ქართულის კვირის დღეებთან და ა. შ. 2. რეგიონალური ინფორმაცია (ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნებზე და მათ რეგიონებზე მასალების მოპოვება),

რომლებიც გამოირჩევა ეროვნული თავისებურებით, ყოფითი კულტურით, ტრადიციებით, ადათ-წესებით, ლიტერატურით, ფოლკლორით, მუსიკით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, ეროვნული კოსტიუმებით და ა.შ.

ეთნოკულტურული რეალიები მოიცავს დღესასწაულებს, მითოლოგიურ პერსონაჟებს, საცხოვრებელს, კულინარიულ პროდუქტს, სამოსს.

მსოფლიოში თითოეულ ერს გააჩნია საკუთარი კულტურა, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს მუსიკალური ინსტრუმენტები და ეროვნული სამოსი წარმოადგენს. მაგალითად, რაც შეეხება ქართულ ხალხურ ჩასაბერ საკრავს - **გუდასტვირს**, **საქართველოში** გავრცელებულია მისი რამდენიმე სახეობა: ქართული და რაჭული გუდასტვირი, აჭარული და მესხური **ჭიბონი** (ჭიმონი) და ფშავეური სტვირგუდა და დიდი შოტლანდიური სტვირი - **Scottish, Great Highland Bagpipe**, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ხმის ტემბრის სიმძლავრით / ზომით და ხვრელების რაოდენობით, ასევე შოტლანდიური, გამორჩეული და ინდივიდუალური სამოსი - **highland dress, tartan, kilt** და ქართული ეროვნული სამოსი "**ჩოხა**", რომელსაც საბრძოლო იარაღი, ხანჯალი ამშვენებს და ა. შ.

ხალხის მენტალიტეტისა და კულტურის შესახებ ცოდნის მდიდარი წყაროა ენის ფრაზეოლოგიური ფონდი. ფრაზეოლოგიზმები შეიცავენ ინფორმაციას ხალხის წარმოდგენებზე მითების, ადათ - ჩვევების, რიტუალების, ქცევის, ზნეობის, ყოფის, საერთოდ კულტურისა და ისტორიის შესახებ.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ფრაზეოლოგიის შესწავლა დასავლეთევროპული და ამერიკული ენათმეცნიერების კვლევის ერთ-ერთ ძირითად საკითხად ითვლება, რადგან, როგორც ენათმეცნიერებისათვის, ისე, მაგალითად, კულტუროლოგებისათვის, ეთნოლოგებისათვის და სხვა მომიჯნავე სამეცნიერო დარგის წარმომადგენლებისათვის აშკარა გახდა, რომ ენისა და კულტურის ანალიზი ფრაზეოლოგიური მონაცემების გარეშე არასრულყოფილი იქნება, რადგან მასში არეკლილია როგორც ენობრივი, ისე ამ ენის მატარებელთა კულტურული თავისებურებანი (3, 57).

ენის განვითარება მკაფიოდ ვლინდება ლექსიკის სფეროში. რაც უფრო მეტი კულტურული ფასეულობები გროვდება მოცემულ ენაში, მით უფრო მდიდარი ხდება მისი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური შემადგენლობა.

ანდაზებისა და გამონათქვამების დიდი რაოდენობა ასახავს სპეციფიკურ ეროვნულ ნიშანთვისებას, ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, ადათ-წესსა და ტრადიციებს. ცნობილია, რომ ანდაზა თუ გამონათქვამი ენობრივი კოლექტივის ვერბალური ფოლკლორის განუყოფელი ნაწილია, რომელიც თავისი რითმული წყობით წარმოადგენს მოკლე, მხატვრული გონებასახვილური შინაარსის მქონე დასრულებულ გამონათქვამს. იგი თავად წარმოადგენს საკომუნიკაციო კომპონენტის მქონე ყალიბს თავისი სტრუქტურული სემანტიკური და პრაგმატული ბუნებით, რომელშიც ჩაქსოვილია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი. თითოეული ეთნოსი, ბუნებრივია, მას ინდივიდუალური ფორმით გადმოსცემს.

რეალიების შემცველი ანდაზები და გამონათქვამები აგებულია ისტორიულ მოვლენებზე, ტრადიციებზე, ადათ-წესებზე, რიტუალებსა და ცრურწმენებზე. განსხვავებული ენის სამყაროს - ქართული და ინგლისური ანდაზები გამოხატავენ ერთსა და იმავე მნიშვნელობას, მაგრამ სხვადასხვაგვარად, თუმცა სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით ვაპულობთ ბევრ საერთოს ერთმანეთთან, რადგან მათში გადმოცემულია ცალკეული ერებისათვის დამახასიათებელი ნაცნობი ცნებები.

შევადართ ინგლისური და ქართული ანდაზები და გამონათქვამები:

A cat may look at a king - კატაც შეხედავს მეფესაო; მეფის შეხედვის უფლება კატასაც კი აქვსო; **A drop in the bucket** - წვეთი ვედროში. წვეთი ზღვაში; **A man is known by**

the company he keeps - კაცს იცნობენ თავისი წრის მიხედვით. მითხარ ვისთან მეგობრობ და გეტყვი ვინ ხარო; თუ კაცის ცნობა გინდა, ჯერ მისი მეგობრები იკითხეო; **A new broom sweeps well** - ახალი ცოცხი კარგად ჰგვის. ქართ. ახალი ცოცხი კარგად ჰგვის. ძველი მოატანს ქვიშასო ; **A tree is known by its fruit** - ხე ნაყოფით იცნობაო; როგორიც ტყე, ისეთი ნადირიო. როგორიც ქარხანაო, ისეთი თარხანაო; **Attack is the best form of defence** - თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა. გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო; **Best defence is offence** - თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა. იქით შეედავე - აქეთ შეგრჩებაო. გაღმა შეედავე- გამოღმა შეგრჩებაო; **Business before pleasure** - ჯერ საქმე, მერე სიამოვნება. ჯერ სწავლა, მერე გავლა. ჯერ შრომა, მერე სტომა; **Cristmas comes but once a year** - შობა წელიწადში ერთხელ მოდის; **Far from eye, far from heart** - თვალი შორსო და გულიც შორსო. თვალი რომ თვალს მოშორდება, გული გადასხვაფერდება; **Good seed makes a good crop** - თესლი კარგ მოსავალს იძლევა. რაც ხეა, ნაყოფიც ისეთიაო; **Love cannot be forced** - სიყვარული არ იქნება ძალად; **Man proposes but God disposes** - კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდანო; **My house is my castle** - ჩემი სახლი - ჩემი ციხესიმაგრეაო. ჩემი სახლი - ჩემი ციხე-დარბაზიაო; **To kill two birds with one stone** - ერთი ქვით ორი ფრინველის მოკვლა. კვიცსაც გავხედნი და მამიდასაც ვნახავო და ა.შ. (1).

ამა თუ იმ ხალხის ყოფის ტრადიციების, წეს-ჩვეულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს, ტრადიციებს, მატერიალურ კულტურას, სოციალურ ურთიერთობებს, სულიერ კულტურასა და ეთნიკურ ხასიათს, რომელსაც მნიშვნელოვანწილად ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავდა.

სტუმარმასპინძლობა ეს ადამიანის ქცევის წესია, ნორმა, ეტიკეტი, რომელიც ნებისმიერ ენაში გამოიხატება მეგობრული, თბილი ფრაზებით სტუმრების მიმართ, მათი გამასპინძლებით. სტუმარმასპინძლობის ენა გამოხატავს იმ გამოთქმებს, რომლებიც დაკავშირებულია სტუმრებთან საკომუნიკაციოდ. გამოვეყოფთ რამდენიმე ფრაზას, რომლებიც აქტუალურია როგორც ქართულის, ასევე ინგლისურის ენობრივი სურათისათვის. ასე მაგალითად: „ყოველი სტუმარი ღვთის გამოგზავნილია“ - “Every guest is God-sent”; „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ - Welcome!; „მთელი სულით და გულით მიღება“ - “to give a hearty welcome”; „მნიშვნელოვანი სტუმრის მიღება“ - “to give smb. the red-carpet treatment”; „იგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში“ - “to make somebody feel at home”; „სტუმრის გართობა“ - “to entertain guests”; „გადამეტებული სტუმართმყოფარების გამოვლენა“ - “to show extra-hospitality”; „მოსხარული ვართ, რომ გვეახელით“ - “I am (We 're) glad you could come; I am (We 're) glad you could drop (stop)by” და ა. შ.

როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში პრაქტიკულად ერთნაირად წარმოდგენილია ლექსემები პურ-მარილი, რომლითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე ერისათვის ამ პროდუქტს გააჩნია უპირველესი მნიშვნელობა: მაგალითად: **as I live by bread** - პატიოსნად რომ ვთქვა; **break bread with somebody** - ვინმესთან პურის გატეხვა; **by bread and salt** - ვფიცავ ღმერთს „პურ - მარილით!"; **daily bread** - პური ჩვენი არსობისა; **eat (take) bread and salt, eat somebody's bread and salt** - პურ-მარილის მირთმევა, ფიცის დადება და ა. შ.

ლინგვოკულტურული ცოდნის გაღრმავება შესასწავლი ქვეყნის შესახებ ხელს შეუწყობს სტუდენტებს სხვა კულტურებისა და ხალხთა პატივისცემის ფორმირებაში, საქმიანი, ერთობლივი პრობლემების გადაჭრაში. სხვადასხვა პროექტის მომზადების მიზნით საჭიროა სტუდენტ - პარტნიორებმა აწარმოონ სასწავლო შემეცნებითი, კვლევითი, შემოქმედებითი საქმიანობა. ამჟამად, სტუდენტებს ეძლევათ ფართო შესაძლებლობა გამოიყენონ ქსელური კავშირები ურთიერთშორის ინფორმაციის, აზრების

ურთიერთგაცვლის, პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. მაგალითად: ელექტრონული ფოსტა, ფეისბუქი, აუდიო-ვიდეო-კონფერენციები, სოციალური სერვისები (ვებსაიტები).

მასალის შესწავლისა და განმტიკებისათვის საჭიროა ჩატარდეს შემდეგი სახის აქტივობები, რომელიც შეიძლება შესრულდეს როგორც პრაქტიკულ მეცადინეობებზე, ასევე შინ: საუბრები, დისკუსიები, ერთობლივად პრობლემების გადაწყვეტა, ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება, ესეების, მოხსენებების პრეზენტაციების, სარეკლამო პროექტების მომზადება და ა. შ.

მაშასადამე, მშობლიური და უცხო კულტურის დაახლოება, სტუდენტთა მიერ ინფორმაციის მოძიება, შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზის ჩატარება ხელს შეუწყობს მათ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებასა და უცხოური ენის უკეთ დაუფლებაში.

ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა ენის სწავლების პროცესში საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაიმდიდრონ თავიანთი ლექსიკური ფონდი, განავითარონ შემეცნებითი აქტივობა, ღრმად შეისწავლონ შესასწავლი ენის ქვეყნების ისტორია, კულტურა და ტრადიციები.

ლიტერატურა:

1. ინგლისური ანდაზები და ხატოვანი თქმანი. შემდგენლები: ი. გვარჯალაძე და ჯ. მჭედლიშვილი, თბ., 1970.
2. ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 2008.
3. Cowie A. P. Theory, Analysis, and Applications; Oxford Studies in Lexicology. Oxford: Clarendon Press, 1998.
4. Ахманова О. С. Словарь лингвистических терминов. М., 2007.
5. Маслова В.Л. Лингвокультурология. М., 2001.

მანანა შელია
ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა უცხოური ენის სწავლებისას
რეზიუმე

ლინგვოკულტუროლოგიური მასალის შესწავლა წარმოადგენს კომუნიკაციური კომპეტენციის მნიშვნელოვან კომპონენტს. როგორც ცნობილია, ენა ბევრ ინფორმაციას იძლევა ამა თუ იმ ერის კულტურის, ცნობიერების, მენტალობის შესახებ. ენის განვითარება მკაფიოდ ვლინდება ლექსიკის სფეროში. რაც უფრო მეტი კულტურული ფასეულობები გროვდება მოცემულ ენაში, მით უფრო მდიდარი ხდება მისი ლექსიკური შემადგენლობა, კერძოდ კი მისი ტერმინოლოგიური ფონდი.

წინამდებარე ნაშრომის მიზნია ლინგვოკულტუროლოგიის როლის განსაზღვრა ეროვნულ-კულტურული ინფორმაციის გაგებაში. ხალხთა ისტორიისა და კულტურის კავშირი ენასთან განსაკუთრებით ნათლად ვლინდება შესასწავლი ენის ქვეყნის რეალიების ღრმად შესწავლაში.

უცხოური ენის დაუფლების პროცესში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ საფუძვლიანად შეისწავლონ იმ ქვეყნების ისტორია, კულტურა და ტრადიციები, რომელსაც ისინი სწავლობენ.

Manana Shelia

**Linguo-Cultural Approach in Foreign Language Teaching
Summary**

The main task of linguoculturology is language study reflecting cultural, social state, and national features of people speaking this or that language possessing the culture with all its self-belonging peculiarities

The paper aims to discuss the problem of students' activation, interest and involvement in the process of foreign language teaching. The main object of linguo-culturology is interrelation of language and culture. A special attention is focused on the linguistic aspect.

Linguocultural information in educational process provides increase of informative activity of students, expands their communicative opportunities and promotes development of their linguistic, communicative and analytical skills as well.

დავით სანდოძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

მეორე მსოფლიო ომი და საქართველო

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიის ჯარები შეიჭრნენ პოლონეთში. 3 სექტემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა პოლონელებისადმი გაცემული გარანტიის თანახმად, ომი გამოუცხადეს ფაშისტურ გერმანიას. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო. ომში მონაწილეობდა 61 ქვეყანა, სადაც დედამიწის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობდა. საბრძოლო ოპერაციები მიმდინარეობდა ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და აგრეთვე ყველა ოკეანეში. მეგრძოლი ქვეყნების არმიებში გაწვეული იყო 110 მილიონი ადამიანი, ომი 6 წელი გაგრძელდა და თითქმის 60 მილიონი ადამიანი შეიწირა, რომელთა ნახევარს სამოქალაქო მოსახლეობა შეადგენდა, რომელიც დაიღუპა ბომბარდირების, მასობრივი დახვრეტების, საკონცენტრაციო ბანაკებში წამების, შიმშილისა და დეპორტაციის შედეგად. ეს მონაცემები მეტყველებენ ომის საშინელ სისასტიკეზე. ომის მსვლელობის დროს განადგურდა კოლოსალური მატერიალური ფასეულობანი, ამ ომში პირველად გამოჩნდა რაკეტული და ატომური იარაღი – XIX საუკუნის ყველაზე საშინელი იარაღი.

ქრონოლოგიურად მეორე მსოფლიო ომი შეიძლება დაიყოს სამ პერიოდად. პირველი პერიოდი მოიცავს დროს 1939 წლის სექტემბრიდან 1942 წლის ივნისამდე, როდესაც ფაშისტი აგრესორები აფართოებდნენ თავიანთ დაპყრობილ ტერიტორიებს. მეორე პერიოდი 1942 წლის ივნისიდან 1944 წლის იანვრამდე – ესაა გარდატეხის პერიოდი, როდესაც ინიციატივა ანტიჰიტლერული ძალების ხელში გადავიდა და 1944 წლის იანვრიდან 1945 წლის 2 სექტემბრამდე, როდესაც ომი დამთავრდა ანტიჰიტლერული ძალების გამარჯვებით, სადაც მთავარი როლი საბჭოთა კავშირს ენიჭებოდა და რომლის სათავეში იმხანად ეროვნებით ქართველი გენერალისიმუსი იოსებ სტალინი იდგა.

მეორე მსოფლიო ომს საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეხვდა, იმ საბჭოთა კავშირისა, რომელსაც 1941 წლის 22 ივნისს მუხანათურად თავს დაესხა ფაშისტური გერმანია, რის შედეგადაც ფაშისტთა ჯარებს ომის პირველ პერიოდში წარმატება ჰქონდათ. მტერმა ხელში ჩაიგდო საბჭოთა კავშირის ვრცელი ტერიტორია დიდმნიშვნელოვანი ქალაქებითა და სამრეწველო ცენტრებით, საბჭოთა ხალხმა დიდი ზარალი განიცადა და განსაკუთრებით დაზარალდა უკრაინის ტერიტორია, რომელიც მთლიანად გაეხვია ომის ქარცეცხლში.

ქართველი მეომრები ომის დაწყების პირველივე დღეებიდანვე ჩაებნენ ცეცხლოვან ბრძოლებში უკრაინის მიწაზე. იმ მძიმე ეპოპეასა და ეპოქას დიდმა ქართველმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ მგზნებარე ლექსი უძღვნა:

„გადუღეკავთ მხარე ვრცელი,
ბარბაროსებს ახალ გუნებს,
როგორც შურის მძიებელი
დნეპრი ოხვრით მოდუღუნებს.
მაგრამ ახლო, ახლო არის
გაზაფხულის დღე უებრო,
და ყინულთა არემარეს
ქარიშხალი დასძრავს დნეპრსო,
უსწრაფესი გაქანებით
საქმე, ფიქრი ვინ არ განდოს?
მტერი ხალხთა მრისხანებით
საბოლოოდ გაიფანტოს,
არა ლოდის და არა ქვის
ჟღერდეს შენთან გრძნობათ წყარო,
დნეპრო მტკვრისა და არაგვის
ძველისძველო მეგობარო“ (3, 63).

სამამულო ომის დაწყებიდანვე, უკრაინის მიწაზე იბრძოდნენ ქართველი მფრინავები: ჭ. ბენდელიანი, ა. დაჩანიძე, შ. ძამაშვილი, გ. ჯაბადარი, გ. ინასარიძე, შ. ლებანიძე. მსროლელები: პ. აბრამიძე, შ. გოლოლიშვილი, ვ. ქირია, ა. ინაური, ა. ბობოხიძე, ტ. ლაშხია და სხვები.

კიევთან, პერემიშლთან, რავა-რუსკაიასთან იბრძოდნენ: გ. ჩიკვაიძე, გ. კახიანი, კ. კასრაძე, ს. ტაბატაძე, ს. ცომაია, პ. კურტანიძე, ზ. ბასილაური, ვ. აბულაძე.

ოდესისათვის ბრძოლებში თავი ისახელეს: ი. ურუშაძემ, ი. არზიანმა, დ. ვარდანაშვილმა, ვ. ქათამაძემ, ი. კლდიაშვილმა, ა. მეტრეველმა, შ. ხოჯანაშვილმა, ა. ჩხაიძემ, გ. ფაღაღამ, მ. ბაქრაძემ, ვ. პატარიძემ და სხვებმა.

სევასტოპოლის გმირულად დაცვაში მონაწილეობას იღებდნენ მებრძოლები: ა. გეგუშიძე, ა. წურწუშია, ი. იოსელიანი, მ. გახოკიძე, კ. ტყაბლაძე, გ. მერკვილაძე, გ. სხულუხია, ნ. ადამია, ვ. ჯიქიძე, ნ. ანანიაშვილი.

ყირიმის ბრძოლებში გმირულად დაეცნენ: ბოსტაშვილი, ვადაჭკორია, ლაჩაშვილი, შვანგირაძე, აკობია, ნანიტაშვილი. სიჭინავა, თათრიშვილი, შენგელია, თავი ისახელეს ს. ჩხაიძემ, გ. სამხარაძემ, ვ. პაპიძემ, ვ. ზუმბულაძემ, დ. ჯაბიძემ, ზ. ხიტაშვილმა, ი. ჯინჭარაძემ, ვ. პაპიძემ, ვ. ზუმბულიძემ, დ. ჯაბიძემ, ზ. ხიტაშვილმა, ი. ჯინჭარაძემ, დ. ტაბიძემ, ი. იოსელიანმა, ა. კანანაძემ (10, 115-126).

1942 წლის ივნისში შეიქმნა პარტიზანული მოძრაობის შტაბი უკრაინაში. პარტიზანთა რიგებში ათასობით უშიშარი მეომარი იბრძოდა და სამარადისო დიდება მოიხვეჭეს. პარტიზანული მოძრაობის ისეთმა მეთაურებმა, როგორებიც იყვნენ ს. კოვპაკი, ა. ფეოდოროვი, ს. რუდნევი, კ. ზასლონოვი, ა. საბუროვი და სხვ.

ს. კოვპაკის ლეგენდარულ დივიზიაში ერთ-ერთ პოლკს მეთაურობდა ქართველი პარტიზანი დავით ბაქრაძე.

მეტყვიამფრქვევე პარტიზანი იყო ივანე რეხვიაშვილი, კოველის ტყეში იბრძოდა მამაცი პარტიზანი მიხეილ გეწაძე. სახელი გაითქვეს აგრეთვე გ. მეკოკიშვილმა, ე. ოდიშარიამ, ე. ვახტანგიშვილმა, მ. ქავთარაძემ, ა. ქაროსანიძემ და სხვებმა.

ყირიმში მოქმედებდნენ ა. გვალიასა და ს. ჩაჩხიანის პარტიზანული რაზმები, რომლებმაც სახელი გაითქვეს მთელს უკრაინაში თავიანთი ბრძოლებით.

1944 წელს გერმანელმა ფაშისტებმა წამებით მოკლეს გმირი ქართველი პარტიზანი ქალი ზოია რუხაძე, რომელიც სიმფეროპოლში იბრძოდა.

უკრაინის საზღვაო ქალაქების დაცვისათვის მამაცურად იბრძოდნენ ქართველი მეზღვაურები: ი. იოსელიანი, ა. კაპანაძე, მ. სირაძე, მ. ბაქრაძე, ვ. პატარიძე, პ. უკლება, გ. ქირია და სხვები (13, 40-45).

საქართველოში თითქმის არ მოიძებნება ოჯახი, რომელსაც ახლობელი არ დაღუპვოდა ქერქში. აჯიმუშკაის დაღუპული გარნიზონის გმირები იყვნენ მ. გეგეჭკორი და ი. ოდიკაძე (9, 38-39).

უკრაინის მიწაზე მამაცური სიკვდილით დაეცა ქართველი სერჟანტი – ქარელის მკვიდრი დავით ყიფიანი (2, 210-212).

უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მონაწილეობდნენ ქართველი გენერლები: პ. ჩანჩიბაძე, კ. ლესელიძე, ნ. თაგართქილაძე, კ. ჯახუა, მ. მიქელაძე, შ. ჭანკოტაძე, გ. ჯინჭარაძე, შ. ქირია, ვ. ნანეიშვილი (11, 24).

სამამულო ომის წლებში, ხარკოვის, კიევისა და კარპატების სამხედრო საბჭოს წევრი იყო ცნობილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწე 1953-1972 წლებში ვასილ პავლეს ძე მუჟანაძე (11,124).

უკრაინაში იბრძოდნენ ქართველი ქალებიც: ღარისა ხუბულური, ლენა კერვალიძე, ეთერ კერესელიძე. ხოლო ფრონტებზე მებრძოლების მხარდამხარ იდგნენ ქართველი სამხედრო ექიმები: დ. ასათიანი, თ. ხორხელი, გ. აბაშიძე, ვ. იაშვილი, გ. კვიციანი, გ. მათეშვილი და სხვა (13, 54-62).

სამამულო ომში საქართველომ საბჭოთა კავშირს მისცა 164 საბჭოთა კავშირის გმირი, აქედან 41 ბრძოლებში დაეცა. მათი დიდი ნაწილი, სწორედ უკრაინაში იბრძოდა და ოქროს ასოებით ჩაიწერნენ მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში, აი მათი სახელები: ნ. ადამია, ლ. ავალიანი, ა. ასკაროვი, ს. ასლამაზიშვილი, ნ. ბალი, დ. ბაქრაძე, გ. ბახტაძე, ჭ. ბენდელიანი, ნ. ბერია, ვ. ბეროშვილი, გ. ბერუაშვილი, გ. ბილანიშვილი, მ. ბოსტანჯიანი, გ. ბუაჩიძე, ა. ბულგაკოვი, გ. გაბრიაძე, კ. გავერილოვი, ს. გალუსტაშვილი, ე. გარანიანი, ბ. გარინი, მ. გახოკიძე, ა. გეგეშიძე, დ. გერასიმუკი, დ. გვანცელაძე, ი. გვენცაძე, გ. გოცირიძე, ს. გრიგორიანი, ვ. გუბელაძე, ა. გურგენიძე, ლ. დარბინიანი, გ. დერმანოვსკი, ი. დუბლი, ვ. ესებუა, ფ. ზუბალოვი, ბ. ზუმბულიძე, ნ. ივანოვი, ა. კანანაძე, გ. კილასონია, ს. კოზანოვი, ი. კოკოსკირია, კ. კრასავინი, ვ. ლეჟავა, კ. ლესელიძე, ბ. ლიტვინუკი, პ. ლოკტიონოვი, კ. მებალიშვილი, ა. მელითიანი, გ. მერკვილაძე, ბ. მუსტაფაევი, ვ. ნანეიშვილი, ვ. ოჩელენკო, ვ. პაპიძე, ი. პოპოკოვი, გ. რაზმაძე, ი. რიჩაკოვი, გ. საბანოვი, გ. სამხარაძე, გ. სამხარაძე, მ. სირტლანოვა, ს. სლუხარევი, პ. სორდია, გ. სურამელაშვილი, გ. სხუდუხია, აკ. ტერელაძე, ნ. ურუშიძე, შ. ქირია, კ. ყოჩიევი, ვ. შაპირო, გ. შენგელია, გ. შმაროზოვი, შ. შურღალია, ა. ჩაკრიანი, პ. ჩანჩიბაძე, ო. ჩეჩელაშვილი, ვ. ჩიქოვანი, ვ. ჩოჩიევი, ლ. ჩუბინიძე, ვ. ჩხაიძე, ს. ჩხაიძე, ი. ციციშვილი, კ. ცუცქერიძე, ი. ცხოვრებოვი, პ. წიქორიძე, აღ. წურწუშია, ს. ჭიღლაძე, კ. ხოჯიევი, ზ. ხიტალიშვილი, ნ. ხოდოსოვი, დ. ჯაბიძე, თ. ჯაფარიძე, ი. ჯინჭარაძე (8, 7-47).

საქართველოს მთელმა მოსახლეობამ ძმური ხელი გაუწოდა ფაშისტებისაგან დარბეულ და დაზარალებულ უკრაინის მოსახლეობას, ომის დაწყების პირველივე დღეებიდან საქართველოში ევაკუაცია დაიწყო ბავშვთა სახლებმა უკრაინის ქალაქებიდან. 1941-1942 წლებში მარტო ყირიმის ნახევარკუნძულიდან საქართველოში ევაკუირებული იქნა 50 ათასზე მეტი ადამიანი.

1941 წლის 2 ოქტომბრით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ – „თბილისში ხარკოვიდან ევაკუირებულია უკრაინელი მწერალი ი. ტ. სნეგიროვი, როგორც ავადმყოფი თავისი ოჯახით. სნეგიროვი გამოცხადდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან გ. სტურუასთან, იგი არის უბინაოდ. არა აქვს არავითარი სახსარი. საქართველოს მწერლების კავშირის პრეზიდიუმი სთხოვს თბილისის მშრომელთა და დეპუტატთა საბჭოს რათა სნეგიროვს აღმოუჩინოს საჭირო დახმარება“ (6, 5).

30 ოქტომბერი, 1941 წელი. მილიციის მთავარი სამმართველოს მმართველს – ქართველი მწერლების კავშირი გთხოვთ თქვენ, რომ ჩაწეროთ უკრაინელი მწერალი ტ. კაგანოვიჩი და მისი ცოლი ე. სიგალოვსკაია, მწერალი ქალის მარია ბარათაშვილის სახელში“ (6, 7).

მაღალკვალიფიციური ქართველი სპეციალისტები, სამეურნეო მშრომელები და კულტურის მოღვაწეები, ენერგიას არ იშურებდნენ მოძმე უკრაინის დასახმარებლად: – მახარაძის რაიონის სოფელ შრომის მშრომელებმა ომის დროს მილიონი მანეთი გადარიცხეს სახელმწიფო საღაროში – საომარი მანქანების გასაკეთებლად და თხოვნით მიმართეს უმაღლეს მთავარსარდალს ი. სტალინს, რომ მათი თანხით გაკეთებული ტანკები გამოყენებული ყოფილიყვნენ უკრაინის გასანთავსუფლებლად, მათვე გაუგზავნეს უკრაინის მშრომელებს გენიჩესკის რაიონში: 500 ფუთი ხორბალი, 1200 ლიტრი ღვინო, 400 ლიტრი არაყი, ერთი ვაგონი ციტრუსები და ხილი, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები (12, 119-126).

უკრაინის სხვადასხვა ფრონტებზე არაერთი ქართველი მწერალი და პოეტი იყო გაგზავნილი. მაგალითად 1942 წლის თებერვალში დონბასში მებრძოლებს პატრიოტულ ლექსებს უკითხავდნენ და მასალებს აგროვებდნენ პოეტები ა. მაშაშვილი და ი. მოსაშვილი. 1942 წელსვე ყირიმში ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ მებრძოლთა შორის: ი. აბაშიძე, კ. ლორთქიფანიძე, ბ. ჩხეიძე, ს. თავაძე (7, 6-7-8).

კინოკამერით ხელში იარა ომის გზებზე საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კინორეჟისორმა შალვა ჩაგუნავამ. მან შექმნა მრისხანე წლების ფასდაუდებელი კადრები, „ისინი ყირიმს იცავდნენ“ (1, 210).

1944 წელს საქართველოს მწერლების კავშირის დავალებით პოეტი სიმონ ჩიქოვანი კიევში მაქსიმ როლსკის წერდა: – „მხურვალედ მოგესალმებით ძვირფასო მაქსიმ თადეს ძვე გილოცავთ უკრაინის მწერლების კავშირის თავმჯდომარედ არჩევას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ უკრაინული და ქართული ლიტერატურა უფრო ნათლად ასახავს ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობას, რომელიც განმტკიცებულია ბრძოლის ველზე დაღვრილი სისხლით“ (4, 2).

მეორე მსოფლიო ომი 1945 წელს მოკავშირეთა ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა ფაშიზმზე. ომის შემდგომ წლებში ყოველთვის ღირსეულად მიაგებდნენ პატივს იმ მრისხანე დღეებს და ომში დაღუპულ მებრძოლებს. განსაკუთრებით არ ივიწყებდნენ ქართველთა შემართებას უკრაინაში.

მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 600 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის 300 ათასზე მეტმა საქართველოს შვილმა სისხლით მორწყო მოძმე ქვეყნის – უკრაინის მიწა და ბევრი მამაცური სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე.

უკრაინაში დღემდე არ ივიწყებენ ქართველ გმირებს და მათ საფლავებს (5, 11), გმირებს რომლებმაც თავი შესწირეს მსოფლიოში მშვიდობის, ადამიანთა შორის სიკეთისა და მომავალი ბედნიერი ცხოვრების სიცოცხლის გაგრძელების ნათელ საქმეს.

ლიტერატურა:

1. დიადი მეგობრობის ნაპირი. კრებული, თბილისი – სიმფეროპოლი 1982.
2. კოკალიშვილი ა., ლაპარაკობენ დაღუპული გმირები, თბ., 1970.
3. ონიანი ვ., უკრაინელი და ქართველი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობა. თბ., 1954.
4. სუიცა, ფონ. 8, აღ. 1, საქ. 987, ფურც. 2.
5. სუიცა, ფონ. 1717, აღ. 1, საქ. 456, ფურც. 11.
6. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, სუიცა, ფონ. 8, აღწ. I, საქ. 878, ფურც. 5; 7.
7. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, სუიცა, ფონ. 8, აღ. 1, საქ. 971, ფურც. 6, 7, 8.

8. ცკიტიშვილი კ., ჩინხალაკაშვილი ტ., საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან, თბ., 1977.
9. ჯანჯღაფა ვ., აჯიმუშკაის ტრაგედია, თბ., 1989.
10. Из истории Украинского-Грузинских связей, II, Киев, 1971.
11. Из истории Украинского-Грузинских связей, II, Киев, 1971.
12. Из истории Украинского-Грузинских связей, III, Тб., 1975.
13. Матиашвили А., Дружба и братское сотрудничество украинского и грузинского народов в период великой отечественной войны (1941-1945), Тб., 1986.

დავით სანდოძე
მეორე მსოფლიო ომი და საქართველო
რეზიუმე

1939 წლის 1 ოქტომბერს გერმანული ჯარის შეჭრით პოლონეთში დაიწყო II მსოფლიო ომი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი აღმოჩნდა. ომი გაგრძელდა 6 წელიწადს და მასში დაიღუპა 60 მილიონი ადამიანი. ამ ომში პირველად გამოჩნდა სარაკეტო და ატომური იარაღი.

II მსოფლიო ომს საქართველო შეხვდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რომელსაც ფაშისტური გერმანია თავს დაესხა 1941 წლის 22 ივნისს. საბჭოთა კავშირის სათავეში იდგა იოსებ სტალინი. ქართველები ომის დაწყებისთანავე ჩაერთვნენ ბრძოლაში. განსაკუთრებით კი უკრაინის ტერიტორიაზე.

ქართველები გმირულად იბრძოდნენ პარტიზანულ რაზმებში როგორც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ასევე საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში. საქართველოს მოსახლეობა დახმარებას უწევდა დანგრეულ და დაზარალებულ რესპუბლიკებს, განსაკუთრებით კი უკრაინელ ხალხს.

მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო 600 000 ადამიანმა, მათ შორის 300 000 გმირულად დაიღუპა. საქართველოში ამ დროს არსებობდა 164 საბჭოთა კავშირის გმირი. ამთგან 41 დაიღუპა, უმრავლესობა უკრაინის ტერიტორიაზე.

იმ ადამიანთა ხსენება, რომლებმაც თავი დასდეს მშვიდობის დასამკვიდრებლად და სიცოცხლის გასაგრძელებლად მარადიული იქნება.

David Sandodze
World War II and Georgia
Summary

The paper touches upon the issue related to World War II and the Georgians heroic deeds and contribution.

The Second World War, which in the history of mankind was the bloodiest, started on October 1, 1939, when German troops attacked Poland. The war lasted six years and killed 60 million people. In this war, rocket and nuclear weapons first appeared. In The Second World War, Georgia participated as part of the Soviet Union lead by J. Stalin, which was attacked by fascist Germany in 1941. The Georgians were one of the first to join the military actions, especially on the territory of Ukraine. The Georgian fighters fought heroically in guerrilla formations both on Soviet territory, in France, Italy, Poland and other countries. The Georgian population as a whole provided fraternal assistance to the devastated and suffered Soviet republics, especially to the Ukrainian people. More than 600 thousand people from Georgia took part, among them more than 300 thousand died heroically in the war. 164 Georgian soldiers became heroes, among them 41 were killed in the battle, most of them in Ukraine. Those who died in the Second World War lost their lives to protect their homeland and establish peace.

Марина Алексидзе

Доктор филологических наук, ассоциированный профессор

Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили

**Концепт «уступительность» в сопоставительном аспекте
(на материале русского и грузинского языков)**

Уступительные конструкции давно привлекали и продолжают привлекать к себе внимание лингвистов разных направлений и школ. В русистике этот вопрос достаточно подробно разработан, некоторые уступительные слова и конструкции описаны весьма детально. В грузинском языкознании последовательное и системное описание явления концессивности на сегодняшний день отсутствует. Уступительные отношения и являющиеся их репрезентантами синтаксические структуры не были также описаны в грузино-русской сопоставительной лингвистике. Мы решили сосредоточить внимание на сопоставительном аспекте изучения уступительных конструкций и описать разнообразные синтаксические средства выражения уступительных отношений в русском и грузинском языках.

С направлением изучения языка от значения к форме связан функциональный подход к языку, предполагающий изучение единиц языка с учетом их функций и взаимодействия в речи. В функциональной грамматике используется полевой подход к языковой системе, предполагающий рассмотрение языка не как системы ярусов, а как системы функционально-семантических полей, каждое из которых объединяет разноуровневые языковые средства, выражающие в языке близкие или сходные значения. Главный признак поля – это «наличие у языковых средств, входящих в данную группировку, общих инвариантных семантических функций» [Бондарко 1984:40]. Внутри каждого поля есть определенная упорядоченность, иерархия средств разных уровней, которые объединены не только сходством значения, но и соотносительностью функций. Выделение в рамках ФСП центра и периферии помогает осмыслить правила выбора той или иной языковой единицы в конкретных актах речи.

Для сравнительного изучения таких разноструктурных языков, какими являются русский и грузинский, нам представляется плодотворным подход, предложенный В.С. Храковским. Согласно этому подходу, за основу должен браться семантический концепт, а не его конкретные реализации, поскольку лишь семантический подход дает возможность включить в концепт уступительность как прототипические, так и непрототипические уступительные конструкции, встречающиеся в разных языках (5, 24).

Исходя из теории ФСП, мы рассматриваем средства языковой объективации концепта «уступительность» (концессивность) как функционально-семантическое поле и анализируем его синтаксические репрезентанты в русском и грузинском языках. Как и в любом другом поле, здесь выделяются центральная (немаркированная, прототипическая) и периферийная (маркированная, маргинальная, непрототипическая) зоны. Собственно уступительные конструкции представлены как в русском, так и в грузинском языках сложноподчиненными, сложносочиненными, бессоюзными сложными, простыми (осложненными) предложениями. Для обоих сопоставляемых языков нам представляется релевантным деление концессивных конструкций на собственно уступительные, условно-уступительные и генерализованные (универсальные). В данной статье мы рассматриваем собственно уступительные (концессивные) конструкции в русском и грузинском языках.

Поскольку в любой уступительной конструкции взаимодействуют две ситуации, естественно предположить, что центральной (немаркированной, прототипической) конструкцией будет бипредикативное предложение. В обоих сопоставляемых языках центр ФСП концессивности образуют сложноподчиненные предложения с придаточной частью, вводимой различными уступительными союзами. В русском языке к собственно уступительным подчинительным союзам

причисляются союзы *хотя, хоть* (разг.), *пусть, пускай*, *несмотря на то что, невзирая на то что* (офици.), *даром что* (устар. и прост.), *независимо от того что, при том что, при всем том что, вопреки*, в грузинском – *თუმცა* (*თუმცა*, *თუმცადაც*), *ძოუხედავად* *ოდობა* *ბრძ*, в основе которых лежит нарушение причинно-следственной связи.

С точки зрения линейного синтаксиса в concessивных конструкциях, оформленных как сложноподчиненные предложения, в обоих сопоставляемых языках реализуются все логически возможные варианты порядка следования частей: зависимая часть предшествует главной, может находиться в пост- и интерпозиции к ней. Анализ примеров показывает, что наибольшим прагматическим потенциалом обладают конструкции с препозитивной придаточной частью. В русском языке интерпозиция придаточной части с союзом *хотя* оказывается маркированной в смысловом отношении, поскольку предметом уступительной квалификации оказывается лишь тот или иной элемент главной части. Такая уступительная часть сближается с вводным предложением и характеризуется как добавочное, менее важное сообщение: *В старинном громадном камине, несмотря на жаркий весенний день, пылали дрова*. Что касается позиции самих уступительных союзов в придаточной части, то как в русском, так и в грузинском языках она строго не закреплена: уступительный союз обычно находится в начале придаточного предложения, реже может находиться внутри уступительного придаточного.

Двухкомпонентность уступительных отношений предопределяет собою глубину передаваемой информации: уступительная связь, с одной стороны, входит в систему сложноподчиненных конструкций, выражающих отношения внутренней обусловленности, с другой стороны, тесно сопрягается с противительностью, оформляемой средствами сочинения. Отсюда вытекает специфическая особенность уступительных конструкций, заключающаяся в возможности оформления в них уступительных отношений посредством комбинации подчинительных и сочинительных союзов. Причем в такую комбинацию (в основном с противительным союзом *но*) могут вступать только союзы *хотя* (*хоть*), *пускай* (*пусть*). Противительный союз обычно сопровождается конкретизатором *но зато, но все-таки*. Concessивные конструкции с комбинацией уступительного и противительного союза, как *хотя - но, пусть - но, правда - но*, отличаются от конструкций только с уступительным союзом фиксированного следования частей – придаточная часть всегда в препозиции. При препозиции главной части противительный союз в ней не используется. Напр., *Хотя было еще рано, но ворота оказались запертыми. Федор хоть и начальник, но все-таки сосед*.

Грузинские соответствия русским собственно concessивным конструкциям с двухместным показателем связи, как правило, бывают оформлены также при помощи двухместного союза *თუმცა* ... *მავრამ* с частицами *მაინც*, *ჟი* и *ც*, выступающими в роли конкретизаторов. Что касается расположения компонентов конструкции, то положение здесь аналогичное русскому предложению: возможна препозиция, постпозиция и интерпозиция придаточной части. Напр., *თუმცა მამას ვუღი მთუვიდა, მავრამ ხიცოდის ვამო ვაჯავრება ვერ მოახერხა. თუმცა შემოდგამა იყო, მავრამ სავრძნობლად ცხელოდა*. Позицию *но* в русском языке могут занимать союзы *а, да*, а также их аналоги с противительным значением – *зато, однако, все же, все-таки, все равно, тем не менее*. В грузинском языке в союз *მავრამ* обычно не заменяется другим противительным союзом.

Анализ глагольных форм в concessивных конструкциях анализируемого типа показывает, что как в главном, так и в придаточном предложении используются формы изъявительного наклонения прошедшего или настоящего времени. В грузинском языке это формы одного ряда (*წყვეტილი* - *წყვეტილი*, *უწყვეტელი* - *უწყვეტელი*, *აწმყო* - *აწმყო*), хотя могут представлять и разные ряды (*უწყვეტელი* - *წყვეტილი* и другие).

Любая разновидность уступительных отношений всегда включают в себя противительный компонент. Что касается самих адверсативных отношений, то в ряде случаев они могут включать компонент concessивности. Соответственно, уступительные отношения могут выражаться также в предложениях, в основе которых лежат сочинительные отношения. В русском языке репрезентация

уступительных отношений сложносочиненными конструкциями находится на периферии ФСП «уступительность».

В русском языке противительно-уступительные (или уступительно-противительные) отношения чаще всего могут выражаться в сложносочиненных предложениях с противительным союзом *но* вследствие свойственной союзу *но* полисемии. Помимо союза *но*, такие противительные союзы, как *а*, *однако*, *же* также могут служить для выражения оттенков concessивности. Характерной особенностью подобных построений (имеются в виду сложносочиненные предложения, выражающие противительно-уступительные отношения) является фиксированное соположение частей.

Для союза *но* в русском языке характерна способность оформлять уступительно-противительную конструкцию совместно с конкретизатором (*но несмотря на это, но однако, но все же, но все-таки, но тем не менее*), которые актуализируют потенциально присутствующий в семантике союза *но* компонент concessивности: *Препоны между людьми... падут, но тем не менее каждая личность будет личностью*. Другие противительные союзы оформляют противительно-уступительное значение сложносочиненного предложения в сочетании с частицами *вот, все-таки, все же, все* образуя союзные соединения: *а все-таки, а все же, а вот, да: Коротка северная ночь, а все же надо уснуть; Третий и работает неплохо, да только общее дело мало его интересует*. Значение concessивного противопоставления может поддерживаться употреблением в обеих частях предложений соотносительных наречий *еще – уже*: *Голос у него еще ломался, но пел он прекрасно*.

Помимо контекстуальных, в оформлении уступительных отношений в анализируемых структурах принимают участие и другие факторы, а частности, уступительное значение в сложносочиненных предложениях с противительным союзом может актуализироваться специальными лексическими средствами. К числу последних относятся вводные (модальные) слова или словосочетания, которые либо подчеркивают достоверность утверждаемого в первой части (*конечно, правда, разумеется, по всей вероятности, естественно*), либо указывают на его условно-предположительный характер (*пожалуй, вероятно, возможно, может быть*) и в сочетании с противительным союзом и при фиксированном соположении частей предложения выражают уступительные отношения формально сложносочиненным предложением. Сочинительный союз опустить в этих случаях невозможно, одно вводное слово не может взять на себя выражение concessивных отношений. Напр., *Вероятно, поблизости взрослые, но мы с ними не общаемся*. Сочетания типа *конечно – но, вероятно – но, естественно – но, разумеется – но, может быть – но, вероятно – но* вводят не дополнительную информацию относительно положения вещей, описанного в главном предложении (как в случае придаточного уступительного), а устанавливают отношение между фактами одного уровня, замещая одно положение вещей другим. Несколько особняком среди названных построений стоят уступительные конструкции, имеющие в своем составе слово *правда*, который квалифицируется как аналог уступительного союза и совмещает в себе связующую функцию с функцией вводного слова. Его позиция в составе придаточной части свободна. Чаще он выступает в сочетании с противительным компонентом: *правда – но, правда – зато, правда – однако, правда – тем не менее* и в этом случае обязательна препозиция придаточной части, напр.: *Блеснула, правда, молния, а не коса, тем не менее акробат готов умереть*. Вне этих условий придаточная часть с союзом *правда* обычно постпозитивна: *У тестя был вид заправского заговорщика, правда, отчаянная решимость стоила ему волнений*.

Вопрос о наличии в грузинском языке уступительных конструкций, выраженных сложносочиненными предложениями, следует считать дискуссионным. В грузинской грамматической литературе синтаксическая квалификация конструкций с вводным словом и противительным союзом неоднозначна: подобные конструкции квалифицируются и как сложноподчиненное предложение, сближающееся по структуре со сложносочиненным, в котором выражаются противительные отношения (3, 386), и как сложносочиненное предложение, которое легко преобразуется в сложноподчиненное в случае замены его компонентов (4, 355).

Анализ формальной структуры и семантических особенностей некоторых сложносочиненных предложений с противительным союзом *но* в грузинском языке, а также нахождение в грузинском языке эквивалентов русских concessивных конструкций, оформленных как сложносочиненное предложение, показывает, что и в грузинском языке concessивные отношения в ряде случаев могут выражаться сложносочиненными предложениями. В частности, в сложносочиненных предложениях с противительным союзом *მაგრამ* могут выражаться противительно-уступительные отношения: первая часть таких построений передает информацию, аналогичную той, которая заключена в придаточной части сложноподчиненного предложения с подчинительным союзом *თუმცა*, *მიუხედავად იმისა რომ*, т.е. имеет значение недостаточного или отвергаемого основания. Напр., *უკან რჩებოდა გრძელი და რთული დღე, მაგრამ მოხუცი არ გრძნობდა დაღლილობას; დღე იყო, მაგრამ მზე გამქრალიყო*. Первая часть таких построений допускает введение уступительного союза: *Хотя позади оставался долгий и трудный день, но он не чувствовал усталости*.

Значение недостаточного основания может быть заключено и во второй части; в этих случаях союз *მაგრამ* оказывается непосредственным эквивалентом уступительного союза. *უკვე მძიმე ავადმყოფი იყო, მაგრამ მასში ჯერ კიდევ ბევრი იყო ძალა, ცხოვრებისეული და სამსახიობო პრეციზიზაცია*. В этих условиях каждая из частей сложного предложения соотносительна с придаточной частью уступительной конструкции; ср.: *თუმცა ჩაი არ არის გემრიელი, მაგრამ ცხელია; ჩაი არ არის გემრიელი, თუმცა ცხელია*.

Уступительные отношения чаще могут быть обнаружены в сложносочиненных предложениях с противительным союзом, имеющем при себе конкретизатор (или актуализатор) – частицу *მაინც*. Акцент в этом случае перемещается с противительного союза на уступительную частицу, и вся конструкция в целом приобретает статус concessивной. Причем частицы могут быть введены только в ту противительную конструкцию, которая может иметь concessивное значение и без них. Напр., *ჩაი პირს უთუთქავდა მირზას, მაგრამ მაინც შეუსვენებლად სვამდა*.

Существенно обратить внимание на то, что при наличии уступительной частицы противительный союз может быть заменен на соединительный, т.к. прагматический потенциал уступительной частицы настолько высок, что она не нуждается в семантической поддержке адверсативного союза. Напр., *ზამთარი იღვა, და მე მაიც პაღოთი დავდიოდი*.

Уступительные отношения могут быть обнаружены также в сложносочиненных предложениях грузинского языка, имеющих в составе первой части вводное (модальное) слово *მართალია* и противительный союз *მაგრამ* во второй. Для таких построений также характерен фиксированный порядок слов. В отличие от русского языка, вводное слово *მართალია* не может брать на себя функцию concessивного союза и самостоятельно, без союза *მაგრამ* выражать concessивные отношения. Напр.: *ჩვენ ყველანი, მართალია, ბუღბუღს ვაქებთ, მაგრამ, ბუღბუღის გარდა, აქ სხვა მგალობლებიც გახლავართ*.

На наш взгляд, тот факт, что вводное слово служит выражению противительных отношений только в сочетании с противительным союзом и при строго фиксированном порядке расположения частей предложения, говорит в пользу признания подобных конструкций сложносочиненными предложениями. Таким образом, правомерно говорить о выражении в грузинском языке concessивного значения в сложносочиненных предложениях.

В обоих сопоставляемых языках на периферии ФСП concessивности находится также выражение уступительных отношений в простом предложении.

В русском языке отношения concessивности в простом предложении выражаются предложно-падежными формами существительных. Среди них наиболее распространенные выражения значения concessивности в простом предложении: сочетание предлога *несмотря на* + *вин.п.* (*Он решил добиваться своего, несмотря ни на что*) и предлога *вопреки* + *дат. п.* (*Он поступил в университет вопреки желанию родителей*). Помимо них concessивные отношения в простом

предложения выражаются формами: *при всей/всем + пред.п.; независимо от + род. пад., в противоположность + дат.п.* Как и в сложном предложении, concessивные отношения в таких предложениях могут усиливаться с помощью частиц *всё же, всё-таки, всё равно*, сочетания *так и не*, входящих в состав предикативной части: *Несмотря на все старания, мы так и не нашли старый фотоаппарат. Несмотря на плохие результаты, они всё же получили разрешение продолжать работу.*

В русском языке concessивные уступительные отношения в составе простого предложения могут передаваться также и деепричастными оборотами: *Даже хорошо подготовившись к экзамену, он чувствовал себя неуверенно.* Деепричастный оборот обычно включает в себя деепричастие совершенного вида, стоит в начале предложения и выражает противоположное тому, что обозначает сказуемое. *Проведя весь вечер за написанием доклада, она все-таки написала его плохо.* Concessивные отношения в таких предложениях могут усиливаться с помощью частиц *всё же, всё-таки, всё равно*, союзов *однако, тем не менее*, сочетания *так и не*, входящих в состав предикативной части. *Проболел весь семестр, он всё же хорошо сдал экзамен. Потратив на подготовку к экзамену два месяца, он так и не сдал его.*

Семантика простых предложений со значением уступительности может быть истолкована следующим образом: «Понимая, что иметь желаемое невозможно, субъект (часто сам говорящий) хочет или готов иметь меньшее Р, обладание которым вероятно» (1, 271).

В грузинском языке уступительная семантика также может выражаться в простом предложении. Эту роль выполняет выступающая в функции обстоятельства уступки форма существительного в родительном падеже со словом *მოუხედავად* в функции предлога: *მოუხედავად ასეთი ახირებულობისა, ის ძალიან საყვარელი ვიბმე იყო და საქართველოც განსხვავებულად უყვარდა.* К простым предложениям с уступительной семантикой в грузинском языке также применимо данное выше толкование. Анализ названных конструкций показал, что в грузинском языке простые предложения с уступительной семантикой не отличаются большим разнообразием форм ее выражения.

Следует отметить, что в обоих языках обороты с уступительным значением в простом предложении чаще всего обособляются.

Таким образом, сопоставительный анализ синтаксических репрезентантов концепта «уступительность» в русском и грузинском языках позволил установить, что для обоих языков релевантно деление concessивных конструкций на собственно уступительные, условно-уступительные и универсальные. В обоих языках центр функционально - семантического поля «concessивность» образуют сложноподчиненные предложения с придаточным уступительным, присоединяемым к главному посредством уступительных союзов. Анализ показал, что в качестве собственно уступительных конструкций могут функционировать сложноподчиненные предложения, сложносочиненные предложения и простые предложения (в том числе осложненные). Прототипическими для обоих языков являются уступительные конструкции, выраженные сложноподчиненными предложениями с придаточными уступительными, на периферии же функционально-семантического поля «уступительность» находятся в обоих языках сложносочиненные и простые предложения, выражающие уступительные отношения.

Системное описание уступительных конструкций грузинского языка позволило выявить их функциональные эквиваленты в русском языке, а также различие между сопоставляемыми языками в количестве средств, выражающих собственно уступительное значение.

Литература:

1. Апресян, В.Ю. «Уступительность: языковые связи». В сб.: «Сокровенные смыслы. Слово. Текст. Культура». М., 2005.
2. Бондарко, А.В. «О грамматике функционально-семантических полей». Известия АН СССР. Серия литературы и языка. Наука, М., 1984
3. Квачадзе Л. Синтаксис современного грузинского языка. Тб., 1977. (на груз. языке).

4. Кекелия М., Давитиани Ак. Грузинский язык. Тб., 1981 (на грузинском языке).
5. Храковский, В.С. Уступительные конструкции: семантика, синтактика, синтаксис. Типология уступительных конструкций. С-П., 2004

Марина Алексидзе

**Концепт «уступительность» в сопоставительном аспекте
(на материале русского и грузинского языков)**

Резюме

В предлагаемой статье средства языковой объективации концепта «уступительность» рассматриваются как функционально-семантическое поле и анализируются его синтаксические репрезентанты в русском и грузинском языках.

Marina Aleqsidze

**Concept of Concessionality in a Comparable Aspect
(on material of the Russian and Georgian languages)**

Summary

In the presented paper the means of the linguistic objectivities of the concept of concessionality is studied as a functional-semantic field and its syntactic representants are analyzed in Georgian and Russian languages.

Марина Алексидзе

Доктор филологических наук, ассоциированный профессор
Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили

Лаура Гурули

преподаватель Центра языков,
Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили

**Структура и содержание нового учебного пособия по русскому языку
для студентов вузов Грузии**

Положение о главенствующей роли учебника в системе средств обучения в настоящее время является общепризнанным. Однако, несмотря на огромный и в целом весьма успешный опыт написания различных учебных книг по русскому языку как иностранному, перед учеными-лингвистами и методистами-практиками по-прежнему стоит задача разработки учебников нового поколения, в которых отразились бы современные подходы к обучению русскому языку как иностранному. Следовательно, одна из задач, стоящих перед преподавателями РКИ, которые работают за пределами России, - создание и внедрение системы типовых стандартов описания РКИ для разных этапов и уровней обучений в практику преподавания, связи создание учебных пособий по русскому языку как иностранному, используемых в условиях обучения вне языковой среды и основанных на принципах этноориентированной методики.

Процессы возрождения национального самосознания и восстановление государственной независимости в Грузии отразились на положении русского языка в республике в целом, и в системе образования в частности. В школах с грузинским языком обучения он вместо статуса второго языка приобрел статус иностранного языка, утратил приоритетное положение и обязательность изучения и

преподается наряду с английским, немецким, французским, оказавшись в ситуации выбора иностранного языка для изучения, популярность его заметно упала. Однако после резкого спада интереса к РКИ, пришедшегося на конец прошлого и начало нынешнего века, в последнее время наблюдается незначительное, но неуклонное повышение количества желающих изучать его. Подъем интереса к русскому языку, наряду с другими причинами, в частности, функционированием, несмотря на сложные межгосударственные отношения, различных российских компаний, обуславливается также тем, что среди общего числа иностранцев, приезжающих отдохнуть в Грузию, процент российских туристов лидирует. Исходя из этого, в последние десятилетия в Грузии возрастают потребности в практическом владении русским языком и, как следствие, выдвигается практическая цель обучения русскому языку.

Как известно, цели обучения русскому языку как иностранному должны соответствовать социальному заказу общества и одновременно быть реальными для достижения в конкретных условиях обучения, а содержание, методы и средства обучения адекватными целям и условиям занятий.

Практика преподавания русского языка как иностранного в Грузии свидетельствует о существовании ряда проблем и трудностей в обучении языку в вузах. В числе других самыми серьезными представляются необеспеченность учебными пособиями для общего изучения русского языка и для самостоятельной работы студентов, а также отсутствие и необеспеченность учебной литературой профессионально ориентированного обучения и специализированных учебников.

На наш взгляд, в целях оптимизации учебного процесса представляется целесообразным разработать и создание национально-ориентированного учебника или учебного комплекса, предназначенного для студентов вузов Грузии, изучающих русский язык как иностранный.

В данной статье предлагается описание учебного пособия по русскому языку, составленного авторами статьи и успешно используемого в процессе обучения русскому языку в вузах и школах Грузии вот уже в течение нескольких лет.

Учебная программа по русскому языку для грузинских студентов, обучающихся в бакалавриате на различных факультетах вузов Грузии, ориентирует учащихся на формирование в первую очередь коммуникативной компетенции. Исходя из этого, представляемое учебное пособие основано

на коммуникативной методике и является учебником коммуникативно-деятельностного типа. В нем содержится материал, на основе которого можно сформировать все стороны, все составляющие коммуникативной компетенции в необходимом объеме и определенного уровня.

Идея коммуникативного направления обучения в последние десятилетия прошлого века получила широкое распространение в преподавании РКИ. Среди новых способов презентации грамматики с учетом практических целей обучения важнейшим является функционально-семантический принцип, согласно которому материал организуется «от ищущих себе выражения мыслей» и направлен на реализацию речевой интенции (коммуникативной задачи). Этот принцип требует преподнесения материала на синтаксической основе. В качестве такой основы обычно берется конструкция предложения, схема построения текстовой единицы. Конструкция наполняется типичным лексико-морфологическим содержанием и составляет речевой образец. Варьирование наполнения речевого образца способствует автоматизации употребления форм и конструкций, а также обобщению отдельных языковых факторов, что создает основу правила.

Учебное пособие по русскому языку М. Алексидзе и Л. Гурули состоит из двух частей. Первая часть «Мы изучаем русский язык», включающая два раздела, содержит грамматический материал. Круг грамматических явлений, который дан в нашем учебнике, определен практикой преподавания РКИ и представлен следующими грамматическими темами: Вводный курс – имя существительное, категория рода и одушевленности/неодушевленности, категория числа; глагол, неопределенная форма, времена глагола, спряжение; Основной курс, часть 1 - предложно-падежная система; согласование существительного с прилагательным, местоимением, числительным. Основной курс, часть 2 - виды глагола; глаголы движения; повелительное наклонение; глаголы с частицей –ся, причастие и деепри-

части; выражение основных грамматических значений в синтаксических конструкциях (выражение времени, причины, цели, условия и уступки в простом и сложном предложениях).

В учебнике используется принцип линейной подачи падежей, а именно одновременно вводятся несколько значений сначала одного падежа, употребление форм закрепляется на материале разных частей речи, и только после этого вводится другой падеж. Презентация грамматического материала осуществляется дедуктивным путем – грамматическая тема, например, падежные окончания представлены в готовых таблицах. Этот метод успешно используется в некоторых современных учебных пособиях по изучению РКИ. (3) Представление падежной системы дается в том числе и на синтаксической основе. Синтаксическая основа как важное условие при изучении падежей связана с наличием в русском языке такого вида подчинительной связи, как управление, при котором главный компонент сочетания (как правило, глагол) требует от зависимой формы соответствующего падежа без предлога или с предлогом, например, *позвонить кому?* (другу), *любить кого?/что?* (родителей, спорт). В связи с этим усвоение значений и форм того или иного падежа сопровождается презентацией основных глаголов, которые управляют данной падежной формой. Списки глаголов, употребляющиеся с соответствующими падежами, требуют не только механического запоминания, но и тренировки их функционирования. Падежи и их значения представлены в следующем, распространённом в методике РКИ порядке - именительный, предложный, винительный, родительный, дательный, творительный

В рамках каждого раздела представлен широкий выбор заданий, обеспечивающих глубокую и разностороннюю выработку правильных и прочных грамматических навыков, необходимых для овладения речью на русском языке, а также направленных на проработку речевого материала.

Задания могут быть использованы как в предлагаемой системе, так и выборочно, в зависимости от уровня подготовки обучающихся и от количества выделяемых на их обучение часов. Упражнения содержат достаточное количество однотипных речевых образцов, поскольку, по утверждениям психологов, надежное усвоение грамматического явления обеспечивается его семи-девятикратным повторением.

Каждая грамматическая тема включает учебный текст, включающий образцы устной разговорной речи, бытовой сферы общения, а также небольшой художественный текст для чтения. Учебные тексты составлены авторами пособия. Цель учебных текстов – введение лексики и грамматики. С их помощью отрабатываются нужные речевые модели. Учащиеся видят, как эти модели функционируют в общении.

Цель дополнительных текстов для чтения – введение лексического и культурологического материала и создание основы для развития речевых и коммуникативных навыков и умений. Поскольку социокультурная компетенция предполагает готовность и способность к диалогу культур, который подразумевает как знание культуры изучаемого языка, так «осознание культурных и ментальных оснований собственного речевого поведения» (1), в пособии также представлены национально-культурные реалии Грузии, что в перспективе поможет студенту рассказать о своей стране на русском языке.

В учебнике даны также образцы диалогов и монологов устной речи из повседневной жизни, содержащие специально отобранную лексику, необходимую для общения в повседневных ситуациях, которые служат обучению слушателей устному общению на русском языке.

Все упражнения направлены на развитие навыков аудирования, говорения, чтения и письма.

В конце каждого раздела осуществляется обобщение, повторение и своего рода контроль степени усвоения учащимися пройденного материала. Такой подход важен и для преподавателя: он помогает вносить необходимую коррекцию в дальнейший курс РКИ по результатам таких обобщений и проверок.

Как известно, сторонники коммуникативного метода советуют избегать прямого перевода на родной язык учащихся. В нашем учебном пособии мы даем задания на перевод отдельных предложений или целых отрывков из текста с грузинского языка на русский и с русского на грузинский в каче-

стве эффективного контроля сформированности лексико-грамматических навыков. Родной язык учащихся используется нами также в качестве средства семантизации иностранных слов. Использование родного языка в целом должно носить осознанный и целенаправленный характер и быть ограничено определенным количеством ситуаций, где он не только не мешает, но и способствует оптимизации учебного процесса. Классическими в этом плане, как, впрочем, и по многим другим проблемам, считаются работы Л. В. Щербы, который считал, что можно изгнать родной язык учащихся из учебников, но его нельзя изгнать из голов учащихся. Он писал: «Мы должны признать раз и навсегда, что родной язык учащихся участвует в наших уроках иностранного языка, как бы мы ни хотели его изгнать. И мы должны из врага превратить его в друга» (4).

Использование принципа коммуникативности, положенного в основу учебника, как показала практика, дает положительные результаты. С первых уроков учащиеся начинают говорить, наращивая речевые навыки, что повышает мотивацию обучения. Система уроков учебника и их содержание способствуют постоянному пополнению словаря студентов, усвоению необходимого объема русской грамматики, обеспечивают формирование устойчивых навыков общения в обиходно-бытовой, социально-культурной, общественно-политической сферах.

Вторая часть представляемого учебного пособия по русскому языку – это сборник художественных текстов русских и зарубежных писателей «Читаем и говорим по-русски». Чтение входит в сферу коммуникативно-общественной деятельности людей и обеспечивает в ней одну из форм общения. Как известно, целью чтения является получение и переработка информации, которую можно связать с развитием коммуникативных умений.

Мы придерживаемся мнения, что при обучении русскому языку как иностранному в неязыковой среде, а также в условиях ограниченной языковой среды использование аутентичных текстов (и для чтения, и для аудирования) предпочтительно. Это дает возможность подготовить учащихся к решению реальных коммуникативных задач, вызвать естественный интерес к культуре изучаемого языка, варьировать педагогические цели при работе с одним и тем же материалом для учащихся с разным уровнем владения иностранным языком.

Противники широкого использования аутентичных материалов на начальном этапе обучения РКИ отмечают, что аутентичные тексты отличаются стилистической неоднородностью, наличием сложных грамматических структур и большого количества новых лексических единиц, значение которых может не быть зафиксировано в словарях. Если признавать аутентичными только тексты, предназначенные авторами для носителей языка, это может создать непреодолимые препятствия для использования аутентичных материалов в обучении. В настоящее время «аутентичность» толкуется по-разному. Одни авторы считают, что аутентичный текст – это оригинальный текст, не подвергшийся абсолютно никакой методической обработке. Другие допускают некоторую степень дидактизации оригинальных текстов при условии, если это не нарушает их достоверности, подлинности, если в результате методической обработки не утрачивается социокультурный фон текста. (2)

В данное учебное издание включены полуаутентичные сюжетные тексты – оригинальные тексты, адаптированные, как правило, путем сокращения и компиляции в интересах реализации задач обучения. В основном они предлагаются впервые и не представлены (за редким исключением) в других изданиях по русскому языку как иностранному. Тексты располагаются по степени нарастающей сложности, что позволяет преподавателю выбрать необходимый материал, ориентируясь на уровень подготовки студенческой группы.

Все тексты снабжены ударениями и переводом на грузинский язык большого количества новых для учащихся слов, данным на полях.

Необходимой составной частью курса по чтению является система лексических и лексико-грамматических упражнений. В пособии представлены такие типы упражнений, как, например, найдите правильное завершение предложения; соедините две части высказывания; выберите пра-

вильные ответы на вопросы; подтвердите или опровергните данную в предложениях информацию; замените прямую речь косвенной, вставьте глаголы в правильной форме и под.

Основная цель предлагаемых в нашем учебнике послетекстовых упражнений – закрепить новые знания в отношении лексики и помочь студентам удержать в памяти новые слова, после того как они уже поработали с текстом. Уже сам факт, что студенты вновь встретятся с этими словами, может стать решающим для их запоминания.

С помощью послетекстовых заданий проверяется понимание прочитанного, варьируется смысловая обработка информации текста, расширяется словарный запас обучаемых, активизируется их устная речь и обогащаются фоновые знания. Кроме того, послетекстовые задания нацелены на выработку умений ориентироваться в языковой системе.

Послетекстовые лексико-грамматические задания направлены на повторение видо-временных форм глагола, на повторение глагольного управления, а также глаголов движения.

После каждой темы предлагается логически связанная с ней рубрика «Знаете ли Вы...?», рассчитанная на более подготовленных в языковом отношении учащихся. Есть также разнообразные творческие задания, типа, *напишите эссе, придумайте рассказ* и под.

Таким образом, работая над учебным пособием по русскому языку, мы стремились составить его так, чтобы лингвистический, предметный и прагматический компоненты представляли системное, гармоничное целое в виде учебно-методического комплекса, способного в определённой мере восполнить ограниченность языковой и культурной среды носителей русского языка.

Литература:

1. Миллер, Л.В., Политова, Л.В. 12 советов преподавателю русского языка как иностранного от авторов учебника «Жили-были» // Миллер Л.В., Политова Л.В. Жили-были: 28 уроков для начинающих. – Спб, 2015. – С. 1-17
2. Носович, Е.В. Критерии содержательной аутентичности учебного текста / Е.В. Носович, Г.П. Мильруд. // Иностранные языки в школе. – 1999 - №2. – с. 10
3. Хавронина, С.А., Широченкова, А.И. Русский язык в упражнениях. Учебное пособие (для говорящих на английском языке). М.: Рус.яз., 2000. – 285 с.
4. Щерба Л. В. Языковая система и речевая деятельность. Л., 1974.

Марина Алексидзе, Лаура Гурули
Структура и содержание нового учебного пособия по русскому языку
для студентов вузов Грузии
Резюме

Процесс овладения русским языком как иностранным предполагает выбор наиболее рационального учебника для качественной подготовки обучающихся. Среди множества учебников и учебных пособий по русскому языку для студентов-иностранцев трудно выбрать учебник, отвечающий запросам времени, тематической организации языкового материала, коммуникативным потребностям обучаемых. Следовательно, лучшим вариантом является создание своего учебника, соответствующего всем вышеперечисленным требованиям. Опираясь на теоретическое обобщение методического опыта, авторы данной статьи составили своё учебное пособие по русскому языку, предназначенное для студентов высших учебных заведений Грузии. В статье описывается структура и содержание двух частей названного учебного пособия - «Мы изучаем русский язык» и «Читаем и говорим по-русски». В основу названных книг положен функционально-коммуникативный метод обучения русскому языку как иностранному. Цель данного учебного пособия – формирование у грузинских учащихся навыков использования представленного грамматического материала и навыков построения самостоятельного высказывания в устной и письменной речи.

Marina Aleqsidze, Laura Guruli
Structure and Content of the New Handbook of the Russian Language for the Students
of Georgian Universities
Summary

The process of the study of Russian as a foreign language offers a choice of the most rational handbook for the proper teaching of the learners. Among the multiplicity of handbooks and training manuals in the Russian language for foreign students, it is often challenging to choose a handbook that would adequately meet the demands of the time, of the thematic organization of the material and communicative needs of the students. Consequently, the best solution is to create our own handbook which would meet all of the above-listed requirements. Based on the theoretical generalizations of methodological experience, the authors of the present paper created their own handbook of the Russian language, designed for the students of Georgian universities. The paper discusses the structure and the content of two parts of the handbook “We learn the Russian language” and “We read and write in Russian”. The handbook is based on the functional-communicative method of teaching of Russian as a foreign language. The main aim of the present handbook is to introduce the Georgian learners to the skills of using the described grammatical material and independently constructing utterances orally and in writing.

ნინო სანაია

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აზროვნების კონსტანტას ნომინაციასთან დაკავშირებული პრობლემები
თანამედროვე ფრანგულსა და ესპანურ ენებში

აზროვნების ფენომენი, როგორც ადამიანის ფსიქიკური აქტიურობის ერთ-ერთი გამოვლინება, ორგანოდ აისახება ადამიანის ბუნებრივ ენაში: ერთი მხრივ, ცნებებისა და მსჯელობების სახით, ვინაიდან ენა აზროვნების შედეგს და მასთან თანაარსებულ სამყაროს გაცნობიერების საშუალებას წარმოადგენს და მეორე მხრივ, ნომინაციის (სახელდების) ობიექტის, აზროვნების ტიპური სიტუაციისა და მისი ელემენტების სახით სინქრონულ ჭრილში, ხოლო აზროვნების ევოლუციური კონცეპტუალური რიგის (16, 605) სახით დიაქრონულ ჭრილში.

ნაშრომში აზროვნება სახელდების ობიექტის როლში გვევლინება, ხოლო ამ ობიექტის მეტაფორული ნომინაციის შესაძლებლობებს ჩვენ თანამედროვე ფრანგული და ესპანური ენების სინქრონულ ჭრილში ვიკვლევთ.

„აზროვნება (აზროვნებს) ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებში შემდეგნაირად არის განმარტებული:

– პროცესი აზრთა შედგენა-შეპირისპირებისა, მსჯელობისა, დასკვნების გამოტანისა /ქ.ე.გ.ლ. არნ. ჩიქობავას რედ./

– ტვინის ფუნქცია: პროცესი აზრთა შედგენა-შეპირისპირებისა, მსჯელობისა, აზრთა გამოტანისა /ქ.ე.გ.ლ. რვატომეული/.

„აზროვნების“ ფრანგულ შესატყვისს „penser“- ს ასე განმარტავენ ფრანგულ განმარტებით ლექსიკონებში:

– Appliquer l’activité de son esprit aux éléments fournis par la connaissance:

Former, combiner des idées et des jugements /P.D.R./,

– Former dans son esprit, concevoir, imaginer /P.D.L./.

ესპანურ ენაში ამ ცნებას გამოხატავს ზმნა “pensar”.

ამ განმარტებათა სიმრავლიდან საერთო ელემენტებს თუ გამოვეყოფთ, მივიღებთ შემდეგ არსებით ნიშნებს: „ტვინის, გონების აქტიურობა, ფუნქცია“ ერთი მხრივ, ანუ „აზროვნებისა“ და სხვა ამგვარი ფსიქიკური აქტიურობის ზოგადი აღნიშვნა: აზრთა ფორმირება, მსჯელობა მეორე მხრივ, ანუ ის ლოგიკური ასპექტი, რომელიც მას განასხვავებს სხვა ფსიქიკური აქტებისაგან, როგორცაა „ოცნება“ („იმის წარმოდგენა, რის შესრულებაც სასურველია“) და „მოგონება“ („მეხსიერებაში წარსულის აღდგენა“); ზოგიერთ განმარტებაში მოცემულია „აზროვნების“ რამდენიმე დამაკონკრეტებელი ნიშანი, როგორცაა: აღქმა, წარმოდგენა და აზრების ფორმირების პროცესი.

აზროვნების აღმნიშვნელი ენობრივი ნიშნები შესაბამისი ტიპური ლოგიკური სიტუაციის ლექსიკურ უზრუნველყოფას წარმოადგენენ. თანამედროვე ფრანგულ და ესპანურ ენებში აზროვნების პროცესების აღსანიშნად არსებული ნეიტრალური ნომინაციური ერთეულების (პირდაპირი ნომინაციების) გვერდით მეტაფორული აღნიშვნაც პროდუქტიულია. ამგვარი ნომინაციური ხერხი, მოცემულ კულტურებსა და ენებში, აზროვნების ევოლუციური კონცეპტუალური რიგის ისტორიულ უზრუნველყოფას წარმოადგენს.

ჯერ კიდევ ფრანგული ენის ისტორიის მკვლევარი ალბერ დოზა (8, 125) წერდა იმის შესახებ, რომ ენებში აბსტრაქტული ცნებების შექმნას კაცობრიობის განვითარების საწყის ეტაპზე საფუძველი ეყრებოდა და ეს პროცესი კონკრეტულად რომანულ, ფრანგულსა და ესპანურ ენებში ლათინურიდან შემოსული სიტყვების მეტაფორიზაციის გზით ხორციელდებოდა. ამგვარად, დღევანდელ ფრანგულში გვაქვს აზროვნებისა და აზრის გამომხატველი სიტყვები – *penser, pensée*, რომელთაგან ზმნა ლათინურიდანაა ნასესხები, სადაც იგი „აწონას“ ნიშნავდა (8, 125), ხოლო ესპანურში ამავე ლათინური ძირიდან წარმომდგარი „*pensar*“, «*pensamiento*». - აბსტრაქტული ცნებების მეტაფორული სახელდების პროცესი თანამედროვე ენებშიც მიმდინარეობს, რაც ბუნებრივი ენის საშუალებით სამყაროს შეცნობის დახვეწით აიხსნება.

აზროვნების ფენომენის მეტაფორული აღნიშვნის ფაქტები თანამედროვე ფრანგულ და ესპანურ ენებშიც სახეზეა. მათ შორისაა *Les pensées viennent, tournent (autour de...); assiègent, obsèdent qn* (ფრანგ.); *dejar los pensamientos, sofocar los pensamientos* (ესპ.) ტიპის ზმნური მეტაფორული ჯგუფები, რომლებიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს. ამგვარ ნომინაციურ ერთეულებს ჩვენს ნაშრომში ანალიტიზმსა და ფრაზეოლოგიზმებს შორის გარდამავალი ერთეულების სტატუსს ვანიჭებთ (იქიდან გამომდინარე, რომ ორივე კლასის ნიშნებს შეითავსებენ), რის არგუმენტირებასაც გთავაზობთ და რითაც საერთოდ დონეთა შორისი გარდამავალი კლასების არსებობას ვადასტურებთ.

ზმნური ჯგუფებისადმი ჩვენი ინტერესი იმით განისაზღვრა, რომ გამონათქვამში სინამდვილის ობიექტები ზმნის საშუალებით ამუღავნებენ თავის არსებობას. სწორედ ამიტომ, რომ პრედიკატს ცენტრალური ადგილი უჭირავს გამონათქვამში და მის მოტივაციას ანუ პროპოზიციას (პროპოზიციულ მნიშვნელობას) (12, 342), სხვანაირად რომ ვთქვათ, **მუდმივას** ანუ **კონსტანტას** წარმოადგენს. ჩვენს კვლევაში ძირითადად ლექსიკონებიდან ამოკრებილ ენობრივ, უზუალურ მეტაფორულ ჯგუფებს განვიხილავთ, მაგრამ სტილისტური მარკირების კვლევის შემთხვევაში ანალიზის საგანს, ენობრივის გვერდით, მხატვრული მეტაფორული ჯგუფებიც წარმოადგენს.

მოცემული **კვლევის** მიმართულებას ჯერ კიდევ 1988 წელს ქ. ზენიგოროდში (მოსკოვის ოლქი) ჩატარებულ საკავშირო სკოლა-სემინარზე „ფრაზეოლოგიზმების ლექსიკოგრაფიული დამუშავება ნებისმიერი ტიპის ლექსიკონებისა და რუსული ენის მანქანური ფონდისათვის“ ჩაეყარა საფუძველი. ამ სკოლა-სემინარმა საბჭოურ სივრცეში მანქანურ ლექსიკოგრაფიას და ენათა ლექსიკური ფონდის ლინგვისტური კვლევის კომპიუტერიზაციას ჩაუყარა საფუძველი (4, 101), (14, 150-152). დასახელებული სკოლა სემინარის საფუძველზე ორი კრებული გამოვიდა: „Лексикографическая разработка фразеологизмов для словарей различных типов и для машинного фонда русского языка“ (материалы к мето-

дической школе- семинару), Москва: Изд-во ИРЯ АН СССР, 1988 და “ Фразеологическая параметризация в машинном фонде русского языка, Москва: Изд.- во ИРЯ АН СССР, 1990. საქართველოს ჩვენ წარმოვადგენდით (15).

სკოლა-სემინარმა, ენის მანქანური ფონდის ფრაზეოლოგიური ქვეფონდის პროგრამული უზრუნველყოფის გარდა, ისეთი ტიპის თეორიული საკითხები წამოჭრა, რომელიც დიდი ხანია დავას იწვევდა ენათმეცნიერებაში. მათ შორის ფრაზეოლოგიის საზღვრების დადგენის პრობლემა, გარდამავალი კლასების გამოაშკარავება და აღწერა, მყარი შესიტყვებების ყველა ტიპის ყველა არსებული ნიშნის პარამეტრიზაცია და მათი მნიშვნელობის მაკროკომპონენტური მოდელის შექმნა. ასევე ამ მაკროკომპონენტური მოდელის შიგნით აღწერის ზონებისა და მათი პარამეტრიზაციის კრიტერიუმების დადგენა.

სკოლა-სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ენის ფრაზეოლოგიური ქვეფონდის არქიტექტონიკისა და განხილული ტიპის ნომინაციური ერთეულების ლექსიკოგრაფიული დამუშავების ცხრილების შექმნას, რომელთა შორისაა მეტაფორული შესიტყვებების სემანტიკური სტრუქტურის ამსახველი ჩვენს მიერ შემუშავებული ცხრილი.

ჩვენს ნაშრომში დასმული პრობლემების ძირითადი ნაწილი ამ კონფერენციის გავლენით წარმოიშვა და მთლიანად ლექსიკის მანქანური ანალიზის შემდეგ მოთხოვნებს არის დაქვემდებარებული:

1. სად შეიძლება გაიგლოს ფრაზეოლოგიის საზღვარი და რა მიმართებაშია ამ საზღვრების დამდგენ კრიტერიუმებთან ჩვენი კვლევის საგნად არჩეული ზმნური მეტაფორული ჯგუფები ფრაზეოლოგიური ერთეულების დამდგენი მყარი კრიტერიუმების დღემდე არარსებობის გამო. შესაბამისად იმის გარკვევა, თუ ამგვარი მეტაფორული შესიტყვებები რა ტიპის ნომინაციურ ერთეულებს წარმოადგენენ.

2. როგორია მათი სემანტიკური სტრუქტურა და ექვემდებარება თუ არა იგი მოდელირებას; ასევე შესაძლებელია თუ არა მეტაფორული შესიტყვებების მანქანური ანალიზი.

3. მეტაფორის აღწერითი მოდელის შექმნა ურომლისოდაც ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია აზროვნების კონსტანტას აღმნიშვნელი ზმნური მეტაფორული ჯგუფების მეტაფორული ასპექტის კვლევა.

ამრიგად, ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები ერთი მხრივ, მეტაფორის წარმოქმნასთან, მის ფუნქციონირებასა და გაგებასთანაა დაკავშირებული, მეორე მხრივ კი – ენის ლექსიკური სისტემის მანქანურ ანალიზთან დაკავშირებულ საკითხებთან. მოცემულ სტატიაში ჩვენ მხოლოდ ორ ასპექტს შევეხებით: ზმნური მეტაფორული შესიტყვებების ლინგვისტურ სტატუსს, როგორც მეტაფორიზაციის შედეგს და აზროვნების აღმნიშვნელი შესიტყვებების აღწერას სემანტიკური ველის ფარგლებში.

მეტაფორიზაცია აზრთწარმოების ყველაზე პროდუქტიულ ხერხს წარმოადგენს ენის სტრუქტურის ყველა დონეზე: ლექსიკურზე, მორფოლოგიურსა თუ სინტაქსურზე. მეტადრე ლექსიკურზე, რადგან ეს ფენომენი განსაკუთრებულ აქტიურობას ენაში უკვე არსებული ლექსიკური ერთეულების ბაზაზე ახალი მნიშვნელობებისა და ცნებების წარმოქმნაში ავლენს.

დღეისათვის არსებულ, მეტაფორულ ნომინაციასთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი მიმართულებების სიმრავლე: ლექსიკოლოგიური, ლექსიკოგრაფიული, სემასიოლოგიური, ონომასიოლოგიური, ექსპრესიოლოგიური, ლოგიკური, ლინგვო-სტილისტური, ფსიქოლინგვისტური, გნოსეოლოგიური, ლინგვოლიტერატურათმცოდნეობითი, კიდევ ერთხელ მოწმობს იმ ფაქტზე, რომ ამ ტიპის ნომინაცია კვლევის უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

ხელოვნური ინტელექტისა და ენის მანქანური კვლევის პერსპექტივაც დიდი იმედების მომცემია, ხოლო ამ სფეროსთან დაკავშირებული კვლევები საინტერესოა.

ჩვენს წინაშე იმთავითვე წარმოიშვა *les pensées viennent, tournent (autour de)...; assiegent, obsèdent* qu ტიპის მეტაფორული ზმნური ჯგუფების ლინგვისტური სტატუსის გარკვევის პრობლემა. ამ მიზნით პირველ რიგში დავადგინეთ ამგვარი ნომინაციური ერთეულისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნები. დედუქციურ მეთოდზე დამყარებულმა თეორიულმა ანალიზმა შემდეგი შედეგები მოგვცა: საკვლევ ერთეულს ერთდროულად აღმოაჩნდა ანალიტიკური და ფრაზეოლოგიური შესიტყვებებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ერთი მხრივ, შესიტყვებაში შემავალი სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვის (სემანტიკური საყრდენის) გვერდით ხმარებული, ირიბი ნომინაციის გზით, სემანტიკური ტრანსპოზიციის შედეგად მიღებული, ავტონომიურ ნომინაციას უნარმოკლებული სატელიტი კომპონენტი ფუნქციურად დამხმარე სიტყვას უტოლდება და ამ ნომინაციურ ერთეულებს ანალიტიკურ შესიტყვებებს ამსგავსებს. ამ მოსაზრებას ლექსიკური ანალიტიზმის შემდეგი განმარტებაც ამყარებს: „ერთი სრული მნიშვნელობის მქონე და მეორე, დამხმარე სიტყვასთან გათანაბრებული, ავტონომიურ ნომინაციას უნარმოკლებული წევრისაგან შემდგარი მყარი შესიტყვება“ (7, 37). მეორე მხრივ, ფრაზეოლოგიზმის განსაზღვრებისათვის შემდეგი ფორმულირება მიგვაჩნია მართებულად: «ფრაზეოლოგიზაცია ნიშნავს შესიტყვების ხარისხობრივად ახალ მოვლენაში, ფრაზეოლოგიურ ერთეულში ტრანსფორმაციას» (11, 7). დ. ჟორჟოლიანის კვლდაკვალ ფრაზეოლოგიას და ფრაზეოლოგიურ ნომინაციას ჩვენც ენის ცალკე დონედ განვიხილავთ.

ფრაზეოლოგიის საზღვრების განმსაზღვრელ კრიტერიუმებად დღემდე არსებული ნიშნების შეჯერებულ შემდეგ ერთობლიობას გთავაზობთ:

– ფრაზეოლოგიზმი სიტყვისაგან განსხვავებით წარმოადგენს **ორი ან ორზე მეტი სიტყვისაგან** შემდგარ, ცალკე გაფორმებულ მთლიანობას.

– მისი სტრუქტურული ერთიანობა **დაუშლელი ანუ მონოლითური** უნდა იყოს, ხოლო კომპონენტები ჩაუნაცვლებადი.

– ენაში მისი ხმარების **რეგულარობა** ასევე მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს.

– ფრაზეოლოგიური ერთეული **მეტყველებაში მზა სახით** აქტუალიზდება და არ იქმნება მეტყველების პროცესში, რაც გამორიცხავს **ოკაზიონალური ერთეულების წარმოქმნას**.

– ამ ერთეულებს **თუნდაც ერთი სიტყვის**, უმრავლეს შემთხვევაში კი **ყველა კომპონენტის სემანტიკური ტრანსფორმაცია** უნდა ახასიათებდეს და სიტყვის ბმული ტიპის მნიშვნელობას წარმოადგენდეს.

საკვლევ ნომინაციური ერთეულები **ფრაზეოლოგიზმისათვის დამახასიათებელ** შემდეგ ნიშნებს ავლენენ: წარმოადგენენ ორი სიტყვისაგან წარმომდგარ, ცალკე გაფორმებულ მთლიანობას: ავლენენ ენაში ხმარების რეგულარობას და მეტყველებაში მზა სახით აქტუალიზაციას; ახასიათებთ ერთი კომპონენტის სემანტიკური ტრანსფორმაცია. ამავდროულად მათ არაფრაზეოლოგიურ წარმოშობაზე მოწმობს შემდეგი ნიშნების უქონლობა: სტრუქტურის დაუშლელი ერთიანობა ანუ მონოლითურობა და კომპონენტების ჩაუნაცვლებადობა; გარდა ამისა, ფრაზეოლოგიური ერთეული არ იქმნება მეტყველების პროცესში, რაც გამორიცხავს ოკაზიონალური ერთეულების წარმოქმნას და, რაც მთავარია ზმნურ მეტაფორულ ჯგუფებში არც ერთ კომპონენტს არა აქვს დაკარგული სიტყვის ფუნქცია (1), (11), (13).

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ **არსებობს ანალიტიკურსა და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს შორის გარდამავალი კლასი**, რაზეც ჯერ კიდევ შ. ბალი მიუთითებდა, წერდა რა, რომ თავისუფალ და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს შორის, არ-

სებობს „მოთელი რიგი გარდამავალი კლასებისა, რომლებიც ძნელად აღსაწერია“ (2, 17). გარდამავალი კლასების აღწერის აუცილებლობის საკითხი ქ. ზენიგოროდში გამართულ, რუსული ენის ფრაზეოლოგიის მანქანური ქვეფონდის შექმნისათვის მიძღვნილ სკოლა-სემინარზე ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენდა. აქ პირველად გაიჟღერა ანალიტიკური ტიპის იდიომების არსებობის იდეამაც (9, 36). Am sakiTxiT aseve dainteresda frangi enaTmecnieri agnes tiuteni da federik grosmanTan TanaavtorobaSi gamoaqveyna statia saTauriT “regularuli da araregularuli kolokaciebi – kolokaciis fenomenis monaxazi” sadac am cnebas iyenebs Tavisufal da frazeologiur erTeulebs Soris gardamavali erTeulebis aRsaniSnad (20, 16)

ამ ტიპის გარდამავალი ერთეულებისათვის მათი არსის ამსახველი ადეკვატური სახელწოდების შექმნის იდეაც მოცემული კვლევის ძირითად ღერძს წარმოადგენს..

მიგვაჩნია, რომ კვლევის საგნად არჩეული ნომინაციური ერთეულები ირიბი ნომინაციის შედეგს წარმოადგენენ (17), (18) რომელსაც, ჩვენი აზრით, ავტონომიურ-მეორად და ფრაზეოლოგიურ ნომინაციას შორის გარდამავალი ადგილი უჭირავს, ხოლო მათი ლექსიკური მნიშვნელობა წარმოადგენს დერივაციულად ბმულს და ლექსიკურ მნიშვნელობათა ტიპოლოგიაში სინტაქსურად განპირობებულსა და ფრაზეოლოგიურად ბმულს შორის შუალედურ რგოლს (19).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესასწავლ ნომინაციურ ერთეულებს ნაშრომში „დერივაციულად ბმული ანალიტიკური სტრუქტურები“ ეწოდა.

ჩვენს კვლევაში პირველად არის აგებული მეტაფორული შესიტყვებებით გამოხატული აზროვნების ამსახველი სემანტიკური ველი როგორც ფრანგული, ასევე ესპანური ენისათვის. დღემდე მას პირდაპირი ნომინაციების ან ავტონომიური მეტაფორების საფუძველზე აგებდნენ (5, 30), (3, 141), (2, 48), (6, 59), (10).

ზროვნების ველში ფრანგულ ენაში შესულია შემდეგი მეტაფორული შესიტყვებები:

1. (s) abandonner à de (vagues) pensées=ფიქრებს მიეცემა
2. (s) abîmer dans les pensées=ფიქრებში გადავარდნა, გადაჩეხვა
3. (s) absorber dans la méditation=ფიქრებში ჩაფლობა
4. ~dans ses pensées=„-----“
5. ~dans ses réflexions=„-----“
6. aiguïser de (fines) pensées=აზრების დახვეწა
7. aller (jusqu’au bout de la pensée)= აზრის დამთავრება, აზრი დამამთავრებინე.
8. balayer des pensées (criminelles, malfaisantes) de l’esprit=ბოროტი აზრების განდევნა
9. chasser des pensées de l’esprit = „-----“
10. ciseler de (fines) pensées=ნატიფი აზრების უფრო დახვეწა
11. détacher la pensée de qn ou de qch.= აზრი მოწვევით რაიმეს ან ვინმეს
12. (s) enfoncer dans une idée=ფიქრში ჩაფლობა
13. (une) idée s’échappe=აზრი ხელიდან ეცლება
14. ~éclaircit l’esprit=~გაუელვებს
15. ~passe (par la tête)=~თავში გაურბენს, გაჰკრავს
16. ~se présente=~ეწევა
17. ~traverse (l’esprit)= გონებაში გაურბენს, გაჰკრავს
18. ~vient (à la pensée)=აზრად მოსდის
19. il me vient une idée=„-----“
20. laver son imagination des pensées...=ცუდი აზრებისაგან განთავისუფლება, მათი განდევნა
21. (se) livrer à de (vagues) pensées=(ბუნდოვანი) აზრებს მიცემა
22. (se) mettre dans l’idée=აზრებში წასვლა
23. mûrir les pensées (criminelles, malfaisantes) dans sa tête =კარგად გააზრება
24. nourrir les pensées dans son cerveau=„-----“
25. (la) pensée s’assoupit=აზრებმა თავი მილულა
26. ~bondit=~დაუხტის თავში

27. ~chemine= ~ ხეტიალებს
28. ~(s')enlace=~აკვირდება
29. ~erre= ~ ხეტიალებს
30. ~(se)joue=~დაუხტის თავში
31. ~lancine=~გულს უწყალებს
32. ~(se)mèle=~აებნევა
33. ~poursuit...=~ფიქრები აედევნება
34. ~surgit=~მოულოდნელად გაუნდება
35. ~traverse (l'esprit)=~გაურბენს თავში
36. ~trotte (par l'esprit)=~აზრი თავში უტრიალებს
37. ~vagabonde = ~ ხეტიალობს
38. (les) pensées s'abattent=(აშლილი) ფიქრების ჩაწყნარება, მიწყნარება, მოშვება
39. ~assiègent qn.=~ფიქრები შეიპყრობს, მოიცავს ვინმეს
40. ~(s'en) détournent=~ზურგს აქცევენ
41. ~défilent (sur le front)=ფიქრები (შუბლზე) გამოეკვეთება
42. ~dispersent=~ეფანტება
43. ~(s') égarent=~არევა, აბნევა
44. ~obsèdent qn. = ~შეიპყრობენ. აიტანენ, აკვირდებიან ვინმეს
45. ~reviennent=~ერთსა და იმავე აზრს უბრუნდება
46. ~tournent (autour de...)=~რალაცას ან ვილაცას დასტრიალებენ
47. ~viennent=~აზრად მოსდის
48. ~vont (vers)...=~რალაცისკენ ან ვილაცისკენ გაურბის
49. partager la pensée...=სხვისი აზრების გაზიარება
50. perdre (le fil de ses idées)=აზრის ძაფი გაუწყდა
51. (se) perdre dans ses pensées=აზრების ჩაფლობა
52. ~en considération=~აწონ-დაწონა
53. (se) plonger dans ses pensées=ფიქრებში ჩაძირვა
54. ~dans la méditation=აწონ-დაწონა
55. porter (dans son cerveau) des pensées (criminelles, malfaisantes)=ბოროტი, ცუდი აზრების ქონა
56. rouler de (tristes, profondes) pensées=აზრები უტრიალებს
57. leurs réflexions se croisent=ფიქრები ერთმანეთს გადაკვეთენ
58. ~se détruisent=~ნადგურდებიან, ქრებიან
59. sauter d'une idée à l'autre=ერთი აზრიდან მეორეზე გადასვლა
60. suivre (le fil de ses idées)=აზრებს მიჟყვ

ესპანურ ენაში განხილული ენობრივი ხერხი ნაკლებ პროდუქტიული აღმოჩნდა. აზროვნების ცნებას ამ ენაში შემდეგი შესიტყვებები აღნიშნავენ:

1. **Pensamientos** han arrojado luz sobre – ამ აზრებმა სინათლე მოჰფინა
2. **Pensamientos** son aterradores – ფიქრები შიშს ჰგვრიან, შიშისმომგვრელი არიან
3. **Pensamientos** se dirigen- აზრები მიემართებიან
4. Abandona esos **pensamientos** tan necios – ამგვარი სულელური აზრები მიატოვა
5. Cambiar tus **pensamientos** – აზრის შეცვლა
6. Tus propios **pensamientos** te enseñaban- საკუთარმა ფიქრებმა გასწავლეს
7. No tengo **pensamientos** – აზრი არ გამაჩნია
8. Tener **pensamientos** – აზრის ქონა
9. Refleja mis **pensamientos** - აირეკლავს ჩემს ფიქრებს
10. Son mis **pensamientos** los que me dicen dónde estoy y lo que soy - ჩემი ფიქრები მეუბნებიან, სად ვარ და ვინ ვარ
11. **Pensamientos** afines vengan a ayudar te – მსგავსი ფიქრები მოდიან შენს დასახმარებლად
12. **Pensamientos** que me asustarán- აზრები, რომლებიც მაშინებენ

13. Sólo mis propios **pensamientos** fracasarán - მხოლოდ ცემი ფიქრები ცაფლავენენ
14. Los **pensamientos** que lo originaron - ფიქრები, რომელტაც იგი შვეს (დაბადეს)
15. Atormentar me con estos **pensamientos** - ამ ფიქრებით ცემი წვალება
16. La elevación de sus **pensamientos** - მისი ფიქრების ამაღლება (აღზრდა?)
17. No sofocase todos los **pensamientos** - ნუ ჩაახშობ ყველა ფიქრს
18. Es muy fácil dejar los **pensamientos** desordenados - ძალიან ადვილია უწესრიგო ფიქრების მიტოვება
19. Nuestras actitudes ejecutar nuestros **pensamientos** y nuestros pensamientos nos ejecutar se - ჩვენი დამოკიდებულება მოქმედებს ჩვენს ფიქრებზე, ჩვენი ფიქრები კი ჩვენზე
20. Poner en orden todos los **pensamientos** que acechan tu mente - იმ აზრების მოწესრიგება, რომლებიც აედევნენ თქვენს გონებას
21. Cuando cambian sus **pensamientos** - როცა საკუთარ აზრებს ცვლიან
22. Equilibrar los **pensamientos** - ფიქრების გაწონასწორება
23. Salir de todos estos **pensamientos** negativos - უარყოფითი აზრებიდან გამოსვლა
24. Cuestionare estas **ideas** y reemplázalas por **pensamientos** positivos - ამოიკითხე ეს იდეები და ჩაანაცვლე პოზიტიური აზრებით
25. La terapia cognitiva, ataca los **pensamientos** - კოგნიტიური ტერაპია უტევს აზრებს
26. Cambiar los **pensamientos** improductivos - უშედეგო აზრების შეცვლა

ეს მაგალითები ლექსიკოგრაფიულად ღირებულ მასალას წარმოადგენს. მეორე მხრივ კი, კვლევის შედეგები შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში, სადაც იგი დაეხმარება მთარგმნელს მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში შემავალ ამა თუ იმ სემაზე გაამახვილოს ყურადღება მეტაფორის ფუნქციური ტიპის და მიხედვით. აზროვნების აღმნიშვნელი ზმნური მეტაფორული მნიშვნელობის მქონე ლექსიკა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ექსპრესიული ლექსიკის სწავლების პროცესში, სადაც მოცემული ენობრივი მასალა მეტაფორის დეკოდირებას გაუადვილებს ენის შემსწავლელს.

ლიტერატურა:

1. Авалиани Ю. Ю., Слово и фразеологизм в иранских языках // Самарканд: Вопросы фразеологии, III, 1979.
2. Bally Ch., Précis de stylistique, Genève, 1905, 17.
3. Baldinger, K. Sémantique et structure conceptuelle. Le concept "se souvenir" // Paris : «Cahiers de Lexicologie » N8, 1964.
4. Берлин М. И., Развитие синонимических отношений в группе глаголов мышления во французском языке. АД Д., М., 1960.
5. Борисова Е. Г., Телия В. Н. Научная жизнь. Хроникальные заметки // Москва: ВЯ, №4, 1989.
6. Голякова Н. В., Развитие многозначности группы глаголов выражающих понятие «думать» и система их значений в современном французском языке, М., 1956.
7. Головнева Е. В., Обстоятельственная сочетаемость ментальных глаголов французского языка, АДК, М., 1989.
8. Дмитриева Н. С., Процесс десемантизации глагола в составе субстантивных описаний // Очерки по семантике русского языка, Уфа. 1971.
9. Доза А., История французского языка, М., 1956.
10. Ерофеева Е. А., Структурно-семантические характеристики идиом аналитического типа // Фразеологическая параметризация в машинном фонде русского языка, М., 1990.
11. Заонегин Е. В., Глаголы выражающие понятие думать в романских языках (ономасиологический анализ), Авт. канд. дисс. М., 1972.
12. Жоржوليани Д., Теоретические основы фразеологической номинации и сопоставительная лингвистика, АДД, Тб., 1987.

13. Murat M., La métaphore verbale: une mise au point // Strasbourg : Travaux de linguistique et de littérature, 1981.
14. Norberto Moreno Quibén, Semántica y Lexicología de la Lengua Española, 2007-2008, https://www.academia.edu/5668352/Sem%C3%A1ntica_y_Lexicolog%C3%ADa_de_la_Lengua_Espa%C3%B1ola
15. Ониани А. Л., Фразеологизм и слово (на материале картвельских языков) // Самарканд.: “Вопросы фразеологии”, 1970.
16. Пичугина В. П., Научная жизнь. Хроникальные заметки. //М., ВЯ, 1991, № 3.
17. Саная Н. Т., Роль ассоциативно-образного этапа в процессе формирования связанных значений слов //Фразеологическая параметризация в машинном фонде русского языка, М., 1990.
18. Степанов Ю. С., Семиотика. Антология, Изд. 2-е М., «Академический Проект», 2000.
19. Телия В. Н., Типы языковых значений. Связанное значение слова в языке, М., 1981.
20. Шмелев, Д. Н., Проблема семантического анализа лексики, Л., “Просвещение”, 1973.
21. Tutin A., Grossmann F. « Collocations régulières et irrégulières - esquisse de typologie du phénomène collocatif », *Sciences du Langage*, Université Stendhal Grenoble, 2002.
<http://agnes.tutin.u-grenoble3.fr/Publis/RFLA.pdf>
22. ესპანური ენის ეროვნული კორპუსი. <https://www.corpusdelespanol.org/web-dial/>

ნინო სანაია

აზროვნების კონსტანტას ნომინაციასთან დაკავშირებული პრობლემები თანამედროვე ფრანგულსა და ესპანურ ენებში რეზიუმე

მეტაფორიზაცია აზრთწარმოების ყველაზე პროდუქტიულ ხერხს წარმოადგენს ენის სტრუქტურის ყველა დონეზე: ლექსიკურზე, მორფოლოგიურსა თუ სინტაქსურზე. მეტადრე ლექსიკურზე, რადგან ეს ფენომენი განსაკუთრებულ აქტიურობას ენაში უკვე არსებული ლექსიკური ერთეულების ბაზაზე ახალი მნიშვნელობებისა და ცნებების წარმოქმნაში ავლენს.

დღეისათვის არსებულ, მეტაფორულ ნომინაციასთან დაკავშირებული, პრობლემების შემსწავლელი მიმართულებების სიმრავლე: ლექსიკოლოგიური, ლექსიკოგრაფიული, სემასიოლოგიური, ონომასიოლოგიური, ექსპრესიოლოგიური, ლოგიკური, ლინგვო-სტილისტური, ფსიქოლინგვისტური, გნოსეოლოგიური კიდევ ერთხელ მოწმობს იმ ფაქტზე, რომ ამ ტიპის ნომინაცია კვლევის უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

სტატიაში ჩვენ დავადგინეთ აზროვნების კონსტანტას მეტაფორულ ნომინაციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და პასუხი გავეცით ზოგიერთ მათგანს: რა ტიპის ენობრივ ერთეულს წარმოადგენს ზმნური მეტაფორული შესიტყვება და რა მოცულობისაა «აზროვნების» აღმნიშვნელი სემანტიკური ველი, რომელშიც ასეთი ტიპის შესიტყვებები შედის.

Nino Sanaia

Problems Related to Nomination of Constant of “Thinking” in Modern French and Spanish Summary

Metaphorization is the most productive means at all levels of language structure: lexical, morphological or syntactic, mainly at the lexical level, because this phenomenon has a special effect on the creation of new meanings and concepts on the basis of existing lexical units in the language. The vast variety of the means of studying the problems regarding metaphoric nomination (lexicological, lexicographical, semasiological, onomasiologic, expressional, logical, lingvo - stylistic, psycholinguistic, gnosiological) once again confirms the fact that this type of nomination is the constant source of the research.

In the paper we have determined the problems related to the metaphorical nomination of the thinking constant and answered some of them: what type of linguistic entity is the verb metaphorical collocation and what is the volume of the semantic field denoting “thinking” which includes such kinds of collocations.

ქეთო გალობერი

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ვეროპული მთარგმნელობითი თეორიის ტრადიციები მეორე (საშუალო) პერიოდში

ვეროპული თარგმანის მეორე, ანუ საშუალო პერიოდი მოიცავს მთლიანად მე-18 საუკუნეს. ვეროპელმა ხალხებმა, თითოეულმა თავისებურად და თავის ინდივიდუალურ ვადებში, თანმიმდევრულად გაიარეს აღორძინების, კლასიციზმისა და განმანათლებელთა ეპოქები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ამ ერების ლიტერატურული ენების, ეროვნული ლიტერატურისა და კულტურის ჩამოყალიბებაში.

აღორძინება, კლასიციზმი და განმანათლებლობა თანდათანობით არყვედნენ და საბოლოოდ დაანგრეს შუასაუკუნეების ფეოდალიზმი და ფეოდალური გადმონაშთები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, გარდა პოლიტიკურისა და ფლობენ ორ საერთო ნიშანს – მიმართება ქრისტიანობამდელ ანტიკურობასთან და ბრძოლა ახალი იდეალებისათვის. აღორძინების ეპოქა, რომელიც ითვისებდა საუკეთესო მიღწევებს ანტიკურობის ხანიდან საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში, კულტურაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, გამოხატავდა მისწრაფებას ადამიანის ბუნების სრული და მრავალმხრივი განვითარებისკენ, ინდივიდუალურობის პატივისცემას, ცოცხალ ინტერესს რეალური სამყაროსადმი, გადიოდა მწვავე ბრძოლას შუა საუკუნეების ეკლესიის და მორალის მოძველებული ფორმების წინააღმდეგ, რამაც გამოიწვია ადამიანის პიროვნების მანამდე არნახული აყვავება. კერძოდ, მისგან იწყება გადასვლა ახალ მსოფლმხედველობაზე, რომელიც ეფუძნება ბუნებისა და საზოგადოების რეალურ აღქმას.

ფრანგული კლასიციზმი, რომლის იდეოლოგიისა და პრაქტიკის გავლენის ქვეშ მოექცა ვეროპა მე-17–18 საუკუნეებში ასევე ორიენტირებული იყო ქრისტიანობამდელ, ანტიკურ ხანაზე, მის გვიანდელ ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაზე და კულტურაზე, მათი ხელოვნებისა და ლიტერატურის მკაცრ წესებზე, რომელიც აღიქმებოდა კლასიციზმის მიერ როგორც მუდმივი ნორმა, რომელთა დაცვისას ისინი ცდილობდნენ არა მარტო მიებაძათ უძველესთათვის, არამედ შეჯიბრებოდნენ და გაესწროთ მათთვის.

საზოგადოებრივ ასპექტში კლასიციზმი ნიშნავდა ბრძოლას იდეალური პიროვნების, იდეალური მოქალაქის ფორმირებისათვის, რომელიც დაუქვემდებარებდა თავის პირად ინტერესებს და მისწრაფებებს, მოვალეობას და ღირსებას საზოგადოების წინაშე. ამის საფუძველზე ფრანგული აბსოლუტიზმი ცდილობს ფეოდალებისა და განვითარებადი ბურჟუაზიის მისწრაფებათა გაწონასწორებას საერთო ეროვნული ინტერესების ერთიან ჩარჩოში. ეს ეპოქა ეხმარება ფეოდალური გადმონაშთების გადალახვაში და აყენებს გამოუსწორებელ ზიანს აბსოლუტიზმის რეაქციულ საფუძველს და ძალაში ტოვებს მხოლოდ მის ერთ-ერთ პრინციპს - გონებას. განმანათლებლებს უდიდესი რეზონანსი ჰქონდათ ვეროპის ყველა ქვე-

ყანაში. ახალი ადამიანის პიროვნების ფორმირებაში მათი როლი იყო უდიდესი, თუმცა, არა საბოლოო.

ევროპული მთარგმნელობითი სკოლის მეორე პერიოდი იწყება მსოფლიო ისტორიის უდიდესი მოვლენებით: გეოგრაფიულ აღმოჩენებთან ერთად მსოფლიო შევიდა ახალ ეპოქაში ბევრად ინტენსიური ენათმშორისი და სახელმწიფოთა-შორისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირებით, რის შედეგადაც თანდათანობით იკარგება ხალხთა ფეოდალური ჩაკეტილობა. ამ პერიოდში იწყებს ფორმირებას თანამედროვე ფილოსოფია, ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება და სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები, რომლებიც ეხმარებიან თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას, რომლის წყალობითაც ხდება არაბული აღმოსავლეთისა და ანტიკურობის მეცნიერული და მხატვრული მიღწევების ათვისება. ეს პერიოდი გამოირჩევა თარგმანთა ინტენსიურობით. ევროპის ქვეყნები დაკავებულნი არიან რელიგიური წიგნებისა და საერო ლიტერატურის თარგმანებით ძველებრაულიდან, ძველბერძნულიდან, ლათინურიდან, არაბულიდან და ახალი ენებიდან. ამიტომაც ინგლისში ელისაბედ I-ის მეფობას ეწოდა თარგმანის დიდი საუკუნე, ხოლო ფრანგებმა თავიანთი მე-16 საუკუნე გამოაცხადეს თარგმანის ოქროს საუკუნედ. საბეჭდი დაზვის გამოგონებამ უდიდესი როლი შეასრულა წინა პერიოდთან შედარებით, ორიგინალური და თარგმნითი ლიტერატურის გავრცელებაში, წიგნიერი განათლების უზარმაზარ ზრდაში.

ამ პერიოდის განმავლობაში ხდება ეროვნული ლიტერატურული ენების განვითარება, მხატვრულ ლიტერატურაში ჩნდება ახალი სტილი და ჟანრები. საზოგადოებრივი, ლინგვისტური და ლიტერატურული განვითარების თავისებურებანი შესამჩნევად ახდენენ ზემოქმედებას მხატვრული თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაზე. როგორც ადრე, ახლაც სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანია გაბატონებული და მიმდინარეობს ბრძოლა საკუთრივ თარგმანზე, თუმცა, მისი დონე წინა პერიოდთან შედარებით უკვე უფრო მაღალია, მთარგმნელები ფილოლოგიურად უფრო განათლებულნი არიან. ისინი ეძებენ უფრო ოპტიმალურ შესაძლებლობებს და პირობებს თარგმანისათვის. საერთო მოთხოვნებთან ერთად ხდება, აგრეთვე, ცალკეული კონკრეტული პრინციპების ფორმირება. სიტყვასიტყვითი თარგმანის აშკარა აპოლოგეტად მე-15 საუკუნის შუა წლებში უდავოდ ითვლება ნიკლას ფონ ვილე, გერმანელი ჰუმანისტი და მთარგმნელი. მან განათლება მიიღო გერმანიასა და იტალიაში, ასწავლიდა სტილისტიკას და რიტორიკას, აღფრთოვანებული იყო ციცერონით და კინტილიანით. ის იყო პირველი მთარგმნელი ჰუმანისტური ლიტერატურისა გერმანულ ენაზე გააცნო გერმანელებს პეტრარკა, ბოკაჩო, პოჯო და ა. შ. ცნობილი ხდება როგორც „ლამაზსიტყვიერების აღმდგენი გერმანიაში“ (2), აგრეთვე, როგორც, ბრწყინვალე მწერალი და მთარგმნელი ლათინური ენიდან“. თუმცა, გვერდს უვლის ჰორაციუსის შენიშვნებს: „ო, გულმოდგინე მთარგმნელო, შეეცადე თარგმნო არა სიტყვასიტყვით“(2). ვილეს დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ჯერ კიდევ დაუშუშავებელი ადრეულ-ზემოგერმანული ენის ლიტერატურულ ენად გარდაქმნის მისი მცდელობა.

სიტყვასიტყვითი თარგმანის ტრადიცია გრძელდება მე-17 და მე-18 საუკუნეებშიც ევროპის ყველა ქვეყანაში, საფრანგეთშიც კი, სადაც ამ დროს გამეფებული იყო თავდაპირველად თავისუფალი, ხოლო შემდეგ კი, „გამოსასწორებელი“(2) თარგმანები. „გამოსასწორებელი“ თარგმანი გადის განსაზღვრულ ძიებას, რომელიც აშკარად ჩანს ეტიენ დოლესთან (1509–1546), ფრანგული აღორძინების გამოჩენილ წარმომადგენელთან. იგი, როგორც ფილოლოგი, ფილოსოფოსი, პოეტი და მთარგმნელი უარყოფს ზემთაგონების რელიგიას. ეჭვი ეპარება რელიგიური დოგმების ჭეშმარიტებაში. ის რამდენჯერმე ხვდება ციხეში, წვავენ მის წიგნებს, მის თარგმანში, პლატონის ერთ-ერთ

დიალოგში სოკრატე ამბობს, „სიკვდილი უძლურია შენზე, რადგან შენ არც ისე ახლოს ხარ შენს გარდაცვალებასთან, ხოლო როცა მოკვდები, სიკვდილი ისევ უძლური იქნება, რადგან მაშინ შენ გარდაიქმნები არაფერში“. წმინდა ინკვიზიციამ განიხილა თარგმანისა და ორიგინალის ტექსტი და დაასკვნა, რომ ორიგინალში ასე არაა, მთარგმნელი ეჭვქვეშ აყენებს სულის უკვდავების დოგმას. ეტიენ დოლეს მიესაჯა სიკვდილი და ის დაწვეს პარიზის მობერის მოედანზე 1546 წელს. ის არის ავტორი წიგნისა „ფრანგი ორატორი“ (ორატორურ ფრან აის, 1540) (2), რომლის ერთ-ერთი თავი „ერთი ენიდან მეორეზე კარგად გადათარგმნის შესახებ“, წარმოადგენს აღორძინების ეპოქის მთარგმნელობითი აზროვნების მწვერვალს და, საფრანგეთში დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე შინაარსიან ნაწარმოებად ამ თემაზე. დოლე აყალიბებს თარგმანის შემდეგ პრინციპებს:

1. მთარგმნელის მიერ სრულყოფილად უნდა იყოს გაგებულნი ორიგინალის შინაარსი და ავტორის მიზანი, რომელსაც ის თარგმნის.
2. ის სრულყოფილად უნდა ფლობდეს ენას, რომლიდანაც თარგმნის, ასევე ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს ენა, რომელზეც თარგმნის.
3. მთარგმნელმა გვერდი უნდა აუაროს სიტყვასიტყვით თარგმნის ტენდენციას, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაამახინჯებს ორიგინალის შინაარსს და დაშლის მისი ხატოვანი გამოსატვის სილამაზეს.
4. უფრო განვითარებული ენიდან თარგმნისას, ნაკლებად განვითარებულ ენაზე მთარგმნელი ვალდებულია მუდმივად ისწრაფოდეს უკანასკნელის განვითარებაზე.
5. შესაბამისი სიტყვებისა და მათი წყობის შერჩევით მთარგმნელმა უნდა მიადლოს სრულ იდეურ-მხატვრულ ელემენტებს თარგმანში ორიგინალის მსგავსად. დოლეს პრინციპები დღემდე განიცდის სხვადასხვა შეფასებებს, მაგრამ აქ გამოიყო ახალი და მთავარი ნიშანი: ორივე ენის თვით სათარგმნი ტექსტის „მასალის“ კარგად ფლობის აუცილებლობის მოთხოვნა. მე-16 ს-ში ამ მოსაზრებების უფრო გათანამედროვეობა, „არასაჭირო“-ს დაცხრილვა და „საჭირო“-ს მიმატება ითვლებოდა სრულიად მისაღებად, და ეს ყველაფერი კეთდებოდა არა მთარგმნელთა სახელით, არამედ ყველაფერი მიეწერებოდა სათარგმნი ავტორებს. (აქ იგულისხმება ენის „სიზუსტე“, თარგმანის „გაუმჯობესება“, ჰარმონია, „ენის ფორმა“ (3).

თავისუფალი თარგმანი გერმანიაში წარმოდგენილია ბევრი ჰუმანისტის საქმიანობით, მათ შორის ჰენრიხ შტეინჰეფელი და ალბრეჰტ ფონ ეიბა, რომლებიც ფართოდ იყენებდნენ ადაპტაციის მეთოდს. პროფესიით ექიმი ულმადან ჰ. შტეინჰეფელი (1412–1482), ცდილობდა ეთარგმნა სიტყვასიტყვით და თავისუფლად გადმოეტანა ორიგინალის არსი გერმანული ენის თავისებურებების გათვალისწინებით. მან თარგმნა დეკამერონიდან ორი ნოველა „გრიზელდაზე“, ბოკაჩოს ტრაქტატი „ცნობილ ქალებზე“, მის მიერ დამუშავებულმა „ეზოპემ“ მოიარა სხვადასხვა ქვეყნები. ეს თარგმანები იმ დროის ერთ-ერთი პოპულარული წიგნები გახდა, მათში უხვად მოცემული ანდაზებისა და მაშინდელი პოლიტიკური მოვლენების კრიტიკული მინიშნებების გამო. მათ იყენებდა მარტინ ლუთერიც.

ალბრეჰტ ფონ ეიბმა ბამბერგიდან (1420–1475), „გააგერმანულა“ პლაგატის კომედიები „ბავკიდები“ და „ტყუპები“, რომელთა პერსონაჟებს გადაარქვა გერმანული სახელები და მოქმედების ადგილი გადმოიტანა გერმანიაში. მისი მთავარი ამოცანა იყო: „ეთარგმნოთ არა სიტყვასიტყვით, არამედ, შინაარსის მიხედვით და საგნის გააზრებით ისე, რომ გამოხატოთ რაც შეიძლება გასაგებად და უკეთესად“ (3). ეს სიტყვები შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღორძინების ხანის თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის მოღვაწეთა უმეტესობის ზოგად დასკვნად, რომლებიც უკვე მაშინ, ამზადებდნენ გამარჯვებას კლასიციზტური ტიპის თარგმანზე და, როგორც მის გაგრძელებაზე, გასასწორებელ თარგმანებზე.

თარგმანის კლასიციისტური სტილი გამომდინარეობდა უცვლელი წესების ესთეტიკიდან, რომელიც შექმნილი იყო ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის. აქ იდვალს წარმოადგენს ფრანგული ლიტერატურის მკაცრი ნორმები და გემოვნებები, მათ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს თარგმანები. მიუხედავად ორიგინალების თავისებურებებისა, თარგმანების შედეგად, სავარაუდოდ, ხდებოდა უდიდესი გადაკეთება, ეროვნული გემოვნებებისა და წესების დასაკმაყოფილებლად. ამ დებულების დაცვა აუცილებელი იყო. არ უნდა დარღვეულიყო იდეალი არც ორიგინალურ და არც თარგმნილ ნაწარმოებში. აღორძინების ეპოქამ უფრო გააღრმავა ეს დებულება, რომლის დამკანონებლად ითვლებიან არისტოტელე, ჰორაციუსი, ბუალო. ანტიკურობა – ეს ზეისტორიული თანამედროვეობა – გამოდიოდა თითქმის ყველაფრის კრიტიკით.

იოჰიმ დიუბელე (1522–1560) პლედის გამოჩენილი პოეტი და თეორეტიკოსი, ავტორი ტრაქტატისა, „დაცვა და დიდება ფრანგული ენისა“, ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება მხოლოდ თარგმანებზე დაყრდნობა. ფრანგული ენის განვითარებისათვის აუცილებელია ორიგინალური ლიტერატურა. მე-18 ს-ის მე-2 ნახევარში მას გამოუჩნდნენ მომხრეები, როცა უკვე ფრანგული ენა განიხილება, როგორც გაძლიერებული და ლათინური ენის ღირსეული „მოქიშპე“. თავის მთარგმნელობით პრაქტიკაში დიუბელე, ოვიდიუსის მთარგმნელი, ორჭოფობდა სიტყვასიტყვითი და თავისუფალი სახის თარგმანებს შორის. დიუბელემ დაასახელა სრულყოფილი თარგმანის შექმნის შემდეგი სირთულეები: 1. საკუთარი სახელების თარგმნის შეუძლებლობა 2. ზოგიერთი საზოგადო სახელების მნიშვნელობათა სიჭარბე, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ მოცემული ენისათვის. 3. წინადადების აგების ხერხები და მათი გამოხატვის ენერგია, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ მოცემული ენისათვის. 4. არა მხოლოდ ენათა ზემოთ აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით, არამედ ენის ძალიან თავისებური ხერხის მიზეზითაც, რომლის დახმარებით მწერლები და უმთავრესად, პოეტები იყენებენ ენას. 5. შემდეგ სირთულეს წარმოადგენს გამოგონების მიზეზი, რომელიც სპეციფიკურია ყველა მწერლისათვის, მეტაფორები, ალეგორიები, შედარებები, მიმსგავსებები, მოკლედ, სტილის მიზეზი. ეს უკანასკნელი იყო მაშინ და შემდგომშიც „შემკობის“ თეორიის გამოყენება, როგორც გამონაკლისი ხერხი, რომელიც „გააუმჯობესებს“ ორიგინალს და ასევე, დამატების ხერხი, ანუ დამატება იმისა, თუ რა მოსწონს მკითხველს. ასეთს მიეკუთვნება მოტომის მიერ თარგმნილი „ილიადა“ (1714წ). „ილიადას“ 24 სიმღერა დაყვანილი იყო 10–მდე, შემცირებულია მოსაწყენი „ბრძოლების აღწერა“, გამოტოვებულია ეპითეტები, შედარებები, წაშლილია მთელი ადგილობრივი და ისტორიული კოლორიტი, მოშორებულია ყველა „სიმდაბლე“ და მიამიტობა, „გაკეთილშობილებულია“ გმირები. მსგავსი „გასწორებები“ განიცადეს სიტყვის ორიგინალური მხატვრების ნაწარმოებებმა, როგორცაა შექსპირი და სერვანტესი. საინტერესოა ფლორიანის წინასიტყვაობა „დონ კისოტის“ მისეულ თარგმანში, სადაც სწერს „მონური ერთგულება არის მანკი... დონ კისოტში გვხვდება ზედმეტობები, ცუდი გემოვნების ნიშნები - რატომ არ უნდა გამოვტოვოთ ისინი? როცა თარგმნი რომანს თარგმანი უნდა იყოს სასიამოვნო და, რა თქმა უნდა, ყველაზე ზუსტი“ (1). საკუთრივ თარგმანზე ბრძოლა მიმდინარეობდა მთელი მეორე პერიოდის განმავლობაში ცვალებადი წარმატებებით. აქ დაწინაურდნენ იტალიელი ჰუმანისტები. ლეონარდო ბრუნისა და კარლუჩო სალუტანის მიერაა დამკვიდრებული ევროპული მოძრაობის სახელწოდება – ჰუმანიზმი. მათ შემოიღეს გამოყენებაში სიტყვა ჰუმანიტას, რომელიც ისესხეს ციცერონისგან. ამ სიტყვაში მათ ესმოდათ ადამიანის ის თვისება, რომელიც განსაზღვრავს მის ადამიანურ

ღირსებას და მიჰყავს ის ცოდნისაკენ. ბრუნი არის ავტორი „ტრაქტატისა ლათინურ ენაზე, სწორი თარგმანის შესახებ“(1440წ).

მნიშვნელოვანი კვალი დატოვა გერმანული აღორძინების ეპოქამ განსაკუთრებით თარგმანის დამუშავებაში. აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყურადღების გამახვილებას გამომცემლობითი საქმიანობის ლიტერატურული და ლინგვისტური საკითხებისადმი, რომელსაც იჩენენ გერმანული ჰუმანიზმის ისეთი მოღვაწეები, როგორცაა ერაზმ როტერდამელი, იოჰან რეიჰლინი და სხვ., რომლებიც ახდენდნენ გამოსაცემი ტექსტების ფილოლოგიურ დამუშავებას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როტერდამელის მიერ ახალი აღთქმის გამოცემას ძველბერძნულ ენაზე. იერონიმის ლათინური თარგმანისა და ძველბერძნული ორიგინალის შედარების შედეგად მან დაადგინა არა მარტო სხვაობა შინაარსში, არამედ, ყველა ენობრივი შეუსაბამობები და შეცდომები, და მოამზადა ახალი აღთქმის სამეცნიერო – კრიტიკული გამოცემა ძველბერძნულ ენაზე. იმ პერიოდში ბიბლიის განხილვა მეცნიერულ-კრიტიკული თვალსაზრისით იყო გაუგონარი თავხედობა და უდიდესი მოქალაქეობრივი სიმამაცე. მან პირველმა მიუთითა ბიბლიის ისტორიულ და მხატვრულ მნიშვნელობაზე.

ზემოთ აღნიშნული მთარგმნელების მოღვაწეობამ და შემოქმედებითმა კვლევამ ხელი შეუწყო გერმანული რეფორმაციის მოღვაწის მარტინ ლუთერის გამოჩენას (1483–1546), რომელშიც გაერთიანებული იყო საფუძვლიანი თეოლოგიური და ჰუმანიტარული განათლება ერთი მხრივ, და ხალხური ტრადიცია, მეორე მხრივ. ის ცნობილია, როგორც ეზოპეს იგაგების მთარგმნელი, თეორიული ნაშრომების თარგმანთა ავტორი და ასევე, გრანდიოზული საქმის – ბიბლიის თარგმანის შექმნით, რამაც დაიკავა მისი ცხოვრების ათეული წლები. ბიბლიის ლუთერისეული თარგმანი წარმოადგენს ისტორიული მნიშვნელობის სიტყვიერ და მხატვრულ მიღწევას, რომელიც გავლენას მოახდენს შემდგომში მხატვრულ-ლიტერატურულ ენაზე. ის არის არა მარტო ნათელი მაგალითი მხატვრული თარგმანის ხელოვნებისა, არამედ ენობრივი სრულყოფილებისა, რომელიც გახდა ნორმა საერთოეროვნული გერმანული ენის შემდგომ განვითარებაში.

ფრანგულმა აღორძინებამ ხელი შეუწყო თვით თარგმანის დამკვიდრებას, მაგრამ უკვე საერო ლიტერატურის დარგში. სასიცოცხლო მნიშვნელობის გახდა მე-16 ს-ის ფრანგული ბურჟუაზიისათვის ანტიკური ხანის რესპუბლიკელი გმირების გაცნობა, რომელიც ხორციელდებოდა ჟაკ ამიოს წყალობით. მან თარგმნა პლუტარქეს „საბერძნეთისა და რომის ცნობილი ადამიანების პარალელური ბიოგრაფიები“ (1559წ.). ეს თარგმანი შემდგომში გადაიქცა ისეთივე უდიდეს მოვლენად საფრანგეთისათვის და ფრანგული ენისათვის, როგორც ლუთერისეული ბიბლიის თარგმანი გერმანიისათვის და გერმანული ენისათვის.

ინგლისში ამ პერიოდის დასასრულს აღსანიშნავია მხატვრული თარგმანის ისეთი პოლიტიკოსებისა და თეორეტიკოსების მოღვაწეობა, როგორცაა დ. აბერდინი (1784–1860) და ა. ტეიტლერი (1747–1813). ტეიტლერი ავტორია ტრაქტატისა „თარგმანის პრინციპები“ მხატვრული თარგმანის თეორიის დარგში ის წარმოადგენს, როგორც შუალედურ ფიგურას: ის ასრულებს მე-18 საუკუნეს და აღებს ახალი, მე-19 საუკუნის კარს. სპეციალურად ჩერდება ენათა ლინგვისტილისტურ მრავალსისტემურობაზე. მისთვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, თუ როგორი უნდა იყოს მხატვრული თარგმანი. ტეიტლერს სამ პრინციპამდე დაჰყავს თავისი მოთხოვნები: 1. თარგმანმა უნდა მოგვცეს სრული წარმოდგენა ნაწარმოების ორიგინალის შინაარსზე, აგრეთვე მთარგმნელის ცოდნაზე ორიგინალის ენისა და მის საგანზე. 2. თარგმანში წერის სტილი და მანერა უნდა იყოს ისეთივე ხასიათის, როგორც ეს

ორიგინალშია. 3. თარგმანი უნდა ფლობდეს ორიგინალის სრულ სიმარტივეს და ბუნებრივობას.

მე-18 საუკუნის მე-2 ნახევარში ევროპაში მხატვრული თარგმანის პრაქტიკა და თეორია აღწევს თავისი განხორციელების უდიდეს ილუზიას: სრულყოფილი თარგმანი ცხადდება შესაძლებლად, მაგრამ ამ პერიოდში შეინიშნება ღირებულებათა გადაფასება. თუ აქამდე თარგმანის თეორია ერთნაირად განისაზღვრებოდა მთარგმნელობით საქმიანობასთან, ორიგინალთან მიმართებაში, როგორც მხატვრულ ნაწარმოებთან, ასევე ორიგინალის ენასთან და თარგმნის ენასთან, ახლა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მესამე მომენტი – მიმართება ორიგინალის ენასთან და თარგმანის ენასთან – ლინგვისტური გაგება მოვლენისა „ენა“. რ. დეკარტმა (1596–1650) წამოაყენა დებულება „უნივერსალური ენის“ აუცილებლობაზე, ვინაიდან, მისი თქმით, ნებისმიერი მეტყველების აქტს საფუძვლად უდევს ზოგადად ენის ერთი საერთო რაციონალური ფორმა, რომელიც შეიძლება ჩაქრეს სიტყვათა ფორმების სხვაობით და სისრულით, მაგრამ შეუძლებელია მისი დაფარვა მთლიანად. ხალხთა აზროვნების ერთიანობის გარკვევასთან დაკავშირებით, პირველ ადგილზე წამოიწია მხატვრული თარგმანის უტილიტარულმა მხარემ და თარგმანმა ზოგადად. გ. ლეიბნიცისათვის თარგმანი მთავარი იყო, როგორც ენის გამდიდრების და, როგორც ახალი სიტყვების შექმნის საშუალება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ უკვე ევროპული თარგმანის მეორე პერიოდში ჩნდება ეჭვი მხატვრული თარგმანის შესაძლებლობაზე. იმ დროისათვის ასეთი გაგება საკმაოდ პროგრესული იყო. ეს იყო მიამიტი წარმოდგენის საბოლოო უარყოფა ენებზე, როგორც ერთი და იგივე აზრების გამოსატყვის სრულიად თანაბარ საშუალებებზე. ეს ნიშნავდა იმის აღიარებას, რომ მხატვრული მეტყველება ფლობს ენობრივ თავისებურებებს და, რომ ის ორგანულად დაკავშირებულია განსაზღვრულ ენასთან.

ლიტერატურა:

- 1 Annuaire statistique , Unesco 2006
2. R. Kloepfer. Die Theorie der literarischen übersetzung, München, 19 97
3. W. Sdun. Probleme und Theorien des Übersetzens. Munchen,1995,III edd.

ქეთო გალობერი ევროპული მთარგმნელობითი თეორიის ტრადიციები მეორე (საშუალო) პერიოდში რეზიუმე

ევროპის ხალხებმა, თითოეულმა თავისებურად და თავის ინდივიდუალურ ვადებში, თანმიმდევრულად გაიარეს ეპოქები – აღორძინების, კლასიციზმისა და განმანათლებლობის, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ერის, ნაციონალური ენების, ნაციონალური ლიტერატურებისა და კულტურის ფორმირებაში

Qeto Galoberi Traditions of European Translation Theory in the Second (middle) Period Summary

Peoples of Europe, each of them originally and in their individual terms consecutively have gone through epochs the Renaissance, classicism, and enlightenment epochs that played a major role in forming of nation, national languages, national literature and culture.

ირინე არჯევანიძე

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველი საისტორიო წყაროების დახასიათება

IV საუკუნის პირველ ნახევარში წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად, საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. აღნიშნული ღვაწლის გამო, წმინდა ნინო ქართველთათვის განმანათლებლად და მოციქულთა სწორად არის მიჩნეული. თუმცა, როგორც ვიცით, საქართველოში ქრისტიანობა მოციქულებმა გაავრცელეს. მაშინ რატომ გახდა აუცილებელი წმინდა ნინოს შემოსვლა? ეს კითხვა უძველეს დროშიც აწუხებდათ მკვლევარებს. ჯერ კიდევ, ევრემ მცირეს გარკვეული შეუსაბამობა შეუნიშნავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. იგი შეეცადა აეხსნა, თუ რით იყო გამოწვეული სწორედ ასეთი შეუსაბამობა. მისი აზრით, მოციქულების შემდეგ, ხალხმა დაივიწყა ქრისტეს მოძღვრება და ისევ წარმართობისაკენ მიიქცა. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, I-III საუკუნეებში ქრისტიანული თემები, მართალია სამეფო ხელისუფლებისაგან, დევნას არ განიცდიდნენ, მაგრამ ისინი ფარული სახით არსებობდნენ. სახელმწიფო ხელისუფალნი და მათი ქვეშევრდომნი ისევ წარმართ კერპებს აღმერთებდნენ, თუმცა, როგორც წყაროებით ირკვევა, ქრისტიანული თემები გარკვეულ გავლენას ახდენდნენ წარმართულ მოსახლეობაზე და თვით სამეფო ხელისუფლებაზეც. მეფე რევ მართალმა აკრძალა არმაზის კერპისათვის ჩვილ ბავშვთა შეწირვა. მეფის ამ გადაწყვეტილებას წარმართი მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვედრია. უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ნინოს დროს ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარება დაახლოებით ახ.წ. II საუკუნის პოლიტიკურმა ვითარებამ. კერძოდ, იმ ფაქტორმა, რომ ნიზიბინის საზავო ხელშეკრულებით (298 წ.) საქართველო და სომხეთი რომის იმპერიის ქვეშევრდომები გახდნენ. IV საუკუნის დასაწყისში კონსტანტინე იმპერატორმა იმპერიის მასშტაბით ქრისტიანობა შეიწყნარა, შემდგომ კი სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა. ამ ფაქტორმა გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ რომის იმპერიისადმი დაქვემდებარებულ საქართველოზე, სადაც ამავე პერიოდში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. იმის აღნიშვნაც აუცილებელია, რომ წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლის დროს მთელი ერი მზად იყო ქრისტიანობის მისაღებად. რომ არა მოციქულთა ღვაწლი, წმინდა ნინოს გაუჭირდებოდა ქართველი ხალხის გაქრისტიანება.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზეც, რომ ქართველთა განმანათლებელი ქალია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ერთადერთი შემთხვევაა მსოფლიოს ქრისტიანული ქვეყნების ისტორიაში. ამ ფაქტის შესახებ ცნობილი ქართველოლოგი ბერნარდ უტიე აღნიშნავს: „ნამდვილად შეუდარებელი არის საქართველო იმიტომ, რომ თქვენი დედა სარწმუნოებაში, თქვენი განმანათლებელი, თქვენი მოციქული - ქალია, წმინდა ნინო; რამდენადაც ვიცი, ეს მსოფლიოს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მოხდა და ისიც თქვენთან, ქართველებთან“ (6,274). აღნიშნულ ფაქტს ჯერ კიდევ XII საუკუნის მეორე ნახევარში, მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქმა, ნიკოლოზ გულაბერიძემ მიაქცია ყურადღება. იგი ცდილობს, გასცეს პასუხი კითხვას: „...ხოლო პირველად ესე საძიებელი არს, თუ რადსთვის უკუე დედადკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მიმართ“ (5,72). ნიკოლოზ გულაბერიძემდე, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, არავის მოსვლია აზრად, პასუხი გაეცა კითხვაზე: „რატომ აირჩია ღმერთმა ქალი ამ მიზნის განსახორციელებლად და არა მამაკაცი“ (4,381). თავის დროზე, თავად ნიკოლოზ გულაბერიძემ გასცა პასუხი დასმულ კითხვას. მისი აზრით, ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც განაპირობა წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, იყო საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობა. ღვთისმშობელს თავად სურდა ამ ქვეყნის მოქცევა, მაგრამ მაცხოვარმა მის მაგივრად საქართველოს მოსაქცევად მოციქულთა სწორი წმინდა ნინო მოავლინა.

წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი წერილობითი წყაროები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ქართული წერილობითი წყაროების გარდა, მის შესახებ ცნობები დაცულია ადრეული ხანის უცხოურ წყაროებშიც. ჩვენამდე მოაღწია ქართველი განმანათლებლისადმი მიძღვნილმა ჰაგიოგრაფიული თხზულების რამდენიმე რედაქციამ, რომელიც სხვადასხვა საუკუნით თარიღდება.

უძველესი ქართული საისტორიო წყარო, რომელმაც ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს ცხოვრება შემოგვინახა, ცნობილია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სახელით. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველია „ქრონიკა“, რომელშიც ქრონიკების სახით მოთხრობილია ქართლის ისტორია ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვით IX საუკუნემდე. აღნიშნულ ქრონიკაში ნინოს მოღვაწეობას მცირე ადგილი აქვს დათმობილი, რის გამოც, მას „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციას უწოდებენ. „მოქცევაჲს“ მეორე ნაწილში გადმოცემულია „ნინოს ცხოვრება“ უფრო სრული სახით. ამიტომ, იგი ვრცელი რედაქციის სახელითაა ცნობილი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჩვენამდე ოთხი ხელნაწერის სახით მოაღწია. აქედან შატბერდული და ორი სინური რედაქცია X საუკუნისაა, ხოლო ჭელიშური XIV საუკუნით თარიღდება. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზემოთ აღნიშნული ხელნაწერები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რედაქციებს წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ქართველთა განმანათლებლისადმი მიძღვნილი თხზულების უძველესი ხელნაწერი X საუკუნით თარიღდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი თხზულება ამ დროს დაიწერა, იგი ადრე უნდა შექმნილიყო. კარგა ხნის მანძილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ IX საუკუნეში შექმნილი ძეგლია. დღესაც მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ მოსაზრებას იზიარებს. თავიანთი შეხედულების დასამტკიცებლად მათ მოაქვთ ის ფაქტი, რომ „მოქცევაჲს“ ქრონიკაში თხრობა IX საუკუნით მთავრდება და აქედან გამომდინარე, წმ. ნინოს ცხოვრებასაც ამ საუკუნით ათარიღებენ. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა ტექსტოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ დაწერილია წმინდა ნინოს მოღვაწეობის დროს, რაც, ჩვენი აზრით, რეალობასთან ახლოს დგას. თუმცა, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ავთენტურ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გარდა „წმინდა ნინოს ცხოვრებაჲს“ ჩვენამდე რამდენიმე რედაქციით მოაღწია. მათ შორის აღსანიშნავია XI საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული ისტორიკოს ლეონტი მროველის რედაქცია, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ მოთავსებული. იგი დაწერილია „მოქცევაჲს“ საფუძველზე. აგრეთვე, მნიშვნელოვანია XII - XIII საუკუნით დათარიღებული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ორი რედაქცია, რომელთაგან ერთი არსენ ბერისეულია, მეორე კი მის პერიფრაზს წარმოადგენს. ორივე რედაქცია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველის ვერსიებს ეყრდნობა. წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობას ეხება XII საუკუნის მეორე ნახევრის კათოლიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ გულაბერიძის ნაშრომი „საკითხავი სუეტის-ცხოველისანი, კუართისა საუფლოდსა და კათოლიკე ეკლესიისაჲს“.

მნიშვნელოვანია აგრეთვე წმ. ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ოთხი რედაქცია. XI საუკუნეში, ლიტურგიკული დანიშნულების მიზნით, შექმნილია წმინდა ნინოს ცხოვრების ყველაზე ადრინდელი სვინაქსარული რედაქცია. თავის მხრივ, აღნიშნული სვინაქსარული რედაქცია საფუძვლად დასდებია XIV საუკუნეში შექმნილ მეორე რედაქციას. რაც შეეხება ნინოს ცხოვრების დანარჩენ სვინაქსარულ რედაქციებს, ისინი შედარებით გვიანი ხანით, კერძოდ კი XVII - XVIII საუკუნეებით თარიღდება. ასეთია წმ. ნინოს განმანათლებლისადმი მიძღვნილი ქართული საისტორიო წყაროების ზოგადი დახასიათება. ჩვენი აზრით, აღნიშნული წყაროებიდან თავისი სიძველისა და შემადგენლობის მიხედვით, უპირატესობა მაინც შატბერდის კრებულში მოთავსებულ წმ. ნინოს ცხოვრებას ენიჭება.

გარდა ქართული წყაროებისა, წმ. ნინოს მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის უბეღესი ხანის უცხოური წერილობითი წყაროებიც. ამ მხრივ, აღსანიშნავია IV საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ცნობილი საეკლესიო მამის, გელასი კესარიელის (395 წ.) „საეკლესიო ისტორია“. მართალია, გელასი კესარიელის აღნიშნულ შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ უკვე დადასტურებულია, რომ მისი „საეკლესიო ისტორია“ სრული სახით შემონახულია V საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე გელასი კვიზიკელის მეშვეობით. აგრეთვე საინტერესოა, რომელიც ისტორიკოსის რუფინუსის (410 წ.) „საეკლესიო ისტორია“, რომლის შედგენა მას დაუწვია 402 წელს. ყურადსაღებია ასევე, თეოდორიკე კვირელის (393-457), სოკრატე სქოლასტიკოსის (380-440) და იერემია სოხემენეს (IV საუკუნის ბოლო, V საუკუნის დასაწყისი) შრომები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენ-რომაელ ავტორებთან მოცემული ცნობები ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება და უმეტესობა წინამორბედის მონათხრობის თარგმანს წარმოადგენს. უკანასკნელ დრომდე რუფინუსის „საეკლესიო ისტორია“ გელასი კესარიელის ისტორიის თარგმანად მიაჩნდათ. ამ ორი გადმოცემის შედარებით გაირკვა, რომ მიუხედავად ბევრი მსგავსებისა, დასახელებულ ისტორიკოსთა მონათხრობი შეიცავს განსხვავებებს, რომელიც უარყოფს იმ აზრს, რომ თითქოს იგი ერთი და იმავე ავტორის ნააზრევს წარმოადგენს. ზემოჩამოთვლილი უცხოური წერილობითი წყაროების მონათხრობი, როგორც ტექსტიდან ირკვევა, ეყრდნობა გელასი კესარიელის მიხედვით ბაკურს, კაცს ფრიად ღვთისმოშიშს, მეფის შთამომავალს და იბერთა შორის სახელოვანს. როგორც ირკვევა, გელასი კესარიელს ქართლის გაქრისტიანების შესახებ ამბები ჩაუწერია ქართველი მეფისწული ბაკურისაგან, რომელიც მის დროს აღმოსავლეთ რომის იმპერიის დომესტიკოსი ყოფილა და იგი პირადად იცნობდა ქართველ მეფისწულს. იმავეს, ოდნავ განსხვავებული ფორმით, იმეორებს რუფინუსი. ქართლის გაქრისტიანების შესახებ, მეფისწული ბაკური უკვე იბერიის მეფედაა მოხსენიებული, ხოლო გელასი კესარიელთან კი ბაკური ჯერ კიდევ მეფისწულადაა დასახელებული. როგორც ჩანს, ორივეს აღნიშნული მონათხრობი ერთიდაიმავე პირისაგან ჩაუწერიათ სხვადასხვა დროს. გელასი კესარიელი და რუფინუსი ახლოს იცნობდნენ ქართველ მეფისწულს და სავესებით შესაძლებელია, რომ ორივეს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ჩაეწერათ ქართველი მეფისწულის მონათხრობი.

მცირე განსხვავების მიუხედავად, ბერძნული წყაროები ერთნაირი სახით გადმოგვცემენ იბერიის გაქრისტიანებას, რომლის „მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ“ (8,36). მათ მონათხრობში დიდი ყურადღება ექცევა წმინდა ნინოს ღვთისმოსაობას, „კურნების ნიჭს“, თუ როგორ კურნავს იგი სრულიად უანგაროდ ავადმყოფ ბავშვს, შემდეგ კი მოურჩენელი სენით დაავადებულ დედოფალს. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე მეფის ნადირობის დროს მომხდარი სასწაულის აღწერას, შემდგომ კი მთელი ერის მოქცევისა და „ტყვე ქალის“ ლოცვის შედეგად ეკლესიის შენების დროს ჰაერში დაკიდებული სვეტი თუ როგორ დაეშვა კვარცხლბეკზე და სხვ. ერთი სიტყვით, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ნინოს ცხოვრების ბერძნული ვერსია თითქმის ქართული ვერსიის იდენტურია, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბაკურმა მათ მართალია უამბო ქართლის გაქრისტიანების ამბები, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი მეფისწულის ცნობები ზეპირ მონათხრობს არ ემყარება. იგი სარგებლობდა იმ დროისათვის ქართულ ენაზე არსებული წმინდა ნინოს ცხოვრებით. საქართველოში ყველა წმინდანის სახელზე იქმნებოდა მათი „ცხოვრება“, წარმოუდგენელია, რომ ქართველთა განმანათლებლის შესახებ მისი მოღვაწეობის ეპოქაში არ დაწერილიყო ასეთი „ცხოვრება“.

ბერძნული წყაროების გარდა წმ. ნინოს საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ფრაგმენტული, მაგრამ საინტერესო ცნობებია დაცული არაბულ, სირიულ და კოპტურ ძეგლებში. აღნიშნული წყაროების მნიშვნელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე შეუსწავლელია. მის შესახებ პირველად 1910 წელს მკვლევარმა მიხეილ თამარაშვილმა მიუთითა. ამ უკანასკნელის მიხედვით, ჩვენამდე მოღწეული მცირე კოპტური წყარო

წმინდა ნინოს შესახებ არაბულ სვინაქსარშია დაცული, რომლის შემდგენელიც, თამარაშვილის აზრით, „ქართლის მოქცევის თანამედროვე უნდა იყოს“(3,204).

ქართლის გაქრისტიანების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული სომხურ წყაროებში. ამ მხრივ, პირველ რიგში ყურადღებას იმსახურებს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ პირველი წიგნის 86-ე თავი, სადაც მოთხრობილია ნუნეს (წმინდა ნინოს იგი ამ სახელით მოიხსენიებს) მიერ ქართლის გაქრისტიანება. მის ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან შემდგომი ხანის სომეხი ისტორიკოსები, მოსე კალანკატუელი, აგათანგელოსის ისტორიის არაბული ვერსიის ავტორი და სხვები საერთოდ არ ახსენებენ წმ. ნინოს და ქართველთა განმანათლებლად ისინი მიიჩნევენ სომეხ განმანათლებელ გრიგოლს. თუმცა, მოვსეს ხორენაცი აღიარებს, რომ საქართველოში ქრისტიანობა წმ. ნუნემ (ნინომ) იქადაგა. მისი აზრით, იგი იყო გრიგოლ განმანათლებლის მისიის წევრი და მისი მითითებით მოქმედებდა ქართლში. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან სომეხ ისტორიკოსთან დაფიქსირებული აღნიშნული ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება.

წმინდა ნინოს ცხოვრებამ თავისებური ასახვა ჰპოვა რუსულ მწერლობაში, რომელშიც იგი სამი ვერსიითაა წარმოდგენილი. რუსულ წყაროებში წმინდა ნინოს შესახებ ცნობები XVI - XVII საუკუნეებს განეკუთვნება. პირველ რიგში, აღსანიშნავია 1512 წლით დათარიღებული მატიანისეული ვერსია; მეორე - 1641 წლის 27 ოქტომბრის პროლოგ-სვინაქსარის „საკითხავი“ და მესამე - სტეფანე ათონელის „Рай мысленный“ - 1659 წელს ბეჭდური სახით გამოცემული.

წმ. ნინოს სახელთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სახელი „ნინო“ მიღებულია ლათინური სიტყვა „ნონა“-საგან, რაც მონაზონს ნიშნავს. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ „ნინა-ნონას“ სახელი მომდინარეობს წარმართული რელიგიური ონომასტიკიდან. ბერძნული წყაროები ქართველთა განმანათლებლის სახელს არ იცნობს და მას „ტყვე ქალის“ სახელით მოიხსენიებს. უცხოური წყაროების მსგავსად, ქართულ წყაროებშიც „ტყვე-ქალის“ სახელით წმინდა ნინო ხშირად იწოდება. ამ ზედწოდებით ნინო თავის თავს მოიხსენიებს. ბუნებრივია, რომ „ტყვე-ქალის“ ცნებაში უეჭველია, იგულისხმება ქრისტიანული ტყვეობა, ღვთისადმი მორჩილება. თუმცა აღნიშნული მოსაზრების გარდა ამ საკითხზე სხვა შეხედულებაც არსებობს.

კოპტურ წყაროებში წმ. ნინო „თეოგნოსტას“ სახელითაა ცნობილი, რაც ქართულად „ღვთის მცოდნეს“ ნიშნავს. როგორც ჩანს, კოპტური სვინაქსარის შემდგენელისათვის უცნობი იყო წმ. ნინოს სახელი და მან „ტყვე-ქალის“ ნაცვლად „ღვთის მცოდნე“ - ზოგადი სიტყვა გამოიყენა. სომხური წყარო, კერძოდ კი V საუკუნის ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი მას „ნუნეს“ სახელით იცნობს. გვიანი ხანის, კერძოდ კი XIX საუკუნის რუსულ წყაროებში წმინდა ნინო „ნინად“ იწოდება. ხოლო XIX საუკუნის ფრანგული წყარო მას „სენ-კრეტიენის“ ანუ „წმინდა ქრისტიანი ქალის“ სახელით მოიხსენიებს.

საქართველოში წმ. ნინოს მოღვაწეობის ზოგად სურათს XI საუკუნით დათარიღებული ხელნაწერის, შატბერდის კრებულში შესული „წმ. ნინოს ცხოვრების“ მიხედვით წარმოვადგენთ, რადგან იგი სხვა შემორჩენილ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძველესია. მეტად საინტერესოა შატბერდის კრებულში შესული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ შედგენილობა. თხზულება იწყება წმ. ნინოს მოახლოებული აღსასრულის აღწერით. კახეთში, „დაბასა ბოდს“ მყოფი დასწრებული წმინდა ნინო სიკვდილის პირას იყო მისული, როცა მას მირიან მეფის რძალი სალომე უჯარმელი და ვინმე პეროუავრი სივნიელი ესტუმრნენ. დაჟინებული მოთხოვნით წმ. ნინოს მონათხრობი სწორედ მათ ჩაიწერეს და შემდგომ ეს ჩანაწერი დაედო საფუძვლად „წმინდა ნინოს ცხოვრებას“. ორივეს ჩანაწერი ერთი და იმავე შინაარსისა იყო, თუმცა, უპირატესობა სალომე უჯარმელის ჩანაწერს მიენიჭა, რადგან იგი სამეფო კარის წარმომადგენელი იყო. „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ სალომე უჯარმელის გარდა ჩართულია იმ დროს მცხეთაში მოღვაწე ებრაელი მღვდლის აბიათარისა და მისი შვილის, სიდონიას, მღვდელ იაკობისა და თვით მირიან მეფის მონათხრობიც. ქართული წყაროების მიხედვით, წმ. ნინო

კაპადოკიის ქალაქ კოლასტადან იყო. მამამისი - ზაბილონი რომის იმპერატორის ერთ-ერთი მხედართმთავარი გახდა, დედა - სუსანა იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის და იყო. დაქორწინებამდე ზაბილონი რომის სამხედრო სამსახურში საკმაოდ დაწინაურებულია. ზაბილონს თავი გამოუჩენია ბრანჯთა აჯანყების ჩახშობაში. ბრანჯები, რეინის ოლქში მცხოვრები საფრანგეთის ძველი მოსახლეობა იყო. დამარცხებული და დატყვევებული ბრანჯები რომის იმპერატორის გადაწყვეტილებით, სიკვდილით უნდა დაესაჯათ. სიკვდილმისჯილ ბრანჯებს უთხოვიათ ქრისტიანობაზე მოქცევა. ზაბილონმა აღნიშნული თხოვნა მათ შეუსრულა, შემდეგ კი იმპერატორთან შუამდგომლობით ისინი სიკვდილით დასჯისაგან გაათავისუფლა. ბრანჯების თხოვნით ზაბილონი მათ სამშობლოში გაემართა და იქ ათი საერისთავო გააქრისტიანა. ბრანჯთა ქვეყნიდან დაბრუნებული ზაბილონი ტოვებს თავის თანამდებობას და იერუსალიმში მკვიდრდება, სადაც იგი უახლოვდება იერუსალიმის პატრიარქს იუბენალს, რომლის დას - სუსანას ცოლად ირთავს. მათ მალე შეეძინათ ქალიშვილი ნინო, რომელიც პატარაობიდანვე ქრისტეს მცნებას ეზიარა. როცა ნინო თორმეტი წლის შეიქნა, მისმა მშობლებმა მთელი ქონება ღარიბ-ღატაკებს დაურიგეს, ზაბილონი იერუსალიმის პატრიარქის კურთხევით ბერად აღიკვეცა, ხოლო ნინოს დედას სუსანას იმავე პატრიარქმა ტაძარში მიუჩინა ადგილი, გლახაკთა და უძლურთა მოძველად. მშობლების გარეშე დარჩენილი წმ. ნინო ორი წლის მანძილზე იზრდებოდა სომეხ დეინელ ქალთან სარა მიაფორთან (სხვა წყაროს ცნობით ნიამფორი). მასთან ყოფნის დროს გაიგო ნინომ, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ დარჩენილი უფლის კვართი წილად ხვდა „ჩრდილოსა მას ქუეყანასა“(4,132) მდებარე მცხეთის მკვიდრთ. წმ. ნინო ევედრებოდა ღვთისმშობელს, მისთვის ძალა და შესაძლებლობა მიეცა, რომ ენახა ქვეყანა, სადაც უფლის კვართი განისვენებდა. სარა მიაფორთან ყოფნის დროს ეფესოდან მოვიდა ვინმე დედაკაცი, რომელმაც განაცხადა, რომ ელენე დედოფალს „დიდი წადიერებად აქუს ჰრომთა ქრისტეს მიმართ შჯულისათჳს და ნათლის-ღებისა“(4,133). იერუსალიმის პატრიარქის კურთხევით წმინდა ნინო ელენე დედოფალს ეწვია, სადაც მან გაიცნო ქრისტეს მოყვარე რიფსიმე, მისი დედამძუძე გაიანე და მათი ორმოცდაათი სულიერი და. რომის კეისრის დევნის გამო, წმინდა ნინო, რიფსიმეს, გაიანესა და ორმოცდაათ სულიერ დასთან ერთად სომხეთის ქვეყანაში გადაიხვეწა. დევნილები სომხეთის წარმართი მეფის თრდატის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. ნინო კი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ეკალ-ბარდებში დამალულმა წმინდანმა იხილა „ზეციით სამოსლის მსგავსად ჩამომავალი დიაკონი ოლარით“(4,134), რომელმაც წმინდა ნინოს აცნობა: „ხვიდოდე აღმოსავლეთით, სადა იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი ყოვლადვე, არ არიან“(4,134). გამოცხადების შემდეგ წმ. ნინო გაემართა აღმოსავლეთით და „მოაწია მთათა ჯავახეთისათა“, სადაც მან ორი დღე დაჰყო. სწორედ აქ, ფარავნის ტბასთან მწყემსებისაგან წმინდა ნინომ შეიტყო, თუ სად მდებარეობდა მისთვის საოცნებო ქალაქი მცხეთა, სადაც უფლის კვართი იყო დაფლული. ტბა ფარავანთან ძილის დროს წმ. ნინოს გამოეცხადა კაცი, რომელსაც თმა წელამდე ეყარა და მას გადასცა „წიგნი დაბეჭდული“. ამ ფაქტით გამხნეებული წმინდა ნინო მცხეთისაკენ გაემართა, წამოჰყვა მდინარე მტკვარს და სავარაუდოდ, გამოიარა ახალქალაქი, ხერთვისი, ასპინძა, ახლციხე. მოგზაურობის დროს მან ბევრი შიში და შიმშილი დაითმინა, ბოლოს კი მოადწია ურბნისს, სადაც მან აქ მცხოვრებ ებრაელებთან ერთი თვე დაჰყო.

ურბნისში ყოფნისას ნინომ დაინახა, რომ საზეიმოდ გამოწყობილი მრავალი ადამიანი მცხეთისაკენ მიემართებოდა, ისიც გაჰყვა მოზეიმე ხალხს. მან მცხეთაში უამრავი ადამიანი იხილა, რომლებიც ქართლის მეფე-დედოფალთან ერთად მაღალ მთაზე აღმართული არმაზის კერპის დღესასწაულს ზეიმობდნენ. მრავალრიცხოვანი ხალხის უგზურებით წმინდა ნინო დიდად შეწუხებული იყო. მან ღვთის შეწევნით დაამსხვრია მცხეთის კერპები. მეფე, მისი ოჯახი და ხალხი შიშმა შეიპყრო. ამიერიდან, ღვთის ძალით, როგორც წყარო გადმოგვცემს, „ქება-დიდება ქრისტესი არღარა ფარულად ითქმოდა ქართლსა შინა, რამეთუ მადლისა ღმრთისასა ეწყო მიფენად აღმოსავლეთს“.

მცხეთაში ჩასული წმინდა ნინო დამკვიდრდა დღევანდელი სამთავროს ტაძრის მახლობლად, მაყვლოვანში. იგი თავისი თმებით შეკრული ვაზის ჯვრით რამდენიმე წლის განმავლობაში ქადაგებდა ქრისტიანობას. იგი დაუახლოვდა მცხეთელ ებრაელ მღვდელს აბიათარს და მის ქალიშვილს სიდონიას. მათგან შეიტყო მცხეთაში უფლის კვართის ჩამოსვენების ისტორია, მაგრამ მათ არ მიუთითეს კვართის განსასვენებელი ადგილი. აბიათარი, მისი ქალიშვილი სიდონია და მცხეთაში მცხოვრები 50 ებრაელი წმ. ნინოს გაგლენით გაქრისტიანდნენ, რის გამოც ისინი მცხეთელმა ებრაელებმა თავიანთი თემისგან მოკვეთეს.

მცხეთაში მეოფი წმინდა ნინო, რომელიც მთელ დროს ლოცვა-ვედრებაში ატარებდა, ხშირად სტუმრობდა ხოლმე მეფის ბაღს, სადაც გადმოცემით უფლის კვართი იყო დაფლული. მალე წმ. ნინოს მოქცეულთა რიცხვი გაიზარდა. მან სახელი გაითქვა უიმედო ავადმყოფთა კურნებით. იგი ხალხს შთააგონებდა, რომ განკურნების ძალა მოდიოდა არა მისგან, არამედ უფლისაგან. ამიტომ იგი განკურნების მსურველებს ახალი სარწმუნოების მიღებისაკენ მოუწოდებდა. ამგვარი შთაგონებით წმ. ნინომ მოარჩინა უკურნებელი სენით დაავადებული მეფე მირიანის მეუღლე, დედოფალი ნანა, რომელიც შემდეგ მოინათლა. მეფე მირიანმა კი ქრისტიანობა მას შემდეგ აღიარა, როცა მცხეთის მიდამოებში ნადირობის დროს თხოთის მთაზე სასწაული იხილა. მოულოდნელად ჩამობნელდა, მაგრამ ყველაფერი განიფანტა, როცა მირიან მეფემ წმინდა ნინოს ღმერთს სთხოვა დახმარება. ქართლის სამეფო კარის დახმარებით დაიწეს პირველი ეკლესიების მშენებლობა კვართის განსასვენებელ ადგილზე და იმ ადგილზეც, მაყვლოვანში, სადაც წმ. ნინო იყო დაკრძალული.

ქართლის მოქცევა შეატყობინეს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს. ბიზანტიიდან მოწვეულმა სასულიერო პირებმა მდინარე მტკვარზე მონათლეს ქართლის მოსახლეობა. იმპერატორმა ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს გამოუგზავნა ქრისტეს სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები - „ძელი ცხოვრებისა და ფიცარნი“ და „სამსჭვალნი ფერხთან“. კონსტანტინე იმპერატორის წარმოგზავნილების მიერ მანგლისსა და ერუშეთში აშენდა პირველი ქრისტიანული ტაძრები და ეკლესიები, სადაც ზემოაღნიშნული სიწმინდეები დაასვენეს. ქართლის მოქცევის შემდეგ დასწრელებული წმინდა ნინო მიიცვალა „დაბასა ბოდბისასა“.

როგორც ზემოთ განხილული ქართული წყაროებიდან ჩანს, საქართველოში წმ. ნინოს ღვაწლით ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. საეკლესიო ტრადიციით, ეს მოხდა 326 წელს, რაც აგრეთვე უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომებითაც დასტურდება. ამავე პერიოდში დასავლეთ საქართველოშიც ქრისტიანობამ სახელმწიფო სტატუსი მიიღო.

ასეთი დიდი დამსახურების გამო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ნინოს ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორად მიიჩნევს. ქართული წყაროები მას „ქართლისა მაცხოვრად“ და „დედად ქართველთა თემისაჲს“ უწოდებს. წმინდა ნინოსადმი პატივისცემა წარმოჩინებულია მისდამი მიძღვნილ პაგიოგრაფიულ ძეგლებში. იგი არაერთი თანამედროვე თუ წარსულში მოღვაწე ქართველი პოეტის შთაგონების წყაროდ იქცა. წმ. ნინოს სახემ თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში. მის სახელზე იგებოდა ქრისტიანული ტაძრები. მისი სახელობის უძველესი ფრესკული თუ ჭედური ხატები ამშვენებდა სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებს.

ლიტერატურა:

1. გურგენიძე ვ., წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში, თბ., 1995.
2. ეფრემ მცირე, უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959.
3. თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.

4. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1980.
5. საბინინი მ., სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართუჭლოს წმინდანთა, თბ., 1882.
6. უტიე ბ., ორი ქადაგება წმიდისა დედისა ჩვენისა ნინოსი, კრებული ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში, თბ., 2004.
7. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
8. ჩხარტიშვილი მ., ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, თბ., 1987.

ირინე არჯევანიძე
წმინდა ნინოს ცხოვრების ამსახველი საისტორიო წყაროების დახასიათება
რეზიუმე

ნაშრომში განხილულია წმინდა ნინოს ცხოვრებისადმი მიძღვნილი თხზულებები. IV საუკუნის პირველ ნახევარში წმ. ნინოს მოღვაწეობის შედეგად საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. აღნიშნული ღვაწლის გამო წმ. ნინო ქართველთათვის განმანათლებლად და მოციქულთა სწორად არის მიჩნეული. მისდამი მიძღვნილი წერილობითი წყაროები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ქართული წერილობითი წყაროების გარდა, მის შესახებ ცნობები დაცულია ადრეული ხანის უცხოურ წყაროებშიც. ჩვენამდე მოაღწია ქართველი განმანათლებლისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული თხზულების რამდენიმე რედაქციამ, რომელიც სხვადასხვა საუკუნით თარიღდება.

სტატიაში გაგანალიზებთ აგრეთვე წმ. ნინოს სახელთან დაკავშირებით ქართულ ისტორიო-გრაფიაში არსებული ცნობილ მკვლევართა განსხვავებული შეხედულებები.

Irine Arjevanidze
General Description of Historical Sources About Saint Nino's Life
Summary

The paper deals with the works dedicated to Saint Nino's life. In the first half of the IV century Christianity was declared a state religion as a result of Saint Nino's activities in Georgia. Because of that Saint Nino is considered as the enlightener and the apostle.

Written sources dedicated to Saint Nino's life are versatile and varied. Besides Georgian written sources the information is reserved in foreign sources of late ages. Several editions of the hagiographical works dedicated to Georgian enlightener have reached to us. They date back to different centuries. Also we discussed diversity of opinions connected with the name of the Saint in Georgian historiography.

ნაირა ბერია
ფილოსოფიის დოქტორი

ჭეშმარიტების საკითხი ფილოსოფიაში

ჭეშმარიტების ცნება ორი - ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური აზრით იხმარება. ონტოლოგიურად იგი ნიშნავს ნამდვილს. ამ კონტექსტში იგი უპირისპირდება მოჩვენებითს, ყალბს, ილუზორულს. მაგალითად, ვამბობთ „ჭეშმარიტი მეგობრობა“, „ჭეშმარიტი დემოკრატია“, რათა გაგვიჩნოთ ყალბი, მოჩვენებითი მეგობრობისა და დემოკრატიისაგან. ონტოლოგიური ჭეშმარიტება იგივეა, რაც სინამდვილე, რაც ნამდვილად არსებობს. ჭეშმარიტების ამგვარ გაგებას დასაბამი მისცა პლატონმა.

გნოსეოლოგიაში ჭეშმარიტების ცნებას სულ სხვა შინაარსი აქვს. იგი ახასიათებს არა სინამდვილეს, არამედ ცოდნას მასზე. ჭეშმარიტება ცოდნის თვისებაა,

მხოლოდ იგი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი. აქ ჭეშმარიტება უპირისპირდება მცდარობას. ამგვარ თვალსაზრისს დასაბამი მისცა არისტოტელემ. მისი აზრით ჭეშმარიტება მსჯელობის თვისებაა. მსჯელობა არის მტკიცება, რომელიც ადგენს რაღაც საგნობრივ ვითარებას. მას პრეტენზია აქვს, რომ იგი გამოთქვამს სწორედ იმას, რაც ნამდვილად არსებობს. მაგალითად, მსჯელობა „ხე მცენარეა“ ადგენს საგნობრივ ვითარებას, რომლის მიხედვით ხე მიეკუთვნება მცენარეთა კლასს. ამ მსჯელობას პრეტენზია აქვს, რომ სინამდვილე სწორედ ადეკვატურობის (შესატყვისობის) კონცეფციის სახელითაა ცნობილი. აღნიშნული თეორიის თანახმად ჭეშმარიტია მსჯელობა, როდესაც იგი ადეკვატურად ისეთია, როგორც თვითონ გამოთქვამს, რომ იგი ამტკიცებს სწორედ იმას, რაც ნამდვილია. არისტოტელე შემდეგნაირად განსაზღვრავს ჭეშმარიტებას: ჭეშმარიტია მსჯელობა, რომელიც აერთიანებს იმას, რაც სინამდვილეში გაერთიანებულია და ჰყოფს იმას, რაც სინამდვილეში გაყოფილია. თუ საწინააღმდეგო ვითარებას აქვს ადგილი, მაშინ იგი მცდარია.

არისტოტელეს თვალსაზრისის საფუძველზე ჩამოყალიბდა კლასიკური თეორია, რომელიც ჭეშმარიტებას ასახავს ანუ შეესატყვისება სინამდვილეს. თუ მსჯელობა არ შეესატყვისება სინამდვილეს, ე.ი. არ არის მისი ადეკვატური, მაშინ მცდარია.

ფილოსოფიის ისტორიაში არ არსებობს ჭეშმარიტების ერთგვაროვანი გაგება. ჩამოყალიბდა ერთმანეთისაგან განსხვავებული თეორიები, რომელთაც სხვადასხვაგვარად ესმით ჭეშმარიტების ბუნება. ამიტომ, არ მოიძებნება ჭეშმარიტების ცნების ერთი განსაზღვრება, რომელსაც ყველა გაიზიარებდა და მიიღებდა. ყოველი თეორია თავისებურად განმარტავს მას. ჩვენ არ შევუდგებით ამ თეორიების დახასიათებას, აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ჭეშმარიტების ადეკვატურობის კონცეფცია არის ჭეშმარიტების ერთ-ერთი და არა ერთადერთი შესაძლებელი თეორია, მაგრამ ჩვენ შემდგომი ბჭობის საფუძველად მას ვიღებთ. მიგვაჩნია, რომ მისი პოზიცია პრინციპულად სწორია, ამიტომ მის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტების ბუნების გაგება.

ამგვარად, ჩვენი განხილვის საგანია ჭეშმარიტების გნოსეოლოგიური გაგება და ისიც - ადეკვატურობის კონცეფციის ბაზაზე.

რისი თვისებაა ჭეშმარიტება? დავიწყოთ იმით, თუ რისი თვისება არ არის იგი. ჭეშმარიტება არ არის საგნის თვისება. საგანი არსებობს ან არ არსებობს, მაგრამ იგი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. ჭეშმარიტება არ არსებობს ობიექტურად, იგი არ აგდია სადღაც, როგორც ვთქვათ, ქვა ზღვის ნაპირზე და მას ფეხს ვერ წამოგვკრავთ. ჭეშმარიტება არც აღქმის თვისებაა. აღქმა საგნის უშუალო განცდაა. იგი გვიჩვენებს იმას, რაც ჩვენ უშუალოდ გვეძლევა, მაგრამ არა იმას, რაც ობიექტურად არსებობს. აღქმა ახასიათებს საგანს, რომელიც მე უშუალოდ მეძლევა, ჩემთან მიმართებაშია, მაგრამ არაფერს მეუბნება იმაზე, თუ როგორია თვით საგანი თავისთავად, ჩემთან მიმართების გარეშე. გავანალიზოთ აღქმის ილუზიის მაგალითი: წყალში ჩაგდებული ჯოხი მხედველობითი აღქმისას გვეჩვენება გადატეხილად. აღქმა ახასიათებს ჯოხს, რომელიც მე მეჩვენება გადატეხილად და იგი სავსებით სწორია. მე მართლაც ასეთად მეჩვენება წყალში ჩაგდებული ჯოხი. ამიტომ ჭეშმარიტია აღქმითი მსჯელობა: „წყალში ჩაგდებული ჯოხი მე მეჩვენება გადატეხილად“. მაგრამ მცდარია მსჯელობა, რომელიც ეხება არა ჩემს აღქმას, არა იმას, რასაც მე უშუალოდ განვიცდი, არამედ თვითონ საგანს. „წყალში ჩაგდებული ჯოხი გადატეხილია“. ეს არ არის აღქმითი მსჯელობა. იგი ჩემს მიერ თვითნებურად გააკეთებული დასკვნაა, რომლის საფუძველსაც აღქმა არ მძლევეს. ამგვარად, თვითონ აღქმა არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. იგი ყოველთვის ისეთია როგორც უნდა იყოს. ეს ცალსახად განპირობებულია ინდივიდის გრძნობის ორგანოს თავისებურებით და გარემოპირობებით. აღქმა იმას მეუბნება, რასაც მიჩვენებს. მაგრამ თუ მე ამის საფუძველზე დავასკვნი, რომ თვითონ საგანი ასეთია, ეს უკვე ჩემს და არა აღქმის მცდარობაზე მეტყველებს.

ჭეშმარიტება აზრის თვისებაა, მაგრამ ყოველ აზრს იგი არ ახასიათებს. მაგალითად, ავიღოთ კითხვითი წინადადება: „მიდიხართ თქვენ დღეს კინოში?“ იგი აზრის შემცველია, მაგრამ არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. რატომ? იმიტომ, რომ იგი არაფერს ამტკიცებს. კითხვითი წინადადება არ გამოთქვამს მტკიცებას. მას პრეტენზია არა აქვს ამტკიცოს რაღაც საგნობრივი ვითარება, ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი.

ჭეშმარიტება აზრის მხოლოდ ისეთი ფორმის თვისებაა, რომელიც რაღაცას ამტკიცებს და ამით აღგენს შესაბამის საგნობრივ ვითარებას. აზრის ამგვარი ფორმაა მსჯელობა. იგი გამოითქმის თხრობითი წინადადების სახით. „წვიმს“ (არ წვიმს), „თოვს“ (არ თოვს), „რკინა მეტალია“, „ორჯერ ორი ოთხია“ და ა.შ. აზრი გამოთქმული მსჯელობის ფორმით არის ცოდნა. ამიტომ ჭეშმარიტება ცოდნის თვისებაა.

ზოგჯერ ჭეშმარიტების ცნებას გამოთქვამენ რომელიმე თეორიის მიმართ. აქ ჭეშმარიტება მოიხმარება გადატანითი მნიშვნელობით. თეორია შედგება დებულებებისაგან, რომლებიც გამოითქმება მსჯელობების სახით. მისი ჭეშმარიტება დაიყვანება მსჯელობების ჭეშმარიტება-მცდარობაზე. თეორია ჭეშმარიტია, თუ იგი შეიცავს ჭეშმარიტ მსჯელობებს, იგი მცდარია, თუ მისი ძირითადი პრინციპის გამომთქმელი მსჯელობა მცდარია.

ამგვარად, სწორია არისტოტელეს შეხედულება, რომ ჭეშმარიტება არის მარტოოდენ მსჯელობის თვისება, რადგან ცოდნა მხოლოდ მსჯელობის ფორმით არსებობს. ამიტომ მართებულია დასკვნა, რომ ჭეშმარიტება ცოდნის თვისებაა.

ჭეშმარიტება უნდა განისაზღვროს მსჯელობის ან ცოდნის მიმართ. რა შემთხვევაშია იგი ჭეშმარიტი ან მცდარი? აქ უნდა დავეყაროთ შესაბამისობის (ადეკვატურობის) პრინციპს, რომლის თანახმად მსჯელობა ჭეშმარიტია, თუ შეესაბამება იმას, რასაც იგი გამოთქვამს, ამტკიცებს. მაგრამ რას გამოთქვამს ან ამტკიცებს მსჯელობა? რა არის ის საგნობრივი ვითარება, რომლის გამოთქმის პრეტენზიაც მსჯელობას აქვს? ამის გასარკვევად საჭიროა განვასხვავოთ ჭეშმარიტების ორი სახე - ლოგიკური და ფაქტობრივი ჭეშმარიტება. ეს აუცილებელია, რადგან ისინი გამოთქვამენ სულ სხვადასხვა საგნობრივ ვითარებას.

ფაქტობრივი და ლოგიკური ჭეშმარიტება. ფაქტობრივი ჭეშმარიტება გამოხატავს მსჯელობის შესაბამისობას ფაქტთან. თუ მსჯელობა შეესატყვისება ფაქტს, მაშინ ჭეშმარიტია, თუ არა - მცდარი. ფაქტი გაგებულია ფართოდ. მასში იგულისხმება რეალობის ნებისმიერი მოვლენა. ფაქტია არა მხოლოდ ის, რომ მზე ანათებს, არამედ ისიც, რომ ყველა ლითონი ელექტრობის კარგი გამტარია. ასე, რომ ფაქტობრივი ჭეშმარიტება ახასიათებს არა მხოლოდ ერთეულ, არამედ ზოგად მსჯელობებსაც, რომლებიც გამოთქვამენ სინამდვილის არსებით და აუცილებელ მხარეებს. ფაქტობრივი ჭეშმარიტების თავისებურება ისაა, რომ იგი ახასიათებს იმ ცოდნას, რომელიც ასახავს სინამდვილეს, რეალობას. იგი ჭეშმარიტია თუ მისი შესატყვისი საგანი მართლაც, ნამდვილად არსებობს. მაგალითად, მსჯელობის - „დღეს თბილისში, ვაკის რაიონში, მოდის წვიმა“ - ჭეშმარიტება-მცდარობა დამოკიდებულია იმაზე, თუ სამყაროს ამ უბანში რა ვითარებას აქვს ადგილი. მართლა მოდის თუ არა წვიმა. ამის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ დაკვირვების საშუალებით. წვიმა არ არის მუდმივი მოვლენა. იგი ხან მოდის, ხან - არა. ეს რომ დავადგინოთ აუცილებელია დაკვირვება. სხვაგვარად ჩვენ ვერ გავარკვევთ მოცემულ ფაქტს აქვს ადგილი თუ არა. ამის გამო ფაქტობრივი ჭეშმარიტება ცდისეულია (ემპირიული), ცვალებადია და არ არის მუდმივი.

ლოგიკური ჭეშმარიტება გამოხატავს მსჯელობის შესაბამისობას ლოგიკის წესებთან. იგი ახასიათებს ისეთ მსჯელობას, რომელიც არაფერს ამტკიცებს ფაქტის შესახებ. ცხადია, მისი ჭეშმარიტება-მცდარობა არ არის დამოკიდებული ფაქტის არსებობა-არარსებობაზე. ავიღოთ დისიუნქციური მსჯელობა, რომელიც ორ

ურთიერთუარყოფელ მსჯელობას აერთებს „ან“ კავშირით: „დღეს თბილისში მოდის წვიმა ან დღეს თბილისში არ მოდის წვიმა“. ამ მსჯელობის ჭეშმარიტება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ვითარებას აქვს ადგილი თბილისში. იგი ჭეშმარიტია დამოუკიდებლად იმისგან, დღეს თბილისში მოდის წვიმა თუ არა. ამას განაპირობებს ლოგიკის წესი, რომელიც ამტკიცებს: დისიუნქცია ჭეშმარიტია მუდამ, როდესაც ერთ-ერთი მისი შემადგენელი მსჯელობა მაინც ჭეშმარიტია. მცდარია მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც ორივე მსჯელობაა მცდარი. ლოგიკის ერთ-ერთი კანონია გამორიცხული მესამის წესი, რომელიც ადგენს: ორი ურთიერთდაპირისპირებული მსჯელობიდან ერთ-ერთი აუცილებლად ჭეშმარიტია, მესამე გამორიცხულია. თბილისში დღეს წვიმა მოდის ან არ მოდის, მესამე გამორიცხულია. ზემოთ მოტანილი დისიუნქციის ერთ-ერთი მსჯელობა აუცილებლად ჭეშმარიტია, რადგან მესამე შეუძლებელია, ამიტომ მთლიანი დისიუნქცია მუდამ ჭეშმარიტია. ამის დადგენას არ სჭირდება ცდა და დაკვირვება. ამისათვის სავსებით საკმარისია ლოგიკის კანონების ცოდნა. ამიტომ ლოგიკური ჭეშმარიტება აპრიორულია, ე.ი. ცდისაგან დამოუკიდებელია.

ფაქტობრივი ჭეშმარიტება ახასიათებს რეალურ და ისტორიულ, ხოლო ლოგიკური ჭეშმარიტება მხოლოდ ფორმალურ მეცნიერებათა დებულებებს. პირველი გვაძლევს ინფორმაციას რეალობის შესახებ, მეორე კი - არა. ეს უკანასკნელი ტავტოლოგიაა, იმ აზრით, რომ იგი ახალ ცოდნას არ შეიცავს. იგი მხოლოდ იმას გამოთქვამს, რაც ნაგულისხმევია ლოგიკის წესებით.

მაშასადამე, ფაქტობრივი ჭეშმარიტება არის მსჯელობის შესაბამისობა ფაქტთან, ხოლო ლოგიკური ჭეშმარიტება - ლოგიკის წესებთან. პირველი ემპირიულია (ცდაზეა დამოკიდებული), მეორე კი - აპრიორული (ცდისაგან დამოუკიდებელია).

ჭეშმარიტების კრიტერიუმის პრობლემა. კრიტერიუმი ნიშნავს საზომს, ამიტომ ჭეშმარიტების კრიტერიუმის პრობლემა იგივეა, რაც ჭეშმარიტების საზომის პრობლემა. რომელია ის საშუალება, ასე ვთქვათ, „ხელსაწყო“, რომლის მეშვეობით შეიძლება გავზომოთ მსჯელობის ჭეშმარიტება-მცდარობა? მაგრამ საჭიროა კი ამგვარი ინსტრუმენტის არსებობა? საქმე ისაა, რომ მსჯელობა თვითონ არ ავლენს ამ თვისებას - შეესაბამება თუ არა საგანს. ეს ადამიანს უშუალოდ არ ეძლევა. მან იგი უნდა დაადგინოს, გარკვეოს. ამისათვის კი აუცილებელია რაღაც საშუალება, რომელიც შეასრულებს საზომის როლს. ანალოგიურია მდგომარეობა ტემპერატურის მიმართ. სხეული თვითონ არ გვეუბნება თუ რამდენია მისი ტემპერატურა. ამისათვის არსებობს ხელსაწყო - თერმომეტრი, რომლის მეშვეობით ადამიანს შეუძლია გაზომოს და ზუსტად დაადგინოს იგი.

ჭეშმარიტების კრიტერიუმი არის მსჯელობის აღნიშნული თვისებების გამოვლენის, გამომჟღავნების საშუალება. მსჯელობა თავისთავად ჭეშმარიტია ან მცდარი იმის მიხედვით შეესაბამება თუ არა იგი საგნობრივ ვითარებას. მაგრამ ამ მიმართებას დადგენა, გარკვევა სჭირდება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ მოცემული მსჯელობა ჭეშმარიტია თუ მცდარი. ამიტომ კრიტერიუმის გამოყენებით ჩვენ ვიძენთ ცოდნას მსჯელობის ჭეშმარიტების შესახებ. კრიტერიუმის მეშვეობით მსჯელობა კი არ ხდება ჭეშმარიტი, არამედ ჩვენ ვიგებთ, ვადგენთ, რომ იგი ჭეშმარიტია. ისევე, როგორც საგანს, ვთქვათ, რკინა მეტალია თუ არა, შემეცნება სჭირდება, ასევე მსჯელობის ჭეშმარიტებასაც სჭირდება შემეცნება. ერთია, დავადგინოთ მსჯელობა, რომ „რკინა მეტალია“ (იგი დაგანს ეხება), სულ სხვაა დავადგინოთ, რომ მსჯელობა „რკინა მეტალია“ არის ჭეშმარიტი (იგი უკვე მსჯელობის თვისებას ეხება).

ამგვარად, ჭეშმარიტების კრიტერიუმი ადამიანისათვის ხდის ცხადს და ცნობილს ცოდნის ჭეშმარიტებას. იგი იძლევა ცოდნას არა საგნის, არამედ ცოდნის ჭეშმარიტების შესახებ.

რა არის ჭეშმარიტების კრიტერიუმი? ყოველდღიურ ცხოვრებაში ჭეშმარიტების კრიტერიუმია საღი განსჯა, რომელიც პირად გამოცდილებას ემყარება. ცხადია, რომ იგი მეცნიერებაში არ გამოდგება. ამ უკანასკნელს ჭეშმარიტების დადგენის თავისი ხერხები და საშუალებები აქვს. მეცნიერებაში არსებობს ჭეშმარიტების არა ერთი, არამედ რამდენიმე კრიტერიუმი. ეს განპირობებულია იმით, რომ თვით მეცნიერება არაერთგვაროვანია. არსებობს მისი რამდენიმე სახე, რომლებიც ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. როგორც ზემოთ უკვე გავარკვიეთ, მათ მიეკუთვნება ფორმალური, რეალური და ისტორიული მეცნიერება. ყოველ მათგანს დამტკიცების თავისი მეთოდი, შესაბამისად, ჭეშმარიტებას თავისი კრიტერიუმი აქვს.

ფორმალურ მეცნიერებაში ჭეშმარიტების კრიტერიუმია ლოგიკური დამტკიცების მეთოდი. თეორია აიგება აქსიომატურად. დებულება, რომელიც ამგვარად აგებული სისტემის ფარგლებში ლოგიკურად მტკიცდება, ჭეშმარიტია, ხოლო რომელიც უარიყოფა - მცდარი.

რეალურ მეცნიერებაში ჭეშმარიტების კრიტერიუმია ცდა და დაკვირვება. დებულება, რომელიც ცდით დასტურდება, ჭეშმარიტია, ხოლო დებულება, რომელიც ცდით უარიყოფა - მცდარი.

ისტორიულ მეცნიერებებში ჭეშმარიტების კრიტერიუმია პირველწყაროების კრიტიკული ანალიზის მეთოდი. დებულება, რომელიც დასტურდება კრიტიკულად შეჯერებული პირველწყაროების ანალიზის შედეგად, ჭეშმარიტია, ხოლო დებულება, რომელიც ამ წესით არ დასტურდება - მცდარი.

ცოდნა სინამდვილის შესახებ ცვალებადია, განიცდის მუდმივ განახლებას და განვითარებას. ანალოგიურ მდგომარეობაშია ცოდნა ჭეშმარიტების შესახებ. ისიც განიცდის ცვალებადობას: ის, რაც გუშინ ჭეშმარიტად ითვლებოდა, დღეს შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი და პირიქით. ამიტომ არ არსებობს აბსოლუტურად უტყუარი და უეჭველი ცოდნა. იგი ყოველთვის შეფარდებითია და ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა ადამიანის მიმართ. იგი სასრული არსებაა, რომლის უნარი და შესაძლებლობები შეზღუდულია. ადამიანის არც ერთი უნარი არ იძლევა აბსოლუტურად უეჭველი ცოდნის დადგენის საშუალებას. ყოველი მათგანი მხოლოდ შეფარდებითად სანდო და უტყუარი ცოდნის შესაძლებლობას განსაზღვრავს, რომელიც მოითხოვს მუდმივ ყურადღებას და კრიტიკულ შემოწმებას. ადამიანური ცოდნა შეფარდებითად და არა აბსოლუტურადაა უტყუარი.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე კ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ.4, თბ., 1978.
2. მჭედლიშვილი ლ., ივანიშვილი ნ., ლოგიკა, თბ., 1994.
3. Асмус В.Ф., Логика, М., 1947.
4. Аристотель. Первая аналитика, Сочинения т. II, М., 1978.
5. Аристотель. Вторая аналитика, Сочинения т. II, М., 1978.
6. Аристотель. Топика, Сочинения т. II, М., 1978.
7. Маковельский А.О., История логики, М., 1967

**ნაირა ბერია
ჭეშმარიტების საკითხი ფილოსოფიაში
რეზიუმე**

სტატიაში საუბარია ჭეშმარიტების, როგორც აზრის თვისებაზე. თუმცა ჭეშმარიტება აზრის მხოლოდ ისეთი ფორმის თვისებაა, რომელიც რაღაცას ამტკიცებს (ან უარყოფს) და ამით

ადგენს შესაბამის საგნობრივ ვითარებას. აზრის ამგვარი ფორმაა მსჯელობა. აზრი გამოთქმული მსჯელობის ფორმით არის ცოდნა. ამიტომ ჭეშმარიტება ცოდნის თვისებაა.

Naira Beria
The Issue of Truth in Philosophy
Summary

The paper aims at discussing the problem of truth as a feature of thought. However, the truth is only a form of thought that can prove (or deny) something, and thus establishes the relevant subjective situation. Such form of thought is a discussion. The idea expressed by the reasoning form is knowledge. That is why the truth is the quality of knowledge.

მარინა ხანჯალიაშვილი

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

სულხან-საბა ორბელიანის გაკათოლიკება

სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მისი გაკათოლიკება, რაც დიდი ხანია, ქართველი მკვლევარების ყურადღებას იპყრობს. საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ალ. ბარამიძეს („ქართული ლიტერატურის ისტორია“ II ტომი), რ. ბარამიძეს (სტატიაში „სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისათვის“), გ. ლეონიძეს (წიგნში „გამოკვლევები და წერილები“), ლ. მენაბდეს („სულხან-საბა ორბელიანი“), ი. ლოლაშვილს (წერილში „სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან“), მ. ლაღანიძეს („სულხან-საბა ორბელიანი და კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება“), ამ სფეროში გვერდს ვერ აგუვლით საბას ბასილიანობის ორდენის წევრობას, რაც საკმაოდ საინტერესოა მწერლის მსოფლმხედველობის გასათვალისწინებლად.

სულხან-საბამ რა მიზნით მიიღო კათოლიკობა? ეს აქტი პოლიტიკური მოტივით აიხსნება და არა რელიგიური მისწრაფებით.

ცნობილია, რომ დაახლოებით მე-13 საუკუნიდან რუსეთთან შეერთებამდე არ შეწყვეტილა კავშირი რომსა და თბილისს შორის. რომის პროპაგანდა ენერგიულად იღვწის პაპის უზენაესი უფლების დასამკვიდრებლად საქართველოში, ხოლო საქართველო თავის მხრივ კათოლიციზმში ეძიებს არა რომის საყდრის დოგმატების ჭეშმარიტების ცნობას, არამედ როგორც ევროპიდან ძლიერ მფარველს. ევროპისაგან დახმარების მიღების ეფემერული იმედი, განსაკუთრებით, მე-17 საუკუნის პირველი ნახევრიდან, მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფ საქართველოში იჩენს თავს. ასეთი ორიენტაცია ღრმად იკიდებს ფეხს პოლიტიკურ წრეებში.

შევიწროებული საქართველოს ევროპისადმი მხურვალე, იმედით აღსავსე მისწრაფების გამომხატველია გიორგი XI-ის წერილი რომის პაპ ინოკენტი XI-სადმი: „გულნი და თვალნი შენდა მიმართ მოგვიპყრიან და შენს დიდსა იმედსა და ბრძანებას უყურებთ. მოგვიძიენ, მოგვიტაცენ პირისაგან მგელთა, ნუ გაგვწირავ და გამოგვისხენ“ (7, 150).

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ქართველ მოწინავე წრეთა მისწრაფება, ხოლო მათი თვალსაჩინო წარმომადგენელი კი დიდი სულხან-საბაა. მისი მიზანი ხომ ქვეყნის სამუდამო გათავისუფლება ირანისა და ოსმალეთის გაუთავებელი ზეწოლისაგან.

1713 წელს დიდი მოღვაწის მიერ მომზადებული ელჩობის მოტივი იყო, პირველ რიგში, ირანის მიერ ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს იურიდიულად აღიარება, ასევე, ქართველთა დენაციონალიზაციის შეწყვეტა, ჩრდილო კავკასიელი ტომების გაქრისტიანება მათი შემოსევების აღკვეთის მიზნით და საქართველოს გაერთიანება. ქართული ელჩობა, ამავდროულად, ითხოვდა 300 ათასი ეკიუს გამოყოფას, რაც მათი აზრით, საკმარისი იყო ვახტანგ VI-ის ქართლში ქრისტიან მეფედ დასაბრუნებლად. ამ დიდი თანხის მიღების წინაპირობად კი ვახტანგის მიერ, ხოლო მოგვიანებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, პოლიტიკური თვალსაზრისით კათოლიციზმთან დაახლოება სახელდებოდა. ქართველი პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ ევროპული ორიენტაცია ნაკლებად გააღიზიანებდა ირანს. საბამ ევროპაში გამგზავრებამდე 40 დღე დასავლეთ საქართველოში, კათოლიკოსთან დაპყრო. სავარაუდოდ, იქ აფხაზ-ჩერქეზებისა და სხვა ტომების კათოლიკური გზით აღორძინება ისახებოდა.

რეალობა გაცილებით არარომანტიკული აღმოჩნდა. ელჩობამ კრახი განიცადა. საფრანგეთის იმპერატორი ლუდოვიკო მე-14 არ დაინტერესდა ქრისტიან კავკასიელთა ბედით. მან ეს პაპის გადასაჭრელ საქმედ მიიჩნია. ასევე, მან არ გამოყო ფული, რომელსაც ქართველები მოითხოვდნენ. „გამოსნის და აღდგომის“ ევროპული ორიენტაცია ჩაიშალა. ევროპა საქართველოს აღორძინების გეგმას გულგრილად მოეკიდა. ამრიგად, 1715 წელს სულხან-საბა ხელმოცარული დაბრუნდა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვერსაღსა და ვატიკანში დიდი პატივით მიიღეს. 1724 წელს, როდესაც ვახტანგ VI-მ რუსეთს დააპირა გადახვეწა, მან მოსკოვში ორბელიანი წინასწარი მოლაპარაკებისათვის გაგზავნა, მაგრამ ხანდაზმულ მწერალს არ დასცაღდა უკანასკნელი მისიის აღსრულება, იგი მოსკოვში გარდაიცვალა 1725 წელს, დაკრძალეს ვსესვი-ატსკოეში.

საბას გაკათოლიკების საკითხი

როდის გაკათოლიკდა საბა? მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კეთილგანწყობილება, რომელსაც ის მისიონერთა წინაშე ამჟღავნებდა, მათ ისე გაიგეს, რომ თითქოს იგი ფორმალურად კათოლიკე იყო. მკვლევარებს არ მოეპოვებათ ისტორიული მასალები სულხან-საბას შესახებ ევროპაში წასვლამდე. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ბასილის ორდენის წევრადაც ის მხოლოდ 1713 წლიდან იხსენიება (მიქელ თამარაშვილის „ისტორია კათოლიკობისა“ გვამცნობს, რომ თვით ნიკოლოზ ირბახიც ბასილის ორდენს ეკუთვნოდა). სიცილიაში მოგზაურობისას საბა სწერს საფრანგეთის მინისტრს: „მესინაში თქვენმა კუნძულმა (ე.ი. კონსულმა, მ.ხ.) წამიყვანა და წმიდის ბასილის, ჩვენის მონასტერში დამაყენა“ (3, 330).

საგულისხმოა, რომ ევროპაში ყოფნისას ორბელიანმა კათოლიკური აღსარება სანბახილის მონასტერში წარმოთქვა, ხოლო მისი მხლებელი მონაზონიც ბასილიანთა ორდენის წევრი იყო. გ. ლეონიძის აზრით, საბა ორდენის უბრალო წევრი არ ყოფილა. რომის ეკლესიის იერარქიაში მას მინიჭებული აქვს ხარისხი, „ბასილიანთა უფროსი“. ვახტანგ VI აღნიშნავს, რომ იგი „საქართველოს წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის უფროსი, წმ. ბასილის მონაზონებისა ყოფილა“ (7, 147).

სავარაუდოა ის ფაქტი, რომ შესაძლებელია სულხანმა გამოთქვა მხოლოდ სიმპათია კათოლიციზმისადმი, მისიონერებმა კი გადაჭარბებულად დააფიქსირეს ეს მოვლენა. ისინი, საზოგადოდ, ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ასეთ ხერხს, საქართველოში თავისი მოღვაწეობის გასამართლებლად, როგორც გ. ლეონიძე აღნიშნავს წიგნში „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“.

ამგვარად, 1687 წლიდან ორბელიანი ჯერ მხოლოდ თანაუგრძნობდა და შემწყნარებლობას იჩენდა კათოლიკობის მიმართ. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ გიორგი XI-ს, ლევანს, ქაიხოსროს, ვახტანგს. მისიონერი რიშარი სწერს: სულხან-საბამ „მონაზვნად შედგომამდე თავის ძმებს დაუტოვა ერთი დიდი პროვინცია, რომელიც მისი

საკუთრება იყო. იმიტომ ჰყო, რათა უფრო ადვილად აღეარებინა კათოლიკე სარწმუნოება“ (2, 118). სულხან-საბას გაკათოლიკების საკითხის გასარკვევად ვერ დავეყრდნობით ამ ცნობას. ის ორ შეუსაბამობას შეიცავს.

ბერად შედგომის წინ ძმებისათვის მამულების გადაცემა არ მიგვანიშნებს კათოლიკობის აღიარების აუცილებლობას. გადაწყვეტილება ზოგადად ბერად აღკვეცით იყო განპირობებული. მართლმადიდებელიც და კათოლიკეც ერთნაირად იღებდა ხელს მატერიალურ დოვლათზე და ქონებაზე, ვინაიდან „მონაგებთა დატყვებად სისხლთა დათხევასა ემსგავსების“ (5, 144). ეს ქრისტიანული დოგმაა და არა მხოლოდ კათოლიკური. მეორე გარემოება კი იმაში მდგომარეობს, რომ კათოლიკედ კურთხეული ბერი ნავსაყუდელს ვერ იპოვიდა დავით გარეჯის მონასტერში, რომელიც მართლმადიდებლური იყო.

საბა რომ სწორედ ევროპაში გამგზავრებამდე იქნა ოფიციალურად კურთხეული კათოლიკედ და არა ადრეულ წლებში, მკვლევარები დაასკვნიან მისი სასულიერო ხასიათის ნაწარმოებთა ანალიზისას. ქადაგებათა კრებული „სწავლანი“, რომელიც 1698-1710 წლებში ყალიბდებოდა წმინდა მართლმადიდებლური ხასიათისაა, ხოლო 1701 წელს დაწერილ „სამოთხის კარს“, როგორც კ. კეკელიძე ამბობს, არ გააჩნია „არავითარი კვალი კათოლიკოსობისა“ და ის წმინდა „მართლმადიდებლობითი თხზულებას“.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ ნაწარმოების ორი რედაქციის შესახებ. პირველი, როგორც ზემოთ ითქვა, 1701 წელსაა შექმნილი, მეორე კი – 1713 წელს. ეს ორი რედაქცია გვაძლევს წარმოდგენას იმისას, თუ რა ცვლილება განიცადა მწერლის რელიგიურ-პოლიტიკურმა შეხედულებებმა და რატომ სდევნიდნენ მის ნაწერებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურები.

პირველ რედაქციაში მოძღვრის კითხვებზე ჩანს ისეთი განმარტება, რომელიც არ იქნებოდა სადავო არც მართლმადიდებლური და არც კათოლიკური ეკლესიებისათვის, მაგალითად, აზრი, რომ სამი არსება - მამა ღმერთი, ძე-ღვთისა და სული წმინდა იმთავითვე არსებობდა ერთარსების სახით, ისინი სამების სამ ჰიპოსტასს წარმოადგენენ. მამა ღმერთი უშობელია, ძე-ღმერთი მამისაგან შობილი, ხოლო სულიწმიდა „გამოსულია“, მართლმადიდებლური სარწმუნოების მიხედვით, მხოლოდ მამისაგან, ხოლო კათოლიკურის თანახმად კი, მამისაგან და ძისაგან.

პირველ რედაქციაში, არ ჩანს ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება. საბა მხოლოდ „სული-წმიდის“ გამოსვლის მოვლენას აღიარებს, რაც ორივე ეკლესიისათვის საერთოა. „ოდეს იყო მამა, მაშინ ძე და მაშინ სული-წმიდა, რამეთუ მამა უშობელ არს, ხოლო ძე შობილ და სულიწმიდა გამოსულ“ (8, 230). სულ სხვა ვითარება ჩანს „საქრისტიანო მოძღვრების“ მეორე რედაქციაში, რომელიც მწერალმა პირველის საფუძვლიანი გადამუშავების შედეგად მოგვცა. აქ აშკარად ჩანს კათოლიკური ტენდენციები. მაგალითად ის, რომ რომის პაპი არის ქრისტეს მიერ დადგენილი მწყემსი ამქვეყნად. ზემოთ მოყვანილი ციტატა კი შეცვლილია ამ სახით: „ოდეს იყო მამა, მაშინვე ძე და მაშინვე სულიწმიდა, რამეთუ მამა უშობველ არს, ხოლო ძე მამისაგან შობილ და სულიწმიდა მამისა და ძისაგან გადმოსული“ (8, 230).

სულხან-საბას ეს სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი ტენდენცია საქვეყნოდ გამოქვავდა მხოლოდ ევროპიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც მან თავისი სარწმუნოებრივი, თუ პოლიტიკური ორიენტაციის დაცვა საჯაროდ დაიწყო. გაკათოლიკებულ საბას დევნა დაუწყეს, ხოლო „სამოთხის კარს“ ანტონ კათოლიკოსმა „ჯოჯოხეთის ბჭე“ უწოდა. სულხან-საბას ნაწერებზე საეკლესიო ცენზურა დაწესდა. სადაც კი მისი სახელი იყო მოხსენიებული, შლიდნენ, ან კაბადონებს საბასრობელი მინაწერებით ავსებდნენ.

მწერლის მემკვიდრეობა დაღუპვის პირას აღმოჩნდა, მაგრამ ნიკოლოზ, დიმიტრი და ზოსიმე (ზაალ-ყოფილმა) ორბელიანებმა (მისმა ძმებმა) მოსკოვში დიდად იღვაწეს თავიანთი ძმის ნაწარმოებთა გადასარჩენად. ასე შეუნარჩუნეს ქართველ ერს მნიშვნელოვანი თხზულებები: „ქართული ლექსიკონი“, „სწავლანი“, „საქრისტიანო მოძღვრება“. აქვე უნდა

ადინიშნოს, რომ „სწავლანში“ არ ჩანს კათოლიკური მრწამსის გავლენა. ის ყალიბდებოდა 1698-1710 წლებში და იყო საკითხავი წიგნი ნათლისმცემლის უდაბნოში. ამ თხზულებაში შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ ერთ ქადაგებაზე: „სწავლა უდროოდ და ურგებად სინანულისათვის“. აქ უარყოფილი და გაკიცხულია უდროო, დაგვიანებული სინანული. „უკუეთუ ჟამსა სინანულისასა არა ყო გლოვა, არად შეერაცხების და ურგებექმნების სინანული იგი უდროოდ“ (8, 85), წერს სულხან-საბა და შემდგომ განაგრძობს: „გეშინოდესთ ურგებისა სინანულისა, რაჟამს არღარა სარგებელ გეყოსთ, რამეთუ არავინ უწყნის ჟამნი სიკვდილისანი, რათამცა მას ჟამსა შეინანოს ვინმე . . . უკუეთუ ათასთაგანსა ერთსა ვისმე სნეულს მოექსნეს სიკვდილი, არა თუ ინანის ცოდვათა თვისათვის, არამედ ძმათა და მოყვასთა განყოფისათვის და ქვეყანისა ამის დატყვევისათვის. სადა-ღა იყოს მართალი სინანული? უკუეთუ ნებსით არა ინანო, ცოდვა შენი რათამცა მოგეტყვენ, უწყოდე, რამეთუ უნებლიეთ შეგანანონ და არღარა მოგეტყვენ“ (8, 85).

ავტორის აზრით, დაგვიანებული სინანული „უდროოდ“ და „ურგებია“ ამიტომ ის გვასწავლის: „ეწიენით“ ჟამიერსა სინანულსა და სარგებელსა სულისა თქვენისასა . . . მოიკვეთენით ცოდვანი, იწყეთ სინანული . . . ნუცა იტყვი: „ხვალე ვინანო და გინა ზეგე“, რამეთუ არა ვიცით სიკვდილი ხვალე მოვალს, ანუ დღეს, გინა წამსა შინა ამას თვალისასა, რათა არა გვპოოს უნანელად და განუკრძალველად, არამედ მონანულად და შემუხრვილად, რათა მოველოდეთ ღვინებასა ცოდვილთასა ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩვენისა“ (8, 88). საგულისხმოა, რომ ასეთი სინანული არ იცის კათოლიკურმა ეკლესიამ. მისთვის მისაღებია ყოველი დროის სინანული, წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საბას გაკათოლიკებას ჰქონდა არა თეოლოგიური, არამედ პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტის მიზანი. ამით იხსნება ის ორჭოფობა, ყოყმანი, რაც მუღავნდება როგორც მართლმადიდებლობის დაცვაში, ასევე კათოლიკობის აღიარებაში.

დაუბრუნდეთ ორბელიანის ბასილიანთა ორდენის წევრობას. საქართველოში ძირითადად მოღვაწეობდნენ კათოლიკე მისიონერები, რომლებიც ეკუთვნოდნენ თეატინელების (orde des Theatins), კარმელიტების (ordo karmelit), დომინიკების (ordo Preparatorum), ბენედიქტინების (ordo benedictine), იეზუიტების (Societas Jesu), კაპუცინების (Ordo Fratrum Minorum Capucinatorum) ორდენებს. ბასილიანთა ორდენის წარმომადგენელი საქართველოში არც ყოფილა. საინტერესოა, თუ რატომ გაწვევრიანდა ამ გაერთიანებაში სულხან-საბა.

ბასილიანთა ორდენი (ordo Sancti Basili Magni) იყო ერთადერთი, რომელიც აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების შერწყმისაკენ, „უნიისკენ“ მისწრაფვოდა. ამიტომ იყო, რომ ორივე ეკლესიის დოგმებს აღიარებდა.

ეს ორდენი გაორბეულ ხასიათს ატარებდა და ბერძნულ-რუსული ეკლესიების რომთან შეერთებას ისახავდა მიზნად. ორდენის დამაარსებლად ითვლება ვილენის წმინდა სამების მონასტრის კათოლიკე ბერი, შემდგომში არქიმანდრიტი, ეროვნებით პოლონელი, იოსებ ვილიამინ-რუცკი (მოღვაწეობის წლები 1613-1637) (Иосиф Вельяминов – Рутский). მისი მიზანი იყო პოლონეთში კათოლიკობის გავრცელება. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის სულიერ მხარეს და ხელმძღვანელობდა უნიატის სასულიერო სკოლებს. ის შემდგომში შეუდგა ბასილიანობის პროპაგანდას უკრაინასა და რუსეთში.

1617 წელს მან ოფიციალურად ჩამოაყალიბა ორდენი, ხოლო 1624 წელს რომის პაპს შესთავაზა ის, რომ გაავრცელებდა კათოლიკობას მართლმადიდებელთა შორის.

პაპთან, პავლე V-სთან თათბირის შემდეგ იგი გაემგზავრა რუსეთს, სადაც გადაწყვეტილი ჰქონდა კათოლიკური აღმსარებლობის გავრცელება, მაგრამ ვინაიდან გარკვეულ წინააღმდეგობას წააწყდა, მან საკმაოდ შენიღბული გზა გამოიხატა. მართალია, ორგანიზაცია მთლიანად წმინდა ბასილის ძმობის პრინციპებსა და მსოფლმხედველობას ეყრდნობოდა, მაგრამ რუცკიმ ჩამოაყალიბა ისეთი ორდენი, რომელიც გარეგნულად

მართლმადიდებლობით იქნებოდა შენიღბული, თავისი არსით კი კათოლიკური იქნებოდა. ეს ფაქტი მიმართული იყო მართლმადიდებელთა ნდობის დამსახურებასა და განმტკიცებაზე. ბასილიანები ხელმძღვანელობდნენ ნიკეის კრების სიმბოლოებით, ჩაცმულობით, თუ ღვთისმსახურების ჩატარების წესებით, ასევე, რელიგიური საიდუმლოებები, თუ მარხვის დაცვის წესები მთლიანად ემთხვეოდა მართლმადიდებელურს. სწორედ ამიტომ აღმოსავლური ეკლესია ამ ორგანიზაციის მიმართ ნდობით განიმსჭვალა. წესდებაში ბოლოში იყო დამატებული რომის პაპის პრიმატის აღიარება და სულიწმინდის საკითხის კათოლიკური ეკლესიის მიხედვით ახსნა (ანუ მისი გამოსვლა არა მხოლოდ მამის, არამედ ძისგანაც). მხოლოდ ეს ორი პუნქტი იყო დამატებული, მაგრამ ოსტატურად შენიღბული.

აღსანიშნავია ერთი დეტალიც: როდესაც ბასილის ორდენის წევრი აღიარებდა რომის პაპის პრიმატს, ეს იცოდა თვითონ და ორდენის მოძღვარმა, სხვა მორწმუნეთათვის ეს ფაქტი შეუმჩნეველი იყო. აი, ასე იყო ორდენის გარეგნული მხარე გაბუნდოვანებული. ბასილის ორდენის წევრი, ფაქტობრივად, იყო შენიღბული კათოლიკე და მისი შინაგანი არსი სხვათათვის შეუმჩნეველი რჩებოდა.

მართლმადიდებლად აღზრდილი ორბელიანი პოლიტიკური მიზნით დასავლეთისაკენ იღებს ორიენტაციას. ამასთან, დიდ გამჭრიახობას და წინდახედულობას იჩენს: ხდება ისეთი ორდენის წევრი, რომელიც მისცემს საშუალებას, გამონახოს საერთო ენა როგორც კათოლიკეებთან, ასევე, მართლმადიდებლებთან. რ. ბარამიძე ამ ნაბიჯს აღარებს ბრძენი მეიგავის შესანიშნავ არაკს „მეფე და მხატვარი“, რომელშიც „შემოდავების შესაძლებლობა მინიმუმადეა დაყვანილი“ (2, 125).

ნათლისმცემლის მონასტერში სულხან-საბას გარკვეული თანამდებობა უნდა სჭეროდა. მ. თამარაშვილის მოსაზრებით, მონაზვნად აღკვეცის შემდეგ იგი მონასტრის წინამძღვარი გამხდარა (3, 324). იგი ვახტანგ VI-ის ცნობას ეყრდნობა, მაგრამ მკვლევარები გადაჭრით ამბობენ, რომ საბა არ ყოფილა წინამძღვარი, ვინაიდან ასეთ ადამიანს „მრავალი ჟამი“ უნდა დაეყო მონასტერში, „უბიწოდა ცხორებისა მისისა ყოველნი იყვნენ მოწამე, შემეკობილი ყოველთავე სათნოებითა, სიკეთითა სულიერისა და ჯორციელებისა და შემძლებელი ტვრთვად ესოდენსა სულეებსა ძმათასა“ (6, 49).

რა თქმა უნდა, საბას წინამძღვრის ყველა თვისება გააჩნდა, მაგრამ ის არ იყო მღვდელი, რომელსაც „მრავალი ჟამი დაეყოს მონასტერსა შინა“. აქედან გამომდინარე, ის არ შეიძლებოდა ამ თანამდებობაზე გვეხილა. მაგრამ სულხან-საბა არც უბრალო მონაზონი ყოფილა. მას ეკავა მოძღვრის თანამდებობა და სარგებლობდა ყველა იმ უფლებით, რომლებიც მონასტრის მოძღვარს ჰქონდა. როგორც ჩანს, იგი იყო ბერი, რომელსაც ჰყავდა თავისი მოწაფეები და მრევლიც. მათ სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობას უწევდა და შესაძლოა, მეცნიერებას, ხელოვნებასაც ასწავლიდა.

მონასტრის საბუთებში მამასახლისის შემდეგ მოძღვარი მოიხსენიებოდა, რაც მისი დიდი წონისა და ავტორიტეტის მაჩვენებელია. საბას მოვალეობა იყო ძმათა განსწავლა, მათი დამოძღვრა, ყრმათა აღზრდა, მათ წინაშე ქადაგებათა წარმოთქმა. სწორედ ამ მიზნით დაიწერა „საქრისტიანო მოძღვრება“ და „სწავლანი“, რომელიც „სიბრძნე-სიცრუისას“ პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენს, ოღონდ სხვა სამოსელში. თუ იგავ-არაკებში იგი შეფარვით, აღეგორიულად საუბრობს ადამიანთა მანკიერებებზე, ამხელს საზოგადოებაში გამეფებულ უკეთურებას, „სწავლანში“ ავტორი მოსწრებულად სარგებლობს თავისი მდგომარეობით და სამონასტრო ამბიონიდან ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის იდეებს ქადაგებს, იგავებში გამოხატულ იდეებს იგი პირდაპირ ახმოვანებს. სწორედ ამიტომ „სწავლანი“ ზნესწავლულობის წიგნია. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ავტორის სოციალურ-პოლიტიკური, თუ რელიგიურ-ფილოსოფიური იდეების შესასწავლად.

ლიტერატურა:

1. აბულაძე ი. (რედ), სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზ. 4-1,4-2 თბ., 195
2. ბარამიძე რ., ლიტერატურული შტუდიები, სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისათვის, თბ., 1988.
3. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა, ტფილისი, 1902.
4. ლოლაშვილი ი., სწავლანი თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, N28.
5. ლოლაშვილი ი., სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობა და თანამედროვეობა, თბ., 1959.
6. ლოლაშვილი ი., სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, თბ., 1959.
7. ლეონიძე გ., გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958.
8. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, თბ., 1963.
9. ქავთარია მ., მე-18 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1977.

მარინა ხანჯალიაშვილი
სულხან-საბა ორბელიანის გაკათოლიკება
რეზიუმე

ავტორი განიხილავს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, „ქართლის მამად“ წოდებული სულხან-საბა ორბელიანის გაკათოლიკების საკითხს, რომელიც დიდი ხანია, რაც მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. ნაშრომში სიღრმისეულადაა განხილული ის ძირითადი მიზეზები, რომელთა გამოც მწერალმა ეს ნაბიჯი გადადგა. გაცემულია პასუხები კითხვებზე: რა მიზნით, რატომ და როდის მიიღო კათოლიკობა სულხან-საბა ორბელიანი?

მე-13 საუკუნიდან მოყოლებული რუსეთთან შეერთებამდე რომის პროპაგანდა აქტიურად იღვწოდა პაპის უზენაესი უფლებების დასამკვიდრებლად საქართველოში, ხოლო საქართველო კი კათოლიციზმში ეძიებდა ევროპის ძლიერ მფარველს. სტატიაში ნაჩვენებია სულხან-საბა ორბელიანის მოტივაცია, რაც პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა და არა-რელიგიურს.

სტატიაში ასევე საინტერესო ფაქტებია მოყვანილი საბას ბასილიანთა ორდენის წევრობისა და ევროპული ორიენტაციის შესახებ.

Marina Khanjaliashvili
Sulkhan-Saba Orbeliani's Conversion to Catholicism
Summary

The author discusses the issue of Sulkhan-Saba Orbeliani's conversion to Catholicism, a great Georgian writer and public figure known as Kartli's father, who has long attracted the researchers' attention. In the paper, the main reasons are discussed deeply for which the writer took this step. Answers to questions are given: For what purpose, why and when did Sulkhan-Saba Orbeliani convert to Catholicism?

From the 13th century onwards, before joining with Russia the propagation of Rome continued to be active in the establishment of the Pope's supreme right in Georgia, while Georgia was seeking a strong patron of Europe in Catholicism. The paper shows Sulkhan Saba Orbeliani's motivation, which was a political character and not religious.

The paper also provides interesting facts about membership of the Basilian Order and European Orientation.

ნინო ჭოხონელიძე

განათლების აკადემიური დოქტორი

მასწავლებლის როლისა და მნიშვნელობის საკითხისათვის მარია მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში

მარია მონტესორის პედაგოგიკის ერთი-ერთი ძირითადი თავისებურება არის სწავლის პროცესში აქტიურობის ცენტრის პედაგოგიდან ბავშვზე გადატანა. ბავშვი არ არის მსმენელი, იგი პასიურად არ აღიქვამს მასწავლებლის ახსნილ მასალას. პირიქით, სწავლობს დამოუკიდებელი „ექსპერიმენტული“ საქმიანობის პროცესში ინდივიდუალური ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

მასწავლებელს მონტესორის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. თავდაპირველად მას „დირექტორი“ ერქვა. ის არის შუამავალი, რომელიც ქმნის კავშირს ბავშვსა და განმავითარებელ გარემოს შორის. მასწავლებელი ანუ ხელმძღვანელი აკვირდება რა ბავშვების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ერთვება და უწევთ მათ დახმარებას; ორგანიზატორი, რომელიც ქმნის „მომზადებულ გარემოს,“ რომელშიც ბავშვი თავისუფლად გადაადგილდება და ირჩევს მისთვის სასურველ მასალას; დამკვირვებელი, რომელიც აკვირდება ბავშვებს, რომ მათ ხელი არ შეუშალონ ერთმანეთს საქმიანობაში. მონტესორი - მასწავლებელი, ყოველთვის ცდილობს გაუღვიძოს ბავშვებს თვითმოტივაცია. „მასწავლებელი, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას, ხელმძღვანელი ცოტას ასწავლის და ბევრს აკვირდება. თუ ყველა ბავშვი, ისიც სხვადასხვა ასაკის, ერთიდაიმავეთი არიან გართული, რაც ჩვეულებრივად კოლექტიური გაკვეთილების დროს ხდება, მაშინ ასეთ დაკვირვებათა ფასი უადრესად ნაკლებია. რადგანაც გაკვეთილები ინდივიდუალურია და კოლექტიური გაკვეთილები თითქმის სრულიად არაა“ (3, 307).

მონტესორის მიაჩნდა, რომ „მასწავლებლის ხედვა ერთდროულად უნდა იყოს ზუსტი როგორც მეცნიერისა და სულიერი, როგორც წმინდანის“ (4, 19). მან აუცილებლად უნდა შეასრულოს კონკრეტული ამოცანა. უშეცდომოდ გაარჩიოს ჭეშმარიტება სიცრუისაგან. არ დაუშვას არავითარი შეცდომა დაკვირვებისას, რომელიც მის კვლევებს, მის ჭეშმარიტებას დაამახინჯებს. სულიერი გაწონასწორებული მდგომარეობა მასწავლებლისათვის აუცილებელია, რადგან მის წინაშე არის ადამიანი-პედაგოგიური დაკვირვების ობიექტი.

პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგას მონტესორი - მასწავლებელმა საკუთარი თავის გადამზადებაა. მას უნდა ჰქონდეს წარმოსახვის უნარი. ჩვეულებრივ სკოლებში მასწავლებლები თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა რეალურ ყოფაქცევას. ეს მათი მოვალეობაა. მონტესორი მასწავლებელი კი გამუდმებით ეძებს „არარსებულ“ მოსწავლეს. ამაშია მთავარი სხვაობა. მასწავლებელი, რომელიც მონტესორის სკოლაში იწყებს მუშაობას უნდა სჯეროდეს, რომ მოსწავლე გაიხსნება მუშაობის პროცესში. ბავშვი აუცილებლად გამოავლენს თავის შესაძლებლობებს, როდესაც იპოვის მისთვის საინტერესო სამუშაოს. მაშ რას აკვირდება მასწავლებელი? ის აკვირდება იმ პერიოდს, როცა ბავშვი იწყებს აღდგომას. ამისათვის პედაგოგმა მთელი თავისი ძალა და ენერჯია უნდა ჩადოს და მისი საქმიანობა შემეცნებითი და ეტაპობრივი გახადოს. მასწავლებლის მომზადებაში მ. მონტესორიმ გამოყო სამი ეტაპი. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

- პირველი ეტაპი

მონტესორის სკოლაში მასწავლებელი გარემოს მეურვე და მცველი ხდება. ყველა საგანი მოწესრიგებული, კარგ მდგომარეობაში და გამოყენებისათვის მუდამ მზადყოფნაში უნდა იყოს. ამას გარდა მასწავლებელი მიმზიდველი და სასიამოვნო

გარეგნობით უნდა გამოირჩეოდეს. სუფთა, კოჰჰია, მშვიდი და ღირსებებით სავსე უნდა იყოს. ის უნდა იყო იდეალი, რომლისკენაც ყველა ისწრაფვის. „ავტორიტეტი რომ მოიპოვო, საჭიროა მასწავლებელი იყოს ღამაში, ენერგიული, სახეგამომეტყველი, მჭერმეტყველი. სრულყოფილება არტისტული ოსტატობის შესწავლით მიიღწევა. მასწავლებლისათვის ეს აუცილებელია“ (4, 19). ბავშვების საზოგადოებაში ყოფნისას აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი „ამომრჩეველები“ არიან. მასწავლებლის გარეგნობა, პირველი ნაბიჯია მათი ნდობისა და პატივისცემის მოსაპოვებლად. მასწავლებელმა საკუთარი ქცევები რაც შეიძლება რბილი და დახვეწილი უნდა გახადოს. მასწავლებლის ზრუნვა საკუთარი პიროვნული თვისებების სრულყოფაზე ძალიან მნიშვნელოვანია. მასწავლებლის პირველი მოვალეობა გარემოზე დაკვირვებაა. გარემოს ზეგავლენა ირბია. თუ ეს ასე არ არის, მაშინ არ იქნება ეფექტური მუდმივი ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი წინსვლა.

- მეორე ეტაპი
მონტესორის მიაჩნდა, რომ გარემოს კეთილმოწყობის შემდეგ, მნიშვნელოვანი იყო მასწავლებლის ქცევა ბავშვებთან ურთიერთობაში. რა უნდა ექნა მას არარეგანიზებულ ბავშვებთან, რა საქმიანობით დაეინტერესებინა ისინი. ზოგჯერ მონტესორი იყენებდა სიტყვას, რომლითაც ახერხებდა ბავშვების „მიზიდვას“. მონტესორის აზრით, მასწავლებელს, რომელსაც ბავშვების მიზიდვის ნიჭი აქვს, შეუძლია მათ სავარჯიშოები შეასრულებინოს, თუნდაც ისეთი რომლებსაც რაიმე შემეცნებითი ღირებულებები არა აქვს, მაგრამ რომლებსაც ბავშვების დაწინარება შეუძლია. თუ ბავშვი ღრმად არის ჩაფლული თავის საქმიანობაში, მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს, რათა ხელი არ შეუშალოს მის ციკლს, ან მის თავისუფლად განვითარებას. მაგრამ ამ შემთხვევაში სწორი პედაგოგიური მიდგომა სრულიად საპირისპიროა: ხელი უნდა შევეშალოთ „დამანგრეველ“ საქმიანობას. ეს შეიძლება მოხდეს წამოძახილის ფორმით აღელვებული ბავშვის მიმართ.

- მესამე ეტაპი
საბოლოოდ დგება დრო, როდესაც ბავშვი ავლენს რაღაცის მიმართ ინტერესს, მაგალითად სავარჯიშოების მიმართ, რომლებიც ცხოვრებისეული პრაქტიკიდანაა. სადაც გვიჩვენებს, რომ ბავშვების მუშაობა სენსორულ მასალასთან უსარგებლო და საზიანოა იქამდე, ვიდრე ისინი მზად არ იქნებიან აქედან სარგებლის მისაღებად.

მონტესორის მიაჩნდა, რომ ვიდრე ბავშვები გაეცნობიან ამ ტიპის მასალებს, ნებისმიერმა მასწავლებელმა უნდა დაიცადოს, სანამ ისინი თავად არ იპოვიან საკუთარ თავში საქმიანობაზე ყურადღების კონცენტრირების ძალებს. ეს ყველაფერი ხდება ცხოვრებისეული პრაქტიკული სავარჯიშოებით. როდესაც ბავშვი იწყებს ინტერესის გამოვლენას ერთ-ერთი მათგანის მიმართ, მასწავლებელმა არ უნდა შეაწყვეტინოს, რამდენადაც ეს ინტერესი ბუნების კანონებს შეესაბამება და ახალი საქმიანობის მთელ ციკლს ხსნის. მაგრამ პირველი ნაბიჯები ფაქიზი და დელიკატურია. ახლა მასწავლებელი ფრთხილად უნდა იყოს. არ ჩარევა ნიშნავს კატეგორიულ ჩაურევლობას. სწორედ ამ მომენტში სცდება მასწავლებელი ყველაზე ხშირად. ბავშვი, რომელიც აქამდე უინტერესოდ იყო, ბოლოს და ბოლოს მობილიზებული ხდება რომელიღაც კინკრეტულ საქმიანობაზე. მასწავლებელმა გვერდით ჩავლისას საკმარისია უთხრას „კარგია“ და დაწყებულს იქვე გააფუჭებს. ორ კვირაზე მეტი უნდა გავიდეს, რომ ბავშვს კვლავ დაუბრუნდეს ინტერესი. ბავშვს, რომელსაც უჭირს რაღაცის შესრულება და რომელთანაც მასწავლებელი მიდის დასახმარებლად, შეიძლება მან უარი თქვას თავის საქმიანობაზე და ყველაფერი მიუტოვოს მასწავლებელს. ყურადღება კონცენტრირდება არა თავად სამუშაოზე, არამედ უმეტესად სიძნელეების გადალახვაზე, რომელიც მასთანაა დაკავშირებული „თუკი მასწავლებელს ასე ძალიან უნდა ამის ჩემს ნაცვლად გაკეთება, დაე გააკეთოს. მე ეს უკვე აღარ მაინტერესებს“ (4, 21). - ასეთია ბავშვის

დამოკიდებულება. თუკი ბავშვი ცდილობს ასწიოს რაღაც მისთვის ძალიან მძიმე საგანი, ხოლო მასწავლებელი ცდილობს დაეხმაროს, ხშირად ხდება, რომ იგი ამ საგანს მასწავლებელს შეატოვებს ხელში, თავად კი გაიქცევა.

მონტესორი წინააღმდეგია ნებისმიერი შექების, დახმარების, ანდა გამოხედვისაც კი, რადგან ეს ყველაფერი საკმარისია იმისათვის, რომ ხელი შეგუშალოთ ბავშვს მის საქმიანობაში. შესაძლოა უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ასე მაშინაც ხდება, როდესაც ბავშვი იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ მას თვალყურს ადევნებენ. აი, ეს არის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლის დაცვასაც წარმატების მოტანა შეუძლია. ბუნებრივია, ყველას შეუძლია გაიგოს თუ რას აკეთებს ბავშვი, გვერდიდანაც რომ შეავლოს თვალი. მაგრამ ეს ისე უნდა გააკეთოს, რომ ბავშვმა ვერც კი შეამჩნიოს. ამის შემდეგ ბავშვი, რომელიც აქტიურია და შეუძლია ერთი საგნიდან მეორეზე გადავიდეს ისე, რომ არაფერზე შეაჩეროს ყურადღება, იწყებს თავისთვის სამუშაოს შერჩევას. ამან შეიძლება გააჩინოს პრობლემა. რადგანაც ბევრს შეიძლება მოუნდეს ერთი და იგივე ნივთი ერთდროულად. მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტაში არავინ ჩაერევა მანამ, ვიდრე მათ თხოვნით არ მიმართავენ. ბავშვები ამას თავად გადაწყვეტენ. მასწავლებლის მოვალეობა მხოლოდ ახალი ნივთების შეთავაზებაა, ისიც მაშინ, როდესაც ბავშვი სრულად ამოწურავს იმ მასალების შესაძლებლობებს, რომლებითაც ის მანამდე სარგებლობდა.

მონტესორი მასწავლებელი ბავშვთან დამოკიდებულებაში ჩაურევლობის უნარს პრაქტიკასთან ერთად იძენს, ისევე როგორც სხვა დანარჩენს. მაგრამ ეს არ მოდის იოლად. რაც ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელი უნდა იყოს მოწოდების სიმაღლეზე-ნამდვილი დახმარება, რომლის გაწევაც მასწავლებელს შეუძლია სენტიმენტალური იმპულსის მორჩილებაში კი არ მდგომარეობს, არამედ იგი დისციპლინის სიყვარულის მორჩილებაშია, მონტესორის მიაჩნდა, რომ თუ ბავშვი განსაკუთრებული გულისხმიერებით მუშაობს, მასწავლებელი მისგან მოშორებით უნდა იმყოფებოდეს, მაგრამ თუ ბავშვი მასწავლებელს უჩვენებს თავისი შრომის შედეგს და შექებას ელოდება აუცილებლად უნდა შეაქოს.

მონტესორის აზრით, ფსიქოლოგიის სფეროში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთდამოკიდებულება მოსამსახურის ქმედების ანალოგიურია. ის უნდა მოემსახუროს და ამასთანავე ძალიან კარგად მოემსახუროს მის სულს. ეს სრული სიახლეა, განსაკუთრებით სწავლების სფეროში. საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს რამდენად უკლის ბავშვს და მისი ტანსაცმლის სისუფთავეს. აღზრდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვმა უნდა მოიპოვოს ფიზიკური დამოუკიდებლობა, გახდეს დამოუკიდებელი, მან უნდა მოიპოვოს არჩევანის თავისუფლება, უნდა ისწავლოს შრომა წვეტების გარეშე. „ბავშვის განვითარება წინ მიიწევს დამოუკიდებლობის სხვადასხვა ეტაპების გავლის გზით, რომელიც ერთი მეორეს მიჰყვება და ჩვენი ცოდნა ამ სფეროში უნდა ხელმძღვანელობდეს ჩვენს ქცევას ამ გზაზე. ეს არის სულიერი მომსახურების ხელოვნება, რომელიც შეიძლება სრულყოფილად განვითარდეს მხოლოდ ბავშვთან მუშაობისას“ (4, 22).

მაგრამ ეს მალე არ ხდება, თავდაპირველად მასწავლებელი იტყვის: „მე დავინახე ამ ბავშვში ის, თუ როგორი უნდა გამხდარიყო იგი და ის მასზე უკეთესი გახდა, ვიდრე მე ველოდი“ (4, 23) ის არა მარტო ღრმა ცოდნას იძენს, არამედ იძენს განსაკუთრებულ სიყვარულს, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ ცალკეული ადამიანებისადმი, არამედ იმ საიდუმლოსადმი, რომელიც მის სულში ღრმადაა მიმალული. როდესაც ბავშვი გახსნის თავის სულს, „აღბათ მასწავლებელი პირველია, ვინც იგებს, თუ რა არის ნამდვილი სიყვარული. ეს გულწრფელობა მასაც ეხება. ეს ის არის, რაც გულს ეხება და თანდათანობით ცვლის ადამიანებს. ეს უკვე შესამჩნევი გახდა და არ შეიძლება არ ითქვას ამის შესახებ. შეიძლება ბავშვის სახელი დაგავიწყდეს, მაგრამ არ შეიძლება

წამალო კვალი, რაც დატოვა მათმა სულებმა და სიყვარულმა, რომლის გაღვიძლებაც ბავშვებმა შეძლეს“ (4, 23).

მონტესორი ფიქრობდა, რომ სიყვარულის ორი დონე არსებობდა. ემსახურო ბავშვს-ნიშნავს იგრძნო რომ ადამიანის სულს ემსახურები. სულს, რომელმაც თვითონვე უნდა შექმნას თავისი თავი. უნდა ითქვას, რომ სხვაობა დონეებს შორის გამოვლინდა არა მასწავლებლების, არამედ თავად ბავშვების მიერ. მასწავლებელი გრძნობს, რომ ის აიყვანეს იმ სიმალღემდე, რომელიც მან წინათ არ იცოდა.

რა გვევლინება მონტესორი - მასწავლებლის გარდასახვის მთავარ ნიშნად? მას შეიძლება ასეთი ფორმულირება გაუკეთდეს: „ახლა ბავშვები ისე მუშაობენ, თითქოს მე სულაც არ ვიყო აქ“(4, 23). თავიანთი გრძნობების გარდაქმნამდე მასწავლებლები სხვანაირები იყვნენ. ისინი თვლიდნენ, რომ სწორედ ისინი ასწავლიდნენ ბავშვებს, სწორედ მათ აჰყავდათ ბავშვები ცოდნის დაბალი საფეხურიდან მაღალ საფეხურამდე. მაგრამ ახლა, როდესაც ნათელი ხდება ბავშვის სულიერი გამოვლინების ყველაზე მაღალი ფასეულობა, რომელიც მასწავლებელს შეუძლია მიაწეროს თავის ღვაწლს შეიძლება გადმოიცეს შემდეგი სიტყვებით: „მე დავეხმარე ცხოვრებას შევსრულებინა ამოცანა, რომელიც ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე იყო დაყენებული“ (4, 23). მონტესორისათვის ეს ნამდვილი სიამოვნებაა. მასწავლებელმა, რომელიც ასწავლის 6 წლის ასაკამდე ბავშვებს, იცის რომ იგი დაეხმარა კაცობრიობას მის ფორმირებაში. მასწავლებელმა შეიძლება არ იცოდეს ბავშვზე ყველა ინფორმაცია, გარდა იმისა, რომლის შესახებაც თავად ბავშვები აუწყებენ საუბრისას. შესაძლოა მას არც აინტერესებდეს მათი მომავალი: შევლენ თუ არა ისინი საშუალო სკოლაში, უნივერსიტეტში, ან სულაც მალე ასრულებენ სწავლას. მაგრამ ის ბედნიერია იმით, რომ სწავლის პერიოდში ისინი აკეთებდნენ იმას, რაც უნდა გაეკეთებინათ. მან შეიძლება თქვას: „მე მოვემსახურე იმ ბავშვების სულს და მათ მოახერხეს განვითარება. მე კი იმ პერიოდში მათი მეგობარი ვიყავი (4, 23). საერთოდ, მონტესორის აზრით, მასწავლებელი მოსწავლის შექებისას ფრთხილი უნდა ყოფილიყო, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მას ყველა უნდა შეექო, ანუ მას სამართლიანობა უნდა გამოეჩინა. „თუკი სულიერ გრძნობებს შორის ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ყველაზე უმაღლესით, რათა ისინი ყველანი ერთნაირი ყოფილიყვნენ. ამ მაღალ საგანმანათლებლო დონეზე, სამართლიანობა-ეს ჭეშმარიტად რაღაც სულიერია, რაც იმისი გარანტიაა, რომ ყველა ბავშვი შეიძლება შეუძლებელსაც კი“(4, 23).

ბავშვები თავიანთ პრობლემებს მშვიდობიანად წყვეტენ. ისინი გვიჩვენებენ, რომ თავისუფლება და დისციპლინა მედლის ორი მხარეა, რადგან გაცნობიერებულ თავისუფლებას დისციპლინა მოსდევს. როდესაც კლასი არადისციპლინირებული ხდება, მასწავლებელი ამ უწესრიგობაში მხოლოდ მის მიერ დაშვებული შეცდომების შედეგს ხედავს და ცდილობს ეს გამოასწოროს. ჩვეულებრივი სკოლის მასწავლებელი კი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, მაგრამ ეს არ არის დამცირება. ეს ახალი განათლების შემადგენელი ნაწილია. ადამიანი ერთი საფეხურით მაღლა მიიწევს და ამით ბუნებას ეხმარება, რადგან ზევითკენ სწრაფვა ცხოვრების კანონია. სწორედ ბავშვებმა შექმნეს ეს არაჩვეულებრივი კიბე, რომელსაც სულ ზევით და ზევით მიყვავართ. ბუნების კანონი - წესრიგია. როდესაც წესრიგი მყარდება, ამით სამყაროშიც წესრიგი მიღწეულია. ცხადია, რომ ბუნებას აქვს მისიები, რომლებიც მან ბავშვებს მიანდო, რათა შევძლოთ მივადწიოთ უმაღლეს დონეს. ბავშვებს ადამიანური სულის განვითარების უმაღლესი დონისაკენ მიყვავართ და სწორედ ამის მეშვეობით გადაიტრება მატერიალური პრობლემები. „ო, ღმერთო დაგვეხმარე ბავშვობის საიდუმლოს ამოხსნაში რათა შევიცნოთ ბავშვი, გვიყვარდეს და ვემსახუროთ მას სამართლიანობის კანონის შესაბამისად და მივყვეთ შენს ნებას!“ (4, 24) - ეს არის მონტესორი - მასწავლებლებისთვის ძირითადი მოწოდება.

ამრიგად, მონტესორის სწავლების მეთოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მასწავლებელს. საკმაოდ ხანგრძლივია მონტესორი - მასწავლებლის მომზადება. რომ გახდეს მონტესორი მასწავლებელი, ამისათვის საჭიროა გარდაქმნა საკუთარი თავი. მონტესორი - მასწავლებელი არასოდეს ცდილობს ბავშვზე დომინირებას. ის ეხმარება მათ ცოდნის დაგროვებაში, რომელიც გაცილებით რთულია, ვიდრე სწავლება.

ლიტერატურა:

1. მელიქიშვილი მ., ჯ. დიუის პედაგოგიკური კონცეფცია, მ. მონტესორის პედაგოგიკური კონცეფცია, თბ., 2013.
2. მონტესორი მ., ჩემი მეთოდი: დაწვებითი განათლება, თარგმანი ლ. კუხიანიძის, ქუთაისი, 2014.
3. ფაუსეკი ი., მონტესორის სისტემა, სკოლის ასაკამდე აღზრდა, თბ., 1926.
4. Монтессори М. Помоги мне сделать это самому, М., 2006.

ნინო ჭოხონელიძე მასწავლებლის როლისა და მნიშვნელობის საკითხისათვის მარია მონტესორის პედაგოგიკურ სისტემაში რეზიუმე

მარია მონტესორის პედაგოგიკის ერთი-ერთი ძირითადი თავისებურება არის სწავლის პროცესში აქტიურობის ცენტრის პედაგოგიდან ბავშვზე გადატანა. ბავშვი არ არის მსმენელი, იგი პასიურად არ აღიქვამს მასწავლებლის ახსნილ მასალას. პირიქით, სწავლობს დამოუკიდებელი „ექსპერიმენტული“ საქმიანობის პროცესში ინდივიდუალური ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

მასწავლებელს მონტესორის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის არის შუამავალი, რომელიც ქმნის კავშირს ბავშვსა და განმავითარებელ გარემოს შორის; ხელმძღვანელი აკვირდება რა ბავშვების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ერთვება და უწევთ მათ დახმარებას; ორგანიზატორი, რომელიც ქმნის „მომზადებულ გარემოს“, რომელშიც ბავშვი თავისუფლად გადაადგილდება და ირჩევს მისთვის სასურველ მასალას; დამკვირვებელი, რომელიც აკვირდება ბავშვებს, რომ მათ ხელი არ შეუშალოს ერთმანეთს საქმიანობაში. მონტესორი - მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს გაუღვიძოს ბავშვებს თვითმოტივაცია.

Nino Chokhonelidze Teacher's Role and Significance in Maria Montessori's Pedagogical System Summary

One of the main features of Maria Montessori's pedagogy is to move the Center of Pedagogy from a teacher to a child in the learning process. The child is not a listener; he/she does not passively perceive a material explained by a teacher. On the contrary, he/she studies in the process of independent experimental activities in accordance with individual interests and requirements.

A teacher takes an important place in Montessori's system. She is an intermediary who creates a connection between the child and the development environment. The head observes the child's activity and helps it if necessary. The organizer creates a prepared environment in which the child freely moves and chooses the desired material. The children are observed not interfere with each other's activities. The Montessori teacher always tries to arouse the child's self-motivation.

ნინო ყანჩელი

განათლების აკადემიური დოქტორი

ჯონ დიუის პროგრესული პედაგოგიკის არსი და მნიშვნელობა

1928 წელს დიუი ეწვია საბჭოთა კავშირს. უნდა აღინიშნოს, რომ დიუის ზოგიერთი პედაგოგიური აღმოჩენა დაინერგა სსრკ-ს დაწყებით და ნაწილობრივ საშუალო სკოლების თეორიასა და პრაქტიკაში. ნაშრომში „საბჭოთა რუსეთის და რევოლუციური სამყაროს შთბეჭდილებები“, დიუი აღნიშნავდა რა განათლების სისტემის მიღწევებს, ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი ახალი დასკვნები და განზოგადებები (სწავლების ცხოვრებასთან დაკავშირების შესახებ, სისტემატური ენციკლოპედიური განათლების შესახებ და ა.შ.). ამან კი საშუალება მისცა დიუის დაემუშავებინა „პროგრესული“ აღზრდის გეგმა და სტრატეგია.

დიუის შეხედულებით, სკოლის ყველაზე დიდი ნაკლი მდგომარეობს შემდეგში: ბავშვს არ შეუძლია სკოლის გარეთ მიღებული გამოცდილება თავისუფლად და მთელი სისრულით გამოიყენოს თვით სკოლაში და პირიქით: მას არ გააჩნია შესაძლებლობა ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენოს ის, რასაც დაეუფლა სკოლაში. დიუი ფორმალური განათლების „სუფთა გონების ძალდატანებითი (იძულებითი) დისციპლინირების“ წინააღმდეგი იყო. თანამედროვე სკოლის ინერტული ტრადიცია ბავშვებში ხელს უწყობს სურვილისა და მზაობის აღზრდას მითითების შესაბამისი რეაგირებისათვის. უყალიბებს მათ: კომფორტულობას, დაეჭვებისა და ექსპერიმენტებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. სხვადასხვა შენიღბული ძალდატანებით, პედაგოგიური „დღესასწაულებით“ - სიყმაწვილის სინორჩე ჭკნება და მისი ცოცხალი ცნობისმოყვარეობა ქრება. სასკოლო სწავლება გადაიქცა ყმაწვილების უმწეობის გამოყენების ხელობად. ბავშვებს სკოლაში აგზავნიან მათი დისციპლინირებისათვის, მაგრამ სკოლა ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც ურთულესია დისციპლინის მიღწევა. სკოლის გაკრიტიკებასთან ერთად, დიუი მეტისმეტად აფასებდა აღზრდის ფუნქციას; იგი აღზრდას განიხილავდა როგორც სოციალური ბოროტების აღმოფხვრის სისტემატურ საშუალებას, კაცობრიობის იმედების განხორციელების გზას. დიუი იმედოვნებდა აღმზრდელობითი მეთოდით თავი დაეღწია: ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისაგან; კლასობრივი ბრძოლისაგან, ეკონომიური განადგურებისაგან, ომებისაგან. მასწავლებლის ხელში იგი ხედავდა „სამყაროს პალმას“ (2)

დიუის ღრმად სწამდა, რომ სკოლა: ა) უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩანასახი; ბ) უნდა განიმსჭვალოს ხელოვნების, ისტორიისა და მეცნიერების სულით; გ) სკოლაში კულტურის სწავლება სპეციალური განათლების განუყოფელი ნაწილია. ჩვენი საზოგადოება უფრო აღმატებული (წარჩინებული) და ჰარმონიული გახდება, თუკი სკოლა თავისი პატარა თავისუფალი ერთობის წევრს აღზრდის საზოგადოებისათვის სამსახურის სულისკვეთებით და უზრუნველყოფს მას შემოქმედებითი მოღვაწეობის საშუალებებით. დიუის შეხედულებით, სკოლა სოციალური ცენტრია და ამიტომაც დიუის მიზანია გადააქციოს სკოლა მინიატურულ საზოგადოებად, საზოგადოების ჩანასახად. მხოლოდ ურთიერთობაში და ამავე დროს ურთიერთობის პროცესში ადამიანი მიაღწევს მიზანს, გაიდრმავეებს რწმენას, მიიღებს ცოდნას და შეიძენს მოტივებს. აღნიშნულს ვერ მივაღწევთ ერთმანეთისადმი ამ უნარების აგურების მსგავსად გადაცემით, არც მათი ერთმანეთში (ინდივიდებს შორის) ნამცხვარივით ნაჭრებად განაწილებაა შესაძლებელი. გონიერების საზოგადოებრივ სფეროებში ადამიანის მონაწილეობის უზრუნველყოფელია ურთიერთობა, რაც იძლევა ემოციურ და ინტელექტუალურ შედეგებს - პიროვნებისა და მისი უნარების განვითარებას. განათლება და აღზრდა სხვადასხვა ადამიანებისათვის სხვადასხვა უნდა იყოს და საჭიროა მოქნილად იცვლებოდეს პერიოდულად პოლიტიკური შე-

ხედულებების გავლენით. აღზრდის დანიშნულება ზოგადად კეთილისმყოფელი ადამიანის, „კარგი ადამიანის“ ჩამოყალიბება როდია, არამედ მოცემული საზოგადოების კარგი მოქალაქის კეთილისმყოფელების აღზრდაა.

დიუი პირველია დასავლურ პედაგოგიკაში, რომელმაც მოგვაწოდა იდეა - სკოლა გადაიქცეს სკოლის გარშემო თავმოყრილი საზოგადოების აღორძინების საშუალებად. დიუის სკოლა „მცირე მანშტაბის კოოპერაციული საზოგადოებაა“, სოციალური სტრუქტურის ასლია. მისი მთავარი დანიშნულებაა, მისცეს ბავშვებს შესაძლებლობა დააგროვონ წარმატებული გამოცდილება საზოგადოებაში საცხოვრებლად („კოოპერაციულ ინტეგრაციაში“).

ამრიგად, სკოლის უმთავრესი ამოცანაა ვასწავლოთ ბავშვებს თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება; განუვითაროთ მათ ურთიერთდამოკიდებულების ცნობიერება. ბავშვებთან ურთიერთობით პრაქტიკაში დავეხმაროთ მათ სოციალური ქცევის ჩვევებისა და უნარების ჩამოყალიბებაში. დამატებითი მიზნები კი მათი აქტივობის, შრომითი უნარებისა და ჩვევების განვითარებაა (1).

აღზრდა როდია ბავშვსა და მოზარდზე ძალდატანებით გარედან თავსმოხვეული, არამედ უნარებისა და იმ ჩანასახების ზრდაა, რითაც იბადება ადამიანი. აღზრდას დიუი განიხილავს, როგორც გამოცდილების ზრდას. ზრდა - ეს არის მთავარი, გაბატონებული მოწოდება ყველა დროის ადამიანისა: გონებრივი და ზნეობრივი განვითარება. რამდენადაც ზრდა სიცოცხლისათვის დამახასიათებელი თვისებაა, აღზრდა იგივეა რაც ზრდა. სასკოლო აღზრდის კრიტერიუმია ის საფეხური, რომელზედაც აღზრდას ძალუძს - შექმნას უწყვეტი ზრდის სურვილი და წარმოადგინოს ამ სურვილის რეალიზებისათვის საჭირო საშუალებები. ამ დებულებას დიუი უმნიშვნელოვანესად თვლის და ამტკიცებს: „აღზრდის ცნების როგორც ზრდის ცნების გაგება ნიშნავს მივიღოთ დემოკრატიული საზოგადოება და პირიქით.“ ზრდა შეუძლებელია ცვლილებების გარეშე. ფიქსირებული და ყოვლისმომცველი გლობალური მიზნები უადგილო ოცნებებია, შეუცვლელი მხოლოდ ცვლილებებია. სხვა საგნებში რა გაგვენაც არ უნდა გამოეწვია ცვლილებებს, ისინი თვითონაც უცილობლად შეიცვლებიან. უმნიშვნელოვანესია ცვლილებების ბუნების შესწავლა, ისე რომ მათი საშუალებით შევძლოთ საკუთარი ინტერესების მართვა. ცვლილებებს პასიურად არ შეიძლება მივსდით, მაგრამ არც მათი უგულვებელყოფა შეიძლება. ისინი უნდა ვმართოთ. ცნებებთან: „ცვლილებები“, „ზრდა“, „გამოცდილება“, „უწყვეტობა“, „მუდმივობა“, „პროგრესირებადი გამოცდილება“, დიუის მიხედვით, მჭიდროდაა დაკავშირებული ასევე შემდეგი ცნებები: „პროგრესულობა“ და „პროგრესული აღზრდა“. პროგრესული აღზრდა სრულიადაც არ ნიშნავს რეაქციულის ან ტრადიციულის საპირისპიროს. პროგრესული ნიშნავს თანდათანობითს, რომლის ყოველი ეტაპი ზრდის, პროგრესის, განვითარების, სრულყოფის მომმატებელია. ეს ცხოვრებისეული პროცესია. ამრიგად, დიუისეული აღზრდის მთავარი იდეაა გამოცდილების მუდმივი, პროგრესირებადი რეკონსტრუირების იდეა. აღნიშნული იდეა ეწინააღმდეგება მომავალი ცხოვრებისადმი მომზადების იდეას შორეული მომავლისადმი, როგორც სპონტანური შინაგანი ძალების გაფურჩქვნა, როგორც გარეგანი ფორმირება და წარსულის აღდგენა. დიუის ეს მთავარი იდეა თანხვედრაშია პიროვნებისა და მისი სოციალური ბუნების შესახებ დიუისეულ შეხედულებებთან. დიუის აზრით, სოციალური კავშირების მიღმა მყოფი ადამიანი, არის მითი და საოცრება. ინდივიდუალურობა დასაწყისიდანვე მოცემული როდია, არამედ მისი ჩამოყალიბება ხდება ასოცირებული ცხოვრების ზეგავლენით. ჩვენი ინტელექტუალობა მოქცეულია გარკვეულ საზღვრებში, ყოველ შემთხვევაში მაშინ მაინც, როცა საუბარია ინტელექტუალობის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელი ნაწილის შინაარსზე. იგივე ითქმის აზროვნებაზეც, ცნობიერებაზეც. როცა ბავშვი მოქმედებს, მის ირგვლივ მყოფი საზოგადოება, ცხოვრება რეაგირებს და პასუხობს ბავშვის მოქმედებებს: მოწონებით, წახალისებით ან უკმაყოფილებით და შენიშვნებით. ცნობიერე-

ბა, ესაა საზოგადოებრივი ცხოვრების გაცნობიერებული რეაქცია ჩვენს საქციელებზე, ყოფაქცევაზე. ცნობიერება, ესაა ჩვენში შემოტანილი საზოგადოების ცხოვრება, რომელიც იქცევა ჩვენს შინაგან ფორმულად და ტრიბუნალად.

მაშასადამე, ყოველგვარი ქმედება არის ადამიანური ბუნებისა და გარემოს ელემენტების, როგორც ბუნებრივის ასევე სოციალურის ურთიერთმოქმედება. ამრიგად, პიროვნების ჩამოყალიბება, მისი ყოფაქცევის ფორმირება არის განვითარებადი ადამიანის ქმედების, მოქმედება-მოღვაწეობის, მზარდი აქტიურობის შედეგი (1).

დიუის პროგრესივიზმის მეთოდოლოგიური დებულებების შესაბამისად, განათლების შინაარსის ბუნებას იგი სოციალური სინამდვილის გარემოში განიხილავდა. განათლების შინაარსი უნდა ჩაინერგოს და მატერიალიზდეს მოსწავლეთა მოქმედებებში. მოსწავლეები, მისი შეხედულებით, საზოგადოების მზარდი ნაწილებია. განათლების შინაარსის საწყისი საფეხურია სოციალური შინაარსისა და გამოყენების მქონე ქმედებები, რასაც მივყავართ მასალებისა და კანონების მეცნიერულ (თეორიულ) განხილვამდე; იმ მასალებისა და კანონების გაცნობიერებამდე, რომლებიც ამ ქმედებაში მონაწილე მოცემული სახეებისათვის ცნობილია. საგნების ბუნებისა და მათი დამზადების ხერხების ცოდნა - აი განათლების კონკრეტული შინაარსი. აღნიშნული ცოდნის დაუფლება ხდება მოსწავლეთა მოღვაწეობის პროცესში, რომელიც შესრულებული არა ცოდნის მისაღებად, არამედ თვით მოღვაწეობისათვის (მოქმედებისათვის). დიუის მიაჩნია, რომ კონკრეტული სიტუაციებიდან, სპეციალურად ორგანიზებული გამოცდილებიდან, „ქმედებიდან“ მიღებული და გადამუშავებული წარმოადგენს განათლების ჭეშმარიტ შინაარსს. მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მისწრაფებებით ორგანიზებული ცოდნის მოპოვებაა ნამდვილი ცოდნა, რომელიც გვაძლევს მოცემულ სიტუაციაში ჩვენი მიზნების ადაპტაციის საშუალებას და სურვილს, ვიცხოვროთ არსებულ გარემოში (1).

ამრიგად, დიუის პროგრესული პედაგოგიკა გულისხმობს სკოლის ინერტული ტრადიციის გადაფასებას, რადგანაც იგი ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც ურთულესია დისციპლინის მიღწევა. სკოლის უდიდეს ფუნქციას წარმოადგენს აღზრდა; დიუი კი აღზრდას განიხილავს როგორც გამოცდილების ზრდას. პროგრესული პედაგოგიკის არსად კი მას მიაჩნია ის საფეხური, რომელზეც აღზრდას ძალუძს შექმნას უწყვეტი ზრდის სურვილი და წარმოადგინოს ამ სურვილის რეალიზების საშუალებები.

ლიტერატურა:

1. Creative Intelligence. N. Y., 1917.
2. Impressions of Soviet Russia and the Revolutionary World. N.Y., 1929.
3. Dewey, The School and Society, by Cosimo, Inc., 2007.

**ნინო ყანჩელი
ჯონ დიუის პროგრესული პედაგოგიკის არსი და მნიშვნელობა
რეზიუმე**

1928 წელს დიუი ეწვია საბჭოთა კავშირს. სწორედ აქ დაინერგა დიუის ზოგიერთი პედაგოგიური აღმოჩენა, სსრკ-ს დაწყებით და ნაწილობრივ საშუალო სკოლების თეორიასა და პრაქტიკაში. მან ჩამოაყალიბა ახალი და მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები და განზოგადებები. ამან კი საშუალება მისცა დიუის დაემუშავებინა „პროგრესული აღზრდის გეგმა და საშუალება“. მას ღრმად სწამდა, რომ სკოლა: ა) უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩანასახი; ბ) საჭიროა

განიმსჭვალოს ხელოვნების, ისტორიისა და მეცნიერების სულით; გ) სკოლაში კულტურის სწავლება სპეციალური განათლების განუყოფელი ნაწილია.

დიუის პროგრესივიზმის მეთოდოლოგიური დებულებების შესაბამისად, განათლების შინაარსის შენებას იგი სოციალური სინამდვილის გარემოში განიხილავდა. განათლების შინაარსი უნდა ჩაინერგოს და მატერიალიზდეს მოსწავლეთა ქმედებებში.

Nino Kancheli

**The Essence and Importance of John Dewey's Progressive Pedagogy
Summary**

In 1928 Dewey visited the Soviet Union. He introduced several primary and secondary schools' working practice. Just here Dewey's some pedagogical discovery was introduced in several primary and secondary schools' working practice. He has created new and more concrete conclusions and generalizations. This enabled Dewey to develop a progressive plan and opportunity of upbringing. He was deeply convinced that the school a) should not be the embodiment of social life; b) it is necessary to interpret the spirit of the arts, history and science; c) the teaching of culture in school is an integral part of special education

In accordance with Dewey's progressive methodology, the creation of the study content was discussed in the context of social reality. The content of the education should be introduced and materialized in the students' activities.

იურიდიული მეცნიერებანი
Legal Sciences

გონა ოჩიგავა

სამართლის დოქტორი, პროფესორი

საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

I ნაწილი

1. პირველი სახელმწიფოთაშორისი საქმე დეპორტაციის პირობების დარღვევაზე

2007 წლის 26 მარტს საქართველოს მთავრობამ სტრასბურგის სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორისი საჩივარი შეიტანა.¹ საჩივარი ეხებოდა რუსეთის მიერ 2006 წლის შემოდგომაზე გატარებულ სადამსჯელო პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებული იყო რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების დევნასა და შევიწროებაზე და მიზნად ისახავდა ქვეყნიდან მათ მასობრივ გაძევებას. სამწუხაროდ, რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული სადამსჯელო ოპერაცია ათასობით ეთნიკურ ქართველს შეეხო. საქართველოს მიერ წარდგენილ საჩივარში საილუსტრაციოდ მოყვანილია 130-მდე ქართველის ინდივიდუალური შემთხვევა, თუმცა გაცილებით მაღალი იყო დაზარალებულთა რიცხვი. ქართული მხარე საჩივარში მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების კონკრეტულ მუხლებზე, რომლებიც ეხება: წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვას², პირადი ან ოჯახური ცხოვრების პატივისცემას³, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებას⁴, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას, დისკრიმინაციის აკრძალვას⁵, უფლებათა შეზღუდვის გამოყენების ფარგლებს⁶, არსებული საკუთრების უფლების ხელშეუხებლობას⁷, განათლების უფლებას⁸, უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვას⁹, უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ გარანტიებს¹⁰. საქართველომ მოითხოვა ამ უფლებათა დარღვევის აღიარება და დაზარალებულთათვის მორალური და მატერიალური კომპენსაციის ანაზღაურება. პირველი საჯარო მოსმენა 2009 წლის 16 აპრილს გაიმართა. 2009 წლის 30 ივნისს სასამართლომ დასაშვებად სცნო საქმის განხილვა. 2009 წლის 15 დეკემბერს პალატამ, რომელიც საქმეს იხილავდა, საჩივრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქმე განსახილველად სასამართლოს დიდ პალატას გადასცა. მასშტაბურ და განგრძობითი ხასიათის დარღვევებს, სწორედ დიდი პალატა განიხილავს (6). 2011 წლის 31 იანვრიდან 2011 წლის 4 თებერვლამდე დიდი პალატის 17 მოსამართლის წინაშე გაიმართა მოწმეთა დაკითხვა. აღნიშნული პროცედურის ფარგლებში დაიკითხა მხარეთა მიერ წარდგენილი 10-10 მოწმე.

¹ ეს არის პირველი სახელმწიფოთაშორისი საქმე, რომელიც დეპორტაციის საკითხებს ეხება.

² კონვენციის მე - 3 მ.

³ კონვენციის მე - 8 მ.

⁴ კონვენციის მე - 13 მ.

⁵ კონვენციის მე - 14 მ.

⁶ კონვენციის მე - 18 მ.

⁷ კონვენციის I დამატებითი ოქმის I მ.

⁸ კონვენციის I დამატებითი ოქმის მე - 2 მ.

⁹ კონვენციის მე - 4 დამატებითი ოქმის მე - 4 მ.

¹⁰ კონვენციის მე - 7 დამატებითი ოქმის I მ.

2012 წლის 13 ივნისს გაიმართა ბოლო საჯარო სხდომა და პროცედურა დაიხურა, სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებაზე დაიწყო მუშაობა. 2014 წლის 3 ივლისს სასამართლომ საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება საქართველოს სასარგებლოდ გამოიტანა.

სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა 2006 წელს დაარღვია ევროპული კონვენციის არაერთი მუხლი. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა კოორდინირებულ პოლიტიკას ქართველების წინააღმდეგ, რაც გამოიხატა უკანონო დაკავებით, დაპატიმრებით, ქვეყნიდან მასობრივი გამოძევებით და, შესაბამისად, დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი. დაკავებისა და დაპატიმრების დროს ქართველები დამამცირებელ და არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ, რითაც დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლები.



ამ გადაწყვეტილებით ევროპულმა სასამართლომ რუსეთის ფედერაცია პასუხისმგებელ სახელმწიფოდ ცნო საქართველოს მოქალაქეების კოლექტიური გამოძევების, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის, უკანონო დაკავებისა და დაპატიმრების, სამართლებრივი დაცვის საშუალებების არქონის ნაწილში. ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში

აღნიშნავს, რომ აღნიშნული დარღვევები წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკასა და რუსეთის ხელისუფლების სხვადასხვა შტოს კოორდინირებული და მიზანმიმართული ქმედებების შედეგს. რუსეთის ფედერაცია დამატებით ცნობილ იქნა ევროპული კონვენციის 38-ე მუხლის დამრღვევად. აღნიშნული მუხლი ევროპულ სასამართლოსთან სახელმწიფოს თანამშრომლობას ითვალისწინებს. რუსეთის ფედერაციამ ევროპული სასამართლოს მოთხოვნის მიუხედავად შესაბამისი დოკუმენტაციები არ მიაწოდა. მოსამართლემ წაიკითხა გადაწყვეტილების მხოლოდ დასკვნითი ნაწილი. სრული ვერსია გამოქვეყნდა სასამართლოს საიტზე.

ამრიგად, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიდწლიანი განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება ღია სხდომაზე გამოაცხადა. სასამართლოს დიდმა პალატამ გადაწყვეტილება მხარეების საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლების თანდასწრებით გამოაცხადა. საქართველოს სახელით გადაწყვეტილება იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, ჩაიბარა. აღნიშნულ საქმეზე სახელმწიფოს ინტერესებს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იცავდა. სამინისტროს დელეგაციაში ასევე იყვნენ: მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ლევან მესხორაძე. რუსეთის მხრიდან გადაწყვეტილებას ესწრებოდნენ რუსეთის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები. რუსეთის წინაშე წარმოიშვა სამართლებრივი ვალდებულება, საქართველოს გადაუხადოს კომპენსაცია ზემოაღნიშნული უფლებების დარღვევისათვის. რაც შეეხება კომპენსაციის ნაწილს, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული საკითხის განხილვა ერთი წლის ვადით გადადო და ამ ვადაში მხარეებს - საქართველოსა და რუსეთს კომპენსაციის ირგვლივ მორიგების საშუალება მისცა: “რაკი დადგინდა ამდენი დარღვევის ფაქტი, რუსეთს აქვს სამართლებრივი ვალდებულება, კომპენსაცია გადაუხადოს საქართველოს მისი მოქალაქეების უფლებების დარღვევისათვის. კომპენსაციის ოდენობაზე შესათანხმებლად

საქართველოსა და რუსეთის იუსტიციის სამინისტროებს 12-თვიანი ვადა აქვს“- ნათქვამია გადაწყვეტილებაში.

1 წლის განმავლობაში, საქართველო მოლოდინის რეჟიმში იყო, რომ რუსეთის მხრიდან შემოვიდოდა რაიმე ტიპის პოზიცია, შემოთავაზება-დოკუმენტაცია. ამგვარი რამ არ მომხდარა. მიტომ, 2014 წლის 3 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მიმართა სტრასბურგის სასამართლოს და, როგორც შუამავალს, სთხოვა დახმარება რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროსთან სტრასბურგის სასამართლოს შენობაში მოლაპარაკებების წარმოება. პასუხად, საქართველოს მთავრობას ეცნობა, რომ მოლაპარაკებების პროცესში სასამართლოს ჩართულობა მიზანშეწონილი იქნებოდა მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მხარეები სასამართლოს წინაშე წარადგენდნენ პოზიციებს კომპენსაციის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს ინსტრუქციის შესაბამისად და რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროსთან მოლაპარაკებების შეუძლებლობის გამო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ სტრასბურგის სასამართლოში წარადგინა წერილობითი მოსაზრებები კომპენსაციის მოთხოვნის თაობაზე. მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით საქართველო რუსეთის ხელისუფლებისაგან 70,320,000 ევროს ითხოვს. ეს ოდენობა ეფუძნება მსგავს საქმეებზე სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილ პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს (4). 2015 წლის 8 ივლისს სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურად დაუდასტურა საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (I) საქმეზე 2015 წლის 2 ივლისს ქართული მხარის მიერ წარდგენილი კომპენსაციის მოთხოვნის ამსახველი დოკუმენტის მიღება. როგორც სასამართლოს წერილიდან ირკვევა, საქართველოს პოზიციის ამსახველი დოკუმენტი კომენტარებისათვის სტრასბურგის სასამართლომ რუსეთის ფედერაციას 8 ივლისს გადაუგზავნა, სასამართლოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. საქართველოს პოზიციაზე პასუხის გაცემის ვადად ევროპულმა სასამართლომ რუსეთს 2015 წლის 9 ოქტომბერი განუსაზღვრა. „როგორც ვხედავთ ეს ვადაც ამოიწურა და რუსეთი ისევ დუმს, ახლა ველოდებით ორ რამეს, რომ ამაზე იმსჯელოს სტრასბურგის სასამართლომ და მიგვითითოს - რა იქნება შემდეგი ნაბიჯები. შეგვახვედრებს თუ არა რუსეთის მხარესთან, რომ უკვე სტრასბურგში ვიმსჯელოთ კონკრეტულ თანხასთან დაკავშირებით. თუ სასამართლო არ ჩათვლის საჭიროდ, რომ კონსულტაციები გაიმართოს, მაშინ, თავად გადაწყვეტს ამ თანხის ფარგლებში რა თანხა მიანიჭოს საქართველოს” - აცხადებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. უცნობია, რუსეთის მხარემ წარადგინა თუ არა ამ ვადაში რაიმე დოკუმენტაცია. ამას შევიტყობთ მას შემდეგ, რაც სტრასბურგის სასამართლო მხარეებს ერთმანეთის პოზიციას გააცნობს. როგორც კი სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას რუსეთის მიერ საქართველოს სასარგებლოდ კონკრეტული თანხის გადახდაზე, გადაწყვეტილების აღსრულებაზე კონტროლი დაევალება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს და მისი შეუსრულებლობა რუსეთის ევროსაბჭოდან გარიცხვითაც კი შეიძლება დასრულდეს. ყველას გვახსოვს შემთხვევა, როცა რუსეთს, უკრაინაზე განხორციელებული აგრესიის გამო, საპარლამენტო ასამბლეაში ხმის უფლება ჩამოართვეს და საბჭოდან გარიცხვითაც კი დაემუქრნენ. მაშინ რუსეთის დელეგაციამ თავს უფლება მისცა და ოფიციალური მოსკოვის პოზიცია ასე გააუღერა: „რუსეთის ევროსაბჭოდან გარიცხვით ევროსაბჭო უფრო დაზარალებულია, ნუ დაგავიწყდებათ, საწევროს გადახდის თვალსაზრისით, ჩვენი ყველა ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემომტანია.“ ძნელი სათქმელია, რამდენად დათანხმდება რუსეთი საქართველოს გადაუხადოს კომპენსაცია, ევროსაბჭოდან მოსალოდნელი რეაქციების შიშით. თუმცა, აქ მხოლოდ ევროსაბჭოს პოზიცია არ არის მთავარი, ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებათა არშესრულების საკითხი ხშირად გამხდარა მსჯელობის საგანი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებშიც,

რომელთა პოზიციას კონკრეტული სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯზე უარყოფითად უმოქმედია. „ადამიანის უფლებათა სახელმწიფოებრივ ორგანოების მიერ დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას ყურადღება ექცევა არა მარტო ევროსაბჭოს, არამედ ევროკავშირის, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. სახელმწიფოს არ უნდა აწყობდეს, ამ მიმართულებით ხისტი და არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა“ - აცხადებს საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელი ბესო ბოხაშვილი. ის, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ მხარეებს შორის საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრის საკითხი არც აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკების ფორმატში განხილულა, ადასტურებს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ქვეყანა დიპლომატიურ დონეზე არ ურთიერთობს, ვფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას უნდა ეწარმოებინა დიალოგი, თუნდაც, შუამავლების მონაწილეობით (რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში არ არის ევროპული სასამართლო) იმისათვის, რომ საქართველოსათვის მაქსიმალურად სასურველი შედეგი დამდგარიყო მორიგების გზით. გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობა მაქსიმალურად უნდა იყოს ინფორმირებული იმ ნაბიჯების შესახებ, რაც 2014 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებამდე და ამ გადაწყვეტილების შემდეგ გადაიდგა ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან. კომპენსაციისათვის დაკავშირებული საკითხის კომენტირებისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა: „რომ რუსეთს არ დაურღვევია ეთნიკურ ქართველთა უფლებები და რომ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი არც შევიდოდა, რომ არა საქართველოს ყოფილი ხელისუფლების ისტერიული ანტირუსული პოლიტიკა.“ რუსეთის ხელისუფლება მიანიშნებს, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამ შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს ბოლო დროს გაუმჯობესებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, თუმცა, ძნელი სათქმელია, რა მიმართულებით გაუმჯობესდა აღნიშნული ურთიერთობები? რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადების კომენტირებისას, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გაკვირვება გამოხატა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების გაკრიტიკების გამო. მინისტრის თქმით, რუსეთის წინააღმდეგ დამდგარი გადაწყვეტილება არის ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოტანილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება: „აქედან გამომდინარე, ალბათ, არ მოიპოვება ქვეყანაზე ადამიანი, რომელიც ამ გადაწყვეტილებას ან გააკრიტიკებს, ან უნდობლობას გამოუცხადებს. მე მჯერა, რომ ეს გადაწყვეტილება იქნება ყველასათვის გაკვეთილი, თუ როგორ შეიძლება სამართლებრივი არგუმენტებით საერთაშორისო ასპარეზზე დაამტკიცო სიმართლე და დაიცვა ადამიანის უფლებები, რადგან 2006 წელს ათასობით ქართველი მოქალაქის უფლებები დაირღვა და სწორედ ეს თქვა თავის გადაწყვეტილებაში სტრასბურგის სასამართლომ“. სტრასბურგის სასამართლოს ობიექტურობაში ეჭვი არ ეპარება საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილს, რომელიც მიიჩნევს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამ კი არ უნდა გააუარესოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, არამედ, პირიქით, გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში, რუსეთი პოზიტიურ სიგნალს გაუგზავნის როგორც საქართველოს, ასევე მთელ მსოფლიოს: „თუ რუსეთი უკმაყოფილოა რამით, - და ამ შემთხვევაში ვგულისხმობ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას, - უკმაყოფილო უნდა იყოს, პირველ რიგში, თავისი ქმედებით. და თუ სურს საქართველოსთან უკეთესი ურთიერთობა, როგორც ამას საქართველო ისურვებდა, მაშინ ასევე შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადმოდგას და ეს უნდა იყოს რეალური, რომ ჩვენმა ხალხმაც დაინახოს, რომ ხელისუფლებას გაეხსნას ხელ-ფეხი, რომ სიღრმისეულად წავიდეთ ურთიერთობაში და

მოვავაროთ მთავარი პრობლემა, დეოკუპაცია მშვიდობიანი გზით.” ირაკლი სესიაშვილის თქმით, რუსეთთან ურთიერთობის დალაგების პროცესში საქართველოს ხელისუფლებას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი „წითელი ხაზები“: ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება და საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა.” საგარეო პოლიტიკის ექსპერტა ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთთან მიმართებით საქართველოს მოქმედი ხელისუფლების პოზიცია არათანმიმდევრულია, ამ აზრს ნაწილობრივ ჩვენც ვიზიარებთ.

2. ინდივიდუალური საჩივრები

2007 წლის აპრილში ამავე საკითხზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) პარტნიორ ორგანიზაციასთან, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან (EHRAC) ერთად ევროპულ სასამართლოს ინდივიდუალური საჩივრებით მიმართა¹¹. მომჩივანთა შორის იყვნენ: კვარაცხელიები, ბერძენიშვილი, კბილაშვილი, გივიშვილი, ნაჭყებია, ჩხაიძე და ჯაოშვილი, ძიძავა, გიგაშვილი, შიოშვილი და სხვები. ექვსი სარჩელი არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ გააგზავნა. მაგალითად, შიოშვილის ინტერესებს სასამართლოში სწორედ "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" იცავდა, ხოლო ტოგონიძის ოჯახის ინტერესებს — "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია". აღნიშნულ საქმეებზე პირველი საჯარო მოსმენა 2009 წლის 16 აპრილს გაიმართა. მოთხოვნები, რომლებიც საია-მ საჩივრებში დააყენა საქართველოს მთავრობის მიერ დაყენებული მოთხოვნების იდენტური იყო, თუმცა, მან დამატებით მოითხოვა, რომ სასამართლოს რუსეთის ფედერაცია ტოგონიძის საქმეზე სიცოცხლის უფლების ხელმოყოფ¹² სახელმწიფოდ ეცნო. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 2016 წლის 20 დეკემბერს გამოიტანა რუსეთის გამამტყუნებელი ვერდიქტი ამ კონკრეტულ საქმეებზე; რუსეთს დაეკისრა 21 მოსარჩელიდან 2-ის შემთხვევაში კომპენსაციის გადახდა¹³. დეპორტაციის პროცესს მაშინ სამი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის, 48 წლის თენგიზ ტოგონიძეც, რომელიც რუსმა სამართალდამცველებმა ქალაქ სანკტ-პეტერბურგში 2006 წლის 2 ოქტომბერს დააკავეს და, დაახლოებით, 15 დღე ამყოფეს იზოლაციის გაუსაძლის პირობებში. როდესაც ბრონქიალური ასთმით დაავადებული ტოგონიძე დეპორტაციისათვის მომზადებულ სხვა არა ერთ ქართველთან ერთად სანკტ-პეტერბურგიდან მოსკოვში გადააყვავდათ, ის გზაში, ავტობუსში გარდაიცვალა, მას არ აღმოუჩინეს დროული სამედიცინო დახმარება¹⁴. აი, როგორ იხსენებს მისი მეუღლე, ნინო ძიძავა, ამ ამბავს, რომელიც უშუალო თვითმხილველებისაგან შეიტყო: "ხალხი აჯანყდა, იხრჩობა ადამიანი და კარი გაუღეთო... არავის არ გაუკეთებია, ალბათ, ასეთი რამ, რომ ადამიანს ჟანგბადი არ მიაწოდეს. რომ აჯანყდა ხალხი, მათ წინააღმდეგ ელექტროშოკი გამოიყენეს. ადამიანი, რომელიც იხრჩობოდა და შველას ითხოვდა, ელექტროშოკით გათიშეს. მოკვდა ადამიანი, გადაეკეცა

¹¹ საიამ ევროპული სასამართლოს წინაშე საქართველოს 13 მოქალაქის ინტერესები წარმოადგინა.

¹² ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.

¹³ ლია შიოშვილს რუსეთის ფედერაციამ 30 000 ევრო უნდა გადაუხადოს, ხოლო დეპორტაციის დროს გარდაცვლილი თენგიზ ტოგონიძის ოჯახს - 40 000 ევრო.

¹⁴ ტოგონიძის საქმეზე რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისია ასკვნის, რომ: "თენგიზ ტოგონიძეს მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) და მე-6 (სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლება) მუხლების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლის (უცხოელთა კოლექტიური გამეგების აკრძალვა), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის პირველი მუხლის (უცხოელთა გამეგებისთან დაკავშირებულ სამართლებრივ გარანტიებს), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-12 ოქმის პირველი (დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა) და მე-2 (ოქმის მოქმედების ფარგლები) მუხლების მოთხოვნები". ამავე დასკვნაში საგამომიებო კომისიის წევრები მიუთითებენ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-2, მე-19, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 27-ე, 29-ე, 41-ე, 45-ე, 46-ე, 48-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევაზეც.

სასუნთქი... ისინი კი იგდებდნენ - „ვოტ, გრუზინსკაია სვინია“ - (ВОТ ГРУЗИНСКАЯ СВИНЬЯ), - იბახოდნენ...”

მართალია, სასამართლომ ამ შემთხვევაშიც დაადასტურა, რომ რუსეთის მხრიდან ნამდვილად ჰქონდა ადგილი ქართველების მასობრივ დეპორტაციას, რომელსაც თან ახლდა არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობა, თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასამართლოს, ღია შიოშვილის საქმესთან დაკავშირებით, უნდა ეცნო ბავშვის სიცოცხლის უფლების ხელყოფაც (რომელიც შიოშვილმა დაკარგა), მაგრამ ეს ასე არ მოხდა. 2006 წლის 20 ოქტომბერს, რუსმა სამართალდამცველებმა რვა თვის ფეხმძიმე ღია შიოშვილი ოთხ შვილთან ერთად, მოსკოვის ოლქის ქალაქ რუზაში დააპატიმრეს, შემდეგ კი დამამცირებელი ფორმით მატარებლით გამოაძევეს. უკიდურესად გაწამებულმა ქართულმა ოჯახმა, მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში, 5 გრადუს ცინვაში შეძლო ფეხით გადმოეწყო დაღესტან-აზერბაიჯანის საზღვარი. 15 დეკემბერს კი გურჯაანის საავადმყოფოში ღია შიოშვილის მშობიარობა უმძიმესი შედეგით დასრულდა. “ჩვენზე არავის უზრუნია, სად გაგათენებდით ან რას შეგჭამდით, აბსოლუტურად არავის აინტერესებდა. რაზეა საუბარი - დაჯდომა მინდოდა და სკამიც კი არ მომცეს, რომ დავმჯდარიყავი. მოსკოვიდან ბაქოში მომავალი მატარებლიდან, ყველა ქართველი დაღესტნის ტერიტორიაზე ჩამოგვყარეს, მთელი ორი კვირა დაღესტნის რომელიღაც სოფელში ვიყავით, ვიღაც უცხო ადამიანებს შეკედლებული. მერე მოსკოვიდან, ჩვენი საკონსულოდან ჩამოვიდა პირი, რომელმაც გაგვიკეთა ვიზები და ორი კვირის მერე გამოგვაცილა საზღვარზე. რომ ჩამოვედით საქართველოში, ძალიან მალე, ჩემი ბავშვი გარდაცვლილი დაიბადა“ - იხსენებს დაზარალებული. წარდგენილი ფაქტებისა და მტკიცებულებების მიუხედავად, სასამართლომ ღია შიოშვილისა და სხვათა საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე - 14 მ. - ის დარღვევა - ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია არ დაადგინა. სასამართლომ რუსეთის ფედერაცია საქართველოს მოქალაქის გარდაცვალებაში კიდევ ერთ საქმეზე სცნო ბრალეულად. 51 წლის მანანა ჯაბელია მოსკოვში ოჯახთან ერთად ათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. ქართველების მასობრივი დეპორტაციისას ის მოსკოვის იზოლატორში მოათავსეს, სადაც გულის უკმარისობით გარდაიცვალა. აფხაზეთიდან იძულებით დევნილი ჯაბელია მოსკოვის მილიციამ 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისში დააკავა, როდესაც მისი პასპორტი საქართველოს საელჩოში იყო, გამოცვლის მიზნით. დაკავებისთანავე ის გადაყვანილ იქნა ქ. მოსკოვის უცხოელთა განთავსების ცენტრში, სადაც ამყოფებდნენ არაადამიანურ და გაუსაძლის პირობებში. აიძულებდნენ ღირსების დამამცირებელი სამუშაოების შესრულებას. 2006 წლის 5 ოქტომბერს მანანა ჯაბელია, სხვა 4 ქართველთან ერთად წარადგინეს ქ. მოსკოვის ნაგატინსკის რაიონულ სასამართლოში. სასამართლო სხდომა ჩატარდა დახურულ რეჟიმში და დასრულდა 20 წუთში. მ. ჯაბელიას მიმართ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული გაძევებისა და ჯარიმის სახით 1000 რუსული რუბლის დაკისრების თაობაზე. სასამართლო გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით. კერძოდ, დადგენილებაში არასწორად იქნა მითითებული მანანა ჯაბელიას დაკავების დრო და ადგილი, თვით გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ აშკარად რჩება შთაბეჭდილება, რომ სასამართლო დადგენილებების გამოტანა ხდებოდა ავტომატურ რეჟიმში, მხოლოდ სახელებისა და გვარების ჩანაცვლებით. მანანა ჯაბელიამ და მასთან ერთად დაკავებულმა ოთხმა ქართველმა კატეგორიული უარი განაცხადა სასამართლოში რაიმე დოკუმენტაციაზე ხელის მოწერაზე. მოსკოვის ნაგატინსკის რაიონული სასამართლოს მასალებისა და მანანა ჯაბელიას შვილის ნ. კვარაცხელიას ახსნა-განმარტების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასამართლო წარმოებაში არსებულ მასალებზე აღნიშნული ხელმოწერები არ ეკუთვნის მანანა ჯაბელიას და იგი შესრულებულია სხვა

პირის მიერ. სასამართლო დადგენილების გამოტანის შემდგომ, მიუხედავად დაჟინებული მოთხოვნისა, მანანა ჯაბელიას არ გადასცეს სასამართლო დადგენილების ასლი. გადაწყვეტილების აღსრულებამდე გადაყვანილ იქნა ქ. მოსკოვის უცხოელთა განთავსების ცენტრში. სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის მოპოვება მოხერხდა მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საკონსულოს ჩარევის შედეგად, მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლამდე დარჩენილი იყო სამი დღე. მიუხედავად განთავსების ადგილის ადმინისტრაციის მხრიდან გაწეული წინააღმდეგობისა, მ. ჯაბელიამ შეძლო სასამართლო დადგენილების გასაჩივრება, თუმცა საჩივრის განხილვა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გაჭიანურდა. 2006 წლის 6 ნოემბერს მანანა ჯაბელიამ პროტესტის ნიშნად გამოაცხადა შიმშილობა, საჩივრის განხილვის დაჩქარების მოტივით, თუმცა მის ამ უკიდურეს ღონისძიებას ადმინისტრაციის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. 2006 წლის 10 ნოემბერს ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების გამო, რაც ასევე ცნობილი იყო განთავსების ადგილის ადმინისტრაციისათვის, მ. ჯაბელიამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისი გათავისუფლება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული შუამდგომლობის განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების თაობაზე მანანა ჯაბელიასა და მისი შვილისათვის არ უცნობებიათ, შედეგად 2006 წლის 12 ნოემბერს მ. ჯაბელიამ შეწყვიტა შიმშილობა. 2006 წლის 30 ნოემბერს მოსკოვის საქალაქო სასამართლოში მიღებული გადაწყვეტილებით გაუქმდა ნაგატინსკის რაიონის სასამართლოს 2006 წლის 5 ოქტომბრის დადგენილება მ. ჯაბელიას გაძევების ნაწილში, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, მ. ჯაბელია არ გათავისუფლებულა დაკავების ადგილიდან, შესაბამისად, მას თავისუფლება შეეზღუდა უკანონოდ, სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი ფაქტობრივ ტყვეობაში იმყოფებოდა. ამ პირობებში, ჯანმრთელობის უკიდურესად გაუარესების გამო, მანანა ჯაბელია გარდაიცვალა 2006 წლის 2 დეკემბერს დილის 06 საათზე¹⁵. სამწუხაროდ, საქართველოს მოქალაქე ვედარ მოესწრო ახალ პროცესს. ოჯახმა 2007 წლის აპრილში შეიტანა სარჩელი¹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელმაც მხარეებს სასამართლო მოსმენის გარეშე მორიგება შესთავაზა. რუსეთის მხარე წინადადებას დათანხმდა და დაზარალებულის ოჯახისათვის კომპენსაციის გადახდაზე მზადყოფნა გამოთქვა. “რუსეთმა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეკომენდაციით, ჩვენს მხარეს 70 ათასი ევროს გადახდა შესთავაზა. სასამართლოც და ჩვენც დაგვაკმაყოფილა ამ წინადადებამ. რუსეთმა ეს თანხა სამი წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს”, — განაცხადა ადვოკატმა. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ქართველთა მასიური დევნის შედეგად 2006 წელს სამი ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის იყო აფხაზეთიდან დევნილი რევაზ ბერულავაც, რომელიც დროებით ცხოვრობდა ქალაქ მოსკოვში, ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების მიუხედავად, ეროვნების გამო მოსკოვის

¹⁵ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისიის დასკვნა;

¹⁶ დაზარალებულის ოჯახი ამტკიცებდა, რომ მანანა ჯაბელიას მიმართ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-2, მე-3 და მე-5 (სიცოცხლის უფლება, წამება, უკანონო დაკავება) მუხლები. რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2, მე-3, მე-5 მუხლებთან ერთად, მანანა ჯაბელიას მიმართ დაირღვა მე-6 მუხლის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის პირველი მუხლის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-12 ოქმის პირველი და მე-2 მუხლების მოთხოვნები”. ამავე დასკვნაში საგამომიებო კომისიის წევრები მიუთითებენ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-2, მე-19, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 27-ე, 29-ე, 41-ე, 45-ე, 46-ე, 48-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევაზეც.

საავადმყოფოებში მას მკურნალობაზე უარი უთხრეს. საავადმყოფოში ბერულავა მხოლოდ მას შემდეგ მოათავსეს, რაც მისმა მეუღლემ თავი აფხაზად წარადგინა. სამედიცინო მომსახურების დაგვიანების გამო რევაზ ბერულავა გარდაიცვალა¹⁷.

სტრასბურგის სასამართლომ სხვა მოსარჩელების შემთხვევაშიც დაადგინა, რომ დაკავების დროს არ იყო დაცული მთელი რიგი პროცედურები, ადგილი ჰქონდა არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას. სასამართლომ რუსეთის ფედერაციას არ დააკისრა რაიმე ფინანსური ვალდებულება იმ ადამიანების მიმართ, ვისაც რუსეთში ჰქონდა საოჯახო მეურნეობები, რომლებიც ამ დეპორტაციის შედეგად დაიკარგა ან განადგურდა. ამ პერიოდში საქართველოს ბევრი მოქალაქე სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გამოძალგისა და ძარცვის მსხვერპლი გახდა, მრავალმა მათგანმა პირადი ქონება სრულად დაკარგა. ზოგიერთ საქმეზე, მაგალითად - „ჩოხელი და სხვები“ სასამართლოს მიერ კომპენსაციის საკითხის განხილვა დროებით შეჩერებულია. რაც შეეხება შიოშვილისა და ტოგონიძის ოჯახისათვის კომპენსაციის გადახდის ვადებს, ამ და სხვა საქმეებზე, იურისტები განმარტავენ, რომ მხარეებს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის აქვთ სამი თვე, შემდეგ კი აღსრულების პროცედურა უნდა დაიწყოს, კრემლის ანტიქართული კამპანია 2006-2007 წლებში, საქართველოს 7000-ზე მეტ მოქალაქეს შეეხო. რუსეთიდან საქართველოს 4 500-მდე მოქალაქე გააძევეს. მათი დიდი ნაწილი - კანონის უხეში დარღვევით. 2380 ქართველს უცხოელთა განთავსების დროებითი მოთავსების სპეც. პუნქტებში არაადამიანურ და გაუსაძლის პირობებში მოუწია ყოფნა. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის ინფორმაციით, რუსეთის საემიგრაციო სამსახური და პოლიცია ხშირ შემთხვევაში უკანონოდ მოქმედებდნენ. მაგალითად, ანადგურებდნენ იმ ადამიანთა დოკუმენტებს, რომლებსაც ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის უფლება ჰქონდათ. სასამართლოებში, სადაც დეპორტაციის საქმეები განიხილებოდა, საქართველოს მოქალაქეები ხშირად ვერ სარგებლობდნენ დაცვის უფლებით, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც დაადასტურა.



სტრასბურგის სასამართლომ 1549 სარჩელი აუცილებელი ინფორმაციის არარსებობის მიზეზით დახურა.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რუსეთის მიერ ინიცირებული, 3300 კერძო სარჩელი საქართველოს წინააღმდეგაც იქნა შეტანილი. ძირითადად, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსი ეროვნების ადამიანების მიერ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველო-რუსეთის ომის დროს, მათი უფლებები უხეშად დაირღვა. რუსული მხარისათვის მოულოდნელად

¹⁷ ამდენად, „რევაზ ბერულავას მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-12 ოქმის პირველი და მე-2 მუხლების, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-2, მე-20, 22-ე, 29-ე, 41-ე, 45-ე მუხლების მოთხოვნები“ - ამონარიდი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნიდან.

საბოლოო ჯამში, საქართველოსათვის წარმატებულ შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სასამართლომ რუსეთის ფედერაცია ცნო ადამიანის უფლებების დამრღვევ სახელმწიფოდ და მას დააკისრა კომპენსაციის გადახდა კონკრეტული პირების სასარგებლოდ. რუსეთის ხელისუფლების მიერ ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტებზე, რომლებსაც ათასობით ადამიანის უფლებათა შელახვა მოჰყვა, საქართველოს სახალხო დამცველი თავის 2006 წლის ანგარიშშიც საუბრობს. „ეს ის შემთხვევაა, როცა მსოფლიოს ყველა უფლებადამცველმა ხმა უნდა აიმაღლოს რასიზმისა და ქსენოფობიის პოლიტიკის წინააღმდეგ. დღეს გაჩუმება ნიშნავს, რომ ხვალ ყველა ჩვენგანს მოგვიწევს ისეთ ევროპაში ცხოვრება, სადაც უცხოხადში, ყოველივე განსხვავებულისადმი სიძულვილი, რასიზმი, ქსენოფობია ცხოვრების წესად იქცევა. ის, რაც დღეს საქართველოს მიმართ ხდება, თუ დროზე არ შეჩერდა, ხვალ ყველა ეროვნულ უმცირესობებს შეეხება“ – განაცხადა საქართველოს სახალხო დამცველმა 2006 წელს. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ და იმედოვნებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ქსენოფობიისა და რასიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მიმართული მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება არამხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოში.

რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევის ფაქტებს აღიარებენ თავად რუსი უფლებადამცველები. მაგალითად, იურისტი კირილ კოროტევი¹⁸, ერთ-ერთ თავის ინტერვიუში აცხადებს: „ის ფაქტი, რომ სტრასბურგის სასამართლომ რამდენიმე მუხლთან დაკავშირებით საქართველოს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, სულაც არ ცვლის საერთო სურათს. ჩემი აზრით, სასამართლოს ცალკე უნდა განეხილა დისკრიმინაციის საკითხი, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, აღიარებული დარღვევები და სასამართლოს დასკვნა, რომ გამოიკვეთა ადმინისტრაციული პრაქტიკა - ეს უკვე ნიშნავს, რომ იყო ძალიან მძიმე დარღვევები რუსეთის მხრიდან.“



3. რიგით მეორე სარჩელი

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოს მთავრობის რიგით მეორე საჩივარი რუსეთის წინააღმდეგ 2008 წლის 11 აგვისტოს შევიდა. განაცხადი შეეხება რუსეთის ფედერაციის მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მისი ოქმებით გარანტირებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა უხეშ და მასობრივ დარღვევებს, რასაც ადგილი ჰქონდა აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისა და მისი სუვერენული ტერიტორიის ოკუპაციის პროცესში და შემდგომ პერიოდშიც. ამ ეტაპისათვის, სასამართლომ უკვე დაასრულა მოწმეთა დაკითხვა საქმეზე. შეიდი მოსამართლისაგან შემდგარმა დელეგაციამ 6-დან 17 ივნისამდე

¹⁸ რუსეთის ადამიანის უფლებათა ცენტრის - "მემორიალის" უფროსი იურისტი

პერიოდში მოუსმინა ოცდაცამეტ მოწმეს, რომელთაგან თექვსმეტი გამოცხებული იყო საქართველოს მთავრობის, ხოლო თერთმეტი რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ. ქვემოთ მოწმე მიიწვია უშუალოდ სასამართლომ. სახელმწიფოთა შორის დაგები სტრასბურგის სასამართლოს ძალიან ცოტა აქვს განხილული. უნდა ვიმედოვნოთ, რომ გამარჯვება ამ შემთხვევაშიც საქართველოს მხარეს იქნება. საქართველოს მთავრობის საჩივარი ეყრდნობა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის რამდენიმე მუხლს, მათ შორის სიცოცხლის უფლებას, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვას, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას, საკუთრების დაცვასა და გადაადგილების თავისუფლებას. საქართველოს მთავრობის გარდა, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ინდივიდუალური სარჩელები, სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით, შეტანილი აქვთ საქართველოს ცალკეულ მოქალაქეებსაც. რუსეთის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებში იკვეთება ეთნიკური წმენდის ნიშნებიც. სოფლებში, სადაც ეთნიკური ქართველები ცხოვრობდნენ, არა მხოლოდ გააძევეს ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ მიწასთან გაასწორეს მათი საცხოვრებელი სახლები. შელახეს უამრავი ადამიანის ღირსება, პირადი თავისუფლება, აწამეს მშვიდობიანი მოსახლეობა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ. ადგილი ჰქონდა ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევასაც, რაც გამოიხატა ქართველი ტყვე - ჯარისკაცების სასტიკ წამებაში. ვფიქრობთ, საქართველოს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ოპტიმიზმის საფუძველი, რადგანაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ერთხელ უკვე დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობის სარჩელი რუსეთის ფედერაციის მთავრობის წინააღმდეგ, როცა, 2014 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით, საქართველოს ათასობით მოქალაქის დაპატიმრება, დაკავება და რუსეთიდან მათი კოლექტიური გაძევება ადამიანის უფლებათა კონვენციის დარღვევად ცნო¹⁹.

მაშასადამე, საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში ერთი საქმე უკვე მოგებული აქვს. რუსეთს საქართველოს მოქალაქეების სასარგებლოდ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა ინდივიდუალურ საქმეებზეც დაეკისრა. ამ ეტაპზე განიხილება საქმე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს და საქართველოს ათასობით მოქალაქის უფლებების მასშტაბურ და უხეშ დარღვევას უკავშირდება. საერთაშორისო სასამართლოების გარდა, საქართველო აქტიურად იყენებს საერთაშორისო ორგანიზაციების ტრიბუნებს საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად. ვიმედოვნოთ, რომ მუშაობა ამ მიმართულებით უფრო გააქტიურდება და მხარდაჭერაც ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოების მხრიდან უფრო ქმედითი გახდება. შელახული უფლებების აღდგენას ხომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული უამრავი ადამიანი ელოდება.

¹⁹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოწმეთა ვინაობა, მათი დაკითხვის დრო, ეპიზოდები თუ სხვა დეტალები, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მკაცრად კონფიდენციალურია.



სტატისტიკა სახელმწიფოთაშორის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

№	საქმე	ნომერი	საჩივრის შეტანის თარიღი	შედეგი
1	(Greece v. United-Kingdom (I))	176/56	7 მაისი, 1956 წელი	მხარეები მორიგდნენ
2	(Greece v. United-Kingdom (II))	299/57	17 ივლისი, 1957 წელი	მხარეები მორიგდნენ
3	(Austria v. Italy)	788/60	11 ივლისი, 1960 წელი	მინისტრთა კომიტეტი იზიარებს ადამიანის უფლებათა კომისიის დასკვნას დარღვევათა არარსებობის შესახებ
4	(Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece (I))	3321/67, 3322/67,	27 სექტემბერი, 1967 წელი	დაირღვა კონვენციის შემდეგი მუხლები: 3, 5,

		3323/67 3344/67	25 მარტი, 1968 წელი	6, 7, 8, 9, 10, 11, 13, 14, პირველი დამატებითი ოქმის პირველი და მესამე მუხლები
5	(Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece (II)), Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece (II)	4448/70	10 აპრილი, 1970 წელი	მხარეები მორიგდნენ
6	(Ireland v. United-Kingdom (I))	5310/71	16 დეკემბერი, 1971 წელი	დაირღვა კონვენციის მე - 3 მუხლი დიდმა ბრიტანეთმა აიღო თავის თავზე გარკვეული ვალდებულებები
7	(Ireland v. United-Kingdom (II))	5451/72	6 მარტი, 1972 წელი	დიდმა ბრიტანეთმა აიღო თავის თავზე გარკვეული ვალდებულებები
8	(Cyprus v. Turkey (I))	6780/74	10 სექტემბერი, 1974 წელი	დაირღვა კონვენციის შემდეგი მუხლები: 2,3,5,8, და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი
9	(Cyprus v. Turkey (II))	6950/75	21 მარტი, 1975 წელი	გაერთიანდა იმ საქმესთან, რომელიც მანამდე იყო შემოტანილი საბერძნეთის მიერ
10	(Cyprus v. Turkey (III))	8007/77	6 სექტემბერი, 1977 წელი	კომისიამ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება კონვენციის მუხლების: 3, 8 და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევის შესახებ
11	(Denmark, France, Norway, Sweden and the Netherlands v. Turkey)	9940/82 no - 9944/82	1 ივლისი, 1982 წელი	შეთანხმება მიღწეულია
12	(Cyprus v. Turkey (IV))	25781/94	22 ნოემბერი, 1994 წელი	დაირღვა კონვენციის შემდეგი მუხლები: 2, 3, 5, 6, 8, 9, 10, 13, ასევე: პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი
13	(Denmark v. Turkey)	34382/97	7 იანვარი, 1997 წელი	მიღწეულია შეთანხმება
14	(Georgia v. Russian Federation (I))	13255/07	26 მარტი, 2007 წელი	დარღვეულია კონვენციის შემდეგი მუხლები: 3, 5, 13, 38, ასევე, მეოთხე დამატებითი ოქმის მეოთხე მუხლი, უნდა გადაწყდეს სამართლიანი კომპენსაციის საკითხი
15	(Georgia v. Russian	38263/08	12 აგვისტო, 2008 წელი	მიიღო წარმოებაში,

	Federation (II))			საქმე გადაეცა დიდ პალატას
16	Georgia v. Russian Federation (II))	61186/09	3 დეკემბერი, 2009 წლის	საქართველომ უკან გამოიწვია
17	(Ukraine v. Russian Federation)	20958/14	13 მარტი, 2014 წელი	ყირიმში მიმდინარე მოვლენებზე, რუსეთის მხარე ითხოვს დამატებით დროს
18	(Ukraine v. Russian Federation)	43800/14	13 ივნისი, 2014 წელი	საქმე ეხება უკრაინელი ბავშვების გატაცებას უკრაინის აღმოსავლეთიდან და მათ სავარაუდო გადაყვანას რუსეთის ფედერაციაში, რუსეთმა მოითხოვა დამატებითი დრო მასალების საპასუხოდ
19	(Ukraine v. Russian Federation)	49537/14	19 ივლისი, 2014 წელი	მიმდინარე დავა
20	(Ukraine v. Russian Federation)	42410/15	17 აგვისტო 2015 წელი	მიმდინარე დავა

სტატიის მეორე ნაწილში წარმოგიდგენთ რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ საქართველოს მიერ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში დაწყებული დავის შედეგებს. ასევე, ვისაუბრებთ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველო-რუსეთს შორის დავის სამართლებრივი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობაზეც.

ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, I და II ნაწილი, /საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა/ თბ., 2008.
2. ბეიტსი ე., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ევოლუცია, Oxford University Press, 2010.
3. ბონდი მ., ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებები – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესავალი, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, 2010.
4. ლიჩი ფ., ჰარდმანი კ., სტეფენსონი ს. და ბლიცი ბ., ადამიანის უფლებათა სისტემურ დარღვევებზე რეაგირება: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს „პილოტური გადაწყვეტილებებისა“ და ეროვნულ დონეზე მათი გავლენის ანალიზი, Intersentia, 2010.
5. ჰარისი, დ., ო'ბოილე, მ., ბატესი ე. და ბაკლი ს., ჰარისი, ო'ბოილე და ვარბრიკი – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი, მე-2 გამოცემა, Oxford University Press, 2009.
6. Bates, E., The Evolution of the European Convention on Human Rights, Oxford University Press, 2010.

ინტერნეტ-რესურსები:

<http://www.parliament.ge> - რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა.
<http://europeancourt.ru/mezhgosudarstvennye-dela/> - სახელმწიფოთაშორის საქმეებზე სტატიტიკა
http://www.parliament.ge/files/893_14873_815851_final.pdf - საგამოძიებო კომისიის დასკვნა

გოჩა ოჩიგავა
საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა
ევროპულ სასამართლოში (I ნაწილი)
რეზიუმე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოთა შორის დავების სამართლებრივი გზით გადაწყვეტის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. სასამართლომ უკვე განიხილა პირველი სახელმწიფოთაშორისი საქმე, რომელიც უკანონო დეპორტაციას ეხებოდა და გადაწყვეტილება რუსეთის წინააღმდეგ, საქართველოს სასარგებლოდ მიიღო. ამავე საქმეზე საქართველოს მოქალაქეების სასარგებლოდ დაკმაყოფილდა ინდივიდუალური საჩივრებიც. გადაწყვეტილებებში საუბარია ისეთი უფლებების დარღვევაზე, როგორც არის: უკანონო დაკავება, დაპატიმრება, არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობა, უკანონო დეპორტაცია და სხვ. ამჟამად, სასამართლო განიხილავს რიგით მეორე საქმეს „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს უკავშირდება.

Gocha Ochigava
Georgia Against Russia at the European Court of Human Rights (Part I)
Summary

The European Court of Human Rights is one of the most effective means of settling disputes between States. The Court has already examined the first state regarding illegal deportation and made the decision against Russia in favor of Georgia. Individual complaints were also satisfied in favor of Georgian citizens within the same case. Decisions include violations of rights such as: illegal arrests, deprivation of liberty, inhuman and degrading treatment, illegal deportation, etc. Currently, the Court considers the second case "Georgia Against Russia", which is related to the events that occurred in August 2008.

სტატიის გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნათელა მაისურაძე

სამართლის დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

თეა კვამბერიძე

სამართლის დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დამნაშავის ეთიკურ-სამართლებრივი არსი

ეთიკა – ფილოსოფიური მოძღვრება ანუ თეორიული განსაზღვრულობაა მორალის შესახებ, რომელიც შეისწავლის მორალის წარმოშობას, მის არსს და ფორმებს(1).

ადამიანის ეთიკურ-სამართლებრივი არსი მოიცავს ისეთ მორალურ მოვალეობებსა და სამართლებრივ ვალდებულებებს, როგორებიცაა: სიწმინდე, სამართლიანობა, სიკეთე, სიყვარული, ერთგულება, სათნოება, თანასწორობა და ა.შ. ყოველი საზოგადოება და ინდივიდი საკუთარ მორალს ქმნის და მსგავსება მათ შორის აიხსნება საერთო სასიცოცხლო აუცილებლობით, ხოლო განსხვავება - მათ შორის არსებული თვისობრივი თუ რაოდენობრივი ფაქტორებით. ადამიანიცა და საზოგადოებაც მაშინ არის

ჭეშმარიტად ძლიერი, როდესაც იგი ძლიერია სიკეთისა და სამართლიანობის ერთობლიობით.

ყველა ცხოვრებისეული პრობლემა ადამიანის პრობლემებში კონცენტრირდება და მისი ინტერესების, მიზნების, მისი საზოგადოებასა და გარემომცველ სამყაროში ადგილის, სამართლებრივი, პოლიტიკურ, ეთიკურ და ა.შ. დანიშნულების გათვალისწინებით კეთდება შესაბამისი დასკვნები და ისახება მოქმედების ახალი მიზნები.

აქედან გამომდინარე, ადამიანი იმყოფება თითქმის ყველა სამეცნიერო გამოკვლევის ყურადღების ცენტრში. ნ. ბერდიაევი წერდა: „ბევრს წერდნენ ღმერთის – თეოდიცეას დასაბუთების მიზნით, მაგრამ დადგა დრო ვწეროთ ადამიანის – ანტროპოდიცეის დასაბუთებაზე. შესაძლოა, ანტროპოდიცეა იყოს ერთადერთი გზა თეოდიცეასაკენ, ერთადერთი წარუშლელი და ამოუწურავი გზა“ (3,15).

თუ ღმერთის შემეცნება ადამიანზე გადის, როგორც ნ. ბერდიაევი მიუთითებს, მაშინ სრულიად ნათელია, თუ რამდენად სერიოზული, ამოუწურავი და მნიშვნელოვანია ადამიანის პრობლემის კვლევა როგორც სიკეთისა და სამართლიანობის თვალსაზრისით, ასევე მასში დანაშაულის წარმოშობისა და ამ მიდრეკილების ობიექტივიზაციის გათვალისწინებით.

ადამიანის კვლევის პრობლემა, თავისი მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე, იმდენად ფართოა, რამდენადაც მრავალფეროვანია თვითონ ადამიანი თავისი პიროვნული, სოციალური, ეთიკური, სამართლებრივი, ცნობიერი, ქვეცნობიერი, ფიზიკური და ა.შ. უნარებითა და შესაძლებლობებით, თავისუფლებისაკენ მუდმივი სწრაფვით, ბრძოლისა და თვითდამკვიდრების, თვითწარმოჩენის სხვადასხვა ხერხების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, ხშირად დანაშაულის საფუძველი სწორედ ამ უნარებისა და შესაძლებლობების ზღვარზე გადის. მისი სურვილი – განთავისუფლდეს ყველასა და ყველაფრისაგან, ან კიდევ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქცევის სურვილი, უბიძგებს მას დანაშაულის ჩადენისაკენ.

როგორც ამბობენ: ადამიანი მონასტრის კედელზე გამოხატული ფრესკა არ არის ერთი კუთხიდან რომ უმზირო. მას უნდა გარშემო შემოუარო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც უკეთესად იმზირება.

ყველა ფოლოსოფოსი (ი. კანტის გამოკლებით) ადამიანის პრობლემას განიხილავდა ან ესენციალიზმის, ან ეგზისტენციალიზმის პოზიციიდან. ამიტომ, დასკვნები ცალმხრივი იყო და უპასუხოდ ტოვებდა მთელ რიგ საკითხებს. ჟ.პ. სარტრის აზრით, ადამიანი საკუთარი თავისუფლებისათვის ირჩევს ორი საპირისპიროსაგან ერთ-ერთს. ასეთი მიდგომა ცალმხრივია, ვინაიდან, ერთი მხრივ, დაპირისპირებულები ერთმანეთს განაპირობებენ, ხოლო, მეორე მხრივ, მათ განვითარებაში ასევე რეალურადაა ჩართული შუალედური, გარდამავალი, ნეიტრალური და ჯერაც შეუცნობელი მოვლენები, რომელთა არსებობა უზრუნველყოფს თავისუფალ ვარირებას და განსაზღვრავს საგნისა თუ მოვლენის სრულიად ახალი კავშირების წარმოშობას, რაც თავის მხრივ განუწყვეტელი პროგრესის საფუძველია. მხოლოდ ასეთი ინტეგრალური განვითარებითაა შესაძლებელი ჭეშმარიტად ადამიანური თავისუფლება, რომელიც მოიცავს მიზნის განსაზღვრისა და მისი განხორციელების საშუალებების შერჩევას (2,112).

დანაშაულებრივი მოვლენებისა და მათი განხორციელების საშუალებებისა თუ გზების ახალი კავშირების წარმოშობა ასევე იწვევს დანაშაულის ჩადენაში უფრო მეტ მოხერხებულობას, მაგრამ ეს არ შეიძლება თავისუფლებად და მით უმეტეს, პროგრესულ მოვლენად ჩაითვალოს, ვინაიდან დანაშაულის ყოველი ახალი და დახვეწილი ფორმის წარმოშობა კიდევ უფრო ძლიერად ანადგურებს და ხრწნის დამნაშავის სულიერ ფაქტორებს და აშორებს მას იმ ცხოვრებისეული საზრისისაგან და მიზნისაგან, რასაც ჭეშმარიტი თავისუფლება და ბედნიერება შეიძლება ვუწოდოთ. დამნაშავე კი ვერასოდეს

ვერ იქნება თავისუფალი და ბედნიერი, ვინაიდან მის მიერ ჩადენილი დანაშაული მუდმივი ფსიქიური წინეხისა და დეტერმინაციის ქვეშ ამყოფებს მას.

საინტერესო ფაქტია ისიც, რომ დამნაშავე გაორმაგებული და ხშირად, გაათმაგებული დამოკიდებულებით გამოირჩევა. იგი სასტიკი და დაუნდობელია კონკრეტული პირების მიმართ, ხოლო მოსიყვარულე და დამთმობი ხდება თავისი ახლობელი ადამიანების მიმართ. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს სისასტიკე და დაუნდობლობა შესაძლებელია მისი საყვარელი ადამიანების მიმართაც გავრცელდეს, თუ ისინი მისი დამნაშავეობრივი ქმედებების წინააღმდეგ წავლენ ან მის კრიტიკას აქტიურად გააგრძელებენ. და, დამნაშავეც თანდათანობით იცლება ადამიანური სულიერებისაგან და ემსგავსება მხეცს, რომელსაც მოფერებაც კი აღიზიანებს და რომლის არსებობის მომავალი მთლიანად არის განწირული უკვე ფიზიკური განადგურებისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დამნაშავე არის ადამიანი, რომელიც თავისი დანაშაულებრივი ქმედებითა და ამ ქმედების განვითარებით საკუთარი სულიერი და შემდეგ უკვე ფიზიკური არსებობის თვითგანადგურების ყველაზე და ყველაფერზე უფრო აქტიური ფაქტორი ხდება. ასეთ ადამიანს, სამწუხაროდ, ვეღარ შევლის ვერც სამართალი, ვერც კანონები და ვერც რესოციალიზაცია. ამიტომ, პირველივე დანაშაულის ჩადენამდეც და ჩადენის შემდეგაც მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ და გაგებით მივუდგეთ მის სულში დაწყებული დევნიანტური გადახრების სოციუმისაკენ შემობრუნებას. არ უნდა დაუშვათ, რომ ყურადღების მიღმა დაგვრჩეს პატარა შეცდომაც კი. ჩარევა კი უნდა მოხდეს არა ძალდატანებით, არამედ მისთვის მნიშვნელოვანი საქმიანობის შეთავაზებით, რათა მთელი მისი ცნობიერების კონცენტრაცია ამ საქმიანობისაკენ იქნეს მიმართული, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, საუბრისას შევარჩიოთ ისეთი ფაქტორები, რომლებიც საჭირო ზეგავლენას მოახდენენ მის ცნობიერზე და დაარწმუნებენ მისი მოსახრების არასწორობაში. მაგალითად:

1. ცნობილია, რომ ადამიანში მთელი ცხოვრების მანძილზე წარუშლელ და ძლიერ ფაქტორად რჩება მისი ბავშვობა და რომ ბავშვობის წლებში განცდილი ემოციები თითქმის არასოდეს არ იშლება. ბავშვობაში კი ადამიანი დამნაშავე არ არის, ვინაიდან მასზე ვერ ასწრებს ზემოქმედებას ვერც შინაგანი და ვერც გარეგანი ფაქტორები. განსაკუთრებით ძლიერია მასზე დედის გავლენა. ამიტომ შედეგად იქნება, თუ დამნაშავეობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის დამნაშავეის ბავშვობის პერიოდის განცდებისა და ემოციების წინ წამოწევაზე მოვახდენთ კონცენტრაციასა და აპელირებას.

2. ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის, ადამიანების შებრალებისა და უპირობო პატიების გაცნობიერებით.

3. დამნაშავეს არასოდეს არ გააჩნია უპირობო პატიების უნარი, ის მუდმივი შურისძიების განცლით არის განმსჭვალული. წყენა, ხშირ შემთხვევაში უფრო ინდივიდუალური განცდაა, რომლის დავიწყება შესაძლებელია, თუ შევეცდებით ურთიერთობებში სიახლეების შეტანას და ამით ახალი ღირებულებების დამკვიდრებას. დამნაშავესთან ურთიერთობებში ეს პროცესი კიდევ უფრო რთულია, რადგან მისი ფსიქიკა გართულებული და დაძაბულია. ამიტომ მასთან ურთიერთობაში აუცილებელია განსაკუთრებული ძალისხმევა, რათა მოვახდინოთ მისი ჭეშმარიტი რესოციალიზაცია ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის, ადამიანების შებრალებისა და უპირობო პატიების გაცნობიერებით.

ამასთან, უფრო რეზულტატიურია ადამიანის პრობლემისადმი ინტეგრალური მიდგომა და მისი კვლევა რაციონალიზმის, ეგზისტენციალიზმისა და ესენციალიზმის ერთობლიობით, რომელიც მოიცავს “მე”-ს, “არა მე”-ს და “სხვან”-ს, ცნობიერს, არაცნობიერს, ინტუიციურს, რელიგიურს, საზოგადოებრივსა და პიროვნულს,

სიცოცხლესა და სიკვდილს, სულიერსა და სხეულებრივს, სუბიექტურსა და ობიექტურს, არსსა და არსებობას და ა.შ. და ა.შ.(4,133).

ეთიკა და სამართალი, მათი ღირებულებები და კატეგორიები, დანაშაულისა და მისი პრევენციის სახით, ადამიანისა და მისი გარემომცველი სამყაროს კავშირებისა და ურთიერთობების ერთ-ერთი ურთულესი ფორმაა. მათი შესწავლა, პროგრესისა და ჭეშმარიტება-მცდარობის პრობლემები მხოლოდ ადამიანის არსის ინტეგრალური ერთიანობით არის შესაძლებელი.

ამასთან, საინტერესო ფაქტია ისიც, რომ დანაშაული ალბათ ერთადერთი ფაქტორია ადამიანის ცხოვრებაში, რომელსაც ადგილი არა აქვს კულტურულ განვითარებასა და ღირებულებათა სისტემაში, მიუხედავად იმისა, რომ თანდათანობით იხვეწება, ერთი მხრივ, დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების მეთოდები, დამნაშავეთა ფსიქოლოგია, ხოლო, მეორე მხრივ, კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიების მომზადების დონე და დამნაშავეობასთან ბრძოლისა და გამოვლინების ტექნიკური საშუალებები და ა.შ.

დანაშაულს ასევე არა აქვს ეროვნული განსაზღვრულობა. სისასტიკე, კაცთმოძულეობა, სიყალბე და სხვა დანაშაულებრივი თვისებები ყველა ერში და სახელმწიფოში ერთნაირად ანგრევს საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომელმაც ქვეყნის პროგრესული მომავალი უნდა უზრუნველყოს.

დანაშაულის წარმოშობის მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანებისადმი ზიზღის შეგრძნება, რაც ფ. დოსტოევსკის რომანში „დანაშაული და სასჯელი“ ნათლად არის წარმოჩენილი რომანის თითქმის ყოველ გვერდზე. დანაშაული არ შეიძლება იყოს დამნაშავის თავისუფალი ნების გამოვლენის აქტი, როგორც ამას ზოგიერთი მოაზროვნე მიიჩნევს. მიმაჩნია, რომ დანაშაული არის ერთი მხრივ, ეგოიზმის, შურის, ზიზღისა, და მეორე მხრივ, სულიერების დაკარგვის შედეგი.

დანაშაულის პრევენციის საშუალებად შეიძლება განვიხილოთ სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბება, რაც ადამიანების ერთმანეთისადმი დახმარებისა და მომსახურების სურვილს გაცილებით მნიშვნელოვან ფაქტორად აქცევს და პიპერტროფირებულ ინდივიდუალიზმს დაუპირისპირდება, რაც, მიტოვებულობის განცდას აარიდებდა პოტენციურ დამნაშავეს და ამით, თავის მხრივ, შეამცირებდა დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას.

ადამიანთან შედარებით ნებისმიერი სხვა საფუძველი მხოლოდ მარგინალური მნიშვნელობისაა და ისინი სოციალურ აზრს იძენენ მხოლოდ ადამიანთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ადამიანი, მისი სიცოცხლე და სულიერი პროგრესი უმთავრესია ნებისმიერი სფეროსათვის, იქნება ეს სამართალი, პოლიტიკა, ეთიკა, ეკონომიკა თუ სხვ. ადამიანის პრობლემა კი, როგორც ყოველთვის, აქტუალური და მუდმივად ახალია.

ამიტომ, მისაღებია ყველაფერი ის, რაც მოემსახურება ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებას, განვითარება-დახვეწასა და პროგრესს. ეს კი შეიძლება იყოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო საერთო-ადამიანური ფაქტორები. ადამიანის განვითარებაში გლობალური ფაქტორების გამორიცხვა შეუძლებელია, ვინაიდან ეს ტენდენცია სპონტანურად არ მომხდარა და შედეგია თანამედროვე ტექნიკური პროგრესისა, რამაც მსოფლიო იმდენად დააპატარავა, რომ საერთო პრობლემების ერთიანი გადაწყვეტის შესაძლებლობები სრულიად აშკარა და რეალურია.

თუმცა, გამძაფრებელი გლობალიზაციის პირობებში ეროვნულობის განცდა და შენარჩუნება კიდევ უფრო მეტი სიძლიერით იჩენენ თავს, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ადამიანის, მისი სიცოცხლის შენარჩუნებისა და სამართლიანი არსებობა-განვითარების აუცილებლობას. ამასთან, სამართლისა და, საერთოდ, კაცობრიობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ, მართალია ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს ტრადიციებისა

და ეთიკური ნორმების ერთგვარი გლობალიცაზიაც, რაც, ძირითადად, მოვლენებისადმი საერთო პრაქტიკულ დამოკიდებულებაში გამოიხატება.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ჭეშმარიტიც არ უნდა იყოს ჩემს მიერ შემოთავაზებული დასკვნები, ან ადამიანის მიერ გაკეთებული არჩევანი, თუ მისი გენეტიკა და სულიერება არ პასუხობს ჰუმანურობის, სიცოცხლისადმი სიყვარულის უმაღლეს ღირებულებებს, მისი მიზნების რეალიზაცია ვერ იქნება დამყარებული ასეთივე ჰუმანურ და ადამიანებისათვის მისაღებ საშუალებებზე. ეს კი ნაკლებად მოემსახურება მისი და მთელი საზოგადოების პროგრესს.

რაც შეეხება დანაშაულის კატეგორიის კორელაციას ადამიანის არსის, როგორც “მე“-ს, “არა მე“-სა და “სხვან“-ს, ანუ სუბიექტურობის, ობიექტურობისა და პოტენციალურობის ერთობლიობას, რაც პოტენციურ ფსიქიკას აყალიბებს, სავარაუდოა, რომ დანაშაულის პრევენციისათვის მათ ერთობლიობას შესწევს ძალა თუ ბოლომდე არა, მნიშვნელოვნად მაინც შეამცირონ დანაშაულებრივი ქმედებების რაოდენობა და თვისებრივი განსაზღვრულობა. ამასთან, თუ ყოველივე ამას დავამატებ სიცოცხლის მიმართ დამოკიდებულება, რაც მისადმი მოწიწებასა და სიყვარულში გამოიხატება, ალბათ მნიშვნელოვნად შემცირდება დანაშაულთა ისეთი სახეები, როგორც არის: სასტიკი მოპყრობა, მკვლელობები, კაცობრიობის წინააღმდეგ მმართველი დანაშაულები და ა.შ.

ადამიანის არსს განიხილავენ, როგორც კეთილისა და ბოროტის ბრძოლის გამოვლინებას. მაგრამ მიმაჩნია, რომ მხოლოდ ამ ორი ფაქტორით ვერ შემოვსაზღვრავთ ადამიანის ურთულეს და უმრავალფეროვანეს არსებას. ამ ორი საპირისპირო ფაქტორის გარდა არსებობს შუალედური, გარდამავალი, ნეიტრალური და ჯერაც შეუცნობელი ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანის არსში პოტენციურად არსებულ – კეთილ და ბოროტ ძალებზე და მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მის ქმედებას. ასეთ შუალედურ ფაქტორებად შეიძლება დავასახელოთ საზოგადოება, აღზრდა და მასში მონაწილე ყველა რგოლი (სკოლა, ოჯახი), სამეგობრო წრე, ქვეყანა, ეროვნება და ტრადიციები, მორალი, რელიგიური მრწამსი, პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და კულტურული სფერო, რომელშიც პიროვნებას უხდება არსებობა და ჩამოყალიბება. აღნიშნული შუალედური ფაქტორები შეიძლება წარმოჩინდეს გარდამავლისა და ნეიტრალურის სახით. რაც შეეხება ჯერაც შეუცნობელ ფაქტორებს, არქეტიპებს, მათი არსებობის შესახებ პიროვნება შეიძლება ვერც კი აცნობიერებდეს, მაგრამ მის არქეტიპში არსებული სულიერი(მენტალური ფორმები), რომლებიც ღრმად არის ჩაბეჭდილი მის გენეტიკაში და, როგორც ფროიდის ნიჭიერი მოსწავლე ფსიქოლოგი და ფსიქიატრი კარლ იუნგი მიუთითებდა, ქმნის შინაგან მე-ს, აჩრდილს, ანიმას ან ანიმუსსა და პერსონას, ქმნის დინამიურ და ზოგადსაკაცობრიო სუბსტრატს ადამიანში, და განსაზღვრავს ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს მასში და მის მოქმედებაში(5, 25). ქმედების ერთ-ერთი სახე კი სწორედ დანაშაულია. ამ კუთხით დანაშაული შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბოროტი ფაქტორების გამოვლინება ადამიანში, რომელიც თავისი ფსიქიკით უფლებას აძლევს ამ ფაქტორებს - გაბატონდნენ მასზე და წარმართონ მისი ქმედება უარყოფითი მიმართულებით.

მაგრამ, დამნაშავის სული ბნელი და ჩამქრალია. ამიტომ, დანაშაული, ჩვენი განსაზღვრებით, არის დაშვება იმ ქმედებისა, რაშიც არ მონაწილეობს პირის ადამიანურ-ჰუმანური ფაქტორები და სრულყოფილად გააზრებული შედეგები. ხოლო, ის, ვინც მხეცურად იქცევა, ადამიანური ტვირთისაგან ითავისუფლებს თავს.

ლიტერატურა:

1. ეთიკა. <https://ka.wikipedia.org/wiki/>
2. მაისურაძე ნ., სამართლებრივი თავისუფლება და მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მენეჯ-მენტი. თავისუფლად ვარირებადი, ინტეგრალური და ფილომენური სამართალი. თბ., 2012.
3. Бердяев Н. Смысл творчества. М., 1916.
4. Маисурадзе Н. Политическая свобода – Филоменная политика, необходимое условие прогресса. Тбилиси, 2010.
5. Юнг. К.Г. Психологические типы. М., 1995.
<https://www.ereading.club/bookreader.php/105833/Bogomaz - Psihologicheskie tipy K.G. Yunga>

**ნათელა მაისურაძე, თეა კვაბზირიძე
დამნაშავის ეთიკურ-სამართლებრივი არსი
რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია დამნაშავის ეთიკურ-სამართლებრივი არსი, რომელიც მოიცავს ისეთ მორალურ მოვალეობებსა და სამართლებრივ ვალდებულებებს, როგორებიცაა: სიწმინდე, სამართლიანობა, სიკეთე, სიყვარული, ერთგულება, სათნოება, თანასწორობა და ა.შ. ავტორები განიხილავენ დამნაშავედ ჩამოყალიბების ძირითად ფაქტორებს და დაასკვნინან, რომ დამნაშავე არის ადამიანი, რომელიც თავისი დანაშაულებრივი ქმედებითა და ამ ქმედების განვითარებით საკუთარი სულიერი და შემდეგ უკვე ფიზიკური არსებობის თვითგანადგურების ყველაზე და ყველაფერზე უფრო აქტიური ფაქტორი ხდება. ამასთან, ავტორები გვთავაზობენ დამნაშავეობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის დამნაშავის ბავშვობის პერიოდის განცდებისა და ემოციების წინ წამოწევას, კონცენტრაციასა და აპელირებას, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის, ადამიანების შებრალებისა და უპირობო პატიების გაცნობიერებას, ურთიერთობებში სიახლეების შეტანას და ამით ახალი ღირებულებების დამკვიდრებას და ა.შ.

**Natela Maisuradze, Thea Kvabzirdze
Ethical and Legal Essence of the Offender
Summary**

The paper is devoted to the ethical and legal nature of the offender, which includes moral positions and legal obligations such as spirituality, justice, kindness, love, loyalty, virtue, equality, etc. The author discusses the main factors in the formation of crime and concludes that the criminal is a person who by his own criminal activities and development of this act becomes more active factor on the self-destruction of his own spiritual and subsequent physical existence. In addition, the author proposes to bring feelings and emotions of childbearing age, their concentration and attractiveness, commitment and responsibility, understanding the severity of unconditional forgiveness of people, the introduction of innovations in relationships and, thus, the establishment of new values.

მანანა კობალიანი

სამართლის დოქტორი

საოჯახო-საქორწინო სამართალი რომის, ძველი ქართული სამართლისა და ჩვეულებითი სამართლის მიხედვით

ქორწინება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქართული სამართლის ისტორიაში. ჩვენს ქვეყანაში ქორწინების არსი და დანიშნულება ქრისტიანული მოძღვრებით იყო განმტკიცებული. ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოებში, საქართველოშიც ქორწინება ითვლებოდა ქალისა და მამაკაცის კავშირად, შთამომავლობისა და ოჯახის შექმნის მიზნით. ისტორიულად ქორწინების სხვადასხვა ფორმებია ცნობილი. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ჩვეულებრივ და უმეტეს შემთხვევაში („მრავალთამიერ“) ქალის თხოვნისა და გათხოვების წესი, როგორც ჩანს ამნაირად წარმოებდა, ზოგჯერ ქალ-ვაჟის მშობლები თავიანთ შვილებს პატარაობიდანვე ცოლ-ქმრობის გვირგვინს უკურთხებდნენ. ქალ-ვაჟის „დაწინდვა“, დანიშვნა ხომ შემდეგ დროსაც ჩვეულებად სცოდნიათ საქართველოში“-ო (8, 264). უფრო მეტიც სვანური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, „დედ-მამა ყოველთვის ცდილობდა, რომ თავის ჯერ კიდევ მოსალოდნელი ვაჟისათვის, დედის მუცელშივე დაენიშნა საცოლე“ (4, 77). მსგავს დაწინდვის წესს ვხვდებით საერო კანონმდებლობაშიც, რაც კატეგორიულად აკრძალა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ“, ეს ჩვეულება რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ უკანონოდ სცნო, აკრძალა და განსაზღვრა, რათა ამიერიდან არღარა ეკურთხოდნენ გვირგვინი ჩხელთა ქალ-ყრმათა, ... და ქალი ათორმეტი წლისასა უმცროსა ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა“ (8, 265). მაშასადამე, თორმეტი წლის ქალი უკვე „ჰასაკალმოსულად“ ითვლებოდა და მისი გათხოვება კანონიერად მიიჩნეოდა ე. ი. „ჰასაკადმოსვლა“ სქესობრივი სიმწიფის ტოლფასი იყო. აღსანიშნავია, რომ სქესობრივ ჰასაკს არსებითი ყურადღება ეთმობოდა რომის სამართალშიც, „რომის მოქალაქეები ერთმანეთზე კანონიერად ქორწინდებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთმანეთთან კავშირს კანონთა მითითების შესაბამისად ამყარებენ ამასთან, მამაკაცები სრულწლოვანების, ხოლო ქალები კი სქესობრივი სიმწიფის მიღწევის შემდეგ...“ (6, 24).

გარდა ჰასაკისა, რომის სამართალსა და ქართული სამართლის მიხედვით ქორწინებისათვის აუცილებელი იყო ორივე მხარის თანხმობა. ასევე იმათი თანხმობა, ვისი ხელისუფლების ქვეშაც იმყოფებოდნენ დასაქორწინებლები. როგორც რომაელი იურისტი პავლუსი წერდა: „არ შეიძლება დაქორწინება, თუ არ არის თანხმობა ყველა მხარისა, ე. ი. იმ პირებისა, რომლებიც ქორწინდებიან და ასევე იმ პირებისა, რომელთა ხელისუფლების ქვეშ ისინი იმყოფებიან (5, 10-11).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქორწინებისათვის აუცილებელი იყო მხარეებს ჰქონოდათ ქორწინების უფლება და შესაბამისი საქორწინო ასაკი (ქალთათვის – 12 წელი; ვაჟთათვის 14 წელი, როგორც რომში, ასევე საქართველოში). პომპონიუსი ამბობდა: „თორმეტი წლამდე ასაკის ქალიშვილი (საცოლე) მაშინ ხდება კანონიერი ცოლი, როდესაც მას ქმართან ყოფნისას თორმეტი წელი შეუსრულდება“ (5, 11). რომაული სამართლის ქორწინების წესი, ქორწინებას შემდეგნაირად განმარტავდა: „ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, ღვთიური და ადამიანური სამართლის ერთობა“ (5, 10). საინტერესოა, რომ საქართველოში ქორწინება არ ითვლებოდა კანონიერად ჯვრისწერის საიდუმლოს დაცვის გარეშე, ჯვარდაუწერელი წყვილი კანონგარეშედ ითვლებოდა, და მათი ქორწინება მსგავსად რომაული „კონკუბინა“-სი ბათილი იყო. მაგალითად, ლევან და ვახტანგ ბატონიშვილები თავის „განჩინებაში“ აღნიშნავენ... „თუ ვისმე უქორწილოდ ქალი ჰყვანდეს მიყვანილი ცოლად, ან ახლავ ჯვარი უნდა დაიწეროს იმ ქალზე და ან ახლავ ხელი უნდა აიღოს. თუ შეუტყვევით, რომ რომელსაც ქალი შინ მიყვანილი ცოლად ჰყოლია და იმაზედ ჯვარდაუწერელი ყოფილა. იმას ჩვეზედ შეცოდება-

სავით მოვიკითხავთ, და ქალის პატრონი, რომელიც თავისს ქალს ჯვარდაუწერელს მიცემს, იმასაც ავად მოვეპყრობით. ჯვარდაუწერელად ქალის შინ მიყვანა არ იქნება“-ო (1, 56-57).

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არსებობდა ჯვრისწერის ისეთი მანკიერი სახეობაც, როგორც იყო „კიდისკიდე გვრგვინთა კურთხევა“, ერთგვარი, მეტად საყურადღებო, წარმომადგენლობითი ქორწინება, რომელიც მეფე-დედოფალს საშუალებას აძლევდა მოეხდინათ ცალ-ცალკე, „კიდისკიდე და არა ერთგან კურთხევაი გვრგვინთაი“ (8, 268). როგორც ჩვილთა, ასევე კიდისკიდე ქორწინება სასტიკად აიკრძალა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ, ყველა, ვინც ამის შემდგომ ამ წესით ჯვარს დაიწერდა, კრების დადგენილების თანახმად „იგინი სჯულიერად ცოლ-ქმრად ნუმცა შერაცხილ არიან“-ო (8, 268), ხოლო „კანონიერი გვირგვინთა კურთხევის შემდგომ იწყებოდა „ქორწინება“, რომელიც გარკვეულ საერო ჩვეულებებზე იყო დამყარებული და წვეულებითა და ვახშამ-ლხინით თავდებოდა“ (8, 268).

საინტერესოა, ქორწინების როგორ ფორმას ვხვდებით ძველ რომში თავდაპირველად? ძველ რომში ქორწინების უფრო მეტად გავრცელებული და უბრალო ფორმა ყოფილა „Usus“ (ქალისა და მამაკაცის ერთობლივი ცხოვრების საფუძველზე) კერძოდ, „Usus“-ი წარმოადგენდა ცოლის უბრალო დასახლებას ქმრის სახლში. იგი აშკარად განსხვავდებოდა „ius conubi“-საგან, რაც იურიდიულად აღიარებულ, ქაღალდზე გაფორმებულ ქორწინებას ნიშნავდა სოციალურად თანასწორ ქალსა და ვაჟს შორის. „Usus“-ის ფორმით გათხოვების შემთხვევაში, ქალის მიმართ ძალაუფლების განხორციელების საერთო ხანდაზმულობის ვადა ერთი წელი იყო. თუ ცოლს გაუჩნდებოდა სურვილი გამხდარიყო თავისუფალი, ამ ვადის გასვლამდე მას ქმრის სახლიდან გააციობდნენ სამი დღით, მაგალითად გაიუსი იუწყებოდა: „თუ ქალს არ სურდა რომ ქმარის ძალაუფლების ქვეშ ყოფილიყო, თორმეტი ტაბულის კანონების მიხედვით, ქალს ყოველწლიურად სამი დამე უნდა გაეთია სახლის გარეთ და ამ გზით შეეწყვიტა ხანდაზმულობა. შესაძლოა, რომ ეს წესი განამტკიცებდა საჭირო ფორმალობათა დაუცველად შესრულებულ ქორწინებას, თუნდაც ეს უკანასკნელი დაკავშირებული ყოფილიყო ოჯახთა ორივე მეთაურის თანხმობასა და წესების შესრულებასთან (მაგალითად, ცოლის ზემოთ შეყვანა ქმრის სახლში და დასაჩუქრება).

მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ რომაული „usus“-ის მსგავს საქორწინო რიტუალს ვხვდებით ქართულ ჩვეულებით სამართალში, კერძოდ ვაჟა-ფშაველას მიერ, ხევსურეთში აღწერილ ცოლის შერთვის მეტად საკვირველ წესს: „ვსთქვათ მოეწონა ხევსურს ქალი და უნდა მისი ცოლად შერთვა: ის გამოუცხადებს ქალს თავის სურვილს და თუ ქალიც დასთანხმდება, წამოიყვანს თავის სახლში. ჯვრისწერა ხევსურეთისათვის საჭირო არ არის, ქალი რჩება საქმროს ოჯახში ერთი წელი. კაცი ქალს არ შეეხება. იგი მხოლოდ აღეწებს თვალს, ქალი როგორც იქცევა სახლში, არის ნამუსიანი თუ არა. როდესაც დარწმუნდება, რომ დედაკაცი მის მეუღლედ გამოდგება, მაშინ გამოუცხადებს ქმრობის სურვილს და როგორც ქმარი ისე ცხოვრობს დედაკაცთან. თუ ერთი ჭკუაში არ მოუვიდა, გააგდებს და ახლა სხვას მოსძებნის მის მაგივრად“ (2, 46).

აღნიშნულ შემთხვევებში ქალის მიმართ ძალაუფლების განხორციელების საერთო ხანდაზმულობის ვადა იყო ერთი წელი. ამასთან ორივე შემთხვევაში ეს ქორწინება წარმოადგენდა საჭირო ფორმალობათა დაუცველად შესრულებულ ქორწინებას.

უნდა აღვნიშნოს, რომ „usus“ ფორმით შექმნილ ოჯახს კარგა ხანს ჰქონდა ადგილი რომში, თუმცა ქორწინების ასეთი ფორმა თანდათან ჩაანაცვლა ეკლესიის ლოცვა-კურთხევით შექმნილმა კანონიერმა ქორწინებამ, რაც ქრისტიანული რელიგიის იდეოლოგიით იყო გამოწვეული. ქართული საერო სამართლის წყაროებში ვხვდებით კონკრეტულ მუხლებს, ზემოთაც აღვნიშნეთ თუ როგორი განსაკუთრებული და არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა

ჯვრისწერის საიდუმლოების დაცვას კანონიერი ქორწინებისათვის! „ჯვარდაუწერლად ქალის შინ მიყვანა არ იქნება“-ო, აცხადებს ლევან და ვახტანგ ბატონიშვილების „განჩინება“.

ცნობილია, რომ რომაულ საოჯახო სამართალში, როდესაც ცოლი შედის ქმრის ოჯახში, ის ხდება ამ ოჯახის კულტის მონაწილე, კარგავს იურიდიულ კავშირს თავის წინანდელ ოჯახთან და თავისუფლდება მამის ხელისუფლებისგან („sine manu“). ასეთ დროს ადგილი ჰქონდა „aquae et ignis interdiction“ – „წყლისა და ცეცხლის განკვეთას“, წყალსა და ცეცხლთან დაშვება რომის სამართალში გამოხატავდა კოლექტივში ადამიანის მიღებას, რის ნიშნადაც მამაკაცის ოჯახში შესული პატარძლისათვის წინ მიჰქონდათ ჩირაღდანი ქაღალდით ცერერას პატივსაცემად. შემდეგ კი მას წყალს ასხამდნენ. პლუტარქეს აზრით, ეს მამაკაცური საწყისის – ცეცხლისა და ქალური საწყისის – წყლის შეერთების სიმბოლო იყო. სხვათა აზრით, კი პატარძალი ამ ორი სტიქიის საშუალებითგან იწმინდებოდა. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომში ცეცხლი და წყალი წარმოადგენდა ერთიანობის, სიმტკიცისა და სიწმინდის სიმბოლოს. საინტერესოა, წინა საქორწინო რიტუალი ხევესურეთში ჩვეულებათა დაცვით: აქაც ნეფე-დელოფაღს შუა კერის პირას, ანუ ცეცხლთან ახლოს სვამდნენ, ისეთნაირად, რომ ბოლი ცხვირპირში სცემოდათ, და ორთავეს ხელში თითო კელაპტარს აჭერინებდნენ. სავარაუდოთ, ჩვენს ქვეყანაშიც ცეცხლს სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონოდა (2, 51).

აქედან ნათლად ჩანს თუ რაოდენ დიდი იყო ოჯახისადმი პატივისცემა და მისი შენარჩუნების ინტერესი როგორც რომის, ასევე ქართული სამართლის ისტორიაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცოლ-ქმრის გაყრას და ოჯახის მოშლას მაინც ჰქონდა ადგილი როგორც რომის, ასევე ქართულ საერო და ჩვეულებით სამართალში. კერძოდ, ცოლ-ქმარს გაჰყრიდა: სიკვდილი, დაღატი, მცვედნობა, ერთმანეთში უთანხმოება... აღსანიშნავია, რომ მცვედნობა-უმამაკაცობა მიიჩნეოდა ასევე განქორწინების საფუძველად რომაული საქორწინო სამართალში. დაიშვებოდა ასევე რომში განქორწინება მამაკაცის მხრიდან უვარგისობისა და ქალის მხრივ მონაზუნად აღკვეცის შემთხვევაში. პროფ. ვალერიან მეტრეველის აზრით: „განქორწინების კანონიერი საფუძველი იყო საქორწინო თანაცხოვრებისათვის უვარგისობა ანუ იპოტენცია, რამაც ქართულ საერო კანონმდებლობაშიც პოვა ასახვა“ (3, 362).

ქართული ფეოდალური კანონმდებლობა გაყრის საფუძველად უმეტესად ცოლის მიერ ქმრის დაღატს თვლიდა, ხოლო ქმრის ასეთივე მოქმედება განქორწინების საბაზად არ მიიჩნეოდა. ცოლის დაღატი (მრუშობა) ან მისი მხრიდან სხვა მსგავსი უღირსი საქციელი ქართველი კაცის ამაყი ბუნებისათვის განსაკუთრებით მიძიმე ცოდვად და დანაშაულად აღიქმებოდა. დედაკაცის მრუშობა ქმრის ღირსების დამცირებად, შეურაცხყოფად მიიჩნეოდა. ამდენად, როგორც საერო, ასევე ხალხური სამართალი, ასეთი ქმედების ჩამდენი ცოლის მიმართ, ქმარს საკმაოდ დიდ უფლებებს ანიჭებდა, რაც სასტიკი დამასახიჩრებელ-გამაწილებელი სასჯელების („გაყრა“, „გახეიბრება-გაჯულურობა“, „კვეთილში ჩასმა“, „ვირზე შესმა“, „სამარცხვინო ბოძზე გაკვრა“, „ნაწნავის მოჭრა“, „შიშველის ჩამოტარება“ და სხვ.) გამოყენებაში გამოიხატებოდა. პატრიარქალური ქართული ოჯახის უფროსი სასტიკად ეპყრობოდა მოღალატე ცოლს!

დავით ბატონიშვილის „განჩინება“ გვამცნობს, რომ ქორწინება ღვთიური და წმინდა კავშირია და მისი წაბილწვა უდიდეს ცოდვად ითვლება: «961. Тайнство Брака установлено самим богом при начале мира» (1, 56-57). იულიუსის კანონი მრუშობის დასჯის შესახებ აცხადებს, რომ „მახვილით (თავის მოკვეთით) ისჯებიან, არა მარტო სხვისი ქორწინების წამბილწველები, არამედ, აგრეთვე ის პირები, რომლებიც გაუგონარი სქესობრივი ლტოლვის (ავხორცობის) დაკმაყოფილებას მამრობითი სქესის პირებთან ბედავენ. 983. ასევე, «по государственным узаконениям, распутные, изблеченные в блуде и прелюбодеянии женщины предаются эпитимии и церковному покаянию» – ხაზგასმულია დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაში“ (1, 56-57).

საგულისხმოა, რომ პროფ. გიორგი ნადარეიშვილი განქორწინების საფუძველად ძველ ქართულ საოჯახო-საქორწინო სამართალში ასახელებს ქორწინებამდე ორსულობასაც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მარცელიუსის, „დიგესტების“ 26 წიგნში ვკითხულობთ შემდეგს: „თუ ქალს ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირი („კონკუბინატი“) აქვს დამყარებული ვინმე სხვა პირთან, გარდა პატრონისა, მე ვამბობ რომ ამ ქალს ოჯახის დედის წოდება (ღირსება) არ გააჩნია“ (5, 20-21). აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული სამართლის მიხედვით სქესობრივი დანაშაულის ერთ-ერთი სახეობა იყო – სიძვა, დაუქორწინებელი ქალ-ვაჟის სქესობრივი კავშირი, სულხან-საბას განმარტებით, „სიძვა – უმეუღლო-საგან ბოზობას“ ნიშნავდა, აღნიშნული დანაშაულის სუბიექტები დაუქორწინებელი პირები იყვნენ! ასევე, ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის 23-მუხლში საუბარია, გათხოვილი ქალის ნებით თუ იძულებით სქესობრივი კავშირის დაჭერაზე სხვა მამაკაცთან, რაც ისჯებოდა და, აგრეთვე ასეთი საქციელისათვის ქალს შეეფარდებოდა გამაწილებელი სასჯელი, როგორც იყო ყელზე თოკის მობმით შიშველის ქუჩა-ქუჩა ტარება: „თუ დედაწულმან დედაწულისა ცოლსა უარშიო უყოს და მოიყვიროს. გინა ნებითა გინა უნებლითა და განამჟღავნდეს გინა მეყვისსაგან დაუურვოს ცოლის ქმარსა სრული სისხლი მისცეს და ბატონმან მისმან ნიფხვით ოდენ შიშველი და ყელსაბლიანი უბანთა ზედა განჭირებელი მოავლონ. იმ ცოლის კუროს თუ ერჩიოს იყიდოს. მისი სისხლი ორად შეკეცოს რაისაცა გუარისა იყოს. ამად რომე მონდობილნი არიან სისხლითა და ხორციითა“ (7, 410).

მაშასადამე, აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ჯვრისწერის გარეშე ქორწინება ტოლფასი იყო რომაული ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირისა, რომელიც ორივე შემთხვევაში ღირსების შელახვად, უნამუსობად და უკანონო ქორწინებად ითვლებოდა!

ამრიგად, ასეთია საოჯახო-საქორწინო სამართლის შედარებითი ანალიზი, როგორც რომის სამართალში, ასევე ძველი ქართული და ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ საოჯახო-საქორწინო სამართლებრივ ურთიერთობებს მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე სამართლის სისტემაშიც. ვფიქრობთ, ეს მოკლე სამართლებრივი ექსკურსი საინტერესო იქნება, სამართლის სპეციალობის სტუდენტებისათვის, აგრეთვე ამ დარგით დაინტერესებული პირებისათვის!

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი დ., საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა, აპოლონ როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1959.
2. კეკელია მ. და ავტორთა ჯგუფი, ქართული ჩვეულებითი სამართალი, თბ., ტ. 2, 1990.
3. მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბ., 2003-2013 წ.წ.
4. ნიჟარაძე ბ., ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962.
5. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი ოცდამესამე, თბ., 2001.
6. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბ., 2002.
7. ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტ. 6, თბ., 1982.
8. ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ტ. 7, თბ., 1984.

მანანა კოპალიანი
საოჯახო-საქორწინო სამართალი რომის, ძველი ქართული სამართლისა და ჩვეულებითი
სამართლის მიხედვით
რეზიუმე

ნაშრომში საუბარია ძველი ქართული საოჯახო-საქორწინო სამართლისა და რომის საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ. ასევე განხილულია საოჯახო-საქორწინო ინსტიტუტი ძველი ქართული ჩვეულებებისა და ადათ-წესების მიხედვით. მოძიებულია მსგავსება

საქორწინო-სამართლებრივ ურთიერთობათა შორის, კერძოდ მსგავსება წინასაქორწინო რიტუალსა და, ასევე საქორწინო პირობებსა და განქორწინების საფუძვლებში. ნაშრომი მნიშვნელოვანია რომისა და ქართული საოჯახო სამართლის შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით. ნაშრომში მოტანილია ამონარიდები, როგორც „რომის სამართლის ტაძრიდან“, ასევე განხილულია საოჯახო-სამართლებრივი ნორმები ძველი ქართული საერო სამართლის ძეგლებიდან და ფრაგმენტები ქართული ჩვეულებითი სამართლიდან.

Manana Kopaliani
"Family-Marriage Law According to the Old Georgian
Law and Customary Law"
Summary

The subject of the paper is the Old Georgian Family-Marriage Law and the Roman Marriage legal relations. We've also considered the Family-Marriage Institution according to the old Georgian customs and traditions and retrieved similarities between marriage and legal relations, namely the similarity in the pre-marriage ceremonial, as well in the marriage and divorce fundamentals. The paper is important from the viewpoint of the comparative study of the Roman and Georgian Family Law and cites the extracts from the "Temple of the Roman Law", as well we've reviewed the family-legal norms from the monuments of the old Georgian national law and the fragments from the Georgian customary law.

პეტრე დაუთაშვილი

სამართლის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

სიცოცხლის უფლება და მისი აბორტით ხელყოფის გზით თანამონაწილეობად
კვალიფიკაციისა და სუბსუმციის ზოგიერთი პრობლემა

საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“ (21 მუხლი 15.1)(11). აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, თუ მივიჩნევთ, რომ სიცოცხლე განაყოფიერებული უჯრედიდან ათვლებს, გამოდის რომ, აბორტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ამ შეხედულების თანახმად, კი სწორი იქნება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოვითხოვოთ მუცლადმყოფის უფლებების აღიარება და სიცოცხლის დაცვა ჩასახვის მომენტიდან. ეს კი გამოიწვევს იმას, რომ შეიზღუდება იმ ქალების არჩევანი, რომლებმაც აბორტის გაკეთება განიზრახეს. განვიხილოთ ამ აზრის საპირისპირო მხარეც. იმ შემთხვევაში, თუ არ ვაღიარებთ ჩანასახს სიცოცხლედ, მაშინ აბორტის კრიმინალიზება ქალის პირადი ცხოვრების უფლების უხეშ ხელყოფად უნდა განვიხილოთ. ტერმინი აბორტი (აბორირე) ლათინური სიტყვიდან წარმოიშვა და ნიშნავს გამოძევებას, მოკვდინებას. როგორც ასეთს, აბორტს, ყოფენ: თვითნებურ, სპონტანურ და ხელოვნურ აბორტად.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შედგენისას, გარკვეული ყურადღება მიექცა იმას, თუ საიდან იწყება სიცოცხლე და რა შეიძლება ჩაითვალოს მის საწყის წერტილად. მიუხედავად ამისა, როგორც ვხედავთ, საბოლოოდ, ტექსტში არ აღნიშნულა ყოველივე ამის შესახებ. ამასთან ერთად, ღიად დატოვეს კიდევ ერთი საკითხი, რომელიც, ალბათ, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს ეკთანაზიის ასევე პრობლემურ საკითხს ეხება. საბოლოოდ კი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ტექსტი გვაუწყებს, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება (6, 9, 13). ხოლო როდიდან იწყება ეს სიცოცხლე ამაზე პასუხი, ალბათ, ჩვენ უნდა ვეძიოთ. რასაკვირველია, აღნიშნულ საკითხებზე თავის არიდება პრობლემის მოგვარებას ვერ გამო-

იწვევს, ამიტომ სულ, უფროდაუფრო, მწვავედ კამათი, როგორც აბორტთან, ისე ევთანაზიასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა, არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია იცავს ჩასახული ბავშვის უფლებებს, თუმცა მასშიც ზოგადად ნათქვამია რომ „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული“ (8, 9, 11)(17). როგორც ჩანს, არც ხსენებული კონვენციის შემდგენლებს სურთ იმის დაკონკრეტება, თუ როდიდან უნდა იქნეს დაცული ბავშვის სიცოცხლე. გამოდის, რომ ევროპულ სასამართლოსა და კომისიას არ უნდა ჩარევა იმ საკითხებში, რომლებიც სიცოცხლის უფლებას ეხება და, ამიტომაც დუმილს ამჯობინებს. იგივე ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის განცხადებით, არ არსებობს სიცოცხლის აბსლუტური უფლება მისი ჩასახვის დღიდან.

საინტერესო საქმეა ევროსასამართლოში შესული საჩივარი, „პატონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, რომელშიც მომჩივანი ცდილობდა, რომ აეკრძალა აბორტი გაცილებული ცოლისათვის, თუმცა სასამართლომ ეს საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია და გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ნებისმიერი მშობიარობის შემდეგ და ასევე მშობიარობამდე ნაყოფის სიცოცხლე (ამ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა იმას, რომ ნაყოფი არ იყო სამედიცინო კუთხით სიცოცხლისუნარიანი) დაკავშირებულია დედის სიცოცხლეზე (12. 295).

ამ პრობლემურ საკითხზე პასუხის გაცემა ევროპულმა სასამართლომ, არც შემდეგ საქმეზე (საფრანგეთის წინააღმდეგ) იწვება და ამგვარად აარიდა თავი მას: „ამჟამად არ არის სასურველი და არც შესაძლებელი პასუხი გავცეთ იმ აბსტრაქტულ შეკითხვას, არის თუ არა დაუბადებელი ბავშვი ადამიანის კონვენციის მე-2 მუხლის მიზნებისათვის“. აღსანიშნავია, რომ საქმეში „ბრუგერმანი და შოიტენი გერმანიის წინააღმდეგ“ (1976) განმცხადებელი ჩიოდა იმას, რომ მხოლოდ მისი საქმე იყო გაიკეთებდა თუ არა აბორტს, ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომისიამ დაადგინა, რომ ფეხმძიმობა ან მისი შეწყვეტა მხოლოდ დედის პირად ცხოვრებას არ ეხებოდა.

რასაკვირველია, მომავალი მამებიც ზრუნავენ ჩანასახის სიცოცხლის უფლების დაცვაზე და სწორედ რამდენიმე საჩივარი ეხებოდა მათ დავას აბორტთან დაკავშირებით ზედმეტად ლიბერალური კანონმდებლობის შესახებ, თუმცა, გასაკვირი არ არის, რომ კომისიამ არც ერთი მათგანის საჩივარი არ დააკმაყოფილა და დაეყრდნო იმას, რომ არსებობს „თავისუფალი შეფასების ფარგლები“, მაგრამ ეს „თავისუფალი შეფასების ფარგლები“, როგორც მას უწოდებენ, მიგვაჩნია, რომ აბორტის მძიმე საკითხთან დაკავშირებით არ უნდა იქნეს გამოყენებული და მისი ხსენება სცდება ყოველგვარ ზნეობისა და მორალის ფარგლებს.

საქმეში „X გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ კომისიამ დაადგინა, რომ ჩანასახს არ ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლით განსაზღვრული სიცოცხლის აბსლუტური უფლება. ეს დასკვნა გაკეთდა იმის საფუძველზე, რომ ჩანასახის სიცოცხლე განუყოფლადაა დაკავშირებული დედის სიცოცხლესთან და არ შეიძლება მისგან დამოუკიდებლად განვიხილოთ და ის კი შეიძლება, რომ მხოლოდ დედის უფლების დაცვაზე ვიზრუნოთ და ჩანასახის, ისედაც დაუცველი არსების სიცოცხლის უფლება არაფრად მივიჩნიოთ?

საქმეში ჰ. ნორვეგიის წინააღმდეგ კომისიამ დაასკვნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლი, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება რომ ჩანასახთან დაკავშირებითაც იყოს გამოყენებული. ამ ზოგ შემთხვევას კი ევროსასამართლო არ აკონკრეტებს. თუმცა, ერთი კი ცხადია, რომ ევროსასამართლოში, წლების განმავლობაში, შესულმა საქმეებმა და მათზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გვიჩვენა, რომ ევროპული სასამართლოს მხრიდან, თითქმის ყველა შემთხვევაში, თავის არიდება ხდება იმ საკითხებზე, რომლებიც ემბრიონის სიცოცხლის დაცვას უკავშირდება. ამის დასტურად კი მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს: საქმეში „სობო იტალიის წინააღმდეგ“ სასამართლომ თავი-

დან აიცილა და უპასუხოდ დატოვა კითხვა – სარგებლობდა თუ არა ჩანასახი დაცვით (12, 23-27)(10).

გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა, არც სხვა ბევრი საერთაშორისო ხელშეკრულება განსაზღვრავს იმას, თუ საიდან იწყება ადამიანის სიცოცხლე, შესაბამისად, არ არსებობს არანაირი ზოგადი შეთანხმებაც კი ჩანასახის უფლებასა და აბორტის კანონიერებაზე. ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ თურმე ევროპის საბოს ფარგლებში არსებობს ისეთი დებულება, რომელშიც ნახსენები არის ჩანასახის დაცვა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისაგან განსხვავებით, ჩასახული ბავშვის სიცოცხლეს იცავენ საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომელსაც ადასტურებს ბავშვის უფლებათა კონვენციის (1989.20.11) პრეამბულის მე-9 აბზაცში აღნიშნული აზრი: „ბავშვი, მისი ფიზიკური და მენტალური მოუმწიფებლობის მიზეზით საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, როგორც დაბადებამდე, ასევე დაბადების შემდგომი პერიოდის შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით“. ამავე შეთანხმების პირველ მუხლში განსაზღვრულია, რომ ბავშვად იგულისხმება თვრამეტ წლამდე ასაკის ადამიანი. აღნიშნულ მუხლს განმარტავს შერონ დეტრიქი და აღნიშნავს, რომ „ბავშვი ნიშნავს ყველა ადამიანს ჩასახვის მომენტიდან 18 წლის ასაკამდე“(10).

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩასახული ბავშვის სიცოცხლის უფლებას ასევე იცავს ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციის მეოთხე მუხლი: „ზოგადად, ჩასახვის მომენტიდან“. ასევე არსებობს ადამიანის უფლებათა და ღირსების დაცვის კონვენცია (1997), მედიცინისა და ბიოლოგიის გამოყენების სფეროში, აღნიშნული კონვენცია მოითხოვს ჩანასახის ადეკვატურ დაცვას(2).

ფაქტია ის, რომ აბორტი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი დავისა და განსჯის საგნად არის ქცეული. ზოგი აბორტს იგივე მუცლის ხელოვნურ მოშლას სრულიად კანონიერად მიიჩნევს იმ აზრით, რომ არ გინდა და მოიშორე, შენი ნებაა. ზოგი ბოლომდე ასე მკაცრად ვერ უდგება და ამბობს: აბორტი ცუდია, მაგრამ რა ქნას ქალმა, თუ ეს მისთვის არასასურველი ბავშვია? ამ აზროვნების ხალხის გაგებით, ალბათ, ეს „არასასურველი ბავშვი“ გაუპატიურების ან სხვა რაღაც მიზეზების გამო უნდა მოკლა. შედარებით უფრო გონიერნი კი ამტკიცებენ, რომ აბორტი აუცილებლად უნდა გაკეთდეს იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ემუქრება დედის ჯანმრთელობას ან, როდესაც მოსალოდნელია რომ ავადმყოფი ბავშვი დაიბადოს. ხოლო ყველაზე სადად მოაზროვნენი, ექიმები, მეცნიერები დიდი მსჯელობისა და ფიქრის შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე რომ აბორტი ეს ცოცხალი არსების მკვლელობაა. გვიჩნდება კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს მოკლავ ბავშვს მუცლად ყოფნისას თუ დაბადების შემდეგ? ის ხომ ამ ყოველივეს როგორც დედის წიაღში, ისე მის გარეთაც კარგად გრძნობს. როგორც ვხედავთ, კითხვები არ თავდება, ყველას საკუთარი აზრი აქვს მუცლის მოშლის შესახებ. რასაკვირველია, აბორტის მწვავე საკითხი, არც საქართველოსა და არც სხვა ქვეყნების კანონმდებლებს დაუტოვებიათ ყურადღების მიღმა. თუმცა, შემდგომში ვნახავთ, რას მიიჩნევენ ისინი უკანონოდ თუ კანონიერად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე გავეცნობით, წლების განმავლობაში, ევროსასამართლოში განხილულ საქმეებს, რომლის შედეგად დავინახავთ, რომ აბორტთან დაკავშირებულ ბევრ კითხვას პასუხი გაუცემელი რჩება და ბევრ რამეზე ხდება თავის არიდება. საზოგადოებაში, დიდი დავა გამოიწვია ასევე ამ აზრმა, რომ თითქოსდა, ჩასახული ბავშვი არ არის ცოცხალი არსება და მისი დაბადება არ დაბადების საკითხის გადაჭრა მხოლოდ დედის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. მიგვაჩნია, რომ სწორედ აქედან იწყება არასწორი აზროვნება აბორტთან დაკავშირებით და იქ ცდებიან მისი მომხრეები, სადაც ამბობენ: ადამიანს სიცოცხლე ჩასახვისთანავე არ ეძლევა და, შესაბამისად, ვერც მისი სიცოცხლის უფლების დაცვაზე ვისაუბრებთ. ჩვენთვის კი სრულიად გაუგებარია, თუ საიდან მივიდნენ ამ დასკვნამდე და რა წარმოადგენს მათი ამგვარი აზროვნების საფუძ-

ველს? აი, ჩვენ კი ვეცდებით დავასაბუთოდ ის მოსაზრება, რომ ადამიანს სიცოცხლის უფლების დაცვა უნდა დაეიწყოთ მაშინ, როდესაც სამედიცინო გამოკვლევებით უტყუარად დადასტურდება დედის ორსულობა.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, საზოგადოებას დავანახოთ, რომ აბორტი ეს იგივე ცოცხალი ადამიანის მკვლელობაა. რატომ ცოცხალის? ამას კარგად მიხვდებით, შემდეგი გვერდებიდან. ჩვენი მიზანია, რომ მეცნიერულ კვლევებზე, ექიმების დასკვნებსა და მართლმადიდებლურ დოგმატებზე დაყრდნობით გიჩვენოთ, რომ ადამიანის სიცოცხლე მისი ჩასახვისთანავე იწყება. ხოლო აბორტი კი უმძიმესი ცოდვაა, რომელიც მძიმედ აწევს დღევანდელ კაცობრიობას მხრებზე. თუმცა, სამწუხაროდ, ბევრი ზერეყლედ უდგება ამ საკითხს და მიიჩნევს, რომ აბორტის გაკეთება დედის უფლებაა და მას ამ უფლებას ვერ შეეუხლუდავთ. ალბათ, ამ ხალხმა კიდევ ვერ გაიაზრა ის, რომ ერთი ადამიანის უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორე ადამიანის უფლება. კარგით, გაიკეთოს დედამ, თუ ამას საერთოდ შეიძლება რომ დედა ვუწოდოთ, აბორტი. დაეცვათ მისი უფლება, ჩანასახის უფლებებზე კი თვალი დაგხუჭოთ? წავართვათ სიცოცხლე? იმაზე არ დაფიქრდეთ, ჩვენთვისაც რომ მუცლადყოფნის პერიოდში შეეწვიტათ სიცოცხლე როგორი იქნებოდა? თუმცა ამის გაფიქრებაც, ალბათ, უკვე ცუდად იმოქმედებს ჩვენზე, რადგან საქმე „ჩვენ“ გვეხება, ხოლო „იმათ“ კი, რომლებსაც ჯერ ხმის ამოღება არ შეუძლიათ ყოველგვარი დაფიქსირების გარეშე მოვეუსწრაფოთ სიცოცხლე.

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად ამოცანას, წარმოადგენს, რომ აბორტი გამოცხადებულ იქნეს სისხლისსამართლებრივ დანაშაულად. უპირველესად, განისაზღვროს ის, რომ ადამიანს სიცოცხლე ჩასახვისთანავე ეძლევა, ანუ თუნდაც ერთი დღის ჩასახული არსება მივიჩნიოთ ადამიანად. ამის შემდგომ კი, მისი სიცოცხლის დაცვაზე საუბარი უკვე ხმამაღალი აღარ იქნება. განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობაში, რომ აბორტი ეს მკვლელობაა. თუმცა, აღვნიშნავთ იმასაც, რომ დასაშვებია გათვალისწინებულ იქნეს ის შემთხვევა, როცა საქმე ეხება ექიმების მიერ დანამდვილებით და უტყუარად დადასტურებულ ფაქტს იმის შესახებ, რომ საფრთხე ემუქრება დედის ჯანმრთელობას. ამ შემთხვევაში, აბორტის გაკეთების არჩევანი დედას უნდა მივანდოთ. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი შემთხვევა ბევრი არ არის, ამიტომ გარდა ამ შემთხვევებისა, საკმაოდ დიდი ოდენობის აბორტი იქნება აცილებული თავიდან, რაც გამოიწვევს იმ საგანგაშო სტატისტიკის შემცირებას, რომელიც ბოლო 10 წლის და, არა მარტო ათი წლის განმავლობაში დაფიქსირდა საქართველოში, უკანონოდ თუ კანონიერად, გაკეთებული აბორტების რიცხვის შედეგია. აღვნიშნავთ იმასაც, რომ საბჭოთა კავშირის დროს გაკეთებული აბორტების რიცხვი დათვლას საერთოდ არ ექვემდებარებოდა. საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 139-ე მუხლის პუნქტით „ქალთა ჯანმრთელობის დაცვა აბორტის შემცირების გზით სახელმწიფო პრიორიტეტული ამოცანაა“, ხოლო ამავე კანონის 140-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „აბორტის რეკლამა აკრძალულია“.

არსებობს აზრი, რომ ჩასახული ბავშვი არ არის პიროვნება. ალბათ, სწორედ აქედან გამომდინარე არ იცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ჩასახული არსების უფლებას და მნიშვნელობას ანიჭებს დედის ჯანმრთელობასა და მის სიცოცხლეს. ამ მოსაზრების უარსაყოფად, პირველ რიგში უნდა განვმარტოთ ის, თუ რას გულისხმობს ტერმინი „პიროვნება“, იურიდიული თვალსაზრისით ნიშნავს ეს უფლებაუნარიანობასა და ქმედითუნარიანობას? თუ პიროვნებაში იგულისხმება ქმედითუნარიანი პირი, რომელსაც შეუძლია თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს უფლებები და მოვალეობები, გამოდის რომ ყველა მცირეწლოვანი და ქმედუუნარო პირი არ არის პიროვნება და დასაშვებია მისი მოკვლა, ხოლო თუ პიროვნებაში იგულისხმება უფლებაუნარიანი ადამიანი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს უფლებები და მოვალეობები – გამოდის რომ უფლებაუნარიანი ყოფილა დაბადებული, ჩასახული და ქმედუუნარო ბავშვიც. გამომდინარე აქედან, ნათელი ხდება, რომ ჩასახული ბავშვი, ფართო გაგე-

ბით, პიროვნებაა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს უფლებები და უფლებათა შორის უპირველესი, სიცოცხლის უფლება. ამ მხრივ აღსანიშნავია რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც ჩვენი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, იცავს არა ადამიანს, არამედ პიროვნებას. ჩვენი აზრით ლოგიკური და სამართლიანი იქნებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 7-ე კარს „დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ“ ეწოდოს: „დანაშაული ადამიანისა და პიროვნების წინააღმდეგ“. სწორედ, ამ გზით შესაძლებელი გახდებოდა დედის წიაღში არსებული ნაყოფის სისხლისსამართლებრივად დაცვა (თუმცა სამოქალაქო სამართლის ნორმებით უფრო მეტადაა დაცული).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მკვლელობა გამოცხადებულია დანაშაულად. მაგრამ არ არის მითითებული თუ როდის იწყება ან მთავრდება ადამიანის სიცოცხლე. თუმცა სისხლის სამართლის სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ადამიანის სიცოცხლე იწყება იმ მომენტიდან, როცა ბავშვი გამოყოფას იწყებს დედის სხეულიდან, რაც გულისხმობს მშობიარობის დაწყების მომენტს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პირების აზრით, ჩანასახის მოსპობა დანაშაულად არ ითვლება. თუმცა, რასაკვირველია, რატომ მივიდნენ ამ დასკვნამდე და საიდან დაადგინეს, რომ სიცოცხლე იწყება დაბადების მომენტიდან და ჩანასახული ბავშვი არ არის პიროვნება? საინტერესოა, ის ფაქტი, როდესაც აშშ-ს სენატი განიხილავდა საკითხს აბორტებისათვის სასჯელის აცილების თაობაზე, ერთმნიშვნელოვანი იყო მედიცინისა და ბიოლოგიის დარგში წამყვანი სპეციალისტების აზრი, რომ ემბრიონში სიცოცხლე ჩანასახშივე იწყება! იმავეს ამტკიცებენ სხვა ემბრიოლოგებიც.

ყურადღებია ისიც, რომ საფრანგეთში სახელმწიფო კანონმდებლობით ბავშვის სიცოცხლე დაცულია ჩანასახიდან 10 კვირის შემდეგ, შვედეთში – 20 კვირის შემდეგ, ხოლო სხვა მრავალ ქვეყანაში კი სიცოცხლეს იცავენ მხოლოდ დაბადების შემდეგ.

აღსანიშნავია, მხოლოდ რელიგია არ დგას იმ აზრზე, რომ ადამიანის სიცოცხლე ჩანასახის მომენტიდან იწყება. ამ აზრს ასევე მეცნიერებიც ადასტურებენ და მეტად საინტერესოა მათი მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ადამიანური სიცოცხლის საწყისი წერტილი განაყოფიერებაა და, რომ სწორედ ამ დროს ხდება დედის 23 და მამის 23 ქრომოსომის კომბინირება. ამ მომენტიდან განისაზღვრება ინდივიდის გენეტიკა. ზიგოტა განაყოფიერებული კვერცხუჯრებია, რომელშიც თავიდანვე განსაზღვრულია თუ რა სქესი, სისხლის ჯგუფი, კანის, თვალისა და თმების ფერი ექნება ადამიანს. განვითარების კვალდაკვალ ზიგოტა დაყოფასა და გამრავლებას იწყებს და განაყოფიერებიდან დაახლოებით ექვსი დღის შემდეგ ის საშვილოსნოს კედელს მიემაგრება. ჩანასახიდან უკვე მერვე დღეს ფეხმძიმობის მთელი პერიოდის დამთავრებამდე ჩანასახი გარკვეული თვალსაზრისით აკონტროლებს დედის ორგანიზმს. სამედიცინო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ჩანასახის მომენტიდან ემბრიონს მხოლოდ საკვები და ჟანგბადი სჭირდება, რაც ასევე აუცილებელია დაბადების შემდეგაც.

ნაწილი აბორტის მომხრეთა მიიჩნევს, რომ ზიგოტას იქამდე ვერ განვიხილავთ ინდივიდად, სანამ მას არ ექნება გაყოფის პოტენცია. აქ კი საქმე ეხება იმას, რომ უჯრედები განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება გაიყონ და ამის შედეგად იდენტური ტყუპები მივიღოთ. ასეთ დროს მათ ქრომოსომებიც კი ერთნაირი აქვთ. შეიძლება, რომ ტყუპებმა პლანცენტის გარკვეული ნაწილები გაიზიარონ, მაგრამ ისინი რჩებიან განსხვავებულ ინდივიდებად. ამ არგუმენტის სუსტ მხარეს წარმოადგენს ის, რომ სიამის ტყუპებიც კი ერთ სხეულს იყოფენ, მაგრამ ორ სხვადასხვა ინდივიდთან გვაქვს საქმე. აღსანიშნავია ასევე, რომ ზიგოტა აღარ არის არც მამისა და, არც დედის ცალკეული ნაწილი, არამედ ის არის განვითარების მქონე უჯრედი, რომელიც ადამიანების სიცოცხლის პირველ სტადიად უნდა იქნეს მიჩნეული.

როგორც ვხედავთ, ხშირად მიმდინარეობს დავა, თუ რა მომენტი უნდა იქნეს სიცოცხლის დასაწყისად მიჩნეული. დღეისათვის უკვე უდავო სამეცნიერო ფაქტია, რომ ადამი-

ნის ცხოვრება იწყება სწორედ იმ მომენტში, როდესაც ერთმანეთს ერწყმის ორი სასქესო უჯრედი: მამაკაცისა და ქალის, რის შემდეგაც წარმოიშობა ერთიანი უჯრედი. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს ურთიერთსაპირისპირო აზრი, რომლის მიხედვით სიცოცხლის დასაწყისად ზოგისთვის მიჩნეულია: ზიგოტის საშივილოსნოს კედელზე მიმაგრების მომენტი, ზოგისთვის – ჩანასახის ნერვიული სისტემის ჩამოყალიბება ან გულისცემის დაწყება, ყველაზე უარეს შემთხვევაში კი ზოგს მიაჩნია, რომ სიცოცხლე იწყება ჭიპლარის გადაჭრის დროს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აბორტის მომხრეებს არ შეუძლიათ წარმოიდგინონ ადამიანად ის, ვინც ვერ მეტყველებს, ვერ დადის და ფიქრობს და არც ჩვენისთანა ანატომიური აგებულება აქვს. თუმცა, თუ ამ მხრივ ვიმსჯელებთ, იმ სტანდარტებს, რომლებსაც აბორტის მომხრეები უყენებენ ჩანასახს, ვერ პოულობენ ახალშობილები, უნარშეზღუდული ადამიანები. სინამდვილეში, ემბრიონსა და ახალშობილ ადამიანს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის, რადგან ორივე ზრდისა და განვითარების პროცესშია, არა აქვთ აზროვნების უნარი და არც დამოუკიდებლობა არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი თანაბარი უფლებებით არ სარგებლობენ. სამწუხაროდ, არც იმას ექცევა ყურადღება, განიცდის თუ არა რაიმე სახის ტკივილს ჩანასახი აბორტის პროცესში? ამაზე არავინ ღელავს, არც დედა, არც ექიმი და, როგორც ჩანს, არც კანონმდებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონით აუცილებლად დასჯილი იქნებოდა არა მხოლოდ უკანონო აბორტი, არამედ მისი ნებისმიერი სახე და, როგორც ასეთი, ტერმინი კანონიერი აბორტი აღარ იარსებებდა და არც დედა არც აბორტის გამკეთებელი პასუხისმგებლობას ვერ გაექცეოდა.. როგორც აღვნიშნეთ, არავის აინტერესებს განიცდის თუ არა რაიმე ტკივილს აბორტის პროცესში ჩანასახი, თუმცა სავსებით შესაძლებელია, ადამიანი უმტკივნეულოდ მოკლან, მაგრამ ამით პასუხისმგებლობას ვერ გაექცნენ. არადა, ექიმების თქმით: რომ განახათ როგორ გაურბის სიკვდილს, ის ხომ ცოცხალი არსებობს!

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებენ, სიცოცხლე ჩანასახისთანავე იწყება, აბორტს როგორც მეცნიერები, ისე ექიმები და სასულიერო პირები არშობილი ადამიანის მკვლელობად მიიჩნევენ. ამის დასტურად მეცნიერებს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მეთოდების შედეგად გატარებული ცდები მოჰყავთ, ექიმები საკუთარი პრაქტიკის შედეგად დარწმუნდნენ ყოველივე ამაში, ხოლო სასულიერო პირები და ქრისტიანული რელიგიის მიმდევრები აღიარებენ, რომ სიცოცხლე ნაყოფს ჩანასახისთანავე ეძლევა და მისი თუნდაც 12 კვირაზე ადრე მოკვდა იგივე მკვლელობის ტოლფასია.

დღევანდელი საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსი, აბორტს დასაშვებად, კანონიერად მიიჩნევს, ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ დედის ჯანმრთელობასა და მის სიცოცხლეზე, ხოლო ჩანასახული ბავშვის უფლებების დაცვაზე კი საქართველოს კანონმდებლობაში არაფერია ნახსენები.

XV-XVII საუკუნეებში აბორტი, როგორც სამედიცინო ოპერაცია, საექიმო პრაქტიკაში საერთოდ გაუჩინარდა 1852 წელს მოხდა გადატრიალება და პარიზის სამედიცინო აკადემიის დაუინებელი მოთხოვნით აბორტი ისევ შევიდა პრაქტიკაში, ოღონდ მხოლოდ ქალის ანატომიურად ვიწრო მენჯის არსებობის შემთხვევაში.

ნამდვილი რევოლუცია, კანონმდებლობის მხრივ, აბორტის შესახებ მოხდა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ძალაში შევიდა „ნარკომზდრავისა“ და „ნარკომიუსტის“ შესახებ დადგენილება, რომელიც ხელოვნური აბორტის სრულ ლეგალიზაციას ახდენდა. საბჭოთა რუსეთი გახდა პირველი ქვეყანა (თუ არ ჩავთვლით საფრანგეთს 1791-1810 წ.წ.-ში), სადაც ქალი და ექიმი გათავისუფლდნენ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა და მისი ფორმები დღემდე ცხარე დისკუსიის საგნად რჩება, მნიშვნელოვანი დებატები მიმდინარეობს.

საერთოდ, ორსულობის შეწყვეტის მიზეზი ორია: პერსონალური და სამედიცინო. სამედიცინო მიზეზად მიიჩნევა ის საფრთხე, რომელიც ორსულის ჯანმრთელობას ეხება, ან როდესაც ნაყოფი დეფექტიანია და ა. შ. თუმცა აღმოჩნდა და კვლევებით დადგინდა, რომ

აბორტთა უმრავლესობა მსოფლიოში კეთდება არა სამედიცინო კუთხის გამო, არამედ პერსონალური მიზეზების გამო, რომელშიც ხან გაჭირვება მოიაზრება, ხან ბავშვი კარიერისათვის ხელშემშლელ პიროვნებად აღიქმება, ან უბრალოდ სქესისა და სხვა უსუსური მიზეზების გამო იწუნებენ ადამიანს.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დროს ბევრად უფრო მეტი აბორტი კეთდებოდა საქართველოში, ვიდრე მისი დაშლის შემდეგ, თუმცა ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ აბორტის საკითხზე საუბარს თავი დავანებოთ და პრობლემა გადაჭრილად მივიჩნიოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირში აბორტზე შეზღუდვა 1920 წელს მოიხსნა. ევროპისაგან განსხვავებით, თუმცა მოგვიანებით სტალინმა, დემოგრაფიული მოსაზრების გამო, ისევ აკრძალა. 1955 წელს კი მოხდა აბორტის ხელახალი ლეგალიზაცია (16).

მიგვაჩნია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით უნდა განისაზღვროს, რომ აბორტი – ეს იგივე მკვლელობაა. ე. ი. აბორტი არის ჩანასახის სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა. რასაკვირველია, ამ ქმედებისათვის შესაბამისი სასჯელიც უნდა იქნეს დაწესებული. თუმცა მიგვაჩნია, რომ იქვე უნდა განისაზღვროს ის შემთხვევებიც, როდესაც საქმე ეხება დედის ჯანმრთელობას და იმ ფაქტს, როდესაც ნაყოფის გადარჩენის შანსი არ არსებობს. ასევე დასაშვებად მიგვაჩნია კანონმდებელმა განსაზღვროს გაუპატიურებისა და ინცესტის შემთხვევებიც და ამ მიზეზების გამო სასჯელი არ იქნას დაწესებული. თუმცა, აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის ამ შემთხვევაშიც მიუღებელია მუცლის ხელოვნური მოშლა, რადგან სიცოცხლე ადამიანს უფლისაგან ებოძა და არავის აქვს მისი ხელოვნური უფლება. დავამატებთ იმასაც, რომ 97% აბორტებისა კეთდება იმ მიზეზით, რომ „არასასურველ ბავშვს“ ეხება საქმე და არა ზემოთ აღნიშნული უფრო სერიოზულ მიზეზების გამო. მიგვაჩნია, როდესაც საუბარია დედის ჯანმრთელობაზე, გაუპატიურებასა და ინცესტზე, ჩვენ ადამიანს კატეგორიულად ვერ მოვთხოვთ, რომ ნაყოფი დაიტოვოს. თუმცა აღვნიშნავთ, რომ ადრე საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გაღება სხვა ადამიანისათვის გამირობად ითვლებოდა, ახლა დედებსაც კი ვინ შეჰკადრებს იმას, რომ საკუთარი შვილის გაჩენის ფასად მაინც დათმონ სიცოცხლე. გვეტყვიან – ჩვენი უფლებები ირღვევაო, ხოლო ყოველივე ამის შემდეგ, რაღა გვეთქმის, რაც შეეხება გაუპატიურების ფაქტს, როგორც წესი, თითქმის არ ხდება ამ დროს ჩასახვა და თუკი მოხდა ბავშვია დამნაშავე? მას უნდა ვაგებინოთ პასუხი ვინმეს მოქმედების გამო?

საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი, მიგვაჩნია, რომ უნდა განისაზღვროს ის, თუ საიდან იწყება სიცოცხლე. კიდევ აღვნიშნავთ, რომ სიცოცხლე ადამიანს ჩასახვისთანავე ეძლევა, რის შესახებაც, საკმაოდ ბევრი მაგალითი მოვიყვანეთ, ამიტომ უნდა განისაზღვროს: ადამიანის სიცოცხლე დაცული უნდა იყოს, როგორც ჩასახვისთანავე, ასევე მისი დაბადების შემდეგ. ამ ყოველივეს განსაზღვრის შემდეგ კი, სისხლის სამართლის კოდექსშიც უფრო ზუსტად აღვნიშნება, რომ აბორტი ეს იგივე მკვლელობაა, რადგან ადამიანის სიცოცხლე არის ხელშეუვალი უფლება და მას იცავს კანონი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით უკანონო აბორტის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (მუხ. 133) ეკისრება მხოლოდ აბორტის გამკეთებელს, რაც ჩვენი აზრით არალოგიკური და სამართლიანია. ამის ახსნას შევეცდებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის „დანაშაულში თანამონაწილეობა“ ჭრილში, რამეთუ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება ფორმალურად მსგავსია თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულთან. აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში აქამდე არ ყოფილა ასეთი მსგავსი სუბსუმციის ნიშნების ურთიერთშედარებითი ანალიზი. სწორედ, ამ მოტივაციით ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა ღრმა იურიდიული ანალიზი და თანამონაწილეობის პრინციპზე დაყრდნობით, უკანონო აბორტზე პასუხისმგებლობის წილი აბორტის გამკეთებელიდან გადასულიყო

ნაყოფის დედაზეც, რამეთუ იგი იმავდროულად გვევლინება, როგორც წამქეზებელი, დამხმარე, ორგანიზატორი, თანაამსრულებელი, დანაშაულის დამფარავი ან შეუტყობინებელი. მაშასადამე, საქმე გვაქვს დანაშაულის ამსრულებლობისა და დანაშაულში თანამონაწილეობის, აგრეთვე მისი ქვესახეობის ჯგუფური დანაშაულის ერთიან სინთეზთან და ბუნებრივია მისი კლასიფიკაცია ურთულესია, მაგრამ ამ დანაშაულის სუბსუმციის ნიშნების დეტალური ანალიზით მივალწევთ მის სწორად კლასიფიკაციის მეთოდს, ამისათვის ცალ-ცალკე განვიხილოთ თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის სახეები და ფორმები სხვა დანაშაულობებთან მიმართებაშიც.

უპირველესყოფლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად: „დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში“, უკანონო აბორტთან მიმართებაშიც აღნიშნული ნორმის პირობები და წესები აშკარად მეტყველებენ აბორტის გამკეთებლისა და ნაყოფის დედის ანუ ფეხმძიმე ქალის განზრახ ერთობლივ მონაწილეობაზე აბორტის განზრახ გაკეთებაზე. ამ შემთხვევაში ფეხმძიმე ქალი, როგორც:

1. ორსული ქალი **წამქეზებელი** აბორტის გამკეთებელს სათანადო ანაზღაურების ან სხვა რაიმე ხერხით დაიყოლიებს უკანონოდ აბორტის გაკეთებაში.
2. ორსული ქალი **დამხმარე** თავისი ნებით სხეულით ემორჩილება და ხელს უწყობს და ეხმარება ნაყოფის მოცილებაში. იმავდროულად, თავის მხრივ, აბორტის გამკეთებლის აქტიური მოქმედება გამოიხატება, როგორც დამხმარის, ასევე ამსრულებლის როლში.
3. ორსული ქალი **ორგანიზატორი**, აწყობს, ხელმძღვანელობს და იკეთებს აბორტს.
4. ორსული ქალი **თანაამსრულებელი**, რომელმაც სხვა პირის მეშვეობით უკანონოდ გააკეთებინა აბორტი. თავის მხრივ, აბორტის გამკეთებელი მთავარი მოქმედი სუბიექტია., რომელმაც უშუალოდ თანაამსრულებელთან ანუ ფეხმძიმე ქალთან ერთად განახორციელა უკანონო აბორტი.
5. ჯგუფური დანაშაულის კუთხით თუ შევხედავთ, ადგილი აქვს ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ორივე მონაწილის წინასწარ შეკავშირებას უკანონო აბორტის ერთობლივად ჩადენაში.

6. ორსული ქალი **დანაშაულის დამფარავი** (მუხ. 375) ან **დანაშაულის შეუტყობინებელი** (მუხ. 376), არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან:

- ა) ორივე ნორმის თანახმად უკანონო აბორტი მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულს;
- ბ) 375-ე მუხლის დისპოზიციაში 10 ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ჩამონათვალში არ მოიხსენიება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უკანონო აბორტისათვის ფეხმძიმე ქალის დაუსჯელობის საწინააღმდეგოდ, კანონმდებელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მრავალ მუხლში: 109, 117, 126, 131, 132, 134, 138, 143, 143¹, 143², 144, 144¹, 144³ და 172¹ იცავს წინასწარი შეცნობით ორსული ქალის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას და ა. შ. დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. კანონმდებლის ასეთ მიდგომასთან არ გაგვაჩნია არანაირი პრეტენზია, მაგრამ ამის საპირისპიროდ იმის კითხვა სხვა რაკურსით – რატომ მხოლოდ ამ ნორმებში და არა 133-ე ნორმითაც? პირველ რიგში ასეთი მიდგომა მეტყველებს ჩვენი ხედვით იმის დასტურად, რომ აღნიშნულ ნორმებში ნაყოფს ცნობს, როგორც სიცოცხლეს ან სიცოცხლის წარმოშობის წყაროს, და აქედან გამომდინარე, მეორე რიგში 133-ე მუხლშიც კანონმდებელი ანალოგიური მიდგომით უნდა განიხილაგდეს ორსული ქალის მიერ ნაყოფის სიცოცხლის ხელყოფას, როგორც სხვა პირის მიერ და არა ისე, როგორც საკუთარის თავისი შეხედულებისამებრ. უფრო მეტიც, კანონმდებელმა სხვა ისეთ ნორმაში, როგორიცაა მუხ. 115 „თვითმკვლელობამდე მიყვანა“ უნდა მოახდინოს ამ მარტივი შემადგენლობის დანაშაულის რთულ შემადგენლობად გარდაქმნა და მეორე ქვენაწი-

ლად, როგორც დამამძიმებელი გარემოება, ჩადოს შემდეგი რედაქციის დისპოზიცია: „ფეხმძიმე ან წინასწარი შეცნობით ორსული ქალი თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანა“.

გარდა ამისა, 172¹ მუხლში: „შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა“, კიდევ თვალნათლივ ჩანს, რომ კანონმდებელი ცნობს და აღიარებს ორსული ქალის ნაყოფს, როგორც სიცოცხლეს, რითაც იცავს ოჯახისა და არასრულწლოვანის ინტერესებს. ამასთანავე სასურველია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე თავის დასახელება შეიცვალოს და მისი დასახელება ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით: „დანაშაული ოჯახის, არასრულწლოვანისა და ქვეყნის დემოგრაფიის წინააღმდეგ“.

დანაშაულის კვალიფიკაციისა და სუბსუმციის პრობლემები კიდევ ერთხელ თავს იჩენენ უკანონო აბორტის ჩადენის შემთხვევაში, როდესაც აბორტის გაკეთება ხდება სუროგატი ორსული ქალის მიმართ (მის მიერ ინიცირებული). აღსანიშნავია, რომ სუროგატობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (ჯერჯერობით) დასჯადი არაა. ზოგან სუროგაცია კანონითაა აკრძალული, მაგალითად – გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, იტალიასა და შვეიცარიაში. ისრაელში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, საბერძნეთსა და ავსტრალიაში, კანონი მხოლოდ კომერციულ სუროგაციას კრძალავს, თუმცა ალტრუისტი სუროგატი დედების დეფიციტის გამო, ამ ქვეყნებში სუროგაცია პრაქტიკულად მკვდარია. სუროგატობის ფულის გადახდა მიღებულია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში: რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი, ყაზახეთი. სუროგაცია, როგორც ოჯახის დაგეგმვის ერთ-ერთი ფორმა, საქართველოს კანონმდებლობითაც (1997 წელს მიღებული კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ) დაშვებულია. ამასთან, პროცედურასთან დაკავშირებული ხარჯების სიმცირე, განსაკუთრებით, უცხოელ უშვილო წყვილებს იზიდავთ. მთავარი, რაც საქართველოში წყვილებსა და დონორებს დისკომფორტს უქმნის, თებერვლიდან ამოქმედებული კანონია: ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის რეგისტრაციისათვის სამოქალაქო რეესტრს უნდა წარედგინოს ხელოვნურ განაყოფიერებამდე დადებული, სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება ბავშვის გამწენ ქალს, წყვილსა და დონორს შორის. სხვა ქვეყნის კანონებისაგან განსხვავებით, ეს ანონიმურობის პრინციპს არღვევს – დონორსა და წყვილს ერთმანეთის საპასპორტო მონაცემები გადაეცემათ(7).

ტერმინი „surrogatus“ უცხო სიტყვაა და ნიშნავს: სხვის ნაცვლად მოთავსებული. ცნობილია, რომ სუროგატი დედის წინასწარი თანხმობით მის საშვილოსნოში ხელოვნური გზით შეჰყავთ სხვა მდედრობითი და მამრობითი სქესის უკვე განაყოფიერებული კვერცხუჯრედი და მშობიარობის შემდეგ ბავშვი გადაეცემა მის ნამდვილ მშობლებს. სამწუხაროდ, საქართველოში ყოველთვიურად იზრდება, როგორც სუროგატული დედებისა და კვერცხუჯრედის დონორობის მსურველთა, ასევე იმ პაციენტთა რაოდენობაც, რომლებიც ამ დახმარებას საჭიროებენ. თუმცა, პირდაპირ, ასეთ გარიგებაში არ არსებობს დანაშაულის ნიშნები, მაგრამ ერთი მხრივ მაინც აშკარაა ადამიანის ყიდვა-გაყიდვის მრავალი ოფიციალური, თუ არაოფიციალური მანიპულაციებით, ხოლო მეორე მხრივ ისინი გარკვეულ ზიანს აყენებენ (ან მიაყენებენ) საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობას. ე. ი. დანაშაულის ნიშნებიც, რომ არ იყოს, მაინც ქვეყნისათვის საზიანოა და სასურველი იქნებოდა ხელისუფლების მხრიდან მასზე რეაგირების მოხდენა. მაშასადამე, სუროგატი დედა, რომელმაც უნდა დაბადოს ბავშვი (განსაკუთრებით, როდესაც უცხოეთიდანაა ე. წ. დაკვეთა) და გაზარდოს საკუთარი ქვეყნის გენოფონდი, ამისათვის შესაბამისი გასამრჯელოს სახით, სხვისი ინტერესების სასარგებლოდ „ხარჯავს“ ან „აცდენს“ დროს და ხშირად, მომავალში აღარც კი ფიქრობს საკუთარი შვილის გაჩენას. ყოველივე ეს სხვა სასაუბრო თემაა, რომელსაც სხვა დროს დაუბრუნდებით. ამჯერად, ჩვენი მიზანია ყურადღება

გავამახვილოთ სხვა ისეთ გარემოებაზე, როდესაც სუროგატი ორსული ქალი ნაყოფის ნამდვილი მშობლების თანხმობის გარეშე იკეთებს აბორტს. ასეთი შემთხვევის კვალიფიკაციისათვის პირველ რიგში მნიშვნელობა არა აქვს ნაყოფის მიკუთვნებულობის ვინაობას და ქმედება დაკვალიფიცირდება 133-ე მუხლით „უკანონო აბორტი“. კანონმდებელი ფაქტობრივად ცნობს რა არა სუროგატი ორსული ქალის წიაღში მყოფ ნაყოფს, როგორც ნამდვილ დედის „საკუთრებას“ არ აწესებს არანაირ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნაყოფის უკანონოდ მოშორებაზე. ამასთანავე ბუნებრივია, რომ არ მოიაზრებს თანამონაწილეობის არც ერთ ფორმასა და სახეს. ე.ი. ისჯება მხოლოდ აბორტმასერი. მაგრამ მეორე რიგში, სუროგატი ორსული ქალის მიერ ჩადენილ ქმედებაში, სუბსუმიციის ნიშნები, მიუხედავად კანონმდებლის ასეთი პოზიციისა, ღებულობენ სულ სხვა ინტერპრეტირებას. მაშასადამე, ასეთი უკანონო აბორტის შემთხვევაში, სუროგატი ორსული ქალის მიერ „სხვისი“ ნაყოფის ხელყოფა უკვე უნდა დაკვალიფიცირდეს თანამონაწილეობად და ჯგუფურად (სწორედ, ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც თანამონაწილეობა და ჯგუფურობა ერთდროულადაა დროსა და სივრცეში). როგორც დანაშაულებრივი ხელყოფა ჩადენილი აბორტმასერთან ერთად და ერთდროულად, ამავდროულად, ბუნებრივია, რომ ნაყოფის ნამდვილმა მშობლებმა მოითხოვონ სისხლის სამართლის დევნის დაწყება პირველ რიგში სუროგატი ორსული ქალის მიმართ (და არა აბორტმასერთან, რომელიც მათ კრიმინალად არ მიაჩნიათ და დიდი ალბათობაა, რომ არც დააინტერესებთ), რომელმაც ჩაიდინა „სხვისი“ შვილის, არა მარტო განზრახ მკვლელობა აბორტმასერთან ერთად, არამედ დაარღვია სამოქალაქო ხელშეკრულების დადების პირობებიც. სამოქალაქო ხელშეკრულების დარღვევის საკითხი შედარებით ადვილად მოგვარებადია, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მოქმედი კანონმდებლობით შეუძლებელია და კვალიფიკაცია უეჭველად მოექცევა სამართლებრივ ჩიხში. რაც შეეხება 133-ე მუხლის „უკანონო აბორტი“ რედაქციას, რომლის არც ერთ ნაწილში არ სჩანს უკანონო აბორტის მაკვალიფიცირებელ ნიშნად:

1. „უკანონო აბორტი ჩადენილი ჯგუფურად“, მაშასადამე, უკანონო აბორტი შეიძლება ჩაატაროს ორმა ან მეტმა აბორტმასერმა (პლიუს ორსული ქალიც, როგორც თანამსრულებელი). თუმცა ზოგადი ნორმის 27-ე მუხლის „ჯგუფური დანაშაული“ რომელიმე სახის მითითება სავსებით შესაძლებელია, მაგრამ იურიდიულ ლიტერატურაში ასეთ მიდგომასთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობაა. გარდა ამისა, ამავე მუხლის 3-ე ნაწილი ბუნდოვანია - თუ კანონმდებელი სიცოცხლის მოსპობაში ვის გულისხმობს. მართალია თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უკანონო აბორტის „თვითმსხვერპლი“ ორსული ქალია და არა ნაყოფი რომლის სიცოცხლის წინააღმდეგადაცაა მიმართული ასეთი ქმედება, მაგრამ ეს პუნქტი დაკონკრეტებას საჭიროებს.

2. სასურველია კიდევ დამატებით მაკვალიფიცირებელ ნიშნად დამატოს: „უკანონო აბორტი, რომელმაც გამოიწვია ორი ან ორზე მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა“. აქ ნაგულისხმევია როგორც ფეხმძიმე ქალი, ასევე მისი ნაყოფი.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 133. აბორტი

1. უკანონო აბორტი ფეხმძიმე ან ორსული ქალის მიმართ, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ასიდან ორას ორმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი უკანონო აბორტისათვის მსჯავრდებულის ან ნასამართლვეი პირის მიერ, რამაც გამოიწვია შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ორი ან მეტი ფენხმძიმე ან ორსული ქალის მიმართ;

ბ) ორი ან მეტი ნაყოფის მიმართ;

გ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

დ) არასასურველი სქესის ან რასის ნაყოფის მოცილების მიზნით, –

აბორტირებული ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა ჯარიმით, ხოლო აბორტმახერი თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

4. ამ მუხლით 2-ე ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ფენხმძიმე ან ორსული ქალის სიცოცხლის მოსპობა, –

აბორტმახერი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

შენიშვნა: აბორტისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქალი, რომელსაც ჰყავს სულ მცირე სამი შვილი, აგრეთვე ის პირი, რომელსაც სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით, ორსულობა საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

ორსული ქალის მიერ ასეთ ჩადენილ დანაშაულზე სუბსუმციის ნიშნები აუცილებლად უნდა აისახოს 112-ე მუხლშიც, რომლის დასახელებაც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ორსული ქალის მიერ ნაყოფის აბორტის გზით ან დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა“.

1. ორსული ქალის მიერ ნაყოფის აბორტის გზით განზრახ მკვლელობა, – ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთიდან სამ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მშობიარობისას ან უმაღლეს მშობიარობის შემდეგ, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ ლოგიკური და სამართლიანი დასკვნები:

1. აბორტის გაკეთება, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, უნდა აიკრძალოს საერთოდ ან გარკვეული, დემოგრაფიული პრობლემებიდან გამომდინარე, ხანგრძლივი ვადით.

2. კანონმდებლობამ, 133-ე მუხლის ამგვარი რედაქციით დატოვების შემთხვევაში, უარი უნდა თქვას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცალმხრივობაზე, ე. ი. მხოლოდ აბორტმახერის მიმართ.

3. უკანონო აბორტის თანამონაწილეობად კვალიფიკაციასთან დაკავშირებული თეორიული ხედვები სასურველია, რომ იქნეს გათვალისწინებული, როგორც კანონმდებლობაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში. ე. ი. ამ დანაშაულისათვის დაისაჯოს ორივე ბრალეული მხარე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელი, როგორც არასდროს, ვალდებულია სასწრაფოდ მიიღოს ზომები ჯერ კიდევ დაუბადებელი და უმწიკვლო არსების სიცოცხლის უფლების დასაცავად, სწორედ ახალი სიცოცხლის ჩასახვის მომენტიდან, ასეთი მიდგომის მიზანია, ერთი მხრივ დიდი ცოდვის პრევენცია, ხოლო მეორე მხრივ მრავალ სოციალურ და ეკონომიკურ ღონისძიებებთან ერთად, უსათუოდ, ხელი შეეწყობა ქართველი ერის (და არამარტო მისი) გამრავლებას.

მრავალი ოპონენტი შეგვედავება აბორტის აკრძალვის შესახებ და გვეტყვის, რომ ეს კანონით არ უნდა დაისაჯოს, რადგან ქალის უფლებაა დაიტოვებს თუ არა ნაყოფს და სახელმწიფო მასში არ უნდა ჩაერიოს. ამ ხალხის გასაგონად კი ვიტყვით, რომ სახელ-

მწიფო არ უნდა დაელოდოს იმას, თუ როდის დავა ადამიანის შეგნებამდე, რომ მუცლის ხელოვნური მოშლა იგივე მკვლევლობაა(4). სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, როგორც დაბადებული, ისე ჯერ კიდევ დაუბადებელი ადამიანების სიცოცხლის დაცვაზე და, თუ პასუხისმგებლობა უკვე დაბადებული პიროვნების სიცოცხლის ხელყოფაზე აქვს დაწესებული, მაშინ, კეთილი ინებოს, და ჩანასახის სიცოცხლის უფლების ხელყოფაზეც დააწესოს განსაზღვრული სასჯელი. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ჩანასახული ბავშვები, თუნდაც იმის გამო, რომ მათ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ თავის დაცვა. ნუთუ სახელმწიფოს ინტერესებში არ უნდა შედიოდეს ის საკითხი, რომ ქვეყანა საშინელი დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგას? ამას ყველა აღიარებს, მაგრამ გამოსწორების გზის ძიებამდე მისვლას არ ფიქრობენ და გამოსწორდება კი საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა, თუ ისევ ასეთი სისწირით გააგრძელებენ ქართველი დედები შეილთა კვლას? სწორედ, რომ დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრას ეხმარება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღოცვა-კურთხევა იმის შესახებ, რომ ყოველი მესამე და შემდგომი ბავშვის დაბადების შემთხვევაში, თავად პატრიარქი გახდება ნათლია ხსენებული ბავშვისა. ამ წამოწყების შედეგად კი მივიღეთ ის, რომ მრავალი ბავშვი, რომლებიც შეიძლება არც კი დაბადებულიყვნენ დღეს არიან პატრიარქის ნათლულები, რომელთა რიცხვი დაახლოებით 9000-ს შეადგენს. ნუთუ არ შეიძლება რომ სახელმწიფოს მხრიდანაც იყოს რაიმე წამახალისებელი, ოღონდ სერიოზული დაპირება მშობლებისადმი ყოველი მომდევნო ბავშვის გაჩენის შემთხვევაში?

დაბოლოს, გვინდა ვთქვათ, რომ თუ კი სახარებისეულ მცნებას ერთი ადამიანი დარღვევს პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ მას ეკისრება, თუმცა თუკი სახარებისეულ მცნებათა საპირისპირო რამ სახელმწიფოს კანონი ხდება, ღვთის რისხვა მთელ ხალხს დაატყდება თავს, რათა გონს მოიყვანოს ისინი.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია აბორტის გზით სიცოცხლის უფლების ხელყოფის დაცვა ჯერ კიდევ ჩანასახის დედის წიაღში ყოფნის პერიოდში. ხელისუფლებამ ახლა, როგორც არასდროს, დემოგრაფიული პოლიტიკის უპირველეს პრიორიტეტად უნდა ცნოს აბორტისა და სუროგატობის აკრძალვა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა. ამასთანავე, სასურველია, რომ კანონმდებელმა, ავტორისეული სანიმუშო ხედვის გათვალისწინებით, მოახდინოს ზემოთ აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების მოდიფიცირება. აღნიშნულ ნორმებში დანაშაულის სწორად კვალიფიკაციისათვის, დეტალურადაა გაწერილი თანამონაწილეობითა და ჯგუფური დანაშაულით ხელყოფის სუბსუმციის ნიშნები ნაყოფის სიცოცხლის მიმართ, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა განხორციელდეს, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, ასევე პრევენციული ხასიათის ღონისძიებები.

ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული, I-ლი ნაწილი, სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბ., 2005.
2. ადამიანის უფლებათა და ღირსების დაცვის კონვენცია თბ., 2005.
3. ახალი აღთქმა, თბ., 2009.
4. ბერაძე ნ., საბაკალავრო ნაშრომი, უკანონო აბორტი, როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული, გრ. რობაქიძის უნივერსიტეტი, თბ., 2011.
5. გაგუა მ., წმინდა მამები და ეკლესია აბორტის შესახებ, საპატრიარქოს უწყებანი, №51(204), თბ., 2002.
6. დაუთაშვილი პ., წინასწარი შეცნობა და დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები, სამეცნიერო სტატია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული №3, ქ. თბ., 2012.
7. ინტერნეტ მასალები 2015წ.

8. კორკელია კ., ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაგან: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ., თ. წერეთლის სახ. სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008.
9. კენკიშვილი კ., უკანონო შვილი, კარიბჭე, იენისი, თბ., 2002.
10. რონა კ., სმიტი მ., ადამიანის საერთაშორისო უფლებები, აშშ, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
11. საქართველოს კონსტიტუცია 24.08.1995, ცვლილებებითა და დამატებებით, 2015 წლის 15 დეკემბრამდე.
12. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის 1-ლი ნაწილი. თსუ-ის ავტორთა კოლექტივი, თბ., 2011.
13. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (№2287 რს. 22.07.1999), თბ., (უახლესი რედაქციით) 2015წ.
14. საქართველო, საკანონმდებლო ორგანო, საქართველოს კანონი: ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, თბ., 1997.
15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (№786-III, 26.06.1997) 2015 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით.
16. საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, თბ., 2000.
17. სტრაისტეანუ დ., ვედერნიკოვა დ., მერდოქი ჯ., „სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად“ (მე-2 მუხლი), თბ., 2009.
18. ჩილთა ვარამი ანუ სიკვდილი დაბადებამდე, საზოგადოება, www.tabula.ge (01.05.2011).
19. ჩიკვაძე დ., 2004. აბორტის კრიმინალიზაციის შესახებ, „მადლი“, იანვარ-თებერვალი, თბ., 2004.
20. ჰანტი ე., ერნესტ ჰანტის დასკვნა, მრეველი, №5(29), თბ., 1999.

პეტრე დაუთაშვილი

სიცოცხლის უფლება და მისი აბორტით ხელყოფის გზით თანამონაწილეობად კვალიფიკაციისა და სუბსუმციის ზოგიერთი პრობლემა რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში განხილული და გაანალიზებულ იქნა აბორტის გზით სიცოცხლის უფლების ხელყოფის დაცვა ჯერ კიდევ ჩანასახის დედის წიაღში ყოფნის პერიოდში. ჩვენი მიზანია ყურადღება გაავამახვილოთ სხვა ისეთ გარემოებაზე, როდესაც სუროგატი ორსული ქალი ნაყოფის ნამდვილი მშობლების თანხმობის გარეშე იკეთებს აბორტს. ასეთი შემთხვევის კვალიფიკაციისათვის პირველ რიგში მნიშვნელობა არა აქვს ნაყოფის მიკუთვნებულობის ვინაობას და ქმედება დაკვალიფიცირდება 133-ე მუხლით „უკანონო აბორტი“. კანონმდებელი ფაქტობრივად ცნობს რა არა სუროგატი ორსული ქალის წიაღში მყოფ ნაყოფს, როგორც ნამდვილი დედის „საკუთრებას“, არ აწესებს არანაირ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნაყოფის უკანონოდ მოშორებაზე. ამასთანავე ბუნებრივია, რომ არ მოიაზრებს თანამონაწილეობის არც ერთ ფორმასა და სახეს. ე.ი. ისჯება მხოლოდ აბორტმახერი. მაგრამ მეორე რიგში, სუროგატი ორსული ქალის მიერ ჩადენილ ქმედებაში, სუბსუმციის ნიშნები, მიუხედავად კანონმდებლის ასეთი პოზიციისა, დებულებენ სულ სხვა ინტერპრეტირებას.

Petre Dautashvili

Right to Life and its Termination through Abortion and some Problems of Qualification and Subsumption of Complicity Summary

In the previous paper, there was discussed and analyzed protection of right to life from termination carried out by abortion, while the fetus is in the womb. Our aim is to direct one's attention, to the circumstance when surrogate woman aborts fetus, without real parents' consent. For qualifying such a case, first of all, it does not matter to whom a fetus belongs and the action will be qualified in accordance with Article 133 as the "illegal abortion". In fact, since the legislator recognizes non-surrogate pregnant woman's fetus as a real mother's property, he doesn't set any criminal liability for illegal abortion. Herewith, it is natural that the legislator doesn't take into consideration any form or type of complicity, i. e. only person who conducts an illegal abortion is punished. But on the other hand, in case of the action committed by a surrogate pregnant woman, the signs of subsumption take an absolutely different interpretation, despite the legislator's position.

ეკონომიკის მეცნიერებანი
Economics Sciences

ზურაბ ლობჯანიძე

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი

თამარ კვარაცხელია

ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**ნიადაგის ზღვრული წყალტევადობის მაჩვენებლების
რაოდენობრივ განსაზღვრა**

ნიადაგის აქტიური შრისათვის ზღვრული წყალტევადობის სიდიდე წარმოადგენს იმ პარამეტრს, რომელიც განსაზღვრავს მორწყვის საანგარიშო ნორმას, ჰიდრომოდულის საანგარიშო მნიშვნელობას და საერთოდ წყალმოთხოვნილების უზრუნველყოფის კრიტერიუმების შესაბამისად სარწყავი წყლის რესურსების რაციონალურ მართვას.

წყალგაცემის არსი, რომელიც წინ უძღვის პროცესის სტაბილიზაციას მდგომარეობს შემდეგში: ნიადაგ-გრუნტს შეუძლია დაიჭიროს თავის ზედა შრეებში წყლის გარკვეული რაოდენობა მოცემული თერმოდინამიკური წონასწორობის პირობებში, ისე რომ მას არ ჰქონდეს ქვედა შრეებში არსებულ ფოროვან წყალთან არც კაპილარული და არც ჰიდრაულიკური კავშირი. ეს უკანასკნელი განაპირობებს ტენიანობისა და მისი ხარისხის ცვალებადობის კანონზომიერ ტენდენციას, რაც ჰომოგენური შრეებისათვის გამოიხატება აღნიშნული მაჩვენებლების რაოდენობრივ შემცირებაში ვერტიკალზე ზემოდან ქვემოთ.

ზღვრული წყალტევადობის განსაზღვრა, მოცემული ნიადაგ-გრუნტის სახესხვაობისათვის, წარმოებს ექსპერიმენტების ჩატარების გზით წყალშემცველ ბიოენერგეტიკულ სხეულზე და გამოიხატება, აორთქლების გამორიცხვის პირობებში, პერმანენტული დინამიკური პროცესის მონაცემების შეგროვებაში წყალგაცემაზე ნიმუშის წონის მუდმივ სიდიდემდე.

აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიულ პირობებში გამოყენებული ხელსაწყოები და გაზომვების წარმოება არ ექვემდებარება ავტომატიზაციას, რის გამოც სისტემატური ცდომილებანი მაღალი რყევებით გამოირჩევა. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ჰიდრომელიორაციის დეპარტამენტში შექმნილი ხელსაწყო ავტომატური ჩამწერით (1,2), საშუალებას იძლევა სისტემატური კონტროლის გარეშე მოვიპოვოთ საჭირო მასალები ზღვრული ტენტევაადობის დასადგენად.

ზღვრული ტენტევაადობის განმსაზღვრელი წყლის კატეგორიას პირობითად მიეკუთვნება ნიადაგ-გრუნტის ფორებში არსებული წყლის ის ფორმა, რომელიც წინააღმდეგობას უწევს და არ გადაადგილდება გრავიტაციული ძალების ზემოქმედებით. ადვილი დასანახია, რომ ასეთი განმარტებანი რამდენადმე სამსჯელოს ხდის თვით წყალგაცემის პროცესის ფიზიკურ მექანიზმზე არსებული წარმოდგენის სამართლიანობას. ასევე, ცნობილია ისიც, რომ ფოროვან კაპილარული ჰიდრაულიკური სხეულების რთულ ლაბირინ-

თულ სისტემაში, მრავალრიცხოვანი „სააკუმულაციო ავზებით“ და წყალგამტარი არხების განივკვეთების არაერთგვაროვანი კონფიგურაციებით ხშირად წარმოიშობა ცალკეული ხვრელების ჩამკეტი ლოკალური საცობები, რომლებიც ზღუდავენ თავისუფალი წყლის გადაადგილებას. საჭიროა იმის მითითებაც, რომ ზღვრული წყალტევადობა, თუნდაც ერთგვაროვანი ნიადაგ-გრუნტებისათვის წარმოადგენს მისი სიმძლავრის ფუნქციას, რაც არცთუ ისე იშვიათად უგულებელყოფილია წყალტევადობის მაჩვენებლის პროგნოზირების დროს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბმული წყლის ნებისმიერი კატეგორია ფორმირებული სუსტი წყალბადით ან კიდევ ძლიერი ელექტრო-იონური კავშირებით, ყველა შემთხვევაში ამჟღავნებს გარკვეულ ანომალურ გადახრებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ამა თუ იმ ჰიდროფიზიკური პარამეტრის რაოდენობრივი განსაზღვრისას, მაშინ ცხადია ნიმუშის სიმაღლეზე დამოკიდებული თუნდაც ჰისტერეზისის მოვლენა მოითხოვს დიფერენციალურ შეფასებას, რათა ზღვრული ტენიანობა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი მელორაციული საანგარიშო პარამეტრიც დადგენილ იქნეს მაღალი საიმედოობით. ამასთან ერთად ჩვენ ვთვლით, რომ ზღვრული წყალტევადობა ძირითადად დამოკიდებულია კაპილარულ პოტენციალზე, რომელიც განსაზღვრავს ნიადაგ-გრუნტში ტენიანობის ენერგეტიკას (1,3) და ის თავისთავად არეგულირებს დაკიდული წყლის რაოდენობას. მაშასადამე ჩვენი ექსპერიმენტული მეთოდით ზღვრული ტენტევადობის განსაზღვრისას დაკვირვებას ვაწარმოებთ ნიმუშის წყალგაცემის დინამიკაზე და აორთქლების ფაქტორის უგულებელყოფის პირობებში, წონის სტაბილიზაციამდე, ფასდება ნიადაგში არსებული წყლის რაოდენობა. სპეციალურ ლიტერატურაში უპირატესად გავრცელებული შეხედულება იმის შესახებ, რომ ზღვრული ტენტევადობის განმსაზღვრელი წყლის კატეგორიას გააჩნია უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ძვრის დეფორმაციას გრავიტაციული ძალების ზემოქმედებით ეწინააღმდეგება ადსორფციის მოვლენის ფიზიკის ასეთ ინტერპრეტაციას. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ზღვრული წყალტევადობა, თუნდაც ერთგვაროვანი ნიადაგებისათვის წარმოადგენს მისი შრის სიმძლავრის ფუნქციას, რომლის უგულებელყოფა ამ პარამეტრის განსაზღვრისას იწვევს დიდ ცდომილებას და საჭირო ხდება მისი კორექტირება, რათა სრულყოფილად მოხდეს წყალგამტარობის პროგნოზირება. რადგან ჩვენ ვთვლით, რომ ზღვრული წყალტევადობა ძირითადად დამოკიდებულია კაპილარულ პოტენციალზე და სწორედ ის განსაზღვრავს დაკიდული წყლის რაოდენობას, ამიტომაც ბუნებრივი ზღვრული წყალტევადობა ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება ნიადაგების თვისებათა მაჩვენებლების ფართო გამაზე: აგრეგატული და მექანიკური შედგენილობა, სიმკვრივე, ჰიდროფილურობა, გაჯირჯევა, შთანთქმითი კომპლექსი და სხვ. ამასთან ერთად უშვებთ, რომ ზღვრული წყალტევადობა ძირითადად კაპილარული წყალტევადობის იდენტურია, რაც ნიშნავს, რომ ეს აპრიორად დამოკიდებული იქნება გეომეტრიულ მახასიათებლებზე შრის სისქის სახით. ამის გამო, როცა ვადგენთ ნიადაგ-გრუნტის ჰომოგენური შრის კაპილარულ ტენტევადობას, საჭიროა ვიცოდეთ ტენიანობის განაწილების ეპიურა ვერტიკალზე ჭრილში, რომელიც მოიცავს არც გრუნტის წყლის სარკის ზედაპირიდან კაპილარული გობის ზედა საზღვრამდე, სადაც მიღებულია, რომ ტენიანობა მაქსიმალური მოლეკულური წყალტევადობის ტოლია (1,4).

მორწყვის ესა თუ ის ტექნოლოგია მოითხოვს წინასწარ ვიცოდეთ, თუ რა რაოდენობის ტენი გააჩნია ნიადაგს, რაც განაპირობებს წყლის მიწოდების დაწყებას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: როცა მსუბუქ ნიადაგებში ტენიანობა ზღვრული ტენტევადობის 60 – 70% -ია და მძიმე თიხნარი ნიადაგებისათვის ეს მაჩვენებელი 70 – 80% -ს უდრის. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს მსუბუქი და მძიმე ნიადაგების განსაზღვრის კლასიფიკაციური ნიშანი, ამიტომაც უმჯობესია გრადაცია მოხდეს კაპილარული წყალგამტარობის მიხედვით. ხშირად ტენიანობის სიდიდე საშუალებას არ იძლევა განსაზღვროთ პროდუქტიული წყლის მარაგი აქტიურ შრეში, რადგან არა მარტო წყლის საერ-

თო რაოდენობა, არამედ წყლის ის კატეგორია შეიძლება ჩაითვალოს გამოსაყენებლად, რომლის შემწოვი აწევის ძალა 15 ბარზე ნაკლებია. ასევე უნდა განისაზღვროს წყალმოთხოვნილების პარამეტრიც არა მხოლოდ წყლის რაოდენობით, არამედ წყალჰაეროვანი ფაქტორით, ხოლო ეს უკანასკნელი განისაზღვრება ტენიანობის ხარისხის მაჩვენებლით.

ლიტერატურა:

1. ლობჯანიძე ზ., ზედაპირული მორწყვის დროს ნიადაგ-გრუნტების წყლისმიერი ეროზიის პროგნოზი. მონოგრაფია, თბ., 2009.
2. მასალები ვებ გვერდებიდან: <http://www.sida.se>, <http://www.awwa.org>, <http://www.epa.gov>, <http://www.iah.org>, <http://duke.usask.ca/~deboer/icce/>
3. Аверьянов С. Ф. – Фильтрация из каналов и её влияние на режим грунтовых вод. „Колос,, М.,1990 г. ст. 237.
4. Мичурин М.М. – Энергетика почвенной влаги. Госметеиздат, Ленинград, 1991 г, ст.180.
5. Омсараშვილი Г.Г. , Сахვაдзе А.Л. – Экспериментальное определение капиллярного потенциала и набухаемости почво-грунтов. Научные труды, Груз. СХИ, Тбилиси, 1995г. ст. 193-199.

**ზურაბ ლობჯანიძე, თამარ კვარაცხელია
ნიადაგის ზღვრული წყალტევადობის მაჩვენებლების
რაოდენობრივი განსაზღვრა
რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ზღვრული წყალტევადობის მაჩვენებლის რაოდენობრივი განსაზღვრის თეორიულ – ექსპერიმენტული ასპექტი ნიადაგ-გრუნტის მოცემული შრის სიმძლავრის გათვალისწინებით. დასაბუთებულია, რომ წყალმოთხოვნილების შეფასების კრიტერიუმში საჭიროა დაეფუძნოს ტენიანობის ხარისხის მახასიათებლებს.

**Zurab Lobzhanidze, Tamar Kvaratskhelia
The Quantitative Determination of Water Capacity Indices
Summary**

The paper discusses theoretical-experimental aspect of a quantitative determination of water **capacity indices** taking into account a power of the given layer of soils. It has been substantiated that water demands assessment criteria should be based on humidity of quality characteristics.

გულთაზ ლაბარტყავა
ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი

საქართველოს საბანკო სისტემის პრობლემები და პერსპექტივა

საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების პროცესში წარმოდგენილია შესაბამისი ეფექტიანი საბანკო სისტემის გარეშე. დასახული მიზნის წარმატებით განხორციელება შესაძლებელია ამ სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზით. აღნიშნული საკითხის აქტუალობა, ბუნებრივია. მის ეფექტიანობაზე ბევრად დაძვირებული მთელი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა და პირიქით. ამ აქსიომური ჭეშმარიტების გათვითცნობიერება არ გვაძლევს შესაძლებლობას, სამართლიანობის ფარგლებში, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვთქვათ, რომ საბანკო რეფორმა ჩვენთან ყველაზე წარმატებული გამოდგა.

საბანკო რეფორმა ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა, ბანკების ნაციონალიზაციით დაიწყო და არა პრივატიზაციით, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. საქართველოში არსებული ყველა საბანკო დაწესებულება, რომელიც მანამდე საბჭოური სისტემის ცენტრალიზებული ბანკების კანტორებს ან ფილიალებს წარმოადგენდნენ, საქართველოს დამოუკიდებლად აღიარების შემდეგ, ქვეყნის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის გარდა, ყველა სხვა ბანკი სახელმწიფო კომერციულ ბანკად გარდაიქმნა. ეს ბანკები იყო:

1. სახელმწიფო ბანკი;
2. სამრეწველო-სამშენებლო ბანკი;
3. აგროსამრეწველო ბანკი;
4. ბინსოცბანკი;
5. შემნახველი ბანკი;
6. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკი.

ამგვარი საბანკო სისტემის არსებობა, ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა ნამდვილად მისასაღებელი იყო, თუ მისი ეფექტიანი ფუნქციონირება იქნებოდა უზრუნველყოფილი. სახელმწიფო გამოდიოდა ქვეყანაში არსებული ბანკების 100%-ის სრული მესაკუთრე. ამ პერიოდში, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. თუმცა, არაგონივრული რეფორმების შედეგად აღნიშნული სახელმწიფო კომერციული ბანკები, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ პრიორიტეტულ დარგებს, შესაბამის სამინისტროებთან ერთად, სამწუხაროდ, დღეს არ არსებობენ. ეს გარემოება ქვეყანაში არსებითად აფერხებს ეკონომიკის განვითარებას, აქტიური ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანად გატარებას. მართლაც დიდი კურიოზია, აღნიშნული ბანკები და შესაბამისი მატერიალური წარმოების დარგების სამინისტროები, რომ არ გვქონოდა უნდა შეგვექმნა, გვქონდა და გავაუქმეთ.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ მოითხოვა და ხელი შეუწყო კერძო კომერციული ბანკების წარმოშობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბანკების ქსელი ქვეყნის მასშტაბით ძალიან ბევრი იყო (229), იგი მაინც ვერ აღმოჩნდა კონკურენტუნარიანი იმ მსხვილ კომერციულ ბანკებთან შედარებით, რომლებიც სახელმწიფო კომერციული ბანკებიდან წარმოიშვნენ. საგულისხმოა, რომ მათ შორის კონკურენციის თანაბარი პირობები არ არსებობდა. სახელმწიფო კომერციულ ბანკებში სახელმწიფო წილის მთლიანი გასხვისება, რაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების კატეგორიული მოთხოვნით განხორციელდა, ერთხელ კიდევ მიანიშნებდა იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა კვლავ ერთგვარი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. დამოუკიდებლობის ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად ჩვენ ყოველთვის ვაღიარებდით იმ გარემოებას, რომ საქართველო გამოვიდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სის-

ტემიდან, მაგრამ ამავე დროს ვერ გავითვალისწინეთ ის, რომ იგი სამაგიეროდ შევიდა სხვა, ახალ, არანაკლებ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაში, რაც ჩვენს ქვეყანას მეტისმეტად ძვირი უჯდება. ასეთ სიტუაციაში, იგი ფაქტობრივად თანდათანობით კარგავს მოპოვებულ ნანატრ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

დაკვირვება და ანალიზი გვიჩვენებს, რომ თავდაპირველად საბანკო სისტემის რეორგანიზაციის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ დარგობრივ სპეციალიზებულ ბანკებს მიეცა, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი დაკრედიტების უფლება, სახელმწიფო ბანკებმა შეინარჩუნა საემისიო, საანგარიშსწორებო და საკონტროლო ფუნქციები. ასეთ რეორგანიზაციას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. საკრედიტო სისტემის გარდაქმნამ გააღრმავა მხოლოდ მისი ნაკლოვანებები. სახელდობრ, სახელმწიფო ბანკის ყოფილი განყოფილებები არსებითად აგრომრეწვბანკის სისტემაში აღმოჩნდა და შეუდგა უნივერსალური ბანკის ფუნქციების შესრულებას. ეს განყოფილებები ფორმით სპეციალიზებული, შინაარსით კი უნივერსალური გახდა. საბანკო სისტემის რეორგანიზაციით შეიცვალა მხოლოდ საბანკო სისტემის ორგანიზაციული ფორმა. იგი არ შეხება მის არსს, საბანკო საქმეში მონოპოლიურ მდგომარეობას.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში რეფორმირების კომპლექსურ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკრედიტო-საბანკო რეორგანიზაციას. მიღებულ იქნა კანონები საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ. ამ კანონების მიხედვით ქვეყნის ტერიტორიაზე ბანკებს მიეცა თანაბარ პირობებში ფუნქციონირების საშუალება. თუმცა ბანკების საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. კომერციულ ბანკებში მენაბრეთა უფლებამოსილების უგულებელყოფა, ერთდროულად იყო, როგორც ანტიკონსტიტუციური, ასევე კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. ცხადია, ასეთ პირობებში ყოველად შეუძლებელია მომწიფებულები კომერციული ბანკების გაერთიანების საკითხი.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო და კომერციული ბანკის ხელმძღვანელი ანაბრების გაუფასურებასა და კონფისკაციას, საბჭოთა კავშირის საბანკო სისტემისა და მისი ფულადი ერთეულის – „მანეთის“ ლიკვიდაციას უკავშირებს. ამგვარი მსჯელობა დასაწყისშივე მცდარია და მას არავითარი კავშირი არა აქვს რეალობასთან და სამართლიანობასთან. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ საანაბრო თანხები უძრავ და გაყინულ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. იგი საბანკო კრედიტების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით ფულად-საკრედიტო და საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობაში ანაბრების როლი განუსაზღვრელია. გიგანტური მასშტაბის აღმშენებლობითი პროცესები, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარეობდა, ძირითადად 80%-ზე მეტი ანაბრების ხარჯზე ხორციელდებოდა. ამდენად ეს ანაბრები თავის დროზე, ფაქტობრივად რეალიზებული და მატერიალიზებულია. მსჯელობა იმის შესახებ, რომ აღნიშნული ანაბრები ბანკის საკუთრება არ იყო, ბანკები მხოლოდ საღაროს ფუნქციებს ასრულებდნენ და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა მისი ანულირება, მხოლოდ არაკანონიერი მსჯელობა და აბსურდია. საგულისხმოა, რომ ანაბრები საბჭოთა კავშირმა ვალებში ჩაუთვალა საქართველოს მთავრობას, სხვანაირად იგი ამ ანაბრებს შიდა ვალში ვერ აიღებდა და მის ვითომ ინდექსაციაზე ვერ იფიქრებდა. ამგვარად, საბოლოოდ განსაზღვრული ანაბრების 502 მილიონი ლარის შიდა ვალში აღება და მისი დაფარვა უნდა მომხდარიყო, როგორც წესი, დაუყოვნებლივ საერთო მოქმედი წესების დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში მაინც. ამით მოსახლეობას რეალური შესაძლებლობა მიეცემოდა საკუთარი წყაროებით გადასულიყო ახალ საბაზრო ეკონომიკაზე, გამხდარიყო მცირე და საშუალო ბიზნესის მესპატრონე და თავი დაეღწია სავალალო სიდატაკისაგან. ამით დიდად მოიგებდა სახელმწიფო, მოსახლეობა, საბანკო დაწესებულებები და ეკონომიკაც. ამგვარად ჩვენ რეფორმების გზას ხელოვნურად ავცდით და გამოუვალ ჩიხში მოვქექ-

ცით. ანაბრების ანაზღაურება და „ნდობის კრედიტის“ აღდგენა, ეს იყო ყველაზე რეალური საშუალება ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების რეალიზაციისათვის. ამის შემდეგ დაიწყო ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ფინანსური და სხვა კრიზისები.

ცნობილია, რომ პრივატიზაცია საქართველოში არასწორად ჩატარდა, ხოლო საბანკო სისტემაში კი-ყოველგვარი კანონიერებისა და სამართლიანობის გარეშე. ასე მაგალითად, საქართველოში ქარხნებისა და ფაბრიკების პრივატიზაცია იმ ვალებთან ერთად მოხდა, რაც მათ გააჩნდათ. ბანკების პრივატიზაცია კი განხორციელდა ყოველგვარი საანაბრო დავალებებისა და სხვა ვალების გარეშე. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პრივატიზაციის პრინციპების დარღვევას. გარდა ამისა, ბანკები ხშირად კრედიტებს აძლევდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებს მაღალ საპროცენტო განაკვეთებში, მოკლე დროით, დაკრედიტების პრინციპების დაუცველად. ხელოვნურად იქმნებოდა ყველა პირობები იმისათვის, რომ კრედიტის დაფარვა არ მომხდარიყო ვადაზე. გარანტად კი გამოდიოდა მთავრობა, იმ სახელმწიფო აქციების სახით, რომელიც მათ ეკუთვნოდა, როგორც წილი. ამის გამო სახელმწიფო აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადადიოდა კრედიტორი ბანკების ხელში, ბარბაროსულ პირობებში გაცემული კრედიტის სანაცვლოდ. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საპრივატიზაციო ბანკების ქონების შეფასება ხდებოდა მინიმალურ ფასებში, ყოველგვარი ვალების გაუთვალისწინებლად, სახელმწიფო აქციების პაკეტის იოლად გამოსყიდვის, დაუფარავი კრედიტებისა და ვაუნერების საფუძველზე. ამდენად, ცალკეული სუბიექტების ინტერესების დაცვა მოხდა სახელმწიფოს, მოსახლეობის ანაბრებისა და ფასიანი ქაღალდების მეპატრონეთა ინტერესებისა და სამართლიანობის გაუთვალისწინებლად. ამგვარად, ბანკებს პრივატიზაციისათვის ყოველგვარი შეღავათიანი და არაკანონიერი ხელშემწყობი პირობები ჰქონდათ ჩამოყალიბებული, სხვა საწარმოებისაგან განსხვავებით. საგულისხმოა, რომ ბანკებმა თითქმის ყველაფერი ხელში ჩაიგდეს არაკანონიერად და ჩაღის ფასად. მოლაპარაკებები და გადაწყვეტილებები მიიღებოდა კულისებში, ფარდის მიღმა, კაბინეტებში და ოჯახურ სიტუაციებში. საკანონმდებლო და სამართლებრივი ორგანოები უკვე დროა დაინტერესდნენ ამ ფაქტებით და აღიარონ იგი საუკუნის თაღლითობად.

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე ეფექტიანად გადასვლის მიზნით უნდა შემუშავებულიყო ახალი საბანკო წესრიგი. ადგილი არ უნდა ჰქონოდა სახელმწიფოს და მოსახლეობის ქონების დატაცებებს; შეანაბრები და ფასიანი ქაღალდის მფლობელები უნდა ყოფილიყვნენ პრივატიზაციის დროს პირველი აქციონერები, მაშინ ქვეყანა თავისუფლად მოახერხებდა ახალ საბაზრო ეკონომიკაზე ეფექტიანად გადასვლას, ბანკები არ იქნებოდა ეკონომიკური რეფორმის „წარმატებული“ გამონაკლისი სუბიექტები. ნორმალურ სიტუაციაში, როგორ შეიძლება ბანკები წარმატებულად აღწევდნენ, ქვეყნის ეკონომიკა და მოსახლეობის უმრავლესობა კი სასიკვდილო სარეცელზე იყოს. ანაბრების გაუფასურებაში მხოლოდ ბანკებია დამნაშავე. ამ საქმეში ღომის წილი ეკუთვნის ასევე საქართველოს ეროვნულ ბანკს (სამწუხაროდ, ეს სახელი მას ჩემი ინიციატივით დაერქვა) თავისი საზედამხედველო სამსახურით, რომელიც ხელოვნურად იცავს ქვეყანაში ეროვნულ ვალუტას ინფლაციისაგან და ვითომ, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით ხელს უწყობს ქვეყანას გამოვიდეს მწვავე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისიდან. სინამდვილეში ყველაფერი პირიქით ხდება.

საბანკო სისტემამ თავისი განვითარების მეტად საინტერესო და რთული გზა განვლო. ამჟამად გლობალური ეკონომიკა და ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია საბანკო სისტემის გარეშე. ბანკები თითოეული ჩვენგანის ცხოვრების ნაწილია. იგი უზრუნველყოფს ეკონომიკისა და ადამიანების სიცოცხლისუნარიანობის ეფექტიანობას. სამწუხაროდ, დღესაც კი ჩვენს ქვეყანაში, ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიერ, ბოლომდე არაა გაცნობიერებული საბანკო სისტემის როლი და მნიშვნელობა ეკონომიკისა და ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

საბანკო სისტემა ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მის საქმიანობას არ გააჩნია გეოგრაფიული საზღვრები. ბანკები-ესაა დეფიციტური ფულადი რესურსების გადანაწილების აქტიური მექანიზმი ფულადი სახსრების მქონე სუბიექტებიდან იმათკენ ვინც მას საჭიროებს. ამგვარად, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ფინანსები და კრედიტები, არა მარტო მონათესავე დარგებია, არამედ ერთი მედლის ორი ნაწილია და ერთმანეთთან პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია. ძლიერი ფინანსები, ძლიერ და მოქნილ საკრედიტო სისტემას ნიშნავს და პირიქით. მსოფლიოს მეურნეობის გლობალიზაციის პირობებში ბანკები არა მარტო მშვიდობიანად იპყრობენ მას, არამედ მისი ეკონომიკის მშვიდობიან განვითარებასაც განაპირობებენ.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმის-კრედიტის გამოყენებაში შეიმჩნევა შემდეგი თავისებურება: განვითარებულ ქვეყნებში დაბალი სარგებლის განაკვეთის გამო, სასესხო კაპიტალი თავისი დაბანდების ახალ გზებს ეძებს, რომელსაც იგი განვითარებად ქვეყნებში პოულობს. ეს გარემოება, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს გლობალურ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. განვითარებად ქვეყნებში ბანკები და კრედიტორები საპროცენტო განაკვეთების კაბალური ხასიათის გამო, ვამპირების როლში გამოდიან. ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ ამ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი სათანადოდ არ ვითარდება, დიდია უმუშევრობა და სიღატაკე. ირდევვა საბანკო საქმიანობის ფუძემდებლური პრინციპი, კლიენტსა და კრედიტორს შორის პარტნიორობის შესახებ. მათ შორის არ მყარდება ეფექტიანი ეკონომიკური ურთიერთობა.

თავს იჩენს კაპიტალის მგლური ბუნება, რაც გამოიხატება მაქსიმალური მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიღებაში. ამიტომაც ასეთი კრედიტები სავაზშო ხასიათს ატარებს. ამ კრედიტებს მსესხებლები იყენებენ არა მოგების მიღების მიზნით, არამედ სიძნელების დასაძლევად, ხშირად ჯანმრთელობის შესანარჩუნებლადაც კი. ამგვარი გარემოება შესაძლებლობას აძლევდა კრედიტორ-მევახშეს, გამოუღალ მდგომარეობაში ჩავარდნილ მსესხებლებზე სარგებლის მაღალი განაკვეთები დაეწესებინა. ასევე საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთები კრედიტის ფასს ზრდის და ამასთანავე ხელს უწყობს მისი მსყიდველობითი უნარიანობის დაქვეითებას. ადგილი აქვს კრედიტის, როგორც საკრედიტო ფულის ინფლაციას, რაც ასევე პირდაპირ განაპირობებს და ხელს უწყობს საერთოდ ფულის ინფლაციას. აღნიშნული გარემოება კრედიტის ახალი თეორიის საფუძველი შეიძლება გახდეს. ანალიზი გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთები კრედიტებზე, მით უფრო მაღალია ფულის ინფლაცია. კრედიტზე საპროცენტო განაკვეთების მატება ფასების საერთო მატებას განაპირობებს. საგულისხმოა, რომ ისევე როგორც საერთოდ ფული, კრედიტიც ექსპლუატაციის ფორმაა. ამიტომაც კრედიტის ფუნქციებში ჩვენ შეგვიძლია კორექტირება შევიტანოთ. რაც შეიძლება ერთგვარ სიახლედ ჩაითვალოს. დღეს ბანკები ლიკვიდურია იმის გამო, რომ კრედიტის გაცემის დროს მაღალ საპროცენტო განაკვეთებს ღებულობენ. ამიტომაც ბანკებს აქვთ ძალიან დიდი შემოსავლები, თუმცა, ისინი ბიუჯეტში სამწუხაროდ, შესაბამის გადასახდელებს არ იხდიან.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საჭირო და აუცილებელია თავისუფალი ფულადი სახსრების სტრუქტურის სრულყოფა. ასე, მაგალითად, დროებით თავისუფალი ფულადი რესურსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს ინვესტიციური სახსრები, როცა კაპიტალური დაბანდებები ხორციელდება ბიუჯეტის ხარჯზე. იგივე შეიძლება ითქვას კერძო ბინათმშენებლობის საკუთარ სახსრებზე. ეს დროებითი თავისუფალი ფულადი სახსრები, როგორც კრედიტის წყარო, კვლავ შედის სამეურნეო ბრუნვაში, აღწარმოების მომსახურების მიზნით.

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში საკრედიტო ოპერაციებმა ისეთი მასშტაბები და მნიშვნელობა მიიღო, რომ საჭიროა მათი რეგულირების გააქტიურება. ახლად მიღებული საკანონმდებლო აქტები, უმთავრესად არაა მიმართული კლიენტების ინფორმაციის დონის ამაღლების, მათი სამოქალაქო უფლებების დაცვისა და კრე-

დიტის გაცემის დროს ბანკების უფლებათა ბოროტად გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობების გამორიცხვის უზრუნველსაყოფად.

ამჟამად ნაკლები ყურადღება ექცევა ბანკების სანაციას. ამის გამო, უკანასკნელ წლებში წვრილი ბანკების ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა და ზოგიერთი მათგანი კიდევ აღიგავა პირისაგან მიწისა. ასე, მაგალითად, საქართველოში 229 ბანკიდან დარჩა მხოლოდ 20 ბანკი. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ არსებითად უნდა შეიცვალოს საბანკო პოლიტიკა და დაიწოს საბანკო სისტემის თანმიმდევრული გაჯანსაღების პროცესი. ეს კამპანია უწინარესად აუცილებელია განხორციელდეს არაგამჭვირვალე ბანკების მიხედვით, რომელთა უმეტესობას აქვთ ნახევრად კრიმინალური ბუნება. ეს იწვევს საბანკო სექტორისადმი ნდობისა და მდგრადობის, ასევე ინვესტიციური მიმზიდველობის შემცირებას, ქვეყნის მასშტაბით ანგარიშსწორება, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს მხოლოდ ეროვნული ვალუტის ლარის მიხედვით. ამიტომაც, კრედიტის გაცემა ბანკებიდან მიზანშეწონილია განხორციელდეს მხოლოდ ლარებში. ბუნებრივია, ეს გარემოება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქვეყნის მიხედვით დოლარიზაციისა და ინფლაციის აღმოფხვრას, ასევე ლარის მსყიდველობითი უნარიანობის ამაღლებას. საგულისხმოა, რომ მოსახლეობას საქართველოში, როგორც წესი, შემოსავალი აქვს მხოლოდ ლარებში, ამიტომაც ყველაფერზე ანგარიშსწორება უნდა ხდებოდეს ლარებში. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ფულის ბაზრის განვითარებას და სრულყოფას. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მანქანების, სახლებისა და სხვა უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა ხდება დოლარებში, ევროში და ა.შ. ასეთი ქმედება ეროვნული ვალუტის მსყიდველობით უნარიანობაზე ძალიან უარყოფითად მოქმედებს.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის მიხედვით ადგილი აქვს ადრე მიღებული კრედიტის დაფარვას ახლად მიღებული კრედიტით. ეს პრაქტიკა ცხადყოფს მოსახლეობის არაგადახდის უნარიანობას და მის ზრდას.

საბანკო სისტემის ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული საბანკო სისტემის გამსხვილებაზე. იგი განხორციელდა მინიმალური საწესდებო კაპიტალის გადიდების გზით. ასეთმა ქმედებამ ფაქტობრივად გამოიწვია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. სახელდობრ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბანკები არ დარჩა, შესაბამისად არ განვითარდა მცირე და საშუალო ბიზნესი.

საბანკო სისტემის გაუმჯობესება, საერთოდ მოითხოვს საბანკო პოლიტიკის სრულყოფას შემდეგი სამი მიმართულებით: გაიზარდოს საწესდებო კაპიტალის მოცულობა, გაძლიერდეს ზედამხედველობა და სრულყოფილი გახდეს საბანკო მენეჯმენტის როლი.

საქართველოში ფინანსური ბაზრის განვითარებას თან სდევდა ახალი ფინანსური ინსტიტუტების წარმოშობა. შესაბამისად იცვლებოდა თამაშის წესებიც. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ეტაპობრივად ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი პრუდენციული ცვლილებები, თანდათანობით ხდებოდა მთელი ფინანსური სექტორის საქართველოს ეროვნული ბანკისათვის დაქვემდებარება. თავდაპირველად სებ ახდენდა მხოლოდ კომერციული ბანკებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ზედამხედველობას, ხოლო 2002 წლიდან ჯერ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საკრედიტო კავშირების, 2006 წლიდან კი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მოექცნენ სებ ზედამხედველობის ქვეშ.

მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ცვლილებები სებ უფლებამოსილების გაზრდის მიმართულებით განხორციელდა ბოლო წლების განმავლობაში, როცა მისი ზედამხედველობის ქვეშ მოექცა ჯერ სადაზღვევო და ფასიანი ქაღალდების (2007წ.), ბოლოს კი, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის (2009წ.) ბაზრის მონაწილეები. საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს სებ-ის ზომაზე მეტ ხელისუფლების ცენტრალიზაციას მოასწავებდა.

ამის გამო ეროვნულმა ბანკმა თავი ვერ გაართვა მის წინაშე მდგომ მისიას. ამიტომაც იგი აუცილებელ რეორგანიზაციას საჭიროებს.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბანკო სისტემაში არსებული პრობლემების უმთავრესი მიზეზია ფინანსური მენეჯმენტის არასრულყოფილება. ამჟამად საქართველოში იგრძნობა ბანკის ფინანსური მართვის დაბალი დონე. საზღვარგარეთის ფინანსური სისტემები არსებითად განსხვავდება საქართველოს საბანკო სისტემისაგან. ასე მაგალითად, აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის გამოცდილების გავრცელება საქართველოს ბანკებზე მოითხოვს სერიოზულ ადაპტაციას, რამდენადაც სამამულო საბანკო სისტემა არსებითად განსხვავდება აშშ-ს სისტემისაგან იმით, რომ იგი აგებულია ტერიტორიულ და არა ეკონომიკური დარაიონების პრინციპებზე.

ბანკში ფინანსური მენეჯმენტის მთავარი თავისებურება განპირობებულია იმით, რომ კომერციული ბანკი-ესაა ერთადერთი ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც სისტემურად მართავს ფულის ყველა ფუნქციას და ამ თვალსაზრისით წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის პირველად რგოლს. ამასთანავე ფინანსური მენეჯმენტის შინაგანი ბუნება კომერციულ ბანკებში - ესაა ფინანსური ურთიერთობების ერთობლიობა.

საბანკო მენეჯმენტი, როგორც მართვის განსაკუთრებული ხელოვნება, მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში აღმოცენდება. სამწუხაროდ, საბაზრო ეკონომიკა ჩვენში სათანადოდ ვერ განვითარდა. ამიტომაც საბანკო ოპერაციები არ გაფართოვდა და ამაღლდა განვითარებული ქვეყნების ბანკების დონემდე. ამ მომსახურებაში შედის ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, საკრედიტო ბარათებით, ვალუტით; ასევე, ეკონომიკური დახმარება და აქციების განაწილება სხვა ბანკებისა და კომერციული სტრუქტურების მიხედვით და სხვ.

საბანკო სისტემის ეფექტიანად წარმართვაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის სტრატეგიულ დაგეგმვას. იგი ის რგოლია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ამოწეულ იქნეს მთელი საბანკო სისტემის ჯაჭვი, მცირე და საშუალო ბანკების ჩათვლით. მთავარია სტრატეგიული დაგეგმვა გამოვიყენოთ გონივრულად და ეფექტიანად.

ამასთან არ შეიძლება დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ბანკები არ არსებობენ ეკონომიკის მიღმა და მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მის მდგომარეობას. საგულისხმოა, რომ ეკონომიკა უყენებს ბანკებს სულ უფრო მეტ სერიოზულ მოთხოვნებს. ნებისმიერი ბანკის მომავალი პირდაპირ და უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურად პასუხობს ბანკის მოქმედება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. ამ კითხვებზე სწორი და დროული პასუხები ბანკების მთავარი ამოცანაა და მათი წარმატების საწინდარია. სტრატეგიული დაგეგმვა სულ უფრო აქტუალური ხდება ჩვენი ქვეყნის ბანკებისათვის. ისინი მკაცრ კონკურენციაში იმყოფებიან, როგორც ერთმანეთთან, ასევე უცხოურ ბანკებთან.

ამჟამად, ბანკი კლიენტს სათანადოდ ვერ იცავს. ამიტომაც, მიზანშეწონილია შემოდებულ იქნეს საბანკო ომბუდსმენის ინსტიტუტი. ამის საჭიროება ეროვნული ბანკის უფუნქციობამ გააჩინა. ეს ინსტიტუტი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს და სრულებით არ უშლის ხელს ამ ქვეყნების ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკებს ფუნქციების შესრულებაში. ეროვნულ ბანკს მეანაბრის ინტერესების დაცვა ეკისრება, მაგრამ არბიტრის ფუნქციას ბანკსა და კლიენტების ნებისმიერ დავაში იგი ვერ შეასრულებს. ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება სასარგებლო იქნება საბანკო მომსახურების საერთო კულტურის ასამაღლებლად და ზოგადად კლიენტურის ინტერესების დასაცავად.

საქართველოს ეკონომიკისათვის უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მდგრადი, საიმედო და საბაზრო პრინციპებზე ორიენტირებული ეფექტიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას. საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესის მნიშვნელოვანი რგოლია. ამასთან, საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის დეპოზიტების დაზღვევის სისტემას განსაკუთრებული პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. საბანკო ანაბრე-

ბის ზრდა საკრედიტო პოტენციალის ამაღლების საწინდარია. ამ სფეროში წარმატებები დიდადაა დამოკიდებული დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მოწესრიგებაზე. ამჟამად ანაბრების დაზღვევის სისტემა ამა თუ იმ ფორმით ფუნქციონირებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. იგი საბანკო სისტემის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. დასავლეთში დეპოზიტების დაზღვევის სისტემამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო და იგი საკრედიტო რესურსების უზრუნველყოფის საიმედო გარანტი გახდა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა – ესაა ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია დეპოზიტების დაცვისაკენ და უზრუნველყოფს მათ გარანტირებულ დაბრუნებას მთლიანი ან ნაწილობრივი მოცულობით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბანკო აღმკვეთ წინასწარ ღონისძიებებში უმთავრესი ადგილი სწორედ დეპოზიტების დაზღვევის სისტემას უკავია, რამდენადაც იგი უფრო ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე სისტემური საბანკო კრიზისის შედეგების გამოსწორება. რადგანაც ფონდებში აკუმულირებული სახსრები არასაკმარისია საბანკო სისტემის გადასარჩენად, დეპოზიტების დაზღვევა ამცირებს დაუსაბუთებელი კრიზისის გამო სიცოცხლისუნარიანი ბანკების გაკოტრების რისკს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი განვითარებისათვის დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოდებას უადრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემა უკვე დანერგილია აღმოსავლეთ ევროპის ყველა პოსტსოციალისტურ და ყოფილ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში. დაზღვევის სისტემის არსებობა აუცილებელია საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისათვის. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებისა და მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენების სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად. ამდენად, უცხოეთში არსებული დაზღვევის სისტემის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლას და მათ საქართველოში დანერგვას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. გასაგებია, რომ არასაკმარისია უბრალოდ გამოვაცხადოთ ახალი საკრედიტო ინსტიტუტების შექმნა. ძირითადად უნდა შეიცვალოს საბანკო სექტორის შიდა ურთიერთობების მთელი სისტემა, ბანკებისა და მათი კლიენტების ურთიერთობის პრინციპები, ბანკების მუშაკთა ფსიქოლოგია, ბანკის ახალ მოსამსახურეებს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პროფესიული განათლება, რომ იაზროვნონ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, იყვნენ ინიციატივიანი და რისკიანი. ამასთან, აუცილებელია საზღვარგარეთის პრაქტიკის გონივრული შესწავლის საფუძველზე ადვალდინოთ საკრედიტო დაწესებულებების რაციონალური ფუნქციონირების პრინციპები, რომელიც მიღებულია ცივილიზებულ მსოფლიოში და მოიცავს საბაზრო ფინანსური სტრუქტურის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას.

ლიტერატურა:

1. კაკულია რ., ბახტაძე ლ., კანდელაკიშვილი ლ., საბანკო საქმე, თბ., 2010.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმეთეორია და პრაქტიკა, თბ., 2014.
3. ლაბარტყავა გ., საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების პერსპექტივები. საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის სსკ. თბ., 2010.
4. ლაბარტყავა გ., ანაბრები ეროვნული ეკონომიკის სასიცოცხლო არტერია, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ., 2011, №4.
5. პაპავა ვ., საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები, თბ., 2015.
6. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.
7. საქართველოს კანონები ბანკების შესახებ, თბ., 1991.
8. საქართველოს საბანკო კანონმდებლობა, თბ., 2003.

გულთაზ ლაბარტკავა
საქართველოს საბანკო სისტემის პრობლემები და პერსპექტივა
რეზიუმე

საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების პროცესში შესაბამისი საბანკო სისტემის გარეშე წარმოდგენილია. მის ეფექტიანობაზე ბევრად და მოკიდებული მთელი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო პრობლემების აღმოფხვრას განსაკუთრებული პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. საბანკო რეფორმა ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა, ბანკების ნაციონალიზაციით დაიწყო. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ ხელი შეუწყო კერძო კომერციული ბანკების წარმოშობას. საბანკო სფეროში სახეზეა საკრედიტო რესურსების დეფიციტი, რასაც ხელი შეუწყო მოსახლეობისათვის საბჭოთა პერიოდის ანაბრების დაუბრუნებლობამ და “ნდობის კრედიტის“ დაკარგვამ. პრივატიზაცია საქართველოში, განსაკუთრებით კი საბანკო სფეროში, არაკანონიერად ჩატარდა. ბანკების პრივატიზაცია განხორციელდა საანაბრო ვალდებულებისა და სხვა ვალდებულების გათვალისწინების გარეშე. მეანაბრეები და ფასიანი ქაღალდების მფლობელები, პრივატიზაციის დროს ვერ გახდნენ პირველი აქციონერები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მიზნით არ შემუშავებულა ეფექტიანი ღონისძიებები ახალი საბანკო წესრიგის უზრუნველსაყოფად. კრედიტის სარგებლობისათვის კვლავ მაღალია საპროცენტო განაკვეთები. ამის გამო ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესი არ ვითარდება. თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია თავისუფალი ფულადი რესურსების სტრუქტურის სრულყოფა. ყურადღება არ ექცევა ბანკების სანაციას. ქვეყნის მასშტაბით ანგარიშსწორება არ ხდება მხოლოდ ეროვნული ვალუტის მიხედვით. ასევე მიზანშეწონილია ბანკებიდან კრედიტის გაცემა მოხდეს მხოლოდ ლარებში. ეს გარემოება ხელს შეუწყობს დოლარიზაციისა და ინფლაციის აღმოფხვრას, ასევე განაპირობებს ფულის ბაზრის განვითარებას. აუცილებელია შემოღებულ იქნეს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა და ომბუდსმენის ინსტიტუტი. საბანკო სისტემის გაჯანსაღებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწესდებო კაპიტალის ზრდას, გაძლიერდეს ზედამხედველობა და სრულყოფილი გახდეს საბანკო მენეჯმენტი. პერსპექტივაში საბანკო სისტემა, შესაბამისი ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების შედეგად, იმედია თავს გაართმევს მის წინაშე მდგომ ამოცანებსა და ფუნქციებს.

Gultaz Labartkava
Problems and Perspectives of Georgian Banking Sector
Summary

The integration of Georgia into world economic development process without banking system is impossible. Its effectiveness is based on the revival of country economy. In the conditions of market economy the elimination of banking problems is attached special priority. Initially, the banking reform in the country commenced with the nationalization of banks. The market economy provided incentive for the creation of commercial banks. The banking sector experiences the deficit of credit resources entailed by the fact that deposits of Soviet period were not returned and subsequently the banks lost the trust.

Privatization in Georgia, especially in banking sector, was not quite legal. The banks were privatized without envisaging deposit commitment and other debts. People holding deposits and owning financial securities did not become the shareholders during privatization. The effective measures for establishing the new banking order were not developed. The interest rates of credits are still high. As a result the SME businesses do not develop. At this stage, the structure of free financial resources shall be improved. The attention is not paid to the sanitation of banks. The transactions are not conducted only in the national currency. Also it is advisable to issue credits only in Lari. This will be precondition for the elimination of transactions in USD and inflation. Subsequently the financial market will develop. It is important to introduce the insurance system for deposits and also the institute of ombudsman. For the sound functioning of banking system the special attention shall be paid to the increase of authorized capital, strengthening of supervision and improvement of banking management. In the perspective, hopefully, the banking sector will cope with the challenges as a result of effective implementation of relevant measures.

ლია ჭყონია

ეკონომიკის დოქტორი,

პროფესორი

საქართველოს ადგილი და როლი მსოფლიო ეკონომიკურ გლობალიზაციაში

გლობალიზაცია, როგორც მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინტეგრირების პროცესი, ქვეყნებს აძლევს საშუალებას, ითანამშრომლონ, გაიზიარონ მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილებები და სწრაფად გაიარონ განვითარების გზა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირება, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობის ზრდა და უცხოური კაპიტალის მოცულობის ზრდა, რაც გაზრდის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას და ქვეყნის განვითარების პოტენციალს.

საქართველო გლობალიზაციის დონით მსოფლიოში 63-ე ხოლო ეკონომიკური გლობალიზაციის დონის მიხედვით – მე-19 ადგილზეა (2015 წლის მანვენებელი, 2012 წლის მონაცემებზე დაყრდნობით), ეკონომიკური გლობალიზაციის დონეს ძირითადად განსაზღვრავს საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლების ხარისხი და უცხოური კაპიტალის მოცულობა. ეკონომიკური გლობალიზაციის წინაპირობა ქვეყნის პოლიტიკური კურსის განსაზღვრა და მსოფლიო პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესში ჩართულობაა. ამ მხრივ საქართველომ უაღრესად რთული გზა გაიარა – ეკონომიკური საბოტაჟი, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, ქვეყნის მიმართ სამხედრო-პოლიტიკური აგრესია და სხვ.

საქართველო მსოფლიოს ქვეყნებთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირურობებს იძულებით იყო მოწყვეტილი 70 წლიანი, ჩაკეტილი, მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის პერიოდში, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო დიდი გამოწვევის წინაშე დადგა. მას დამოუკიდებლად უნდა აერჩია ქვეყნის განვითარების გზა, პოლიტიკური და ეკონომიკური მოკავშირეები და პარტნიორები. მსოფლიოს ქვეყნებისათვის უცნობი იყო, რა შეიძლებოდა შეეთავაზებინა მათთვის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებისათვის. მცირეშიწიან, მცირერიცხოვან, საბჭოთა მარწუხებიდან ახლახანს თავდადწეულ საქართველოს.

საქართველოსათვის საიმედო პერსპექტივებს ქმნიდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, მისი ისტორიული სოციალურ-ეკონომიკური კავშირები. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების თანადგომით, იმუამინდელი საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ე. შვეარდნაძის ავტორიტეტისა და ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების დიდი ძალისხმევით, საქართველომ გაიარა თვითგამორკვევის ურთულესი გზა.

1992 წელს საქართველო გახდა გაეროს 179-ე წევრი და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყანა. 1996 წელს ხელი მოეწერა ევროატლანტიკურ პარტნიორობაში მონაწილეობის ხელშეკრულებას. 1997 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობს ნატოსთან. 1999 წლიდან ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრია. 2000 წელს გაწევრიანდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. 2007 წელს გახდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (ბისეკის) ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყანა... 2014 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროკავშირის ქვეყნებთან ვიზალიბერალიზაციისა და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებაზე.

საქართველომ პოლიტიკური განვითარების დასავლური კურსის განსაზღვრისა და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა-ჩამოყალიბება-რეფორმირების პარალელურად დაიწყო ზრუნვა მსოფლიოს ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირურობების დასამყარებლად. მას

უნდა ეპოვა თავისი ადგილი მსოფლიო გლობალურ სივრცეში. შემდეგ კი თავისი ჩართულობით განესაზღვრა ქვეყნის როლი და მომავალი.

საქართველო გეოგრაფიულად უძველეს სატრანსპორტო გზაჯვარედინზე მდებარეობდა. ძველი აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა (ჩვ. წ.ა.-მდე პერიოდიდან იწყება და 18 ს-ის განმავლობაში მოქმედებდა), რომელიც შორეულ აღმოსავლეთს, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპას აკავშირებდა, საქართველოზე გადიოდა და წარმოადგენდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციათა დამაკავშირებელ ხიდს. თავდაპირველად ეს იყო ვაჭრობა აბრეშუმით, ძვირფასი ქვებით, სუნამოებით, სანელებლებით და მონებითაც კი. საქართველო, რომელიც სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა, არა მარტო ბუნებრივი დერეფნის ნაწილი იყო ტვირთების გასატარებლად, არამედ როგორც ბრინჯაოს, ოქროს, ღვინის, სელისა და აბრეშუმის ქსოვილების დამამზადებელი ქვეყანა, აქტიურად იყო ჩართული სავაჭრო-საქარაფნო მოძრაობაში.

აბრეშუმის გზამ საფუძველი ჩაუყარა ქვეყნებს შორის კულტურულ, ტექნოლოგიურ, ინფორმაციულ ურთიერთობებს. სხვადასხვა ისტორიისა და კულტურის ქვეყნებში ვრცელდებოდა აბრეშუმის, ქალაღლის, მიწისა და სხვა. დამზადების ტექნოლოგიები, რელიგიური და ფილოსოფიური მოძღვრებები, კულტურისა და ხელოვნების ნამუშევრები. გარდა ამისა, აბრეშუმის გზას სამხედრო დანიშნულება და დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მის გასწვრივ შენდებოდა ქალაქები, პორტები. ირღვეოდა ჩაკეტილობის ბრინჯივები და მტკიცდებოდა ქვეყნებს შორის კავშირ-ურთიერთობები.

1992 წელს ე. შევარდნაძემ გააუღერა აბრეშუმის გზის აღდგენის – კავკასიის დერეფნის იდეა. ეს იყო ორ ზღვას – კასპიისა და შავ ზღვას შუა რეალური ბუნებრივი დერეფნის გამოყენების პერსპექტივები. აზერბაიჯანის პრეზიდენტთან, მსოფლიო ბანკთან, თეთრ სახლთან, ნავთობკომპანიებთან, ევროსტრუქტურებთან კონსულტაციებით, მათივე თანამდგომითა და ხელშეწყობით 1998 წელს ხელი მოეწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას – ტრასეკას პროექტს. ტრასეკას პროექტში მონაწილეობით საქართველომ შეიძინა სტრატეგიული პარტნიორის ფუნქცია. მას ეკონომიკურთან ერთად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ტრასეკა-ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, ნავთობსადენი აღიარებულია როგორც საუკუნის პროექტი, როგორც ახალი აბრეშუმის გზის აღდგენის დასაწყისი. ტრასეკას პროექტი იყო სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებისათვის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა რკინიგზების, საავტომობილო გზების, საზღვაო პორტების, ტერმინალების აქტივიზაციას, მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციას.

ტრასეკას ფარგლებში საქართველოში აშენდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, სუფსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ნავთობტერმინალი (120 000 ტონა ტევადობით), სატრანსპორტო სისტემა, რეზერვუარები, რომელთა მეშვეობით ტვირთი დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან საქართველოზე გავლით, ფოთისა და ბათუმის გზით მოძრაობს და ქმნის ბუნებრივ ბაღანს.

აშენდა და 2005 წლიდან ნავთობის ტრანსპორტირება მიმდინარეობს ბაქო-თბილისი ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენით, რომლის საერთო სიგრძის 1768 კმ-ის 229 კმ. საქართველოს ტერიტორიაზე გადის.

2008 წლიდან საქართველო ჩართულია ბაქო-თბილისი ბარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტში. 90 კმ-იანი მაგისტრალის 30 კმ. საქართველოზე გადის, რომელიც ახორციელებს ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვებს აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის. პროექტი ითვალისწინებს მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციასა და ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას ახალქალაქიდან თურქეთამდე. მშენებლობა უნდა დასრულდეს 2016 წელს. თავდაპირველი ტვირთბრუნვა სპეციალისტთა გაანგარიშებით 6,5 მლნ ტონა იქნება, ხოლო თურქეთი-ყაზახეთის მიმართულებით ტვირთების გადაზიდვა წლიური ტვირთბრუნვის მაჩვენებელს 20 მლნ. ტონამდე გაზრდის.

ტრასეკას პროექტის განხორციელება ზოგიერთი ქვეყნის არათანმიმდევრული სტრატეგიისა და რიგი პოლიტიკური პროცესების გამო შეფერხებებით მიმდინარეობს. ასევე, შეფერხებებია ნაბუქოს პროექტზე. ეს არის მეგა-მილსადენი, გაზსადენის ახალი მარშრუტი რუსეთის გვერდის ავლით, აღმოსავლეთიდან, საქართველოს გავლით დასავლეთამდემას პოლიტიკური დატვირთვის გამო ამერიკული პროექტი უწოდეს და ზოგიერთი სპეციალისტის მოსაზრებით განუხორციელებელ იდეად დარჩება. 2010 წლის განახლებული მოლაპარაკებებით განსაზღვრულია პროექტის ორ ფაზად – თურქეთ-საქართველოსა და თურქეთ-ერაყის გაზსადენის მშენებლობა. ორივე მიმართულებით ამოქმედება საქართველოსათვის მომგებიანი იქნება.

2006 წელს ამოქმედდა ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, რომელიც კასპიის გაზს დასავლეთისაკენ ატარებს. ასევე, სამხრეთ კავკასიის გაზსადენი – აზერბაიჯანის შახ-დენიზის გაზსადენი, რომელიც საქართველოს გავლით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პარალელურად გადის. ამ მილსადენებიდან საქართველო იღებს გაზის მიმოქცევიდან 5%-ს და ასევე 0,5 მლრდ. კუბ. მეტრ გაზს ყოველ წელს შეღავათიან ფასში. სამხრეთის კორიდორის სრულად ამოქმედების შემდეგ (2019-2020 წწ.) სავარაუდოდ საქართველო წლიურად მიიღებს 1,6 მლრდ კუბ. მეტრ გაზს შეღავათიან ფასად და ასევე მიიღებს გატარებული გაზის 5%-ს. საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი აბრეშუმის გზის ამოქმედებას.

2011 წელს ჩინეთის პრეზიდენტის მიერ ინიცირებული „ახალი აბრეშუმის გზა – ეკონომიკური სარტყელის“ პროექტი გულისხმობს ტვირთების გადაზიდვას შორეული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ – ძველი აბრეშუმის გზის მარშრუტით. ტრანს-აზიურ კავკასიური მაგისტრალის მატარებლით (ჩინეთი-ყაზახეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი) ტვირთები ევროპასა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს მიეწოდება. ამ პროექტში საქართველოს ჩართვა განისაზღვრა 2013 წლიდან. ახალი აბრეშუმის გზის პროექტში ჩართვა საქართველოს დამატებით 120 მილიონი დოლარის შემოსავალს მოუტანს, ხოლო ბაქო-თბილისი-ერაყის პროექტის დასრულების შემდეგ, თურქეთ-ყაზახეთის მიმართულების ამოქმედება საქართველოს შემოსავლებს გააორმაგებს.

2015 წლის თებერვალში, საქართველოს ტერიტორიაზე ახალი აბრეშუმის გზით – ტრანსაზიურ-კავკასიური მაგისტრალით პირველი ტვირთები ჩამოვიდა ჩინეთიდან. სპეციალისტების გაანგარიშებით დაიზოგა დრო (9 დღე – საზღვაო გადაზიდვებით 45 ნაცვლად), მანძილი (7000 კმ) და შემცირდა რისკები. 2013 წელს თურქეთის მიერ ბოსფორის სრუტის ქვეშ გამავალი მარმარაის გვირაბი ტვირთების მოძრაობას კიდევ უფრო მეტად გააადვილებს. ქვეყნის გეოპოლიტიკური და სატრანსპორტო როლის გაზრდის თვალსაზრისით პერსპექტივაშია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა.

საერთაშორისო სატრანსპორტო პროექტები არის საქართველოს შესაძლებლობებისა და აქტივების მაქსიმალურად გამოყენება, ქვეყნის ენერგეტიკული და ფინანსური ჩართულობა საქართველოსათვის სარგებელიანია. ის ხელს უწყობს ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გამყარებას, უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ბიზნესის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ტურიზმის განვითარებას, განათლების დონის ზრდას, კულტურული ურთიერთობების განმტკიცებას და ქვეყნის ყოველმხრივ განვითარებას. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება და ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ქვეყანას ევროპასთან მეტი ინტეგრაციის შესაძლებლობას მისცემს და სავარაუდოდ გაზრდის საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაციის დონეს.

ეკონომიკური გლობალიზაციის საკმაოდ მაღალი დონე განპირობებულია საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკითა და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობებით, რასაც ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა ქვეყანაში განხორციელებულმა რეფორმებმა. მოხდა ქვეყანაში ბიუროკრატიული პროცედურების გა-

მარტივება, კორუფციის დონის შემცირება, საგადასახადო ლიბერალიზაცია, ბიზნესის წარმოების პროცედურების გამარტივება. ეს არა მხოლოდ მიღწეული შედეგების მახასიათებელია, არამედ ქვეყანას ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას უქმნის.

2015 წლის 10 თვის ოფიციალური მონაცემებით საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6%-ით და 2.317 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (დსთ-სთან შემცირდა).

2015 წლის პირველი ნახევრის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელია – სპილენძის მადნები და კონცენტრატები 129.6 მლნ აშშ დოლარი, ფეროშენადნობები – 110.4 მლნ აშშ დოლარი. მედიკამენტები – 64.5 მლნ აშშ დოლარი (68.4%-იანი ზრდა); აზოტოვანი სასუქები, მინერალური წყლები – 45.6 მლნ აშშ დოლარი. ღვინო – 39.8 მლნ აშშ დოლარი. ნედლი ნავთობი – 33.5 მლნ აშშ დოლარი. ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადამუშავებული – 28.8 მლნ აშშ დოლარი. საქართველომ 2015 წლის პირველ ნახევარში 73.6 მილიონი აშშ დოლარის თხილის ექსპორტი განახორციელა, რაც 2.6-ჯერადი ზრდაა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2015 წლის პირველ ნახევარში ნავთობ-პროდუქტები იყო 305.2 მლნ აშშ დოლარი. სამკურნალო საშუალებები – 297.8 მლნ აშშ დოლარი (თითქმის ორჯერადი ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით); მსუბუქი ავტომობილები – 244.1 მლნ აშშ დოლარი, ნახშირწყალბადები – 221.9 მლნ აშშ დოლარი. სპილენძის მადნები და კონცენტრატები – 109.5 მლნ აშშ დოლარი სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისათვის – 68.1 მლნ აშშ დოლარი, სიგარეტები – 48.6 მლნ აშშ დოლარი. ხორბალი – 47.6 მლნ აშშ დოლარი, ეთილის სპირტი არადენატურირებული – 30.7 მლნ აშშ დოლარი. წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, ე. წ. „არმატურა“ – 30 მლნ აშშ დოლარი.

ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებამ საქართველოს მისცა ევროპის 500 მილიონიან ბაზარზე წვდომის საშუალება.

იმედისმოცემია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური განაცხადი: „საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, საქართველოს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისათვის. სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწევისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის.

2014 წელს ინვესტიციების მოცულობა 1758,4 მლნ აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც 86,7%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მონაცემს. წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წლის II კვარტალში 354.7 მლნ დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2008 წლის შემდეგ და 80,8%-ით (158.5 მლნ აშშ დოლარი) მეტია 2014 წლის II კვარტლის დაზუსტებულ მაჩვენებლებთან შედარებით“. აგრეთვე, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება საქართველოს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვისა და ბაზრის გაფართოების პერსპექტივებს უქმნის.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, საქართველომ განსაზღვრა თავისი ადგილი და როლი მსოფლიოში. საქართველოსათვის ამ ეტაპზე როგორც ეკონომიკური გლობალიზა-

ციისათვის, ასევე პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის აუცილებელია ქვეყნის ჩართულობა საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან სავაჭრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირებში ჩართულობა ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებთან ახლო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებას. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას, ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, ბიზნესის განვითარებას, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას, სტაბილურობას და მშვიდობას... ყოველივე ეს საქართველოს უქმნის პერსპექტივას მსოფლიოს წინაშე სამომავლოდ წარსდგეს არა მხოლოდ როგორც ტრანზიტორი, არამედ როგორც მწარმოებელი და მიმწოდებელი ქვეყანა.

ლიტერატურა:

1. მექვაბიშვილი ე., ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ., 2009.
2. პაპავა ვლ., „პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები „ექსპერტის აზრი“, 2013, №4.
3. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2015-2016 წ.წ. საქართველოს მთავრობა, თბ., 2016.
4. www.investinggeorgia.org
5. www.geostat.ge 2016
6. www.economi.ge
7. www.nbg.gov.ge
8. ფორბს მსსაზრება-ჟურნალი forbes Georgia 2015- 2016- 2017.

ლია ჭყონია
საქართველოს ადგილი და როლი მსოფლიო
ეკონომიკურ გლობალიზაციაში
რეზიუმე

საქართველომ განსაზღვრა თავისი ადგილი და როლი მსოფლიო ეკონომიკურ გლობალიზაციაში. საქართველოში განხორციელდა რეფორმები და თავისუფალი ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკა. ქვეყანა ჩართულია საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში, მტკიცდება მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან სავაჭრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას, ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებას, შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ზრდას, სტაბილურობას და მშვიდობას.

Lia Chkonia
Georgia's Place and Role in the World Economic Globalization
Summary

Georgia has defined its place and role in global economic globalization. Reforms and liberal policies of free trade were implemented in Georgia. The country is involved in international transit projects, it is confirmed trading political and economic relations with the leading countries of the world which will facilitate the growth of international trade, attract investments in the country, develop business and economy, increase income and living standards, stability and peace.

გივი ღუჩიძე

ეკონომიკის დოქტორი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**ხორცისა და ხორცის პროდუქტების მარკეტინგი და
საქონელმობრახობის მენეჯმენტი**

ხორცის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სწორად შერჩეული მარკეტინგული მეთოდების გამოყენება. მარკეტინგი ბაზარზე საქმიანობასა და მართვას ნიშნავს, მაგრამ ხშირად ასეთი გაგება ასოცირდება საქონლისა და მომსახურების გასაღებასთან. უფრო მეტიც, ზოგიერთ მეწარმეს ჯერ კიდევ მიაჩნია, რომ მარკეტინგი არის გასაღების ახლებური გაგება.

უფიქროვთ მარკეტინგი უფრო ფართე შინაარსის მატარებელია, გასაღება კი მისი შემადგენელი ნაწილია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენა მარკეტინგზე, როგორც გასაღების სისტემაზე შემთხვევითი არ არის. მარკეტინგი საერთო ეკონომიკური თეორიისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა და დაკავშირებული იყო განაწილების ანალიზის სისტემასთან.

თანამედროვე ხედვა მარკეტინგზე გულისხმობს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ახალი მოთხოვნისა და ახალი საქონლის გამოვლენას, ანუ, მთავარია ვაწარმოოთ არა ის რაც შეგვიძლია, არამედ ის, რაც საჭიროა ახლა, ან იქნება საჭირო მომავალში საზოგადოებისათვის და კონკრეტული მომხმარებლისათვის.

ხორცის წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამ საკითხისადმი მიდგომა ორ ძირითად ამოსავალ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს – პირველი, ადგილობრივ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებს და მეორე მხრივ, საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ და ეტაპობრივად ცვალებად, ქვეყნის შიდა და გარე მარკეტინგულ მოტივაციებს, მოთხოვნებს, შეზღუდვებს, სტრატეგიას.

ხორცის წარმოება, მეტნაკლებად ყველა რეგიონში, განსაკუთრებით კი საგარეუბნო ზონაში უნდა განვითარდეს. საქართველოს ყველა რეგიონის საბაზრო სემენტი უნდა გაჯერდეს ამ პროდუქციით, ხორცის წარმოების ყველა რეგიონში განვითარებით და ამ ბაზარზე ხორცის მრეწველობის დონის ამაღლებით.

ხორცის ბაზარზე მარკეტინგულ საქმიანობას ეწევა მსხვილი საწარმოები. ბაზრის მონაწილეთა დიდი უმრავლესობისათვის იგი მიუწვდომელია. მათ არ გააჩნიათ ობიექტური და ოპერატიული ინფორმაცია პროდუქციის რეალიზაციის ხელსაყრელი არსების შესახებ მაქსიმალური მოგების მისაღებად, არ არსებობს სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც მოახდენენ ფერმერების სრულყოფილ საინფორმაციო-ანალიტიკურ უზრუნველყოფას.

ზოგადად ხორცისა და ხორცის პროდუქციის რეალიზაციის დონეს და ხარისხს განსაზღვრავს შემდეგი პირობები:

- ხორცისა და ხორცის პროდუქციის, ასევე მისი გადამუშავების პროდუქტების სამომხმარებლო თვისებები, ანუ სარგებლიანობა (კერძოდ, პროდუქცია, რომელსაც არ ესაჭიროება დამატებითი გადამუშავება, პირდაპირ შეიძლება მიეყიდოს მომხმარებელს);
- მომხმარებლის გადახდისუნარიანობა და მისი გემოვნება (შეხედულება, საქონლის რა თვისებებს აძლევს უპირატესობას);
- საქონელმწარმოებლის დანახარჯების დონე პროდუქციაზე;
- ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია და დანახარჯების დონე სამრეწველო გადამუშავების და ვაჭრობის სტადიაზე.

პროდუქციის რეალიზაციის ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისი ფიზიკური მდგომარეობაა. კერძოდ, არის პროდუქტები, რომლებსაც არ ესაჭიროება დამატებითი გადამუშავება და ისინი შეიძლება პირდაპირ იქნეს მიწოდებული მომხმარებელზე, მაგრამ არის ისეთი პროდუქცია, რომელსაც მხოლოდ გადამუშავების შემდეგ მოიხმარებენ. მიტომ მათი რეალიზაცია გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებში ან დამამზადებელ ორგანიზაციებში ხდება. ისინი გამოდიან, როგორც შუამავლები საწარმოებსა და პროდუქტის საბოლოო მომხმარებელს შორის.

ხორცისა და ხორცის პროდუქციის რეალიზაციის ფაქტორებიდან ერთ-ერთი მთავარი მისი ხარისხი და უსაფრთხოებაა (უვნებლობა). ამასთან, პროდუქციის ხარისხი გასაღების სტიმულატორი რომ გახდეს, უნდა არსებობდეს შესაბამისი გადახდისუნარიანი მოთხოვნა, ასე მაგალითად, ცნობილია, რომ ეკოლოგიურად სუფთა ხორცისა და ხორცის პროდუქციის წარმოება თხოულობს მნიშვნელოვნად მეტ ფულად და მატერიალურ დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე, ვიდრე მისი ალტერნატიული წარმოება. ასეთ პროდუქციაზე ფასიც შესაბამისად მაღალია და რეალიზაცია უპირატესად მხოლოდ მაღალი შემოსავლების მქონე მყიდველებისთვისაა შესაძლებელი (სხვა შემთხვევაში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება შეიძლება ზარალიანიც აღმოჩნდეს).

ხორცისა და ხორცის პროდუქციის რეალიზაციის სხვა ფაქტორთა შორის უნდა გამოიყოს პროდუქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები, წარმოების გაადვილება, ანუ მანძილი მსხვილი ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან, გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა, საცალო და საბითუმო ვაჭრობის, კვების ობიექტების ტერიტორიული გაადვილება და სხვ.

ხორცისა და ხორცის პროდუქტების საწარმოთა განლაგება ზემოთ დასახელებული ობიექტების სიახლოვეს, საშუალებას აძლევს მათ მოახდინონ პროდუქციის პირდაპირი რეალიზაცია და ამით შეამცირონ დანახარჯები, რომლებიც ტრანსპორტირებას, შენახვას და პროდუქციის გაყიდვას უკავშირდება.

დღეისათვის სოფლად საქონელმწარმოებლებს აქვთ შესაძლებლობა განკარგონ თავისი პროდუქცია როგორც საბითუმო, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელის საშუალებით. საცალო ვაჭრობა საქონელმწარმოებლისათვის გამოდის როგორც ალტერნატივა დამატებითი მოგების მიღებისათვის, რაც შეეხება საბითუმო ვაჭრობის გზით პროდუქციის რეალიზაციას, ის ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და რეალიზაციის ამ არხის გამოყენება მხოლოდ კეთილსაიმედო პირობებშია შესაძლებელი.

ამგვარად, ხორცის საბითუმო ბაზრები ვაჭრობის მონაწილეებს უქმნიან შედარებით თანაბარ პირობებს ნორმალური კონკურენციისათვის, მათთვის სახელმწიფო და დარგობრივი ორგანოების მიზანმიმართული ადმინისტრაციული ჩარევისათვის. საჭიროა ხაზი გაესვას მათ როლს ფასწარმოქმნაში, რადგან აქ ყალიბდება შიდა საბაზრო ფასები პირუტყვზე და ხორცზე. საბითუმო ბაზრების ფასები ორიენტირია მეცხოველეობის პროდუქტების გასაღების ყველა დანარჩენი არხებისათვის, კერძოდ საკონტრაქტო ფასების დადგენისას, ასევე სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული ფასების შენარჩუნებისას. ასეთი ბაზრების ნაკლოვანებას მიეკუთვნება: მყიდველთა მხრიდან პროდუქტების მწარმოებლებზე ზემოქმედების საშუალებების შეზღუდულობა, საბითუმო შუამავლების ანაზღაურების აუცილებლობა, ბაზარზე ცხოველთა აუცილებელი მიყვანა, მსხვილი ცენტრალიზებული სიმძლავრეების შენახვა, პირუტყვის მისაღებად და შესანახად.

საბითუმო ბაზრები გასაღების ჯერ კიდევ დიდ წილს აკონტროლებენ საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, ავსტრალიაში, ნიდერლანდებში, ბელგიაში და სხვ. მათი როლი პირუტყვის რეალიზაციაში უკანასკნელ პერიოდში ქვეითდება.

საბითუმო ვაჭრობის განვითარების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ბაზრობა. გამყიდველებს აქ შეუძლიათ რეკლამა გაუწიონ თავის საქონელს, დაამყარონ პირდაპირი კონტაქტები მომხმარებელთან, შეადარონ თავიანთი პროდუქციის ხარისხი

კონკურენტების მიერ წარმოდგენილ პროდუქციის ხარისხს. ბაზრობაზე იდება გარიგებები როგორც წარმოდგენილ საქონელზე, ისე შემდგომი მიწოდებით. მყიდველს საშუალება აქვს გაეცნოს წინადადებებს, ნიმუშებს, შეაჯეროს მოთხოვნილი ფასები, შეადაროს ისინი საქონლის ხარისხს, ჩაატაროს მოლაპარაკებები, შეათანხმოს გარიგების კომერციული პირობები. პირუტყვის გაყიდვა ხორციელდება არა მხოლოდ ხორცის მისაღებად, არამედ შემდგომი მოშენების მიზნებითაც. ბაზრობების მოწყობას რეგიონებში დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ექნება არა მხოლოდ მსხვილი საქონელმწარმოებლებისათვის, არამედ ფერმერული და საოჯახო მეურნეობებისათვის.

ბაზარზე ვაჭრობის ამ ფორმების ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მის ორგანიზაციაზე, მომზადებასა და ჩატარებაზე, რეკლამაზე, ტერიტორიულ განლაგებაზე.

საქონელმოძრაობის დიდი ეფექტურობა მიიღწევა საშუამავლო ფორმების ეკონომიკური დამოუკიდებლობის არსებობისას, რომლებიც განსაზღვრულ ეტაპზე ხდებიან საქონლის მესაკუთრენი და შედიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში სხვა სუბიექტებთან. ასეთ საბითუმო შუამავლებს შეუძლიათ უფრო სწრაფად საქონლის მიწოდება, მცირე პარტიების შექმნა, რაც ამცირებს სატრანსპორტო ხარჯებს. ასეთი ტიპის შუამავლების როლში, როგორც წესი გამოდიან სავაჭრო სახლები, რომლებიც წარმოადგენენ კონგლომერატიული ტიპის მრავალფუნქციურ კომპანიებს (ასოციაციებს), რომლებსაც სავაჭრო-საშუამავლო ქსელთან ერთად აქვთ საკუთარი საწარმოო ბაზა, გარე სავაჭრო სტრუქტურები, სადაზღვევო, სატრანსპორტო და სხვა მიმართულების საწარმოები.

სავაჭრო სახლების მიერ შესრულებული ფუნქციები სხვადასხვაა: ხორცისა და ხორცის პროდუქციის შესყიდვა საკუთარი საშუალებების ხარჯვაზე, მონაწილეობა საწარმოო საქმიანობაში, დამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების მომსახურების გაწევა კლიენტებისათვის; სახელმწიფო და სხვა საწარმოთა პროდუქციის რეალიზების საშუამავლო სამუშაოების შესრულება საკომისიო საფუძველზე; მარკეტინგული კვლევები.

განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნებში, პირუტყვისა და ხორცის გასაღებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასაქონლო ბირჟა. ბირჟებზე ოპერაციები მიმდინარეობს როგორც ნაღდი საქონლით და ფიზიკურული. ფიზიკური გარიგებები საშუალებას იძლევიან გაიყიდოს ჯერ კიდევ შესაქმნელი საქონელი იმ ფასად, რომელიც დაფარავს მისი წარმოების ხარჯებს. მყიდველი წინასწარ უზრუნველყოფს თავის წარმოებას ნედლეულით და ამ დროს ეკონომიას აკეთებს საქონლის შენახვაზე, რომელიც მას დასჭირდება მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ. სწრაფი ფიზიკური გარგებების შედეგი შეიძლება იყოს არა საქონლის გადაცემა, არამედ გადახდა ანდა სხვაობის მიღება, კონტრაქტის დადების დღისათვის მის ფასსა და შესრულების დღის ფასს სორის. ამგვარად, ბირჟა აკმაყოფილებს ორივე მხარის ინტერესებს, ხოლო ყოველდღიური კოტირება იდება რეალური საქონლით ათასობით სავაწრო გარიგებაში, რომლებიც იდება ბირჟის გვერდის ავლით. საქონლის პარტიები სტანდარტირებულია და ძალზე დიდი წვრილი მეწარმეებისათვის, ამიტომ მისთვის ასეთი გარიგებები წარმოადგენენ მხოლოდ მოთხოვნილების, მიწოდების და საქონელზე ფასების ინდიკატორს.

ხორცის წვრილ მეწარმეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ყველა სარეალიზაციო არხის ფინქციონირებაში მომარაგება-გასაღების კოოპერატივების მეშვეობით. გასაღებისა და გასაღება-გადამამუშავებელი კოოპერატივების მეშვეობით რეალიზდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში, აშშ-ში, იაპონიაში, ისრაელში, ბევრ ქვეყანაში ასეთ კოოპერაციას აქვს მრავალსაფეხურიანი დარგობრივი სტრუქტურა, რომლის ჩარჩოებშიც პროდუქცია

გადის გზას დაწყებული ს/სამეურნეო საწარმოდან მზა სასურსათო საქონლის საბითუმო ან საცალო ვაჭრობამდე.

ხორციისა და ხორცის პროდუქციის რეალიზაციის არხები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ არხებად. პირდაპირია არხი, როცა პროდუქტი მის საბოლოო მომხმარებელამდე ხვდება ყოველგვარი შუამავლის გარეშე (აგრარული ბაზრების, სავაჭრო წერტილების, ფარდულების და საცალო ვაჭრობის სხვა წესების გამოყენებით უშუალოდ საქონელმწარმოებლის მიერ), ხოლო არაპირდაპირი, ანუ რეალიზაციის ირიბი არხების გამოყენება დაკავშირებულია დამოუკიდებელ შუამავლებთან, რომლებიც იძენენ პროდუქციას, აძლევენ მას საბოლოო (საჭირო) სახეს და ჰყიდიან მომხმარებელზე.

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნებში პროდუქციის რეალიზაციის ძირითად არხებად სახელმწიფო შესყიდვები და პროდუქციის თავისუფალი რეალიზაცია გვევლინება. ზოგიერთ ქვეყნებში პირველი არხი პრევალირებს, ზოგიერთში კი მეორე. ასე მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში (რომლებიც, კოოპერატიული წარმოების მაღალ დონეზე განვითარების გამო, “კოოპერატიულ ქვეყნების” სახელსაც ატარებენ) ხორცი და ხორცის პროდუქციის ძირითად შემსყიდველებად კოოპერატივები გამოდიან, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში - კერძო შემსყიდველი ფირმები, ესპანეთში ჭარბობს რეალიზაციის საბაზრო სისტემა (ანუ პროდუქცია უშუალოდ ბაზარზე გაიტანება მწარმოებლის მიერ).

გარდა ამისა, იმ ქვეყნებში, სადაც მკაფიოდ გამოხატული სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა ტარდება, არსებობს ნახევრად სახელმწიფო ან სახელმწიფო შემსყიდველი სტრუქტურები, რომლებიც აწარმოებენ ფერმერებისგან პროდუქციის შესყიდვას.

ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1930 წლიდან (ანუ “დიდი დეპრესიის” პერიოდისგან) არსებობს სასაქონლო-საკრედიტო კორპორაცია, რომელიც ფერმერებისგან პროდუქციას ყიდულობს სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლებში. ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ფიუნქერსული ბაზარი, ანუ ვაჭრობა ფიუნქერსული კონტრაქტებით.

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნებში პროდუქციის რეალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად აუქციონები წარმოადგენს. მათი საშუალებით აქ წარმოებს უპირატესად მეცხოველეობის პროდუქტების დიდი პარტიებით რეალიზაცია.

არსებობს რამდენიმე, გამორჩეული ტიპის აუქციონი, რომელთა შორის აღსანიშნავია ბრიტანული და ჰოლანდიური აუქციონები.

ბრიტანული აუქციონი უფრო გავრცელებული და ცნობილი ფორმაა. ჰოლანდიურისაგან განსხვავებით, აქ საქონლის შესყიდვის უფლების მოპოვებისათვის პოტენციური მყიდველები თვითონ თანდათან ზრდიან ფასს.

ხორცი და ხორცის პროდუქციის რეალიზაციის არხის არჩევა გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ასეთ ხარჯებს ტრანზაქციურ ხარჯებს უწოდებენ. ესაა ხარჯები სათანადო ინფორმაციის მოპოვებაზე (ფასების შესახებ), პარტნიორების შერჩევაზე და კონტრაქტების გაფორმებაზე და ა.შ. მათი წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული (პროდუქციის სახე, წარმოების ტექნოლოგია, ბაზრის კონიუნქტურა, პარტნიორთა ქცევა და ა.შ.)

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ საქონელმწარმოებელს აქვს საკმაოდ ფართო არჩევანი პროდუქციის რეალიზაციისათვის. მასზეა უშუალოდ დამოკიდებული, პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოს მიაწვდის, თუ გამოიყენებს საბროკერო ფირმების მომსახურებას, პროდუქციას რეალიზაცია გაუკეთებს სავაჭრო სახლების, აუქციონების, აგრარული ბაზრების მეშვეობით, თუ თვითონ გაყიდის გზისპირა ვაჭრობის წესით.

ლიტერატურა:

1. ყამარაული ს., დუნიძე გ., ყამარაული ი., სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და აგრობიზნესი, თბ., 2011.
2. ძაგნიძე გ., აგრობიზნესი, თბ., 2009.

გივი დუნიძე
ხორცისა და ხორცის პროდუქტების მარკეტინგი და
საქონელმომძრაობის მენეჯმენტი
რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ხორცისა და ხორცის პროდუქტების მარკეტინგის და საქონელმომძრაობის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები. აღნიშნულია, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ხორცისა და ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ინდუსტრიის განვითარება მოითხოვს სწორად შერჩეული მარკეტინგული მეთოდების გამოყენება-დანერგვას. აღნიშნულია, რომ მარკეტინგი არა მხოლოდ საქონლისა და მომსახურების გასაღებას უნდა უკავშირდებოდეს, არამედ ბაზარზე საქმიანობასა და მართვას უნდა მოიცავდეს, რადგან თანამედროვე ხედვა მარკეტინგზე გულისხმობს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ახალი მოთხოვნისა და ახალი საქონლის გამოვლენას, ანუ, მთავარია ვაწარმოოთ არა ის რაც შეგვიძლია, არამედ ის, რაც საჭიროა ახლა, ან იქნება საჭირო მომავალში საზოგადოებისათვის და კონკრეტული მომხმარებლისათვის.

Givi Duchidze
Meat and Meat Products Marketing and Commodity Management
Summary

The paper deals with the marketing of meat and meat products and the management of goods management. It is noted that in the modern stage of development, the development of meat and meat products industry requires the use of properly selected marketing methods. It is analyzed that marketing should not only be linked to the sale of goods and services, but also the market and discipline of the market, because modern view marketing implies demanding satisfaction, new demand and new products. That is, it is important to do not what we can but what is needed now or it will be necessary for the public and for the consumer in the future.

თამარ ზირაქაშვილი

ინფორმატიკის დოქტორი

დამატებული ღირებულების გადასახადი და საბანკო სფეროში
მისი დაბეგვრის პრობლემები

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) თავისი ეკონომიკური არსით წარმოადგენს ეკონომიკაში შექმნილი დამატებული ღირებულების ბიუჯეტში ამოღების ფორმას. ეს არაპირდაპირი მრავალსაფეხურიანი გადასახადია, რომლითაც იბეგრება საქონლის, სამუშაოების ან მომსახურების გაყიდვის ყოველი აქტი საწარმოო და განაწილებითი ციკლიდან დაწყებული და მის კონკრეტულ მომხმარებელამდე რეალიზაციით დამთავრებული. სხვა გადასახადებთან შედარებით, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია, დღგ არის საკმაოდ ახალი მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში, რომელმაც კარგად იმუშავა და ფართო აღიარება ჰპოვა. დღგ-თ დაბეგვრის ობიექტია დამატებითი

ღირებულება, რომელიც ემატება საქონლის წარმოებისა და მომსახურების გაწევის პროცესში ნედლეულისა და მასალების ღირებულებას. ეკონომისტები დღგ-ს მაღალი პოპულარობის გამო გამოყოფენ შემდეგ ძირითად მიზეზებს:

- გადასახადს აქვს დაბეგერის პოტენციურად ფართო ბაზა, რაც ხელს უწყობს მნიშვნელოვნად გაეზარდოს სახელმწიფოს შემოსავლები;

- ეკონომიკის განვითარების პოზიციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გადასახადით დაიბეგროს საბოლოო მომხმარებელი, და არა საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში მეწარმის დანახარჯები;

- გადასახადით გამყიდველის მიერ მყიდველის დაბეგერა ხდება უშუალოდ, ხოლო ანგარიშსწორების მოხდენის დროს მნიშვნელოვნად მცირდება გადასახადის გადამხდელის შესაძლებლობა, რომ თავი აარიდოს გადასახადის გადახდას;

ყველა ქვეყანაში საბანკო ოპერაციები, იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი არ ქმნიან ეკონომიკისათვის ღირებულებას, როგორც წესი, გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისაგან, მას მხოლოდ გადაანაწილებენ.

საბანკო გარიგებები და ბანკის მიერ შესრულებული სხვა ოპერაციები დღგ-ით იბეგრება ზოგადი წესის მიხედვით. ეს ოპერაციები საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაში ძირითადად გვევლინება მეორე ხარისხოვნად და მათი შესრულება არ მოითხოვს ეროვნული ბანკის ლიცენზიას. ასე მაგალითად, გადასახადით იბეგრება შემდეგი გარიგებები და ბრუნვები:

- მესამე პირისაგან მოთხოვნის უფლების შექმნის ვალდებულების ფულად ფორმაში შესრულება;

- ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ხელშეკრულებით გაფორმებული ფულადი სახსრების ან სხვა ქონების მინდობილობით მართვა.

- იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ სპეციალური სათავსოების ანდა ფასეულობებს და საბუთების შესანახად მათთან არსებული სეიფების იჯარით გადაცემა;

- სალიზინგო ოპერაციები;

- საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურების გაწევა;

- ძვირფასი ქვებისა და ძვირფასი ლითნების სარეალიზაციო ბრუნვები, თუ ზოდები არ რჩება ერთ-ერთ სერთიფიცირებულ საცავში;

- საშუამავლო მომსახურება. ბანკის ქმედებების საშუამავლო ოპერაციებს მიკუთვნება, დავალების ან კომისიის ხელშეკრულებით რწმუნებულის ანდა კომისიონერის როლში გამოსვლა. ხელშეკრულებით დავალების მიმცემი ერთი მხარე (რწმუნებულის), კისრულობს განახორციელოს სხვა მხარის სახელითა და ხარჯებით (მარწმუნებულის) განსაზღვრული იურიდიული ქმედება. კომისიის ხელშეკრულებით ერთი მხარე ვალდებულებას იღებს მეორე მხარის დავალებით, ანაზღაურებით განახორციელოს ერთი ან რამდენიმე გარიგება თავისი სახელით, მაგრამ კომიტენტის სახელით შემოსავალი საკომისიო საზღაურის სახით, რომელსაც ბანკი იღებს სახელმწიფო და არასახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების განხორციელებით – იბეგრება დღგ-ით. გადასახადით იბეგრება აგრეთვე ბანკის გადახდილი თანხა, დეპოზიტურ მომსახურებაზე რომელიც ხორციელდება კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით დეპოზიტურ მომსახურების გაწევის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც კლიენტი (ნდობით აღჭურვილი პირი) ავალებს, ხოლო ბანკი დეპოზიტარი (რწმუნებულის) იღებს თავის თავზე ფასიანი ქაღალდების მიღებისა და შენახვის, ვალდებულებების განხორციელებას თავისი სახელით და კლიენტის ხარჯით, დაბეგერას დაექვემდებარება აგრეთვე ფასიანი ქაღალდზე საკუთრების უფლების აღრიცხვა – ანგარიშის საქმის წარმოების აგრეთვე სხვა დეპოზიტური ოპერაციები;

- სარეკლამო მომსახურება;

– გირაოში ჩადებული საგნების სარეალიზაციო ბრუნვა, მათი გირაოს განმკარგველზე გადაცემის ჩათვლით, როდესაც არ სრულდება გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულებები.

ამგვარად, ბანკის მიერ შესრულებული ოპერაციების ძირითადი მასა არ იბეგრება დღგ-ით. ამასთან ერთად, იდეალურ შემთხვევაში დღგ-თ თანხის განსაზღვრა გვთავაზობს საბაზრო ურთიერთობებში მონაწილე გადასახადის გადამხდელის გადასახადით დაბეგვრის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნებისმიერი გარიგების ერთიან წესს. ამიტომ თავისი საქმიანობის პროცესში, ბანკის ზოგადი საფუძვლების მიხედვით, როდესაც ის ურთიერთობაში შედის სხვა სამეურნეო სუბიექტებთან, იხდის ქონებისა და მომსახურების შექმნის დროს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, რომ არ ღებულობს სხვა პირებისათვის გადასახადის თანხებს საკუთარი ფინანსური მომსახურების გაწევის დროს. ბანკები, როგორც წესი, თავის მომწოდებლებს უხდიან მეტ გადასახადს, ვიდრე ისინი ღებულობენ კლიენტებისაგან, რაც შეუძლებელს ხდის აუნაზღაუროს მათ გადახდილი გადასახადის თანხა სრული ოდენობით.

დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის თეორიის პოზიციიდან გამომდინარე, გადახდილი დღგ-ს ანაზღაურება არ უნდა მოხდეს მხოლოდ იმ საქონელზე, სამუშაოებსა და მომსახურებაზე, რომელიც გამოყენებული არ იყო სამეწარმეო მიზნებისათვის, არამედ მიმართული იყო მოხმარებაზე. გადასახადის თანხა, რომელიც გადახდილი იყო ნებისმიერი კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად, უნდა ანაზღაურდეს სრული მოცულობით. მაგრამ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ფაქტობრივად უთანაბრებს საქმიანობას, რომელიც არ იბეგრება დღგ-თ – დამატებითი ღირებულების მოხმარებას და მოითხოვს გადასახადელი დღგ-ს თანხების დანახარჯებზე მიკუთვნებას.

ბანკები კორექტირებას უკეთებენ დღგ-ს გამოთვლის ზოგადად მიღებულ წესებს, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ახორციელებენ როგორც გადასახადით დასაბეგრ, ასევე ამ გადასახადით დაუბეგრავ ოპერაციებს. დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა, რომლებიც ექვემდებარებიან საანგარიშო პერიოდში ბანკებისა და საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში შეტანას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა, გადასახადის თანხას, რომელიც მიღებულია მოცემული გადასახადით დაბეგვრის ოპერაციებით და მომსახურებით, და გადასახადის იმ თანხას შორის, რომელსაც იხდიან საწარმოები და ორგანიზაციები იმ საქონელზე (მომსახურება, სამუშაოები), რომელთა ღირებულება შედის ბანკების (საკრედიტო დაწესებულების) ხარჯების შემადგენლობაში, იმ ძირითადი საქმიანობის ნაწილში, რომელიც მოდის დასაბეგრ ბრუნვებზე.

სხვა მეურნე სუბიექტებისაგან განსხვავებით, ბანკებს გააჩნიათ ალტერნატივა კუთვნილი დღგ-ს გაანგარიშების მეთოდებში. გადასახადელი გადასახადის აღრიცხვის მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ გამოვეყნოთ დღგ-ს თანხები, რომელიც იფარება სხვადასხვა წყაროების ხარჯზე საკუთარი ხარჯებით და ბიუჯეტით. საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე ბანკების კუთვნილი დღგ-ს გადასახადი შეეძლოთ გამოეთვალათ და გადაეხადათ მხოლოდ გათვალისწინებული სამი მეთოდიდან ერთერთით.

1. პირდაპირი მეთოდი. ეს მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ საანგარიშო პერიოდში ბანკებისა და საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში დღგ-ს შესატანი თანხა გაიანგარიშება როგორც სხვაობა გადასახადის თანხას შორის, რომელიც მიღებულია გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებსა და მომსახურებაზე და გადასახადის თანხას შორის, რომელიც გადასახადელია საწარმოებისა და ორგანიზაციებს მიერ საქონელზე (სამუშაოებზე, მოსახურებაში), რომელთა ღირებულება ძირითადი საქმიანობის მიხედვით იმ ნაწილში, რომელიც მოდის დასაბეგრ ბრუნვაზე ჩართულია ბანკის (ან საკრედიტო ორგანიზაციის) ხარჯების შემადგენლობაში მოცემულ შემთხვევაში პირველად გაიანგარიშება დასაბეგრ ოპერაციებზე და მომსახურებაზე მიღებული დღგ-ს საერთო თანხა. ამისათვის დასაბეგრი

მომსახურების ფასს მიემატება გადასახადის 18%. პირდაპირი მეთოდი საშუალებას გვაძლევს, რომ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა გამოსათვლელად მიღებული დღგ-ს თანხების შესამცირებლად შეიძლება წარვმართოთ მხოლოდ დღგ, რომელიც გადასახდელია ბანკის მიერ, რომელთა ღირებულება ჩაირთვება ბანკის დღგ-ით დასაბეგრი მომსახურების თვითღირებულებაში. საქონელზე (მომსახურებაზე, სამუშაოებზე) გადახდილი გადასახადი საქონელზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე), რომელიც მიკუთვნებულია ბანკის მომსახურების თვითღირებულებას, მაგრამ გამოიყენება დღგ-თ დაუბეგრაოი ოპერაციების შესასრულებლად, ჩამოიწერება ბანკის მომსახურების თვითღირებულებაში. გადასახადი, რომელიც გადაიხდება საქონელზე (მომსახურებაზე, სამუშაოზე) და არ ამცირებს გადასახადით დასაბეგრ მოგებას, იფარება ბანკის მოგების ხარჯზე.

2. ძირითადი მეთოდი (პროპორციული). ეს მეთოდი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია დღგ-ს ცალ-ცალკე აღრიცხვის შესაძლებლობა, გადახდილი მომწოდებლებზე, იმ საქონელზე (მომსახურებაზე, სამუშაოებზე), რომლებიც გამოიყენება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების განსახორციელებლად. მისი გამოყენებისას განისაზღვრება შემოსავლების ხვედრითი წილი, საანგარიშო პერიოდში ბანკის შემოსავლების საერთო თანხაში, რომელიც მიღებულია დღგ-თ დასაბეგრი ოპერაციების შესრულებიდან. გადახდილი გადასახადი საქონელზე (სამუშაოებზე, მოსახურებაზე), რომელიც მიკუთვნებულია ბანკის მომსახურების თვითღირებულებას, შეიძლება მოცემული ხვედრითი წილის ფარგლებში მივაკუთვნოთ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას.

3. გამარტივებული მეთოდი. ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბანკის სურვილის მიხედვით, როდესაც შემოსავლების ხვედრითი წილი, რომელიც მიღებულია დღგ-თ დასაბეგრი ოპერაციებისა და მომსახურების გაწვიდან, საანგარიშო პერიოდში არ აღემატება 5%-ს. ამ შემთხვევაში საქონელზე (მომსახურებაზე, სამუშაოებზე) გადახდილი დღგ-ს მთელი თანხა, რომლის ღირებულება მიეკუთვნებოდა ბანკის მომსახურებით გაწეულ თვითღირებულებას, აგრეთვე ჩამოიწერება თვითღირებულებაზე. მიღებული დღგ-ს თანხები მთლიანად გადაირიცხება ბიუჯეტში.

ახლანდელ პირობებში, საგადასახადო კოდექსით რამდენჯერმე შეიცვალა ბანკების მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე გადასახადით დაბეგრის წესი, ასევე რამდენადმე შეიცვალა მოთხოვნილებანი ბანკების მიერ მითითებული მეთოდები გადასახადის გადახდის ვალდებულებები. საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დროს გადასახადის თანხის დანახარჯებზე მიკუთვნებასთან დაკავშირებით. მაგრამ, ბანკების მიერ გადასახადების თანხის თვითღირებულებაზე მითითებასთან დაკავშირებით, საგადასახადო კოდექსში არაფერია ნათქვამი.

არაპირდაპირი გადასახადებით საბანკო საქმიანობის დაბეგრის მნიშვნელოვან თავისებურებად გვევლინება დღგ-სა და ბრუნვის გადასახადის გამოყენებაში პრინციპული, ეკონომიკური სხვაობების არარსებობა. შეძენილი სხვა ობიექტების ფასებში თავმოყრილი დამატებითი ღირებულება, ამ ობიექტების ღირებულებასთან ერთად მთლიანად ან მისი დიდი ნაწილი მიკუთვნებულია ბანკის დანახარჯებს, მისი შემდგომი დაკისრების შესაძლებლობის გარეშე.

დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოთვლის მოქმედი წესის არსებით პრობლემად გვევლინება მათი წარმოჩინება უმეტეს წილად საკრედიტო დაწესებულებებში, ვიდრე სხვა სამეურნეო სუბიექტებში. აღნიშნული პრობლემა ბევრ შემთხვევაში გამოვლინდება საკუთრივ დამატებით ღირებულებასთან დაკავშირებით დაბეგრის ობიექტისაგან თავის დაღწევაში. მოცემული გადასახადის ეკონომიკური გამოთვლის არსის განხილვას მივყავართ იქამდე, რომ თანამედროვე პირობებში საკრედიტო დაწესებულებაში დაბეგრის ობიექტად როგორც წესი გვევლინება არა დამატებითი ღირებულება, არამედ ბრუნვა ან მოგება. განვიხილოთ გადასახადით დასაბეგრი ობიექტის მსგავსი შენაცვლების მექანიზმი, გავანალიზოთ ბანკის მიერ გადახდილი დღგ-ს დაფარვის წყაროები.

დაბეგვრის მექანიზმში გულისხმობენ იმას, რომ სამეურნეო სუბიექტების მიერ უნდა გამოიქვეყნოს გადასახდელი მთელი დღგ, და საგადასახადო ვალდებულებების გაანგარიშების დროს შემცირდეს დღგ-ს მიღებული თანხები. მაგრამ ბანკებს ყოველ შემთხვევაში უფლება აქვთ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას მიაკუთვნონ მხოლოდ გადასახადის ის თანხები, რომლებიც გადახდილია საქონელზე (მომსახურებაზე, სამუშაოებზე), რომლებიც გამოყენებულია დღგ-თ დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებისას. გადასახადის დანარჩენი თანხები მიეკუთვნება მომსახურებების თვითღირებულებას, ანდა დაიფარება მოგების ხარჯზე.

ბანკის მიერ გადახდილი დღგ-ს მეტი წილი მოდის მატერიალურ ფასეულობათა შექმნის ოპერაციებზე. ამასთან მოქმედი კანონმდებლობა ბანკის გადასახადით დაბეგვრის თავისებურებების გათვალისწინებით ამა თუ იმ სიტუაციაში ყოველთვის ზუსტად ვერ საზღვრავს გადასახადის გადახდის წესს. კომერციულ ბანკებში არსებობს იმის ალტერნატიული გზები, რომ ავსახოთ ბალანსში ძირითადი საშუალებების შექმნილი ობიექტები. გადასახადის თანხები შესაძლოა არ მიეკუთვნოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას, და ჩავრთოთ ობიექტების თავდაპირველ ღირებულებაში, შემდგომში მათზე ამორტიზაციის დარიცხვით. მაგრამ ძირითადი საშუალებების რეალიზაციისას, მსგავს სიტუაციაში იქმნება სიძნელეები გადასახადის თანხის განსაზღვრისას რამდენადაც გადასახადი თანდათან ჩამოიწერება ამორტიზაციის სახით.

ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკაში იყო პერიოდები, როცა დღგ-ს ჩათვლა ხორციელდებოდა 1 წელიწადში და 6 თვეშიც. მაგრამ, ბანკები ძირითადი საშუალებების შექმნისას, რომლებიც გათვალისწინებული იყო დღგ-თ დაუბეგრავი ოპერაციების განხორციელებისათვის, გადასახადის თანხას ყოველთვის რთავდნენ ობიექტის საბალანსო ღირებულებაში. ამ დროს გადახდილი დღგ-ს თანხებში ჩამოიწერებოდა ბანკის ბალანსიდან, მხოლოდ შექმნილი ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში. აღნიშნული წესი არ შეესაბამება დღგ-ს ეკონომიკურ აზრს, რადგანაც აღნიშნული, ძირითადი საშუალებების გამყიდველი მხედველობაში იღებს გადასახადის მიღებულ თანხებს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების დროს იმ წუთშივე, როდესაც მოხდება ბანკზე მისი გადატვირთვა ანდა ანაზღაურების მიღება. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია, რომ ძირითადი საშუალებების ობიექტების შექმნის დროს, როდესაც ისინი განკუთვნილია დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებისათვის, ბანკებმა გადასახდელი დღგ-ს თანხები უნდა ჩართონ არა ობიექტების საბალანსო ღირებულებაში, არამედ ერთბაშად აკუთვნებდნენ მათ თვითღირებულებას. ამ შემთხვევაში ძირითადი საშუალებების მყიდველთან და გამყიდველთან, წარმოიშევა დამატებით ღირებულების ერთიანი აღრიცხვა არ დამახინჯდება ქონების საბალანსო ღირებულება, არ მოითხოვება ძირითადი საშუალებების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში სპეციალური გაანგარიშებების ჩატარება.

ფასიანი ქაღალდების ოპერაციებთან დაკავშირებული საშუამავლო ოპერაციები ჩვეულებრივად დღგ-თ დაბეგვრას ექვემდებარება. როგორც წესი, არსებული პრაქტიკის შესაბამისად რაიმე აქტივის შექმნის დროს, ბანკები იხდიან საკომისიო თანხებს, ერთად თავის და კლიენტის ოპერაციებზე დღგ-ს მოცემული თანხები როგორც წესი პროპორციულად მიეკუთვნებიან ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას. შემდგომში კლიენტებთან განხორციელებულ ოპერაციებზე მიღებული საკომისიოები ფარავენ ბანკის დანახარჯებს, მაგრამ დღგ მათზე სრული ოდენობით გამოიყენება ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისათვის. მსგავს პირობებში საქმე გვაქვს იმასთან, რომ თუ კლიენტისაგან ბანკის მიერ მიღებული კომისია ტოლია, კლიენტისათვის შესრულებულ ოპერაციებზე ბანკის მიერ გადახდილის, მაშინ ბანკი არ ჩავარდება ხარალში იმის გამო, რომ მან გადასახდელი დღგ-ს ნაწილი მიაკუთვნა დანახარჯებს. ბანკის არაწამებებიანი საქმიანობისათვის მის მიერ მიღებულმა საზღაურმა არსებითად უნდა გადააჭარბოს მათ მიერ გადახდილ საკომისიოებს.

ამით შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა ხარჯი კომიტენტის დავალების შესრულებისას – რომელსაც გაიღებს კომისიონერი ბოლოს ანაზღაურებული ყველა ხარჯები, რომელსაც გასწევს კომისიონერი კომიტენტის დავალების შესრულებისას, და არ გვეკლინება კომისიონერის ხარჯად. შესაბამისად კომისიონერმა არ უნდა აღიაროს მსგავსი ხარჯები, მოგების გადასახადით დაბეგვრის დროს და მოახდინოს დღგ-ს თანხების ჩათვლა, რომლებიც გადასახდელია ასეთ ხარჯებზე. პრაქტიკულად ყველა დარგში საქონლის ყიდვის ან გაყიდვის დროს კომისიონერები დიდი ხანია ხელმძღვანელობენ ამგვარი მეთოდებით. მაგრამ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ არ გამოიყენონ მოცემული წესით, იმის გამო, რომ მათი საქმიანობისა და აღრიცხვის სპეციფიკიდან გამომდინარე ხშირად შეუძლებელია განვსაზღვროთ აქტივების წარმომავლობა, რომელიც გადაიცემა საბროკერო ხელშეკრულებით ვლებულობთ რა დავალებას ვიყიდოთ ვალუტა ან ფასიანი ქაღალდები ბირჟაზე, ბანკს შეუძლია გადასცეს კლიენტს მათ განკარგულებაში არსებული აქტივები, ანდა შეიძინოს ისინი სხვა ბანკისაგან. ამ დროს მისი საკომისიო საზღაური, როგორც წესი წინასწარ არის დაფიქსირებული და არ არის დამოკიდებული აქტივების წარმომავლობის რეალურ წყაროზე. ბანკები როგორც წესი, გამოდიან იქედან, რომ ყველა გადახდილი საკომისიო გვეკლინება მათ საკუთარ ხარჯად, დღგ-ს ჩათვლით ჩვეულებრივი წესით. მხოლოდ მსგავსი პოზიცია სრულად არ შეესაბამება კანონმდებლობას და ხელსაყრელი არ არის ბანკებისათვის.

მითითებულ ვითარებასთან დაკავშირებით კლიენტის ოპერაციებზე გადასახდელი საკომისიოების აღრიცხვის შედარებით მიზანშეწონილ მეთოდად გვეკლინება მისი უშუალო მიკუთვნება კლიენტებთან ანგარიშსწორებას. ამ დროს ბანკი თავისი სახელით წაუყენებს კლიენტებს ანგარიშ-ფაქტურას, გაწეული დანახარჯების ასანაზღაურებლად, ხოლო მიღებული ფულადი სახსრები მთლიანად აანაზღაურებს ბანკის ხარჯებს დღგ-სთან ერთად.

ანგარიშსწორების განხორციელება, ჩეკებისა და პლასტიკური ბარათების მეშვეობით გვეკლინება საბანკო ოპერაციებად. ამიტომ ზოგიერთი ბანკები ყოველთვის გამოდიოდნენ იქიდან, რომ კლიენტებზე პლასტიკური ბარათებისა და ჩეკების მიყიდვისას, დღგ გადახდილ არ უნდა იქნეს, რადგანაც ეს ოპერაციები უშუალოდ დაკავშირებულია ანგარიშსწორების განხორციელებასთან. საგადასახადო ორგანოთა წარმომადგენლებისა და სპეციალისტების აზრით, რომელიც მოცემულია სხვადასხვა ნახევრადოფიციალურ პასუხებში, ძირითადად დაკავშირებულია თეორიულ წანამდგვრებთან, რომ ბარათების დაბეგვრა არ უნდა დაექვემდებაროს დღგ-ს გადახდას, ბანკს დახარჯული ფულის – ამ ბარათების შექენასთან დაკავშირებული ფულის დანახარჯების ფარგლებში, მაგრამ ამ თეორიული პოზიციის გამოყენება პრაქტიკაში გარკვეულ წილად გართულებულია, რადგანაც ფორმალური მოთხოვნების მიხედვით, რომ მომსახურება დღგ-თ იბეგრება ნაწილობრივ, მანამდე ბანკის მიერ გაწეული ხარჯების ოდენობით, რაც არ შეესაბამება ამ გადასახდის აკრფის თეორიას. ჩვენი აზრით, ბანკებს უნდა ჰქონდეთ იმის უფლება რომ მთლიანად ჩაითვალოს დღგ, რომელიც გადახდილია ბარათების შექენისას და მისი შემდგომი დაბეგვრა მოხდეს ბარათების კლიენტებზე გადაცემისას.

პრობლემები არსებობს აგრეთვე ძვირფასი ლითონების ოპერაციების დღგ-თ დაბეგვრასთან დაკავშირებით. ძვირფასი ლითონების საზომი ზოდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების განხორციელებისას, ინვესტორი-ფიზიკური პირი ბანკის საკომისიოსთან ერთად კარგავს ღირებულების 18%-ს დღგ-ს სახით. არავითარი ფორმის დადებითი ცვლილებები ბაზარზე ამ ოპერაციას არ ხდის მისთვის შემოსავლიანად. რადგანაც ის თავიდანვე ინვესტიციისათვის გამოუსადეგრად გვეკლინება.

ბანკების დღგ-თ დაბეგვრა ხშირად ატარებს ბრუნვის გადასახადის ხასიათს, რომელიც ამოიღება შემოსავლებიდან ან მოგებიდან. მიზანშეწონილი იქნებოდა ამ

გადასახადის გამოანგარიშების ზოგიერთი პრინციპის კორექტირება, მათ შორის შემდეგი მიმართულებით:

1. აუცილებელია, ბანკებს ოფიციალურად დავროთოთ ნება გამოიყენოს ბიუჯეტში კუთვნილი დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოთვლის სხვადასხვა მეთოდები, რომლის დროსაც ცალ-ცალკე აღრიცხება დანახარჯები დასაბეგრ და დაუბეგრავ ოპერაციებზე და პროპორციულად დაუქვემდებარონ გადასახადი გამოქვითვას. წინააღმდეგ შემთხვევაში დღგ-ს გაანგარიშება ბანკებისათვის გახდება საკმაოდ შრომატევადი პროცესი. (ყველა ოპერაციებზე დანახარჯების ცალ-ცალკე აღრიცხვის დროს), ანდა ეკონომიკისათვის დაუსაბუთებლად – სალიზინგო ოპერაციებზე გადახდილი დღგ-ს პროპორციული თანხების აღრიცხვისა და პლასტიკური ბარათების ოპერაციების დროს.

2. გადახედვას მოითხოვს კლიენტების დავალებით აქტივების შექენისას ხარჯების ფორმირების სისტემა და დღგ-ს ჩათვლა. იმის გამო, რომ არ არსებობისას ზუსტად განსაზღვრული წესი, ბანკები გამოდიან იქიდან, რომ ყველა გადახდილი საკომისიოები გვევლინებიან მათ საკუთარ ხარჯებად და დღგ-ს ჩათვლას ახდენენ ჩვეულებრივი წესით. მხოლოდ, მსგავსი ხარჯები მთლიანად უნდა კომპენსირდებოდეს კლიენტების მიერ, მათზე გადახდილ დღგ-ს გადახდილ თანხებთან ერთად.

3. თუ ბანკი კლიენტს საკუთრებაში გადასცემს ტექნიკურ საშუალებებს, მაშინ მსგავსი ოპერაცია უნდა დაიბეგროს დღგ-თ. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ შეღავათი ამ გადასახადზე გავრცელდება არა ყველა ოპერაციაზე არამედ შეღავათი უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ მომსახურებაზე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ამ სისტემით, ანგარისსწორების განახორციელებასთან აგრეთვე მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებას და მის შემდგომ მომსახურებასთან და პერსონალის სწავლებასთან.

4. გადასახადი საანგარიშსწორებო დაოკუმენტების გაცემასთან დაკავშირებით დღგ-ით არ უნდა დაიბეგროს მიუხედავად მათი მოცულობისა. მოთხოვნა იმისა, რომ ბანკის ეს შემოსავლები არ იბეგრება დღგ-ით, მხოლოდ იმ პირობით, როდესაც ბანკი გასწევს ხარჯებს კლიენტების დოკუმენტების შექენაზე და საგადასახდო – საანგარიშსწორებო დანერგვაზე, არ შეესაბამება გადასახადით დაბეგვრის აზრს. ბანკის ოპერაციები არ იბეგრება დღგ-თ. საჩეკო წიგნაკებისა და პლასტიკური ბარათების გაცემა კი რომელიც საჭიროა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის, არ ნიშნავს იმას რომ ისინი საბანკო ოპერაციები არ არიან, იმის გამო, რომ მასზე გადასახდელი საკომისიოები აღემატება ბანკის დანახარჯებს.

5. აუცილებელია დღგ-ს დაბეგვრისაგან გავათავისუფლოთ საზომი ზოდების რეალიზაციის ოპერაციები. ასეთი წესი განაპირობებს ძვირფასი ლითონების შიდა ბაზრის განვითარებას, აამაღლებს ინვესტორებისათვის მათ ლიკვიდობას და მიმზიდველობას. თანამედროვე პირობებში ფიზიკური პირები არ აბანდებენ სახსრებს ძვირფას ლითონებში, რადგანაც დიდია სხვაობა ბანკის მიერ მათ შესყიდვისა და გაყიდვის ფასებს შორის ეს სხვაობა, ბანკის მიერ ოპერაციების შესრულებისას შემოსავლებთან ერთად თავის თავში დამატებით კიდევ მოიცავს დღგ-ს თანხას, რაც გაუმართლებელია მსოფლიო პრაქტიკიდან და ფინანსური ბაზრის თეორიის პოზიციებიდან გამომდინარე.

6. დღგ-ს გაანგარიშებისას მხედველობაში არ უნდა მივიღოთ ლიმიტები, რომელიც დაწესებულია მოგების გადასახადის გაანგარიშებისათვის. ბანკის მიერ საწარმოო ხასიათის ხარჯებზე გადახდილი დღგ-ს თანხები უნდა დაექვემდებაროს გამოქვითვას სრული მოცულობით დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას. მოქმედი წესი არ ითვალისწინებს, რომ ხარჯები, რომლებიც არ ამცირებენ გადასახადით დასაბეგრი მოგებას, თავისი არსით არ გვევლინებიან დამატებითი ღირებულების მოხმარებად,

რომლის დროსაც, გადასახადი სინამდვილეში არ უნდა ანაზღაურდეს. დღგ ხარჯებზე, რომლებიც ბანკისათვის ითვლება, უნდა მიეკუთვნოს ხარჯებს, რომელიც არ შეამცირებს დასაბეგრ მოგებას გადასახადის ძირითად თანხასთან ერთად.

7. აუცილებელია დაწესდეს, რომ როდესაც ძირითადი საშუალებების ობიექტების შექმნა, რომელიც განკუთვნილია დღგ-თ დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებისათვის, ბანკებმა გადახდილი დღგ-ს თანხები ჩართონ არა ობიექტის საბალანსო ღირებულებებში, არამედ ერთიანად მიაკუთვნონ ისინი თვითღირებულებას. ამ დროს ერთდროულად აღირიცხება დღგ-ს ძირითადი საშუალებები გამყიდველთან და მყიდველთან და არ დამახინჯდება ქონების საბალანსო ღირებულება, აღარ იქნება საჭირო განვახორციელოთ სპეციალური გაანგარიშებანი ძირითადი საშუალებების ობიექტების მწყობრიდან გამოსვლის დროს მხოლოდ ძვირადღირებული ობიექტების მიხედვით.

8. დაწესდეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებები აისახება ბანკის ბალანსზე დღგ-სთან ერთად, მაშინ ობიექტის რეალიზაციისას ბიუჯეტიდან გამოქვითვას ექვემდებარება გადასახადის არაამორტიზებული თანხები. აღნიშნული საგადასახადო გამოქვითვის მოცულობა შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს როგორც დღგ-ს წარმოებული თანხები, რომელიც მოიცავს ობიექტის საბალანსო ღირებულებას და მწყობრიდან გამოსვლის მომენტში ცვეთის კოეფიციენტს. ეკონომიკურ აზრს არ შეესაბამება და ობიექტის დანაკარგებთან მიყვავართ საგადასახადო კოდექსის იმ დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ქონების რეალიზაციისას საგადასახადო ბაზის განსაზღვრასთან, რომელიც ექვემდებარება აღრიცხვას გადახდილი გადასახადის ჩათვლით, როგორც სხვაობა რეალიზებული ქონების ღირებულების ფასსა და რეალიზებული ქონების ღირებულებას (ნარჩენი ღირებულების გადაფასების გათვალისწინებით) შორის.

ლიტერატურა:

1. გამსახურდია თ., საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., 2003.
2. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო., გადასახადები და დაბეგვრა, თბ., 2003.
3. ზირაქაშვილი თ., საქართველოს კომერციულ ბანკებსა და საგადასახადო სისტემას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების გზები, სამაგისტრო ნაშრომი, თბ., 2009.

თამარ ზირაქაშვილი **დამატებული ღირებულების გადასახადი და საბანკო სფეროში მისი** **დაბეგვრის პრობლემები** **რეზიუმე**

საბანკო სფერო როგორც ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი, საჭიროებს გადასახადებით დაბეგვრისადმი უფრო მეტ ყურადღებას და პრაქტიკულ დახმარებას, რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროდან ბიუჯეტში შესაბამისი გადასახადების სრულად და ეფექტიანად მობილიზაციას.

ამიტომ მოგების გადასახადის გასაანგარიშებლად დაწესებული ლიმიტები, ჩვენი აზრით მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული დღგ-ს გაანგარიშების დროს. ბანკის მიერ გადასახადელი დღგ-ს თანხები უნდა დაექვემდებაროს გამოქვითვას ანდა მხედველობაში უნდა იქნეს გადასახადით დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას სრული მოცულობით. დღგ ხარჯებზე, რომლებიც ბანკისათვის არამწარმოებლურია გადასახადით დასაბეგრი მოგების შეუმცირებლად, გადასახადელის ძირითად თანხასთან ერთად მიკუთვნებული უნდა იქნეს ხარჯებზე.

Tamar Zirakashvili
Value-Added Tax and Taxation Problems in the Banking Sector
Summary

Banking as an essential part of economics needs more attention and efficient support in the terms of taxation problems, which will encourage mobilizing finances from this field more effectively and transferring them to the budget. Therefore, the limits set for calculating profit, in our opinion, should not be taken into account when calculating VAT. The VAT amount charged by the Bank shall be subject to deductions or should be taken into consideration as a total amount while calculating taxable profit.

The VAT expenses which are non - productive for a bank by taxation of irreducibility of taxable profit should be attached to the expenses together with basic amount of tax.

გიორგი კვაბზირიძე
ეკონომიკის დოქტორი

კორუფცია, როგორც თანამედროვეობის პრობლემა

კორუფცია, რომელიც გამეფებულია ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და საზოგადოების არსებობის წესად იქცა, ძირს უთხრის არა მხოლოდ ეკონომიკას, არამედ ერისა და სახელმწიფოს თვითმყოფადობას. ამიტომ ცალკეული დემოკრატიული პრინციპები საზოგადოებისათვის სრულიად არასაკმარისია და ფერმკლავდება ისეთი მოვლენების წინაშე, როგორცაა: მექრთამეობა, ეროვნული ეკონომიკისა და საკუთრების კერძო მიზნებისათვის გამოყენება, კანონმდებლობის პირადი ინტერესებისათვის შესაბამისობა და არა მისი საყოველთაოობა და ობიექტურობა.

კორუფციის მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების დიდი ნაწილის განათლების დაბალი დონე ეკონომიკის, სამართლისა და უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში.

კორუფცია ყოველგვარი პროგრესული მოვლენის მტერია. იგი ანგრევს ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ გარემოს, ნორმალურ ადამიანურ ურთიერთობებს. ამის საუკეთესო მაგალითია ერაერთი დემოკრატიული ქვეყანა, რომელშიც საბაზრო ეკონომიკა ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს უნდა უწყობდეს ხელს, მაგრამ, კორუფციის გამო, ეს ქვეყნები (ძირითადად აფრიკის სახელმწიფოები) სავალალო მდგომარეობაში არიან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უახლოეს წარსულში საქართველოში საჭირო გახდა ისეთი სერიოზული ჯგუფის შემნა, როგორც იყო ე.წ. "ანტიკორუფციული შვიდკაცა", რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მომცველი ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამა შეიმუშავა, თუმცა, იმის გამო, რომ არ არსებობდა ასეთივე სერიოზული სახელმწიფოებრივი ნება, ამ ჯგუფის მოღვაწეობაც და მისი პროგრამაც სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა ქვეყნისათვის.

მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოდგენა არა აქვს მეწარმეობის, საგადასახადო და საფინანსო სექტორში არსებული სიახლეებისა და უფლებების შესახებ, რის გამოც ისინიც კი, ვინც საკუთარი საწარმოებისა და სხვა ნებისმიერი კერძო ბიზნესის მფლობელები არიან, მათ სამართლებრივ მხარეს საშუალო და დაბალი რანგის ჩინოვნიკებს ანდობენ, ხოლო ეს უკანასკნელნი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე წარმართავენ მათ და არარსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, რაზეც, ხშირად, თვითონაც არა აქვთ სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

დაუსჯელობის სინდრომი კი, რომელიც წლების განმავლობაში არსებობდა და რომლის მეშვეობით ერთი თანამდებობიდან განთავისუფლებული ჩინოვნიკი სხვა, არანაკლებ პრესტიჟულ თანამდებობაზე გადადიოდა და მშვიდად აგრძელებდა თავის კორუფციულ მოღვაწეობას, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კორუფციისათვის.

ქვეყნის სამართლებრივ თეორიასა და პრაქტიკაში არ არსებობდა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მათი მოღვაწეობის შედეგების გამო, რომელიც დაბალანსებული იქნებოდა მათივე უფლებებით(1,133). სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა ქონების კონფისკაციის 377-ე მუხლი, რამაც კიდევ უფრო მეტი თავისუფლება მიანიჭა კორუფციაში ჩაძირულ ჩინოვნიკებს.

კორუფციასთან ბრძოლის საუკეთესო შედეგია 2003 წლის 6 ივნისის კანონი "უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ", რომელიც ფულის გათეთრების, სხვა ქონების ან ქონებრივ უფლებებს არეგულირებს. ასევე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი, რომელიც სასამართლოს განსჯადს ხდის თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების კანონიერებას.

კორუფციას აძლიერებს ყველაფრისადმი მაქსიმალისტური მიდგომა – ჩვენი ქვეყნისა და ეროვნული ფსიქიკისათვის დამახასიათებელი ნეგატიური თვისება, რომელსაც, ხშირად, ლიდერობისათვის დაუმსახურებელი ამოუწურავი სწრაფვა აძლიერებს.

ხშირად საუბრობენ ეროვნული ერთობის არარსებობაზე. ეროვნული ერთობა 1990-იან წლებში მართლაც არსებობდა, მაგრამ მან ეკონომიკური ერთობა ვერ მოიტანა, ვინაიდან სახელმწიფოებრივი მიდგომები დაიკარგა, ხოლო სახელმწიფოებრივი კონტროლის გარეშე დარჩენილი საწარმოები და მეურნეობები მათი მაშინდელი ხელმძღვანელების ხელში აღმოჩნდა. ეკონომიკური ერთობის გარეშე კი ეროვნული ერთობის ხიბლიც მთლიანად განადგურებული აღმოჩნდა.

ეროვნული ერთობა დღესაც სჭირდება საქართველოს პარტიებად და საკუთარ მიკროსივრცეში ჩაკეტილ მეწარმეებად დაყოფილ საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ საკუთარი "მე"-ს პრობლემებით არსებობს, არად აგდებს ეკონომიკური ერთობის აუცილებლობას და ამით ისევ კორუფციას უწყობს ხელს.

ამგვარად, ეკონომიკური ერთობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კორუფციის აღმოფხვრის მრავალ საშუალებებს შორის ასახელებენ: სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობის გამჭვირვალებას, უსაფუძვლო შეღავათების გაუქმებას და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ კორუფციის აღმოსაფხვრელად, მის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია:

1. საზოგადოებრივი ინსტიტუციონალური პროგრამების შექმნა, მათი ეფექტური მუშაობისათვის ხელშეწყობა და მათ მიერ საზოგადოებრივი ანტიკორუფციული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა.

2. სამართლებრივი ზეწოლა კორუფციის ნებისმიერი გამოვლინების მიმართ; ყოვლისმომცველი ანტიკორუფციული კანონმდებლობის შემუშავება და მათი განხორციელება ყველაზე სანდო და მოუსყიდველი სამართალდამცავი ორგანოების, პროკურორებისა და მოსამართლეების მიერ.

3. პოლიტიკური ლიდერების ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ და მათ მიერ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების სიდრმისეული ანალიზი და მათი გამოყენება საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად.

4. სამთავრობო სტრუქტურებში არსებული ადმინისტრაციული პროცედურებისადმი კონტროლი, როგორც თანამდებობის პირთა, ასევე ამ სფეროში დასაქმებული რიგითი

ჩინოვნიკის საქმიანობის მიმართ, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ბიუროკრატიული თვითნებობა.

5. განსაკუთრებული კონტროლი კერძო სექტორისადმი, რათა არ დაეუშვათ ჩვენში ამ ახლად აღორძინებულ სფეროში დასაქმებული და ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებელი ქონებით წარმოდგენილ კვაზიმეწარმეთა არაკანონიერი და თავნება მოღვაწეობა, როგორც სახელმწიფოსა და ეკონომიკურ სფეროში, ასევე მასთან მომუშავე ადამიანთა მიმართ.

6. მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ჭეშმარიტად ადამიანური თანამშრომლობის ჩამოყალიბება, მათ შორის კერძო სექტორის, პროფესიული და რელიგიური ორგანიზაციების ჩათვლით.

7. კორუფციის გარდაქმნა საშიშ, რისიკიან და არამომგებიან საქმიანობად.

6. სახელისუფლებო, სამთავრობო, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის, არასამთავრობო, საწარმოთა და სხვა ორგანიზაციების რეორგანიზაციით, თანამდებობის პირთა დეპერსონალიზაციითა და კადრების ხშირი როტაციით, რათა არ დავერ მოხერხდეს მათი მოსყიდვა.

7. შინაგანი საფინანსო მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც რესურსების მიზნობრივად გამოყენების ეფექტურ კონტროლსა და სადაო გადაწყვეტილებების სწრაფ შესრულებას უზრუნველყოფს.

8. ნებისმიერი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა მისი ხელქვეითების მოქმედებაზე. მოულოდნელი შემოწმებების, ატესტაციების ჩატარება, ე.წ. “შეკვლარი სულების” ჩამოცილება თანამშრომელთა რიგებიდან და შანსის მათთვის შემცირება – კვლავ დაიკავონ თანამდებობა.

9. იმ თანამდებობის პირთა ქონების, შემოსავლებისა და უფლებებისადმი ეფექტური კონტროლის განხორციელება, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების სახელისუფლებო ბერკეტებს.

10. დაბალი რანგის მომსახურე პერსონალისათვის უფლებების გაფართოება, რათა მათ შესძლონ გაასაჩივრონ თავისი ხელმძღვანელობის კორუფციული საქმიანობა შემდგომი გართულებების გარეშე.

11. პრესის წარმომადგენელთათვის მეტი თავისუფლების მინიჭება, რათა მათ უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ და გამოამჟღავნონ კორუფციული ფაქტები, ამისათვის კი მოხდეს მათი წახალისება დაჯილდოების სხვადასხვა მეთოდებით.

12. შეიქმნას სპეციალური მექანიზმები მთავრობის მუდმივი კონტროლისათვის საზოგადოების მხრიდან; პერიოდულად საზოგადოებრივი გამოკითხვების ჩატარება მთავრობის მუშაობის შეფასების თვალსაზრისით.

13. სახელმწიფო შესყიდვების ღია, ჭეშმარიტად კონკურენტული და გამჭვირვალე სისტემის ორგანიზაცია.

14. თანამდებობრივი ინტერესებისაგან თავისუფალი არჩევანის უზრუნველყოფა; გადაწყვეტილებების სწრაფი მიღება, რათა თავიდან ავიცილოთ კორუფციული ჩარევები; გარედან მოწვეული სპეციალისტების ჩართვა პრობლემების განსახილველად და სხვ. (2,121-123).

ლიტერატურა:

1. კურატაშვილი ა., თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის დაბალანსება – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების და სახელმწიფოს სოციალურ-სამართლებრივი თეორია, სტუ შრომები, №1(425), 1999.

2. კვავზირიძე გ., სიღარიბის დაძლევის სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმები ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში, თბ., 2008.
3. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებები, თბ., 2000.

გიორგი კვავზირიძე
კორუფცია, როგორც თანამედროვეობის პრობლემა
რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კორუფციის პრობლემები. აღნიშნულია, რომ კორუფცია როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე ცხოვრების გადაუწყვეტელი პრობლემაა. ავტორი განიხილავს არაერთ სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც უშუალოდ ეხება კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს.

ავტორი ასევე გეთავაზობს მის მიერ შემუშავებული ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლებიც თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც შეამსუბუქებენ კორუფციის არსებობისა და ფუნქციონირების პრობლემებს.

Giorgi Kvabziridze
Corruption as a Problem of Contemporary Life
Summary

The paper considers corruption as a problem of modernity, which is presented as an unresolved problem of historical and modern life. The author discusses a number of legal documents that are directly related to implement preventive measures against corruption.

The author also offers a list of measures developed by him, which if not completely partially will lighten the existence and function of corruption.

მედიცინა Medicine

მარინე შაქარაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

გონა ოჩიგავა

სამართლის დოქტორი, პროფესორი

სიკვდილის უფლება და პალეოტიური მზრუნველობა

დღემდე არ არსებობს ცალსახა პასუხი კითხვაზე, რომელია უკეთესი: სწრაფი, უმტკივნეულო სიკვდილი თუ ხანგრძლივი და მტანჯველი სიცოცხლე? ევთანაზიის, როგორც ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტის გზების ძებნა შეუძლებელია მორალური დოქტრინის, სამედიცინო ეთიკისა და სამართლებრივი მიდგომების გარეშე. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო კანონმდებლობაში უკვე გაჩნდა ისეთი დოკუმენტები, სადაც, საუბარია „სიკვდილის უფლებაზე“ ანუ როგორც პასიური, ისე აქტიური ევთანაზიის დაკანონებაზე. მოცემულ სტატიაში, შევეცდებით ყურადღება გავამახვილოთ ევთანაზიასთან დაკავშირებულ, პირველ რიგში სამედიცინო და ასევე, სამართლებრივ მიდგომებზე. „ევთანაზია“ - (eu -კარგი, უშფოთველი thanatos - სიკვდილი) – ეს არის უკურნებელი სენით დაავადებული, სიკვდილისწინა სტადიაში მყოფი ავადმყოფის სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა, მისივე თხოვნით. თუმცა, დღეს უკვე ევთანაზიის განხორციელების დაშვების წინაპირობად განიხილება პაციენტის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ასაკიც. ევთანაზია, როგორც „იოლი სიკვდილის“ აღმნიშვნელი ტერმინი XVII საუკუნეში შემოიტანა ფ. ბეკონმა (ფრენსის ბეკონი 1561 – 1626 წ.წ. ფილოსოფოსი, მოაზროვნე, ინგლისური მატერიალიზმის ფუძემდებელი, ებრძოდა სქოლასტიკას). XIX საუკუნიდან კი ამ ტერმინმა, სიბრალულის გამო, ადამიანის მოკვდინების მნიშვნელობა შეიძინა. XX საუკუნის პირველ ნახევარში ნაცისტურ გერმანიაში ევთანაზია ხორციელდებოდა მასობრივი მასშტაბით მათ წინააღმდეგ, ვინც იმ დროისთვის „ეკონომიკურ ტვირთს“ წარმოადგენდა, ან არ შეეძლო მოეტანა რაიმე სარგებელი ქვეყნისათვის. ასეთ ადამიანებს ხშირად „ბუნების შეცდომას“ უწოდებდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ. მათ შორის იყვნენ: მძიმე სენით დაავადებული ადამიანები, დაჭრილი ჯარისკაცები, უნარშეზღუდული ბავშვები, ჰომოსექსუალები, ეროვნული, რელიგიური და სხვა ნიშნით უარყოფილი და დევნილი ადამიანები. ბავშვებს, როგორც წესი შიმშილით კლავდნენ, ხოლო უფროსების მოსაკლავად იყენებდნენ გაზის კამერას ან სასიკვდილო ინექციას. მეცნიერები და ექიმები ამ გზით ე.წ. "რასობრივი ჰიგიენის" პროპაგანდას ეწეოდნენ. მათ სახელმწიფო ასეთი სამსახურისათვის გარკვეულ გასამრჯელოს უნიშნავდა. მოკლულთა პირადი ნივთები რჩებოდათ ექიმებს ან ნადგურდებოდა. ევთანაზიაზე სამედიცინო საზოგადოება მას შემდეგ აღაპარაკდა, როდესაც ცნობილი გახდა ამერიკელი ექიმის ჟაკკ ევორკიანის აღიარება, რომ 1991 წლიდან იგი 50-ზე მეტ ავადმყოფს „დაეხმარა სიკვდილში“.

ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ძლიერი ტკივილი ევთანაზიის მოთხოვნის მიზეზი მხოლოდ 1/3 შემთხვევაშია. ასეთ მოთხოვნას ზოგჯერ ფსიქოლოგიური ფაქტორები განაპირობებს: ღირსების დაკარგვის შიში, დეპრესია, სხვებზე დამოკიდებულების შეუგუებლობა და სხვ. მაშასადამე, არ არის აუცილებელი ევთანაზიის განხორციელების წინაპირობა მძიმე სენით დაავადება და ტკივილები-საგან მიყენებული გაუსაძლისი ტკივილი იყოს; მაგალითად, შვეიცარიაში მისი განხორ-

ციელების საფუძველი შეიძლება სწორედ მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემები და ღირსების დაკარგვით გამოწვეული სტრესი იყოს. ასეთ შემთხვევაში ევთანაზიაზე თანხმობის მიღება გაცილებით უფრო რთულია (2).

ევთანაზიის სხვადასხვა სახე არსებობს:

აქტიური - პირდაპირი

როცა ექიმი პაციენტის თანხმობის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას, უკეთეს მას სასიკვდილო ინექციას ან ასმევს წამლებს, რომელთა მოქმედების შესახებ პაციენტი არ არის ინფორმირებული და რომლებიც იწვევენ სასიკვდილო შედეგს;

აქტიური - არაპირდაპირი

